

**საერთაშორისო  
კრედიტუნთული  
გადაწყვეტილებები**



**გაუკატიურების  
დანაშაულება**

**2022**

ეს სახელმძღვანელო თავს უყრის სტრასბურგის სასამართლოსა და გაეროს ქალთა კომიტეტის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება გაუპატიურების დანაშაულს. საქმეები შეკვეცილია და სრულად არ არის წარმოდგენილი, თუმცა შენარჩუნებულია პარაგრაფების ზუსტი ნუმერაცია და მკითხველი ხედავს, კონკრეტულად რომელი პარაგრაფებია ნათარგმნი. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია ქართულ ენაზე თავი მოუყაროს საერთაშორისო სტანდარტებს გაუპატიურების გამოძიების, დევნისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე.

© საფარი  
2022

პროექტი ხორციელდება ნორვეგიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები შესაძლოა, არ ასახავდეს საელჩოს შეხედულებებს. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "საფარი".



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



საერთაშორისო პრეცედენტული  
გადანწყვეტილებები  
გაუკატიურების დანაშაულზე

**2022**

# შინაარსი

საქმე “ი. ს. რუმინეთის წინააღმდეგ”

Case of I.C v Romania

3

საქმე “კარენ ტაიგ ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ”

Karen Tayag Vertido v. The Philippines

15

საქმე “მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ”

Case of M.C. v. Bulgaria

33

საქმე “ი. სლოვენის წინააღმდეგ”

Case of Y. v. Slovenia

64

საქმე “ჯ.ლ. იტალიის წინააღმდეგ”

Case of J.L. v. Italy

94



# საქმე “ი. ს. რუმინეთის წინააღმდეგ”

## Case of I.C v Romania

24/05/2016

3. განმცხადებელმა დაადანაშაულა რუმინეთის სახელმწიფო ორგანოები იმაში, რომ მათ ეფექტურად ვერ გამოიძიეს მის მიმართ ჩადენილი გაუპატიურების ბრალდებები, როდესაც ის თოთხმეტი წლის იყო, რითიც დაარღვიეს თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვათ განმცხადებელი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან

## ფაქტები

5. განმცხადებელი დაიბადა 1992 წელს და ცხოვრობს კოტიგლეტში, რუმინეთში. იმ მოვლენების დროს, რომლებზეც განმცხადებელმა იჩივლა, ის თოთხმეტი წლისა და ოთხი თვის იყო.

6. 2007 წლის 13 იანვარს, განმცხადებელი ესწრებოდა პანაშვიდს თავის სოფელში. დაახლოებით საღამოს 8 საათზე, იგი წავიდა თავის ორ მეგობარ გოგოსთან, პ.ა.-სთან (ათი წლის) და ზ.ფ.დ.-სთან (თოთხმეტი წლის) ერთად მეზობლის სახლში სასმელი წყლის მოსატანად. გზად მათ სამი ბიჭი მიუახლოვდა, მ.ი.ს. (თხუთმეტი წლის), მ.ს. (თხუთმეტი წლის) და მ.ც.ს. (თექვსმეტი წლის). მ.ი.ს.-მ განმცხადებელს მკლავი ზურგს უკან გადაუგრისა, თავში ჩაავლო ხელი და უთხრა, წაპყლოდა მას. ბიჭებმა ის იქვე მითოვებული შენობის ბაღში შეიყვანეს, სადაც ვინმე მ.ც., მამაკაცი (ოცდაორი წლის), იცდიდა.

7. სამი ბიჭი წავიდა, მ.ც.-მ განმცხადებელი მიწაზე დააგდო, ნაწილობრივ გახადა ტანსაცმელი და დაამყარა სქესობრივი კავშირი მასთან. ამასობაში, შემთხვევის ადგილზე კიდევ ერთი მამაკაცი, ა.ს.ლ. (ოცდაექვსი წლის), მივიდა და სცადა განმცხადებელთან სექსი, მაგრამ ფიზიოლოგიურად ვერ შეძლო ამის გაკეთება. ადგილზე ასევე იმყოფებოდა მესამე მამაკაცი, ვ.ფ. (ოცდაათი წლის). მას ასევე სურდა სქესობრივი კავშირის დამყარება განმცხადებელთან, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტა, დახმარებოდა მას წამოდგომაში, საკუთარი თავის მოწერსიგებაში და ჩაცმაში და მიაცალა იგი სახლამდე, სადაც პანაშვიდი მიმდინარეობდა. ოცი წუთის შემდეგ, მოვიდა განმცხადებლის მამა, რომელიც მას ეძებდა და მან მამას უთხრა, რომ გააუპატიურეს. მამამ მაშინვე შეატყობინა პოლიციას.

8. 2007 წლის 14 იანვარს, განმცხადებელი გასინჯა სასამართლო ექსპერტიზის ექიმმა. გამოკვლევის შემდგომი სასამართლო-სამედიცინო დასკვნის მიხედვით, განმცხადებლის სხეულზე არ იყო ტრავმული დაზიანების ნიშნები და არც სპერმა იქნა აღმოჩენილი. სასამართლო ექიმმა აღმოაჩინა პათოლოგიის ნიშნები, რაც შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო სქესობრივი კავშირით. ბოლოს, ექიმმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი შფოთავდა და შეშინებული იყო და ურჩია ფსიქოლოგიური კონსულტაციის გავლა და შეძლებისამებრ, ნეიროფსიქიატრიული გამოკვლევა.

9. 2007 წლის 15 თებერვალს, განმცხადებელი ორადეას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დააწვინეს. საავადმყოფოს დაკვირვების ფურცელში ეწერა, რომ განმცხადებელმა მკურნალობის თხოვნით მიმართა საავადმყოფოს, რადგან იგი გააუპატიურეს. მას დაესვა დიაგნოზი - სტრესთან დაკავშირებული შფოთვა, გაღიზიანებადობა, ძილის დარღვევა, მსუბუქი ინტელექტუალური შეზღუდულობა (ინტელექტის ტესტის მაჩვენებელი 68) და ტირილიანობა. მას დაუნიშნეს მკურნალობა ანქსიოლიტიკებითა და ანტიდეპრესიული საშუალებებით და 2007 წლის 20 თებერვალს გაწერეს საავადმყოფოდან, ოდნავ გაუმჯობესებულ მდგომარეობაში.

10. 2007 წლის 5 მარტს, განმცხადებლის მამის მოთხოვნით, გაიცა დამატებითი სასამართლო სამედიცინო დასკვნა. დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელს განუვითარდა ფსიქოლოგიური აშლილობა იმ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად, რომელიც მან 2007 წლის 13 იანვარს გადაიტანა. ექიმმა დაადგინა, რომ ორადეას ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, განმცხადებლის მდგომარეობას თოთხმეტდღიანი სამედიცინო მკურნალობა სჭირდებოდა. ორსულობის არანაირი ნიშნები არ გამოვლენილა.

11. 2007 წლის 24 აპრილს, განმცხადებელი ისევ მიიყვანეს ორადეას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. საავადმყოფოს დაკვირვების ფურცლის მიხედვით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ოდნავ უმჯობესდებოდა, მაგრამ დაეწყო თავის ტკივილები. იგი საავადმყოფოდან გაწერეს მეორე დღეს და უთხრეს, რომ გაეგრძელებინა თავდაპირველად დანიშნული მკურნალობა და დაბრუნებულიყო შემდგომი გამოკვლევებისთვის მაისის ბოლოს.

12. 2007 წლის ივლისში, განმცხადებელი კვლავ მოათავსეს ორადეას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იგი სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა თოთხმეტი დღის განმავლობაში, ჰქონდა შემდეგი სიმპტომები - თავის ტკივილი შუბლის არეში, დეპრესია, ტირილიანობა და სოციალური იზოლაციის გრძნობა. სხვა მდგომარეობებთან ერთად, მას ემოციური აშლილობის, ძილის დარღვევისა და ანემიის დიაგნოზი დაუსვეს. განმცხადებელს მკურნალობდნენ ნეიროტროპული და ანქსიოლიზური საშუალებებითა და ვიტამინებით. ექიმებმა დაუნიშნეს შემდგომი მკურნალობა ნეიროტროპული საშუალებებით და ანქსიოლიტიკებით მომავალ გამოკვლევამდე, რომელიც დაინიშნა სექტემბერში.

13. 2007 წლის 14 იანვარს, განმცხადებელმა მამის თანხლებით ოფიციალური საჩივარი შეიტანა პოლიციაში. იმავე დღეს, მან წერილობითი განცხადება გააკეთა წინა დღის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელშიც სამი სრულწლოვანი მამაკაცი გაუპატიურებაში დაადანაშაულა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიტოვებული სახლისაკენ მიმავალ გზაზე მ.ი.ს.-ს და მ.ს.-ს მთელი გზა ეჭირათ მისი ხელები და კისერი და არ აძლევდნენ წასვლის საშუალებას, დაემუქრნენ ცემით, თუკი იკვილებდა და დახმარებას ითხოვდა. პოლიცია განმცხადებელს და მის მამას შემთხვევის ადგილზე წაჰყვა და ფოტოები გადაიღო. არც ერთი ნივთი ან სხვა მტკიცებულება არ ყოფილა ნაპოვნი.

14. მოგვიანებით, იმავე დღეს, პოლიციაში წერილობითი ჩვენებები მისცეს მ.ც.-მ და და მ.ი.ს.-მ. მ.ც.-მ განაცხადა, რომ განმცხადებლისათვის არაფერი დაუძალეზია და არ იცოდა, რომ იგი თხუთმეტ წლამდე იყო. ის ამტკიცებდა, რომ მან განმცხადებელი პანაშვიდზე ნახა და შესთავაზა მასთან ერთად წასულიყო მიტოვებულ სახლში, რაც განმცხადებელმა ნებაყოფლობით გააკეთა. განმცხადებელთან თანხმობით (კონსენსუალური) ქექსობრივი კავშირის შემდეგ, მან დატოვა იგი მ.ც.ს.-სთან ერთად და პანაშვიდზე დაბრუნდა. მ.ი.ს.-მ უარყო რაიმე სახის მონაწილეობა ამ მოვლენებში და განაცხადა, რომ ის არ გასულა იმ სახლიდან, რომელშიც პანაშვიდი მიმდინარეობდა.

15. 2007 წლის 15 იანვარს ა.ს.ლ.-მ, ვ.ფ.-მ და მ.ც.ს.-მ პოლიციას ჩვენებები მისცეს.

16. ა.ს.ლ.-მ განაცხადა, რომ 2007 წლის 13 იანვრის საღამოს, როდესაც მან მიტოვებულ სახლს ჩაუარა, სახლის ბალიდან ხმები მოესმა. გადაწყვიტა შიგნით შესულიყო, რომ ენახა რა ხდებოდა. იქ მან ნახა ვ.ფ., რომელმაც უთხრა, რომ მ.ც. იქ გოგოსთან ერთად იყო. მან დაინახა მ.ც. რომელიც განმცხადებელს ზემოდან ეწვა და მასთან სექსი ჰქონდა. დასრულების შემდეგ, მ.ც.-მ დაუძახა მას, რომ მასაც იგივე გაეკეთებინა. მან სცადა, მაგრამ ფიზიოლოგიურად ვერ შეძლო ქექსობრივი კავშირის დამყარება, ამიტომ ადგა და ტანსაცმელი ჩაიცვა. მან იქაურობა დატოვა მ.ც.-სთან ერთად, რომელიც იქვე ელოდებოდა.

17. მ.ც.ს.-მ განაცხადა, რომ დაინახა, როგორ სწვდა მ.ი.ს. განმცხადებელს, ხელი გადაუგრისა და მასთან ერთად წავიდა პანაშვიდიდან. იგი და მ.ს. მათ ვაჟყვნენ, მაგრამ რადგან ტელეფონზე დაურეკეს, მან ცალკე განაგრძო გზა.

18. თავის განცხადებაში ვ.ფ. ამტკიცებდა, რომ ის პანაშვიდზე იმყოფებოდა, როდესაც განმცხადებლის ძმებმა სთხოვეს, დახმარებოდა მათი დის მოძებნაში. მან იქაურობა მარტომ დატოვა და მიტოვებულ სახლში წავიდა, სადაც ნახა განმცხადებელი მ.ც.-სთან ერთად. იქვე იყო ასევე ა.ს.ლ. ამ მომენტში მისმა ტელეფონმა დარეკა, ამიტომ ყურადღება არ მიუქცევია იმ სამი ადამიანისათვის. როდესაც ტელეფონზე საუბარი დაასრულა, გაიგო, რომ განმცხადებელი ეძახდა და მასთან მივიდა. განმცხადებელი მარტო იყო, მიწაზე იწვა, წელს ქვემოთ გაშიშვლებული. მან ჰკითხა, რა დაემართა, მაგრამ განმცხადებელმა არაფერი უთხრა. როდესაც განმცხადებელმა სთხოვა, ახლოს მისულიყო, ა.ს.ლ.-მ დაიწყო მისი კოცნა და მასთან სექსი მოუნდა, მაგრამ თავი უხერხულად იგრძნო, ასე რომ დაეხმარა მას ჩაცმაში, მოაშორებინა პალტოდან ტალახი და პანაშვიდის ადგილამდე მიაცილა.

19. 2007 წლის 17 იანვარს განმცხადებლის ორმა მეგობარმა ჩვენება მისცა პოლიციას. მათ აღნიშნეს, რომ მ.ი.ს., მ.ს. და მ.ც.ს. მიუახლოვდნენ განმცხადებელს, გადაუგრისეს ხელი ზურგს უკან და წაიყვანეს. როდესაც განმცხადებელი პანაშვიდზე დაბრუნდა, მას არაფერი უთქვამს იმასთან დაკავშირებით, თუ სად იყო წასული. პ.ა.-მ ასევე განაცხადა, რომ მან გაიგო როგორ უყვიროდა განმცხადებელი სამ ბიჭს, რომ მისთვის თავი დაენებებინათ. ზ.ფ.-მაც დაინახა, რომ სამი ბიჭი განმცხადებელს გარს შემოეხვია და თან წაიყვანა.

20. განმცხადებელმა ფაქტები კიდევ ერთხელ დეტალურად აღწერა 2007 წლის 18 იანვარს შედგენილ განცხადებაში. მან გაიმეორა, რომ სამმა ბიჭმა აიძულა იგი, წაჰყოლოდა მათ, ისე, რომ არ უთქვამთ, სად მიჰყავდათ, შესაბამისად, მან არ იცოდა, რა ხდებოდა. როდესაც მიტოვებულ სახლთან მივიდნენ, იქ იყო მ.ც., რომელიც მას ცემით დაემუქრა, თუ მასთან სექსს არ დათანხმდებოდა. შემდეგ განმცხადებელმა განმარტა, რომ მ.ც.ს-ს იგი იქ ძალით ჰყავდა გაჩერებული იქამდე, სანამ მ.ც. მას მეორედ გააუპატიურებდა. შემდეგ მოვიდნენ ა.ს.ლ. და ვ.ფ. და სცადეს მისი გაუპატიურება, მაგრამ ვერ მოახერხეს და საბოლოოდ ვ.ფ. იყო ის, ვინც დაეხმარა მას შემთხვევის ადგილის დატოვებაში. ბოლოს მან აღნიშნა, რომ 13 იანვრის ინციდენტამდე არასოდეს ჰქონია სექსი და მ.ც., ა.ს.ლ. და ვ.ფ. იცნობდნენ მას და იცოდნენ, რამდენი წლის იყო.

21. 2007 წლის 22 იანვარს მ.ს.-მ პოლიციას განუცხადა, რომ მან გაიგო, როგორ ეუბნებოდა მ.ც. მ.ი.ს.-ს, წაეყვანა განმცხადებელი მიტოვებულ სახლში ისე, რომ არ ეთქვა, რატომ. როდესაც გოგონები გამოვიდნენ სახლიდან, სადაც პანაშვიდი იყო, მან (მ.ს.-მ) დაინახა, რომ მ.ი.ს. მათ უკან გაჰყვა, სწვდა განმცხადებელს თავში, ხელი ზურგს უკან გადაუკრისა და მიტოვებული სახლის მიმართულელებით წაიყვანა. მან უარყო, რომ შეეხო ან ესაუბრა განმცხადებელს. ის უბრალოდ მიდიოდა მის უკან, მიტოვებულ სახლს ჩაუარა და გზა განაგრძო. მ.ც.ს. იგივე ფაქტებს მოჰყვა.

22. 2007 წლის 22 იანვარს მ.ი.ს. ხელახლა დაკითხეს, რა დროსაც მან შეცვალა თავისი თავდაპირველი ჩვენება და უთხრა პოლიციას, რომ მ.ც.-მ სთხოვა მას, მ.ს.-ს და მ.ც.ს.-ს რომ განმცხადებლისთვის „ხელი ჩაეკლოთ“ და მიტოვებულ სახლში წაეყვანათ. შემდეგ მან აღიარა, რომ განმცხადებელს ხელებში ჩაავლო ხელი, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ამის შემდეგ განმცხადებელი ნებაყოფლობით მიდიოდა მის გვერდით.

23. 2007 წლის 6 თებერვალს პოლიციამ კიდევ ერთხელ აიღო ჩვენებები მოკლენებში მონაწილე პირებისაგან, რომლებმაც გაიმეორეს თავისი წინა ჩვენებები. ამასთანავე, ყველა დაკითხულმა მამაკაცმა განაცხადა, რომ დანამდვილებით იცოდა, რომ განმცხადებელს ადრე ჰქონია სექსი სხვა მამაკაცებთან და რომ მათ არ იცოდნენ, რამდენი წლის იყო იგი იმ დროს.

24. 2007 წლის 2 მარტს, საქმე გადაეცა ბიჰორის საოლქო სასამართლოსთან არსებულ პროკურატურას, რათა გავგრძელებინა გამოძიება არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დანაშაულის ფაქტზე.

25. 2007 წლის 26 აპრილს, განმცხადებელმა პროკურორს ჩვენება მისცა და მოითხოვა მ.ც.-ს ა.ს.ლ.-ს, მ.ი.ს.-ს, მ.ც.ს.-სა და მ.ს.-ს წინააღმდეგ გამოძიების წარმართვა გაუპატიურებისა და გაუპატიურებაში თანამონაწილეობის ფაქტებზე.

26. მ.ც.-მ და ა.ს.ლ.-მ, ასევე, მისცეს მოკლე ჩვენებები პროკურორს. მ.ც. ამჯერად ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა თავად შეუთვალა მას მ.ი.ს.-ს საშუალებით, რომ მასთან შეხვედრა სურდა. როგორც ა.ს.ლ.-მ განაცხადა, მან იცოდა, რომ განმცხადებელს მანამდე უკვე ჰქონდა სექსი და ასევე სკოლაში ცუდ ნიშნებზე სწავლობდა.



27. 2007 წლის 23 მაისს პროკურორმა ბრალი წაუყენა მ.ც.-ს არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში და ა.ს.ლ.-ს იგივე დანაშაულის ჩადენის მცდელობაში. პროკურორმა გადაწყვეტილება შემდეგი ფაქტების საფუძველზე მიიღო: ორივე მამაკაცმა განაცხადა, რომ არაფერი დაუძალებია განმცხადებლისათვის; სასამართლო-სამედიცინო ცნობის მიხედვით, განმცხადებლის სხეულზე ძალადობის ნიშნები არ დასტურდებოდა; ასევე, პანაშვიდზე დაბრუნების შემდეგ, მას არ უთქვამს თავისი მეგობარი გოგონებისათვის, რა დაემართა. ამ ელემენტების გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ განმცხადებელი დათანხმდა სქესობრივ კავშირს მ.ც.-სა და ა.ს.ლ.-სთან. მოწმეებმა, მ.ი.ს.-მ, მ.ც.ს.-მ და მ.ს.-მ არ იცოდნენ მ.ც.-ს განზრახვის შესახებ და შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მათ ამ საქმეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ. ვ.ფ.-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, რადგან მას არ ჰქონია სქესობრივი კავშირი განმცხადებელთან.

## დ. სასამართლო პროცესი

28. ბეიუსის რაიონულმა სასამართლომ საქმის პირველი მოსმენა 2007 წლის 15 ივნისს დანიშნა. განმცხადებელმა სასამართლოს წინაშე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მ.ც.-ს ორჯერ ჰქონდა მასთან სქესობრივი კავშირი მისი თანხმობის გარეშე. თავისი ბრალდებების მხარდასაჭერად, მან წარადგინა ზემოთ 8–11 პუნქტებში მითითებული სამედიცინო ანგარიშების ასლები. მან ასევე მოითხოვა ზარალის ანაზღაურება სამოქალაქო წესით, ორი ბრალდებულის ქმედებით გამოწვეული ტანჯვისთვის.

29. მ.ც.-მ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ როდესაც იგი პანაშვიდზე მივიდა, მ.ი.ს.-მ უთხრა, რომ განმცხადებელი მას მიტოვებულ სახლში ელოდებოდა. როდესაც ის შეხვედრის ადგილზე მივიდა, განმცხადებელმა მას კოცნა დაუწყო და სთხოვა, მასთან ერთად წასულიყო ბაღის უკანა მხარეს, გზიდან მოშორებით. შემდეგ ისინი მის (კაცის) პალტოზე დაწვნენ და განმცხადებელმა ტანსაცმლის განხილვით დაიწყო. მათ ერთხელ ჰქონდათ სქესობრივი კავშირი, რომელიც თანხმობით იყო. მან ეს ვააკეთა, რადგან ვ.ფ.-ს მისთვის ერთხელ ნათქვამი ჰქონდა, რომ წარსულში ჰქონდა სექსი განმცხადებელთან. ბოლოს მ.ც.-მ აღნიშნა, რომ მას ეს აღრცე გაუკეთებია სხვა გოგონებთან სხვა პანაშვიდებზე.

30. ა.ს.ლ.-მ გაიმეორა გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. მან სასამართლოს წინაშე მიცემული ჩვენება შემდეგი კომენტარით დაასრულა:

„... სოფელში ვიღაცამ მკითხა, სიმართლე იყო თუ არა ის, რაც მოხდა, და მრცხვენოდა თუ არა იმის, რაც ვავაკეთე, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ გოგონების ქეჩიანი მართო დატოვება არ იყო უსაფრთხო“.

31. 2007 წლის 31 აგვისტოსა და 28 სექტემბერს სასამართლომ მოისმინა განმცხადებლის ორი მეგობარი გოგონა და ასევე მ.ი.ს.-სა და მ.ც.ს.-ს ჩვენებები. ზ.ფ. თავის ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი შეშინებული იყო, როდესაც პანაშვიდზე დაბრუნდა. მან ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელი კარგი ყოფაქცევის გოგონა იყო, რომელიც არ დადიოდა არც გასართობ ადგილებში და არც ბიჭებთან ერთად დადიოდა პაემნებზე. მ.ც.ს.-მ განაცხადა, რომ მან გაიგო, როგორ სთხოვა განმცხადებელმა მ.ი.ს.-ს ხელი გაეშვა მისთვის, მაგრამ ამ

32. თავის ჩვენებაში მ.ი.ს.-მ განაცხადა შემდეგი:

„მეორე დილას, ჩვენ მივედით პოლიციაში ჩვენების მისაცემად და შემდეგ მე ვკითხე მ.ც.-ს, რა მოხდა სინამდვილეში. მან მითხრა, რომ გააუპატიურა იგი [განმცხადებელი]. მაინცდამაინც ბენდიერი არ ჩანდა თავისი საქციელით. ჩვენ ვვითამაშეთ მანამდე ეს თამაში სხვა პანაშვიდზეც: უნდა წაიყვანოთ გოგონა მიტოვებულ ადგილას, სადაც მას უნდა აკოცოს იმ ბიჭმა, რომელსაც გოგო აირჩევს. როდესაც ბრალდებულმა [მ.ც.-მ.] მითხრა, რომ მან მსხვერპლი გააუპატიურა, მან ასევე აღნიშნა, რომ აკოცა მას (განმცხადებელს)“.

33. 2007 წლის 12 ოქტომბერს ბეიუსის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა მ.ც. არასრულწლოვანთან საქსობრივი კავშირის ფაქტზე და მიუსაჯა მას პირობითი სასჯელი ერთი წლითა და ოთხი თვით. ა.ს.ლ. გაასამართლა არასრულწლოვანთან საქსობრივი კავშირის მცდელობის ფაქტზე და მიუსაჯა პირობითი სასჯელი ერთი წლით.

34. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო პირველ რიგში დაეყრდნო სასამართლო სამედიცინო დასკვნას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მსხვერპლის სხეულზე ძალადობის ნიშნები არ ფიქსირდებოდა. სასამართლომ აგრეთვე 2007 წლის 13 იანვრის სალამოს მოვლენების მიმდინარეობა დაადგინა ისე, როგორც ეს აღწერეს მ.ი.ს.-მ, მ.ც.ს.-მ და მ.ს.-მ. სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის ორი მეგობარი გოგოს მიერ მიცემული ჩვენებების იმ ნაწილებზე, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ განმცხადებელს დახმარება არავისთვის უთხოვია. და ბოლოს, სასამართლომ დაასკვნა, რომ ორ ბრალდებულს უნდა სცოდნოდა, რომ დაზარალებული მხარე თხუთმეტ წლამდე ასაკის იყო. სასამართლოს არ განუხილავს განმცხადებლის განცხადება, არც სამედიცინო დასკვნა, რომელიც ადასტურებდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას და არც მისი მოთხოვნა, რომ ეს საქმე განხილულიყო, როგორც გაუპატიურება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სამოქალაქო წესით ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რადგან მიიჩნია, რომ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებში აღწერილი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო კავშირში ამ კონკრეტულ ინციდენტთან. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებებიდან დაადგინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა სექსი სადავო ინციდენტამდე.

35. სასამართლო პროცესის ყველა მხარემ, მათ შორის განმცხადებელმა, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი ადვოკატის სახით, გაასაჩივრა ბეიუსის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. გასაჩივრების მიზეზებში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობა შეიძლებოდა, კლასიფიცირებული ყოფილიყო, მხოლოდ როგორც გაუპატიურება. მან სასამართლოს სთხოვა საქმის განხილვის ვაგრაჟი და მ.ი.ს.-ს, მ.ც.ს.-სა და მ.ს.-ს წინააღმდეგ გამოძიება, რომლებსაც იგი გაუპატიურების თანამონაწილეებად თვლიდა. და ბოლოს, განმცხადებელმა ჩათვალა, რომ მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ანგარიშები ნათლად ადასტურებდა იმ ტანჯვას, რომელიც მან გადაიტანა და შესაბამისად, სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც მისი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა უარყო.

36. 2008 წლის 27 თებერვალს ბიჰორის საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, გაეზარდა ორ ბრალდებულზე დაკისრებული სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით მ.ც.-სთვის და თვრამეტ თვემდე თავისუფლების აღკვეთით ა.ს.ლ.-სთვის. სასამართლომ ძალაში დატოვა ბეიუსის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დანაშაულის კლასიფიკაციისა და სასჯელის აღსრულების შეჩერების შესახებ. საოლქო სასამართლომ ასევე გადაწყვიტა განმცხადებლისათვის 2000 რუმინული ლეის (RON) გადახდა (დაახლოებით 600 ევრო (EUR)), მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. განმცხადებლის გასაჩივრების მიზეზებზე პასუხად, სასამართლომ დაასაბუთა:

„უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებული ცდილობდა, დაერწმუნებინა სასამართლო, რომ ის რეალურად არ დასთანხმებია სექსუალურ კავშირს ორ ბრალდებულთან, და რომ იგი გაუპატიურების მსხვერპლი იყო, მაგრამ ეს ბრალდებები არანაირი გზით არ დადასტურებულა. შემდეგ, მოწმეებმა ზ.ფ.-მ და პ.ა.-მ ... განაცხადეს, რომ ... დაზარალებულს არ უთხოვია დახმარება ... და არ უთქვამს მათთვის, რა მოხდა. ...“

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სამედიცინო დასკვნიდან... არ ჩანს, რომ დაზარალებული გაუპატიურების მსხვერპლი იყო, ვინაიდან მას სხეულზე პოსტ-ტრავმული დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა.“

37. 2008 წლის 8 მაისს, ორადეას სააპელაციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ განმცხადებლის მიერ შეტანილი საჩივარი კანონის პუნქტებზე (განმეორებითი განხილვა) უარყო, როგორც დაუსაბუთებელი. სასამართლომ მოკლედ განაცხადა, რომ დაზარალებულის განცხადება დადასტურდა 2007 წლის 14 იანვრის სასამართლო-სამედიცინო დასკვნით და საქმეში გამოირიცხა გაუპატიურების დანაშაულის არსებობა.

## **ბ. არსებითი ნაწილი**

### **1. მხარეთა წარდგინებები**

47. განმცხადებელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ორგანოებს ეფექტურად არ გამოუძიებიათ მისი ბრალდებები გაუპატიურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ არსებობდა ძალადობის ფიზიკური მტკიცებულება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა უფრო მეტად განეწყო, რომ დაეჯერებინა დამნაშავეებისათვის, და არ დაინტერესდა არასრულწლოვნის დაცვის საჭიროებით. მტკიცებულებებში არსებული შეუსაბამოებები უგულებელყოფილ იქნა და ზედმეტად გამახვილდა ყურადღება განმცხადებლის სხეულზე ფიზიკური ძალადობის ნიშნების არარსებობასა და განმცხადებლის მიერ მოძალადეების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის არარსებობაზე. სახელმწიფომ ვერ გაითვალისწინა მისი მცირე ასაკი და მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ან ის ფაქტი, რომ მასზე ძალადობაში ექვსი ზრდასრული მამაკაცი მონაწილეობდა. ამ მიდგომამ გააძლიერა განმცხადებლის დამცირების, ტანჯვისა და იმედგაცრუების გრძნობები, ეფექტური გასამართლების არარსებობის პირობებში.

48. ამ სიტუაციის მძიმე შედეგები განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დოკუმენტირებული იყო სამედიცინო ანგარიშებში, რომლებიც წარდგენილი იყო შიდა საქმისწარმოების დროს, ასევე სასამართლოს წინაშე.

49. სახელმწიფომ განაცხადა, რომ გამოძიება იყო საფუძვლიანი და ეფექტური. გადაიღვა ყველა შესაძლო ნაბიჯი საჭირო მტკიცებულებების შესაგროვებლად და ფაქტების დასადგენად, ხოლო გაუპატიურების „პირდაპირი“ მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა საქმის ყველა გარემოება გაითვალისწინეს. სახელმწიფომ არ მიიჩნია დადგენილად, რომ გაუპატიურება იყო ჩადენილი. განმცხადებლის მიერ მიცემული ჩვენება წინააღმდეგობრივი იყო, მაშინ, როდესაც დამნაშავეები გამოძიების განმავლობაში მუდმივად უცვლელ პოზიციას აფიქსირებდნენ. განმცხადებელი დასთანხმდა ბიჭებს, მითოვებულ სახლში გაჰყოლოდა და დახმარება არ უთხოვია. ამასთანავე, ასაკობრივი სხვაობა განმცხადებელსა და მოძალადეებს შორის მნიშვნელოვანი არ იყო.

50. სახელმწიფო დამატებით ამტკიცებდა, რომ შიდა პრაქტიკის მაგალითებიდან, როგორც უკვე წარმოდგენილი იყო მ.გ.ს.-ის საქმეში რუმინეთის წინააღმდეგ (ციტირებული ზემოთ), ცხადი იყო, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოები არ ითხოვდნენ ფიზიკური ძალადობის მტკიცებულებას გაუპატიურების არსებობის დასადგენად და მსხვერპლის წინააღმდეგობა არ განიხილებოდა მნიშვნელოვან ელემენტად ასეთი შემთხვევების ანალიზის დროს. როდესაც მსხვერპლი არ იყო საკმარისად მცირე ასაკის, იმისთვის, რომ ეს ქმედება ავტომატურად ჩათვლილიყო გაუპატიურებად, მაგრამ იყო თხუთმეტ წლამდე და დათანხმდა სქესობრივ აქტს, კანონმა გაითვალისწინა, რომ მსხვერპლის სურვილი არ იყო ვალიდური (ნამდვილი) მისი მცირე ასაკის გამო და ჩადენილი ქმედება არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დანაშაულს მიაკუთვნა. შიდა სასამართლოებმა განასხვავეს ეს ორი დანაშაული და მიიჩნიეს, რომ მსხვერპლის მიერ საკუთარი თავის დაცვის ან სურვილის გამოხატვის უუნარობა უნდა დადგინდეს თითოეული შემთხვევის საფუძველზე. თოთხმეტი წლის გოგონამ, შესაძლოა, ვერ შეძლოს თანხმობის გამოხატვა, მაშინ, როდესაც გაცილებით მცირე ასაკის მსხვერპლს შეიძლება, ჰქონდეს საკუთარი თავის დაცვისა და სურვილის გამოხატვის უნარი.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

51. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულია ხელმოწერების ვალდებულება, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ეს ვალდებულება მე-3 მუხლთან მიმართებით მოითხოვს სახელმწიფოებისგან ისეთი ზომების მიღებას, რაც უზრუნველყოფს მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირების დაცვას არასათანადო

მოპყრობისაგან, მათ შორის, კერძო პირების მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასაგანაც (იხ. ი.გ. მოლდოვას წინააღმდეგ, No. 53519/07, § 40, 2012 წლის 15 მაისი). ეს ზომები განსაკუთრებით უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვებისა და სხვა მოწყვალდი პირების ეფექტურ დაცვას, და მოიაზრებდეს გონივრულ ნაბიჯებს არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, რომლის შესახებაც სახელმწიფომ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა (იხ. მ.ც. ბულგარეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 150). მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფხიზლე და უზრუნველყოს გაძლიერებული დაცვა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ასეთი ადამიანების გასაჩივრების უნარი ან მზაობა ხშირად შეზღუდული აქვთ (იხილეთ ბ. რუმინეთის წინააღმდეგ, No 42390/07, § 50, 2012 წლის 10 იანვარი).

52. ამის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს აქვთ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ ისეთი სისხლის სამართლის საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც ეფექტურად სჯის გაუპატიურებას და აღასრულონ პრაქტიკაში ეფექტური გამოძიებისა და სასამართლო დევნის გზით (იხ. მ.ც. ბულგარეთის წინააღმდეგ, No39272/98, § 153, 2003 წლის 4 დეკემბერი). დამატებით, ამ სფეროში თანამედროვე სტანდარტებისა და ტენდენციების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, გულისხმობს თანხმობის გარეშე ნებისმიერი სქესობრივი აქტის დასჯადობას და ეფექტურ დევნას, მათ შორის, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაშიც (იქვე, § 166).

## **(ბ) ზემოთ აღნიშნული პრინციპების გამოყენება მიმდინარე საქმეში**

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმდინარე საქმეში სახელმწიფო აღმოჩნდა მოვლენების ორი ურთიერთგამომრიცხავი ვერსიის პირისპირ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 2007 წლის 13 იანვრის საღამოს იგი გააუპატიურეს. თუმცა, ინციდენტში მონაწილე ექვსი მამაკაცი ამტკიცებდა, რომ იმ საღამოს იგი დათანხმდა სქესობრივ კავშირს. აქედან გამომდინარე, ამ საქმეში სახელმწიფო ორგანოების მთავარი ამოცანა იყო იმის დადგენა, იყო თუ არა თანხმობა სქესობრივ აქტზე.

54. მსგავს საქმეებთან დაკავშირებით სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ფაქტების ორი შეუთავსებელი ვერსიის არსებობა ცალსახად მოითხოვს ჩვენებების სანდოობის დადგენას კონტექსტისადმი სენსიტიურ შეფასებაზე დაყრდნობით და ყველა თანმხლები გარემოების გადამოწმებას (იხ. მ.ც. ბულგარეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 177). ამის გაკეთება შეიძლებოდა იმ ადამიანების დაკითხვით, რომლებსაც განმცხადებელი და დამნაშავეები იცნობდნენ, მაგალითად მეგობრები, მეზობლები, მასწავლებლები

და სხვები, რომლებსაც შეეძლოთ, სიცხადე შეეტანათ მათი განცხადებების სანდოობაში, ასევე, შესაძლებელი იყო სპეციალისტი ფსიქოლოგისაგან აზრის მოსმენა (იხ. ი.გ. მოლდოვას წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 43). ამ ვითარებაში, სახელმწიფოს ასევე შეეძლო იმის გადამოწმება, ჰქონდა თუ არა რაიმე მიზეზი მსხვერპლს, რომ ცრუ ბრალდებები წაეყენებინა სავარაუდო დამნაშავეებისათვის. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმდინარე საქმეში, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არც ერთ ეტაპზე, არც ერთი ზემოაღნიშნული ქმედება არ განხორციელებულა.

55. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო მასალები შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მდგომარეობასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ შშმ პირთა მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობისა და ძალადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საერთო მოსახლეობის მაჩვენებელს (იხ. პუნქტები 42-44 ზემოთ). 2007 წლის 15 თებერვლით დათარიღებული სამედიცინო დოკუმენტების თანახმად, განმცხადებელს დაესვა მსუბუქი ინტელექტუალური შეზღუდულობის დიაგნოზი. ამ კონტექსტში, მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობა ისეთი ხასიათის იყო, რომ შესაბამისი სისხლის სამართლის კანონების ეფექტური აღსრულებისათვის და სათანადო სამართლებრივი დაცვის ზომებზე ხელმისაწვდომობისათვის უმთავრესი იყო სწორედ ეფექტური გამოვლენისა და შეტყობინების მექანიზმების არსებობა (იხ. *mutatis mutandis*, ჯუპალა ფინეთის წინააღმდეგ, No 18620/03, § 42, 2008 წლის 2 დეკემბერი). მართლაც, სასამართლო მიიჩნევს, რომ სათანადო გამოძიების ან შესაბამისი სასამართლო პასუხის არარსებობა სექსუალური ძალადობის საჩივრებზე ბავშვების ან სხვა მოწყვლადი პირების მიმართ, როგორცაა ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირები, ქმნის დაუსჯელობის ფონს, რამაც, შესაძლოა, დაარღვიოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.

56. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ინტელექტუალურმა შეზღუდულობამ, რომელიც დადასტურებულია სამედიცინო დოკუმენტებით, იგი კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენა, ეს კი მოითხოვდა როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე შიდა სასამართლოების მხრიდან მეტი გულმოდგინების გამოჩენას განმცხადებლის განცხადებების ანალიზისას (შეადარეთ ბ. რუმინეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 57). უფრო მეტიც, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გაანალიზებულიყო, ასევე, სქესობრივ აქტებზე განმცხადებლის თანხმობის ნამდვილობა, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუმცა, როგორც ჩანს, პროკურორებმა და ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებმა მოსამართლეებმა განმცხადებლის არც ერთი პიროვნული გაბრემლება არ გაითვალისწინეს, როგორცაა მისი ასაკი, მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარება, და ასევე, საქმის ისეთი გარემოებები, როგორცაა – ლამე, ცივი ამინდი, იმ კაცების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ინციდენტში.

57. როგორც ჩანს, პროკურორისა და შიდა სასამართლოების მიერ გამოტანილი დასკვნები ეყრდნობოდა მხოლოდ სავარაუდო დამნაშავეების მიერ მიცემულ

ჩვენებებს, იმ ფაქტთან ერთად, რომ განმცხადებელს სხეულზე არ აღენიშნებოდა ძალადობის ნიშნები და რომ მას არ უთხოვია დახმარება, ან მაშინვე არ უთხრა თავის მეგობარ გოგონებს სავარაუდო ძალადობის შესახებ (იხ. პუნქტები 34 და 36 ზემოთ). ამ კონტექსტში, სასამართლო ითვალისწინებს იმ საგამოძიებო მოქმედებების სიმრავლეს, რომელიც სახელმწიფომ მაგალითისთვის წარმოადგინა შიდა პრაქტიკის სახით (იხ. პუნქტი 39 ზემოთ).

58. ზემოაღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოებმა გადაჭარბებული აქცენტი გააკეთეს განმცხადებლის მხრიდან წინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობაზე და ვერ გამოიყენეს კონტექსტისადმი სენსიტიური მიდგომა მიმდინარე საქმეში (იხ. მ.ც. ბულგარეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 182). ხელისუფლების ქმედება დამძიმდა იმ ფაქტით, რომ შიდა სასამართლოებს არ მოუთხოვიათ არავითარი ფსიქოლოგიური შეფასება, რომელშიც სპეციალისტის მიერ იქნებოდა გაანალიზებული განმცხადებლის რეაქციები, მისი ასაკიდან გამომდინარე. ამავდროულად, სახელმწიფო ორგანოებს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ საკმაოდ მოცულობითი სამედიცინო მტკიცებულება იმ ტრავმის შესახებ, რომელიც განმცხადებელმა ამ ინციდენტის შედეგად განიცადა.

59. და ბოლოს, სახელმწიფომ სხვა არგუმენტებთან ერთად განაცხადა, რომ განმცხადებელმა სახელმწიფოს ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მისცა. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩვენებებში, რომლებიც განმცხადებელმა გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს მისცა, მან უბრალოდ განმარტა თავისი თავდაპირველი ჩვენება, რომელიც მან უშუალოდ ინციდენტის შემდეგ მისცა, ხოლო ის, ვინც შეეცალეს თავისი ჩვენებები, იყვნენ მ.ც. და მ.ი.ს. (იხ. პუნქტები 14, 22 და 26 ზემოთ). მიუხედავად ამისა, საქმის მასალებიდან არ არის ნათელი, ვადადგა თუ არა ხელისუფლებამ რაიმე ნაბიჯები იმისათვის, რომ შეემოწმებინა ამ ჩვენებების სანდოობა, ან ორი მამაკაცის მიერ აღწერილი მოვლენების მიმდინარეობა.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მ.ც.-ს, ა.ს.ლ.-სა და ვ.ფ.-ს ბრალეულობის შესახებ აზრის გამოთქმის გარეშე ადგენს, რომ განმცხადებლის საქმის გამოძიებამ ვერ დააკმაყოფილა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არსებითი მოთხოვნა სისხლის სამართლის სისტემის ეფექტური გამოყენება, რომელიც ორიენტირებულია ყველა სახის გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის დასჯაზე.

61. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლომ დაასკვნას - ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლის პოზიტიური ვალდებულების დარღვევას. ამ დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო ასევე ადგენს, რომ ცალკე სკიჯი არ წარმოიშობა კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად (იხ. ი.გ. მოლდოვას წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 45).

ამ მიზეზების გამო, სასამართლო, ერთხმად,

1. აცხადებს განცხადებას დასაშვებად;

2. ადგენს, რომ დაირღვა მოპასუხე სახელმწიფოს დადებითი ვალდებულებები კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით;

3. ადგენს, რომ ცალკე საკითხი არ წარმოიშვება კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით;

4. ადგენს

(ა) რომ კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაუხადოს განმცხადებელს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში 12 000 ევრო (თორმეტი ათასი ევრო), იმ ნებისმიერი გადასახადის დამატებით, რომელიც შეიძლება დაეკისროს ზემოაღნიშნულ თანხას; თანხა უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის თარიღისთვის მოქმედი კურსით;

(ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლიდან ანგარიშსწორებამდე, გადაუხდელობის პერიოდში ზემოაღნიშნულ თანხაზე გადასახდელი იქნება მარტივი პროცენტი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საპროცენტო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

5. არ აკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიანი კომპენსაციის შესახებ.



გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა მიმართ  
დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი  
განცხადება No18/2008  
2010 წლის 22 სექტემბერი

## საქმე “კარენ ტაივგ ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ” Karen Tayag Vertido v. The Philippines

მოსაზრებები ფაკულტატური ოქმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით

1. 2007 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული განცხადების ავტორია კარენ ტაივგ ვერტიდო, ფილიპინელი მოქალაქე, რომელიც აცხადებს, რომ არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის მსხვერპლი, კონვენციის 1-ლი მუხლის და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის No 19 ზოგად რეკომენდაციასთან მიმართებით. ასევე, იგი აცხადებს, რომ მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის (გ), (დ), (ზ) და მე-5 (ა) მუხლების მიხედვით გათვალისწინებული უფლებები.

### ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტები:

2.1 ავტორი ფილიპინელი ქალია, რომელიც ამჟამად უმუშევარია. იგი მუშაობდა დავაოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის („პალატა“) აღმასრულებელ დირექტორად ქალაქ დავაოში, ფილიპინებში, როდესაც პალატის ყოფილმა პრეზიდენტმა, 60 წლის ჯ.ს.ს.-მ („ბრალდებული“) გააუპატიურა. გაუპატიურება მოხდა 1996 წლის 29 მარტს.

2.2 ბრალდებულმა, თავის მეგობართან ერთად, მოსარჩელეს შესთავაზა სახლში წაყვანა, პალატაში გამართული ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, 1996 წლის 29 მარტის ღამეს. როდესაც ავტორმა გააცნობიერა, რომ ბ-ნი ს. ჯერ თავისი მეგობრის დატოვებას აპირებდა, უთხრა მას, რომ ერჩივნა, ტაქსით წასულიყო, რადგან სახლში მისვლას ჩქარობდა. თუმცა, ს.-მ არ მისცა მას ტაქსით წასვლის საშუალება და ავტომობილის სიჩქარეს მოუმატა. ცოტა ხანში, თავისი მეგობრის გადმოსმის შემდეგ, ბრალდებულმა მოულოდნელად მკერდზე ხელი მოკიდა მოსარჩელეს. ამ ქმედებამ ქალს წონასწორობა დააკარგვინა. როდესაც ქალი გასწორებას ცდილობდა, მან ბრალდებულის მარცხენა ჯიბეში იგრძნო რაღაც, რაც, მისი აზრით, იყო იარაღი. ქალი ცდილობდა, კაცისთვის არ მიეცა სხვაგან წაყვანის საშუალება, მაგრამ დამნაშავემ სიჩქარეს მოუმატა და ბოლოს, მოტელის ავტოფარეხში შეიყვანა. ქალი უარს ამბობდა მანქანიდან გადასვლაზე, მაგრამ ბრალდებულმა ის ოთახისკენ წაათრია. მოტელის კარის გაღების დროს, ქალი ხელიდან დაუსხლტა (მანქანა მოტელის ოთახიდან მხოლოდ სამი-ოთხი მეტრის მოშორებით იყო). ქალი შენობაში შევარდა სხვა გასასვლელის მოსაძებნად, მაგრამ ოთახში მხოლოდ აბაზანა დახვდა. ქალი ჩაიკეტა აბაზანაში, რათა დამშვიდებულიყო და საკუთარი თავი ხელში აეყვანა და რადგან გარედან

არანაირი ხმები და მოძრაობები არ ისმოდა, იგი გამოვიდა აბაზანიდან, ტელეფონის ან სხვა გასასვლელის მოსაძებნად. იგი დაბრუნდა ოთახში, იმ იმედით, რომ ბრალდებული წასული იქნებოდა, მაგრამ დაინახა, რომ ის ოთახის კართან იდგა, თითქმის შიშველი, მისკენ ზურვით და როგორც ჩანს, ვილაცას ესაუბრებოდა. ბრალდებული მოხვდა, რომ ქალი იქვე იყო და ამიტომ უცბად მიხურა კარი და მისკენ შებრუნდა. ქალს შეეშინდა, რადგან მოეჩვენა, რომ ბრალდებული იარაღის ამოღებას აპირებდა. ბრალდებულმა მას ხელი ჰკრა და თავისი სხეულის წონით დააწვა ლოგინზე. ავტორს სუნთქვა უჭირდა და ბრალდებულს ევედრებოდა, გაეშვა. ლოგინზე ასეთ მდგომარეობაში გაკავებულმა ქალმა გონება დაკარგა. როდესაც ის გონს მოვიდა, ბრალდებული მას აუპატიურებდა. ქალი ცდილობდა მის მოშორებას ფრჩხილების გამოყენებით, თან ევედრებოდა, რომ გაჩერებულიყო. მაგრამ ბრალდებული დაჟინებით აგრძელებდა და ეუბნებოდა, რომ იზრუნებდა მასზე, რომ იცნობდა ბევრ ადამიანს, ვინც დაეხმარებოდა მას კარიერულ წინსვლაში. საბოლოოდ, ქალმა მოახერხა მისი მოშორება და თავის დაღწევა, კაცის თმის მოქაჩვით. დაბანისა და ჩაცმის შემდეგ, ქალმა ისარგებლა იმით, რომ ბრალდებულს ჯერ კიდევ არ ეცვა ტანსაცმელი და ოთახიდან მანქანისაკენ გაიქცა, თუმცა ვერ შეძლო მისი გაღება. ბრალდებული უკან დაედევნა და უთხრა, რომ სახლში წაიყვანდა, ასევე, ეუბნებოდა, რომ დამშვიდებულიყო.

2.3 1996 წლის 30 მარტს, გაუპატიურებიდან 24 საათში, ავტორს ქალაქ დავაოს სამედიცინო ცენტრში სამედიცინო და იურიდიული დახმარება გაეწია. სამედიცინო ცნობაში მითითებულია „სავარაუდო გაუპატიურება“, დრო, თარიღი და ადგილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს ფაქტი მოხდა, ასევე სავარაუდო დამნაშავეს სახელი.

2.4 გაუპატიურებიდან 48 საათში, ქალმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. 1996 წლის 1 აპრილს, მან შეიტანა საჩივარი, რომელშიც ჯ.ბ.ს. გაუპატიურებაში დაადანაშაულა.

2.5 საჯარო პროკურორთა კოლეგიამ, რომელმაც წინასწარი გამოძიება ჩაატარა, საქმეს თავიდანვე არ მისცა მსვლელობა, საკმარისი საფუძველის არარსებობის გამო. ქალმა საჩივრის უარყოფა გაასაჩივრა იუსტიციის დეპარტამენტის სამდივნოში, რომელმაც გააუქმა საქმის შეწყვეტა და 1996 წლის 24 ოქტომბერს ბრძანა ბრალდებულისათვის გაუპატიურებაში ბრალის წაყენება. ამის შემდეგ, ჯ.ბ.ს.-მ შუამდგომლობა დააყენა ხელახალი განხილვის მოთხოვნით, რაც იუსტიციის მდივანმა არ დააკმაყოფილა.

2.6 ინფორმაცია სასამართლოში შევიდა 1996 წლის 7 ნოემბერს და სასამართლომ იმავე დღეს გასცა ჯ.ბ.ს.-ს დაკავების ორდერი. 80 დღეზე მეტი იყო გასული, როდესაც ის დააკავეს მას შემდეგ, რაც ფილიპინების ეროვნული პოლიციის უფროსმა ეროვნულ ტელეარხზე მისცა ბრძანება პოლიციას, დაკავება 72 საათის განმავლობაში მოეხდინა.

2.7 საქმე 1997 წლიდან 2005 წლამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს დონეზე იხილებოდა. გაჭიანურებული სასამართლო განხილვის მიზეზებს შორის იყო ის,

რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე რამდენჯერმე შეიცვალა და ბრალდებულმა რამდენიმე შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოებს. სამმა მოსამართლემ აიცვია საქმე. 2002 წლის სექტემბერში, საქმე გადაეცა მოსამართლე ვირჯინია ჰოფილენა-ევროპას.

2.8 სასამართლო პროცესზე ვიქტიმოლოგიისა და გაუპატიურების ტრავმის ექსპერტმა, ქ-მა ჯუნ პავადუან ლოპესმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ იგი ავტორს კონსულტაციას უწევდა სასამართლოში ჩვენების მიცემამდე 18 თვის განმავლობაში და მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ავტორს გაუპატიურების შედეგად განუვითარდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. მან ასევე დაადასტურა, რომ დარწმუნებული იყო, რომ ავტორს არ გაუყალბებია სარჩელი. მისი განმარტებით, ფიზიკური დაზიანებების ნაკლებობა განპირობებული იყო იმით, რომ ინციდენტი იყო „ნაცნობის ან ნდობით მოსარგებლე პირის მიერ ჩადენილი გაუპატიურება“, (acquaintance or confidence rape) ასევე იმით, რომ ასეთ დროს გავრცელებული გამკლავების მექანიზმი არის დისოციაცია. ბრალდებულის დამცველის კითხვაზე, გავრცელებულია თუ არა გაუპატიურების ფანტაზიები ქალებში, მან ცალსახად უპასუხა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. სხვა ფსიქიატრმა – პურეზა ტ. ონატემაც დაადგინა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. დაცვის მხარის მოწმემ, მოტელის ოთახის დამლაგებელმა ბიჭმა, სადაც გაუპატიურება მოხდა, ჩვენება მისცა, რომ მას არ გაუგია ოთახიდან რაიმე ყვირილი ან ხმაური. მოტელის უსაფრთხოების ოფიცერმა დაადასტურა, რომ მას არ მიუღია არანაირი შეტყობინება 1996 წლის 29 მარტის ღამეს მომხდარი ინციდენტის შესახებ. ბრალდებულმა ასევე მისცა ჩვენება და განაცხადა, რომ რომ სქესობრივი კავშირი იყო თანხმობაზე დაფუძნებული და რომ ის და ავტორი სავარაუდოდ გაუპატიურებამდე დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთის მიმართ ინტერესს ავლენდნენ; საქმე გადაწყვეტილების მისაღებად იქნა წარდგენილი 2004 წლის ივნისში. ორივე მხარემ წარადგინა შესაბამისი მემორანდუმები.

2.9 2005 წლის 26 აპრილს, ქალაქ დავაოს რეგიონულმა სასამართლომ, მოსამართლე ვირჯინია ჰოფილენა-ევროპას თავმჯდომარეობით, გამოიტანა ჯ.ბ.ს.-ს გამამართლებელი განაჩენი. თავის გადაწყვეტილებაში, მოსამართლე ჰოფილენა-ევროპამ იხელმძღვანელა შემდეგი სამი პრინციპით, რომელიც გამომდინარეობდა უზანაესი სასამართლოს წინა პრეცედენტული სამართლიდან: (ა) გაუპატიურების დაბრალება ადვილია; ამ დანაშაულის დამტკიცება ძნელია, მაგრამ უფრო რთულია, თუნდაც უდანაშაულო ბრალდებულისათვის, უდანაშაულობის მტკიცება; (ბ) გაუპატიურების დანაშაულის შინაგანი ბუნების გათვალისწინებით, რომელშიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ ორი პირი მონაწილეობს, მომჩივანის ჩვენება უნდა იქნას ზედმიწევნით და კრიტიკულად შესწავლილი; ასევე (გ), ბრალდების მტკიცებულებები უნდა იყოს სარწმუნო და არ მყარდებოდეს დაცვის მხარის მტკიცებულებათა სისუსტის ხარჯზე. სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა მოსარჩელის ჩვენების სანდოობა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ, სავარაუდოდ, გაითვალისწინა უზანაესი სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმად, „მსხვერპლის მიერ გაქცევის მცდელობის წარუმატებლობა არ გამორიცხავს გაუპატიურების არსებობას“, მან დაასკვნა, რომ ეს გადაწყვეტილება ვერ გავრცელდებოდა ამ საქმეზე, რადგან სასამართლოსათვის გაუგებარი იყო,

რატომ არ გაიქცა ავტორი, მაშინ, როდესაც, სავარაუდოდ, ამის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდა. სასამართლომ არასარწმუნოდ მიიჩნია მომჩივნის ბრალდებები თავად სექსუალურ აქტთან დაკავშირებით. სასამართლომ იხელმძღვანელა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით და დაასკვნა, რომ თუ ავტორმა ნამდვილად მოიგერია ბრალდებული, როდესაც თავად გონს მოვიდა და როდესაც ის აუპატიურებდა მას, ბრალდებული ვერ შეძლებდა ეაკუალაციის მიღწევას, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ის უკვე სამოც წელს გადაცილებული იყო. სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ ბრალდებულის ჩვენება ზოგიერთ, საქმის არსთან დაკავშირებულ საკითხზე დადასტურდა სხვა მოწმეების ჩვენებებით (კერძოდ, მოტელის ოთახის დამლაგებელი ბიჭი და ბრალდებულის მეგობარი). ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა, განსაკუთრებით თავად მომჩივნის ჩვენებამ, სასამართლოს ზედმეტად ბევრი ეჭვი დაუტოვა და იმ მორალური გარკვეულობის მიღწევა ვერ მოხდა, რაც აუცილებელია მსჯავრდებისათვის. სასამართლომ ისევ გამოიყენა გაუპატიურების სხვა საქმეებზე არსებული პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელო პრინციპები და მისი განცხადებით, ვერ დარწმუნდა საკმარისი მტკიცებულებების არსებობაში, რომელიც აღმოფხვრიდა ყველა გონივრული ეჭვს, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით და შესაბამისად, იგი გაამართლა.

## საჩივარი:

3.1 ავტორი ამტკიცებს, რომ გაუპატიურების შემდეგ, მან რევიქტიმიზაცია განიცადა მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან. იგი მიუთითებს კონვენციის 1-ლ მუხლს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის No 19 ზოგად რეკომენდაციასთან მიმართებით. ის აცხადებს, რომ დამნაშავის გამართლებით, მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია მისი დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება და არ შეასრულა თავისი კანონიერი ვალდებულება, პატივი სცეს, დაიცვას, ხელი შეუწყოს და განახორციელოს ეს უფლება. იგი ასევე აცხადებს, რომ მონაწილე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, უზრუნველყოს ქალების დაცვა საჯარო ორგანოების, მათ შორის, სასამართლოს მიერ დისკრიმინაციისგან. მისი მტკიცებით, ეს აჩვენებს, რომ მონაწილე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, აღმოფხვრას გენდერულ სტერეოტიპები, რომელიც ქალებს აზარალებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც მუშაობს სამართლებრივ სისტემაში და იურიდიულ დაწესებულებებში. მისი თქმით, გამამართლებელი განაჩენი ასევე ამტკიცებს იმას, რომ მონაწილე სახელმწიფომ არ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება ქალების მიმართ ძალადობის აქტების, კერძოდ გაუპატიურების დასჯისას.

3.2 ავტორი ამტკიცებს, რომ ბრალდებულის გამამართლებელი განაჩენი არის მონაწილე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა, კონვენციის შემდეგი მუხლების მიხედვით: მუხლი 2(გ), „დააწესონ მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა და უზრუნველყონ კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების დახმარებით ქალთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის

ნებისმიერი აქტისაგან;“ მუხლი 2 (დ) „თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტების ან ქმედებათა ჩადენისაგან და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და დაწესებულებებმა ამ ვალდებულების შესაბამისად იმოქმედონ“; და მუხლი 2 (ვ) „მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა.... იმ მოქმედი ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალთა დისკრიმინაციას წარმოადგენს“;

3.3 ავტორი ამტკიცებს, რომ გამამართლებელი გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით მე-19 ზოგად რეკომენდაციასთან მიმართებით, რადგან იგი ეფუძნებოდა გენდერულ მითებსა და მცდარ შეხედულებებს გაუპატიურებისა და გაუპატიურების მსხვერპლთა შესახებ, მიღებული იყო არაკეთილსინდისიერად და არ ეფუძნებოდა კანონსა და ფაქტებს.

3.4 ავტორი ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდა გენდერულ მითებსა და მცდარ შეხედულებებს გაუპატიურებისა და გაუპატიურების მსხვერპლთა შესახებ, რაც არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის (ა) პუნქტს, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, „შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები, ცურწმენათა აღმოფხვრის და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომელიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება“. იგი, ასევე, მიუთითებს მე-19 ზოგად რეკომენდაციაში არსებულ, მე-2 (ვ), მე-5 და მე-10 (გ) მუხლებთან დაკავშირებულ კონკრეტულ კომენტარებზე.

3.5 ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ მის საქმეში სასამართლო ეყრდნობოდა ქვემოთ აღწერილ გენდერულ მითებსა და სტერეოტიპებს, რომელთა გარეშეც ბრალდებულს მსჯავრი დაედებოდა.

3.5.1 პირველი მითი და სტერეოტიპია ის, რომ გაუპატიურების მსხვერპლი უნდა ცდილობდეს გაქცევას ყოველი შესაძლებლობისას. ავტორი ამტკიცებს, რომ მის მიერ გაქცევის მცდელობის მტკიცებულებები დამახინჯებულია გადაწყვეტილებაში და აღნიშნავს, რომ მოსამართლე ჰოფილენა-ვეროპა დისკრიმინაციული იყო მის მიმართ, რადგან იგი დაუინებით მოითხოვდა იმას, რაც თავად მას მიაჩნდა ქალის რაციონალურ და იდეალურ რეაქციად გაუპატიურების სიტუაციაში - რომ ქალმა უნდა ისარგებლოს გაქცევის ყველა შესაძლებლობით. ავტორის თქმით, ასეთი მოთხოვნა მოითხოვს ქალისაგან, რომ მან რეალურად შეძლოს საკუთარი თავის დაცვა, რაც უკვე გამოორიცხავს გაუპატიურების შესაძლებლობას და აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს თანახმად, მსხვერპლის გაქცევის მცდელობის წარუმატებლობა არ გამოორიცხავს გაუპატიურების არსებობას. იგი ამტკიცებს, რომ მოსამართლე ჰოფილენა-ვეროპამ არ გაითვალისწინა ექიმ ლოპესის ან ექიმ ონატეს ექსპერტული ჩვენებები, რომლებშიც ისინი განმარტავდნენ, რომ მსხვერპლები ქცევითი რეაქციების ფართო სპექტრს ავლენენ, როდესაც მათ ემუქრებიან გაუპატიურებით, ასევე გაუპატიურების დროს და მის შემდეგაც.

3.5.2 იმისთვის, რომ მსხვერპლი გააუპატიურონ დაშინების გზით, იგი უნდა იყოს მორცხვი ან ადვილად ეშინოდეს – ეს არის მეორე მითი და სტერეოტიპი, რომელსაც სასაჩივრებს ავტორი. იგი ამტკიცებს, რომ სასამართლომ განამტკიცა გაუპატიურების მსხვერპლთან დაკავშირებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ქალები, რომლებიც არ არიან მორცხვები ან ადვილად არ შინდებიან, ნაკლებად მოწყვლადები არიან სექსუალური თავდასხმების მიმართ. ის დაშაბებით აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ გაამახვილა სასამართლომ ყურადღება მის ხასიათზე, რომელიც არ წარმოადგენს გაუპატიურების დანაშაულის ელემენტს.

3.5.3 მესამე მითი და სტერეოტიპი, რომელსაც ავტორი აკრიტიკებს, შემდეგია: იმ დასკვნის გამოსატანად, რომ გაუპატიურებას ადვილი ჰქონდა მუქარის გამოყენებით, უნდა არსებობდეს პირდაპირი საფრთხის აშკარა მტკიცებულება. ავტორის მტკიცებით, იმის ნაცვლად, რომ სასამართლოს მტკიცებულებები კონტექსტისადმი სენსიტიურად შეეფასებინა და გარემოებები მთლიანობაში განეხილა, მან ყურადღება გაამახვილა იარაღის ობიექტურად არარსებობის ფაქტზე. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ პრეცედენტული სამართლისა და სამართლის თეორიის მიხედვით, გაუპატიურების დანაშაულის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს თანხმობის ნაკლებობა და არა ძალის (გამოყენების) ელემენტი. იგი ასევე აცხადებს, რომ ძალის ან დაშინების ელემენტი ფილიპინების გაუპატიურების კანონში უნდა იქნას განმარტებული ისე ფართოდ, რომ მოიცვას სხვა იძულებით გარემოებები, 1997 წლის გაუპატიურების წინააღმდეგ კანონის კომენტარის შესაბამისად (რესპუბლიკის აქტი No. 8353). უფრო ზოგადად, ავტორი აცხადებს, რომ ფიზიკური ძალის ან ფიზიკური ძალის მუქარის მტკიცებულების მოთხოვნა ყველა ვითარებაში შესაძლებელს ხდის ზოგიერთი სახის გაუპატიურების დაუსჯელად დატოვებას და საფრთხეს უქმნის ქალთა სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ეფექტიან ძალისხმევას.

3.5.4 მეოთხე მითსა და სტერეოტიპს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რადგან ბრალდებული და დაზარალებული „უფრო უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე თავის დაკვრით ნაცნობები“ ეს სექსობრივ კავშირს კონსენსუალურს ხდის. ავტორის თანახმად, უკიდურესად მცდარი წარმოდგენაა ის, რომ ბრალდებულსა და მსხვერპლს შორის ნებისმიერი ურთიერთობა სექსობრივ აქტზე მსხვერპლის თანხმობის ვარჯის მტკიცებულებაა.

3.5.5 ავტორმა მეხუთე მითი და სტერეოტიპი გამოავლინა: როდესაც გაუპატიურების მსხვერპლი რეაგირებს თავდასხმაზე წინააღმდეგობის გაწევით და ასევე შიშის გამო მორჩილებით, ეს პრობლემას წარმოადგენს. ავტორი ამტკიცებს, რომ მოსამართლე პოფილენა-ევროპას მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, არ არსებობს ჩვენება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ იგი რეალურად შიშის გამო დამორჩილდა მოძალადეს. იგი აცხადებს, რომ პირიქით, რაც შეეძლო, წინააღმდეგობას უწევდა მას და თუმცა იყო მომენტები, როდესაც დისოცირებდა, ეს არ აქარწყლებს იმას, რომ მან ბევრჯერ სიტყვიერად და ფიზიკურად გამოხატა, რომ არ იყო თანახმა. იგი ამტკიცებს, რომ სასამართლომ იგი აღიქვა, როგორც „ქალი, რომელიც არ იყო მორცხვი და

რომელსაც ადვილად ვერ შეაშინებდნენ“. სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი დათანხმდა სექსობრივ კავშირს, რადგან არ გაუწია წინააღმდეგობა ბრალდებულის მოქმედებებს და „არ გაიქცა, როდესაც ისე ჩანს, რომ ამის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდა“. იგი ასევე აცხადებს, რომ სასამართლო უსამართლოდ უწესებს გაუპატიურების მსხვერპლებს „ნორმალური“ ან „ბუნებრივი“ ქცევის სტანდარტებს და დისკრიმინაციას ავლენს მათ მიმართ, ვინც ამ სტანდარტებს არ შეესაბამება.

3.5.6 თუ ბრალდებულმა შეძლო ეაკულაციის მიღწევა, ესე იგი გაუპატიურების მსხვერპლს არ გაუწევია წინააღმდეგობა სექსუალური თავდასხმისთვის – ეს მეექვსე მითი და სტერეოტიპია. ავტორი ამტკიცებს, რომ ბრალდებულის ეაკულაცია სრულიად არ არის არსებითი გაუპატიურების ბრალდებისათვის, რადგან ის არ წარმოადგენს დანაშაულის ელემენტს, არ ადასტურებს, რომ სექსობრივი კავშირი კონსენსუალური იყო და არ გამორიცხავს მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევას. იგი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოს განცხადება განამტკიცებს ცრუ წარმოდგენას, რომ გაუპატიურება არის ჟინის ან ვნების დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია სიყვარულთან და სურვილთან.

3.5.7 სასამართლო დაეყრდნო მეშვიდე მითსა და სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, დაუჯერებელია, რომ სამოცი წლის მამაკაცს ჰქონდა გაუპატიურების უნარი. ავტორი ამტკიცებს, რომ მას, როგორც გაუპატიურების მსხვერპლს, არ ეკისრება ბრალდებულის სექსუალური ქმედუნარიანობის მტკიცების ტვირთი, რაც არ არის გაუპატიურების დანაშაულის ელემენტი, არამედ დაცვის საკითხს წარმოადგენს. ასევე, იგი აცხადებს, რომ თუ ასეთი მითი გამოყენებული იქნებოდა 60 წელს გადაცილებული ყველა ბრალდებული მამაკაცის შემთხვევაში, ყოველ საქმეში, რომელშიც ადამიანი განაცხადებდა, რომ ასაკოვანმა მამაკაცმა გაუპატიურა, ბრალდებული მუდმივად გამართლდებოდა.

3.5.8 რაც შეეხება „გაუპატიურების საქმეების გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებში“ არსებულ მითებს, რომლებსაც მოსამართლე დაეყრდნო ავტორის საქმის გადაწყვეტისას (იხ. პუნქტი 2.9 ზემოთ), ავტორი აცხადებს, რომ გაუპატიურებაში ბრალის დადება ადვილი არ არის და იმის თქმა, რომ ბრალდებულისათვის უფრო რთულია გაუპატიურების ბრალდების მტკიცებულებებით უარყოფა, გაუმართლებელია. ის შემდეგ აცხადებს, რომ ეს დაშვება მყისიერად და უსამართლოდ ეჭვქვეშ აყენებს გაუპატიურების მსხვერპლებს.

3.6 ავტორი ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არაკეთილსინდისიერად, კანონსა და ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე. იგი აცხადებს, რომ მტკიცებულებების დამახინჯებამ, აგრეთვე მოსამართლე ჰოფილენა-ევროპას მიგნებებსა და დასკვნებს შორის შეუსაბამობამ, გამოიწვია ბრალდებულის გამართლება. ასევე, მისი მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ჰოფილენა-ევროპა იხსენიებდა უზენაესი სასამართლოს ყველა დოქტრინას, რომელიც მხარს უჭერს გაუპატიურების მსხვერპლს, მან მტკიცებულების გარეშე დაადგინა, რომ ისინი ავტორის საქმეში ვერ იქნებოდა

გამოყენებული. იგი აცხადებს, რომ ეს სამართლებრივი მანევრი სამართლიანი მსჯელობის საბურველქვეშ უტოლდება არაკეთილსინდისიერ ქმედებას და ავტორის უფლებების უხემ უგულებელყოფას. იგი მიუთითებს კონვენციის მე-2 (გ) მუხლზე, რომლის მიხედვითაც, დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა „კომპეტენტური სასამართლო“. იგი, ასევე, ამტკიცებს, რომ გენდერულ მითებსა და მცდარ წარმოდგენებზე დაფუძნებული ან არაკეთილსინდისიერად მიღებული გადაწყვეტილება ძნელად თუ ჩაითვლება სამართლიანი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად.

3.7 ავტორი ამტკიცებს, რომ იგი იძულებული იყო, გაეძლო სასამართლო პროცესისათვის, რომელიც რვა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ის და მისი ოჯახის წევრები უზომოდ დაიტანჯნენ საქმის საჯარო გაშუქების გამო. გაუპატიურების შემდეგ, იგი ასევე იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამსახური – ქალაქ დავაოს პალატის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა და ყოფილმა დამსაქმებელმა უთხრა, რომ მის ადგილას აიყვანეს კაცი (რომელსაც ორმაგ ხელფასს უხდიდნენ), მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით. ის ასევე ამტკიცებს, რომ მას და მის ოჯახს მოუწია საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა, საზოგადოებისგან თავის დასაღწევად, რომელიც მტრულად განეწყო მის მიმართ, რადგან მან გაბედა და მდიდარი და გავლენიანი მამაკაცი დაადანაშაულა. ავტორის თანახმად, ყველა ამ ფაქტორმა გააუარესა მისი პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, რომელიც მას უშუალოდ გაუპატიურების შედეგად განუვითარდა და სახელმწიფომ არ დაიცვა იგი და მისი ოჯახი. ის ასევე აღნიშნავს, რომ დაირღვა მისი ფიზიკური და გონებრივი სიმრთელე, რამაც ხელი შეუშალა მას ცხოვრების თავიდან დაწყებაში. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, მან სამსახური ვეღარ იპოვა. და ბოლოს, ის ამტკიცებს, რომ მოსამართლე ჰოფილენა-ევროპას დისკრიმინაციულმა გადაწყვეტილებამ მისი ხელახალი ვიქტიმიზაცია გამოიწვია; გადაწყვეტილების შემდეგ, მას დებრუსის ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდა და საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რომ საკუთარ თავში ეპოვა ნების სიმტკიცე და ენერჯია, რომ თუნდაც ეფიქრა განცხადების შეტანაზე.

3.8 ავტორი ამტკიცებს, რომ მისი საქმე არ არის ერთადერთი და არის ერთ-ერთი იმ მრავალ სასამართლო გადაწყვეტილებას შორის გაუპატიურების საქმეებში, რომელიც ქალთა დისკრიმინაციას ახდენს და ამკვიდრებს დისკრიმინაციულ შეხედულებებს გაუპატიურების მსხვერპლთა მიმართ. ასევე, იგი აცხადებს, რომ ეს მზაკვრული გადაწყვეტილებები არღვევს ქალთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ართმევს მათ კანონით დადგენილ თანასწორ დაცვას, ართმევს მათ მიყენებული ზიანისაგან სამართლიან და ეფექტიან სასამართლო დაცვას და აიძულებს კაცებისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნას. ავტორს მაგალითების სახით მოჰყავს პირველი ინსტანციის სასამართლოების შვიდი გადაწყვეტილება 1999 წლიდან 2007 წლამდე, რომელიც აჩვენებს იმ სისტემატურ დისკრიმინაციას, რასაც აწყდებიან გაუპატიურების მსხვერპლები, როდესაც ეძიებენ ზარალის ანაზღაურებას (redress). ამ შვიდი შემთხვევიდან, მან თავის საქმესთან შემდეგი მსგავსებები გამოავლინა:



ა) „დაცვა, რომელიც აგებულია შეყვარებულის იდეაზე“ ან მისი ვარიაცია, რომლითაც მტკიცდება, რომ სქესობრივი აქტი კონსენსუალურია, რადგან მომჩივანსა და ბრალდებულს შორის არსებობდა ან არსებობს ინტიმური ან სექსუალური ურთიერთობა;

ბ) სასამართლოს მიერ მომჩივანის საქციელის შეფასება სავარაუდო გაუპატიურებამდე, მის დროს და მის შემდეგ, რომელშიც მსჯელობის მთავარი საზი იყო ის, რომ მომჩივანმა არ აჩვენა ქალის ისეთი „ბუნებრივი“ რეაქცია, რომელიც ამტკიცებს, რომ მასზე იძალადეს;

გ) დაზიანების არარსებობა, როგორც ბრალდებულის, ისე მომჩივანის შემთხვევაში;

დ) მომჩივანის მიმართ გამოყენებული ძალის, მუქარის ან დაშინების ბუნება, სიმძიმის დონე და აღქმული ზემოქმედება;

ე) თანხმობის ცნების და იმის გაგება, თუ როგორ ვლინდება თანხმობა და როგორ ხდება მისი შეტყობინება;

3.9 ავტორი ამტკიცებს, რომ ფილიპინების გაუპატიურების კანონი და უზენაესი სასამართლოს მიერ მისი ინტერპრეტაცია წინააღმდეგობების კრებულია. იგი ასევე აცხადებს, რომ ფილიპინების მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ 25 წელზე მეტია გასული და მითები, მცდარი წარმოდგენები და სასამართლო პრაქტიკაში არსებული დისკრიმინაციული ვარაუდები გაუპატიურების მსხვერპლებს ისევ იურიდიულად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს და მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შანსს, მიიღონ სანაცვლო იმისათვის, რაც გადაიტანეს. იგი განმარტავს, რომ გაუპატიურების შემთხვევების შეტყობინების უკიდურესად შემცირებული ციფრის ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტია, რომ მსხვერპლებს ეშინიათ სტიგმის, რომელსაც, დიდი ალბათობით, სამართლიანობის ძიება გამოიწვევს, აგრეთვე, ისინი არ ენდობიან სასამართლო პროცესს და ხშირად ვერ იღებენ სათანადო დაცვას.

3.10 ავტორი დამატებით ამტკიცებს, რომ რადგან გაუპატიურების საქმეები ექვემდებარება მკაცრი შემოწმების პროცესს სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის მიერ სასამართლო სისტემის მიღწევამდე, სასამართლოს მიერ გაუპატიურების საქმის უარყოფა გენდერულ მითებსა და მცდარ შეხედულებებზე დაფუძნებით, იწვევს მსხვერპლის საბოლოო ვიქტიმიზაციას.

3.11 ავტორის თანახმად, მოსამართლე ჰოფილენა-ევროპას და ყველა მოსამართლეს, რომელიც პასუხისმგებელია გაუპატიურების საქმეების გადაწყვეტილებაზე, არ აქვთ სათანადო მომზადება და შესაბამისად, საკმარისად არ ესმით სქესობრივი ძალადობის დინამიკა. იგი, ასევე, აცხადებს, რომ საკანონმდებლო რეფორმები, როგორცაა სისხლის სამართლის კოდექსის

ცვლილებები გაუპატიურების შესახებ, ასევე რესპუბლიკის N 8505 კანონით გათვალისწინებული დამცავი ზომები, უმნიშვნელო ხდება, რადგან კანონი ისევ არ უზრუნველყოფს მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ და ეფექტიან საშუალებებს. ავტორი აღნიშნავს და ძალიან დეტალურ ჩამონათვალს იძლევა ყველა იმ ტრენინგისა, რომელიც ფილიპინების სასამართლო აკადემიის და სასამართლო სისტემაში გენდერული მგრძობიარობის უზენაესი სასამართლოს კომიტეტის მიერ იქნა ჩატარებული, თუმცა აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დიდია ცრურწმენა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ. ეს მოითხოვს, რომ სასამართლოს ტრენინგი კონკრეტულად იყოს მიმართული სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებაზე. როგორც იგი ამტკიცებს, არ არსებობს მოსამართლეების მოსამზადებელი პროგრამა, რომელშიც განხილული იქნება ზრდასრულებთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობის ან გაუპატიურების საქმეები.

3.12 რაც შეეხება შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვას, ამასთან დაკავშირებით ავტორი ამბობს, რომ გამამართლებელი განაჩენი ასრულებს პროცესს დაზარალებულისათვის. ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ ფილიპინების სამართლის მიხედვით, მას ეკრძალება გამამართლებელი გადაწყვეტილების ნებისმიერი გასაჩივრება ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ხელმეორედ გასამართლების აკრძალვის კონსტიტუციური უფლების გამო (double jeopardy), რომელიც კრძალავს ბრალდებულის ორჯერ გასამართლებას ერთი და იმავე დანაშაულისთვის. რაც შეეხება სასამართლოს განახლებული წესების 65-ე წესით გათვალისწინებულ, სასამართლოსთვის მიმართვის (certiorari) საგანგებო დაცვის საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამართლების საქმეებში გარკვეული გარემოებების არსებობისას, ავტორი ამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმე მის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა დაამტკიცოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილია, რადგან ადგილი ჰქონდა განჯსადობის შეცდომას, ან შეცდომას, რომელიც უტოლდებოდა განსჯადობის არქონას. მეორეც, ეს სამართლებრივი დაცვის საშუალება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ფილიპინელებისთვის, რომელთაც წარმოადგენს გენერალური ადვოკატის ოფისი (Office of the Solicitor General), მაგრამ თავად დაზარალებულს ამაზე წვდომა არ აქვს. მესამე, გენერალურ ადვოკატს უნდა გამოეყენებინა ეს დაცვის საშუალება გამამართლებელი განაჩენის გამოტანიდან 60 დღის განმავლობაში.

3.13 ავტორი ამტკიცებს, რომ საკითხი არ ყოფილა განხილული და არც ამჟამად განხილვება სხვა რაიმე საერთაშორისო გამოძიების ან მორიგების პროცედურის ფარგლებში.

3.14 ავტორი სთხოვს კომიტეტს, დაადგინოს, რომ იგი იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი და მონაწილე სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლის (გ), (დ) და (ვ) პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებები. ასევე, იგი სთხოვს კომიტეტს, მისცეს რეკომენდაცია მონაწილე სახელმწიფოს, რომ მან უზრუნველყოს მისი

ფინანსური კომპენსაცია მიყენებული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური ზიანისა და მისი უფლებების დარღვევის სიმძიმის პროპორციული ოდენობით, ასევე, მისცეს მას თერაპიისა და სხვა მკურნალობის გაგრძელების საშუალება.

3.15 იგი დამატებით ითხოვს, მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო სისტემას მიეცეს რეკომენდაცია, გამოიძიოს მოსამართლე ჰოფილენა-ევროპა, რათა დადგინდეს მისი ქმედებების რეგულარობა გამამართლებელი განაჩენების გამოტანისას, ამ გამოძიების ფარგლებში შეისწავლოს, აგრეთვე, მისი სხვა სასამართლო გადაწყვეტილებები და მისი, როგორც ყოფილი აღმასრულებელი მოსამართლის, ადმინისტრაციული ქმედებები. ავტორი ითხოვს, აგრეთვე, რეკომენდაციას, რომ სასამართლო სისტემამ შეიმუშაოს სექსუალური ძალადობის შესახებ სპეციალური განათლებისა და ტრენინგის პროგრამა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, რომელიც მომზადდება იმისათვის, რომ მათ გააცნობიერონ სექსუალობის საკითხები და სექსუალური ძალადობის ფსიქოსოციალური შედეგები, სათანადოდ შეაფასონ სამედიცინო და სხვა მტკიცებულებები, გამოიყენონ ინტერდისციპლინური მიდგომა საქმეების გამოძიებისა და გადაწყვეტისას და გათავისუფლდნენ მითებისა და მცდარი წარმოდგენებისგან სექსუალური ძალადობისა და ამ ძალადობის მსხვერპლების შესახებ. ასეთი პროგრამა უნდა მოიცავდეს სისტემას, რომელიც მონიტორინგს გაუწევს და შეაფასებს, თუ რამდენად ექნება გავლენა ასეთი განათლებასა და ტრენინგს შესაბამის მოსამართლეებსა და პროკურორებზე; სიღრმისეულად მიმოიხილავს სასამართლო პრაქტიკის დოქტრინებს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ, რათა უარი თქვას დოქტრინებზე, რომელიც დისკრიმინაციულია ან არღვევს კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა კონვენციებით გარანტირებულ უფლებებს; დააწესებს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების მონიტორინგს გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა საქმის გადაწყვეტის სათანადო სტანდარტებთან და კონვენციასა და ადამიანის უფლებათა სხვა კონვენციების დებულებებთან; შეაგროვებს და გაანალიზებს მონაცემებს პროკურატურაში და სასამართლოებში შეტანილი სექსუალური ძალადობის საქმეების რაოდენობაზე, უარყოფილი საქმეების რაოდენობასა და ამ უარყოფის მიზეზებზე, ასევე, უზრუნველყოფს გაუპატიურების მსხვერპლთა უფლებას, გაასაჩივრონ დანაშაულის ჩამდენის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, რომელიც ეფუძნება მსხვერპლის მიმართ სქესობრივ დისკრიმინაციას.

3.16 ავტორი, ასევე, სთხოვს კომიტეტს, რეკომენდაცია გაუწიოს მონაწილე სახელმწიფოს კონგრესს, გადახედოს კანონებს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ, მათ შორის სამართალდამცავი და საბრალდებო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ მათ აღსრულებასა და განხორციელებას, კანონების იმ დებულებების გაუქმების ან შესწორების მიზნით, რომლებიც დისკრიმინაციული პრაქტიკისა და დოქტრინების საფუძველს წარმოადგენენ; განმარტოს, რომ გაუპატიურება ეხება მსხვერპლთა თანხმობის

არარსებობას; აგრეთვე, უზრუნველყოს ადეკვატური ფულადი სახსრები გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის შესახებ 1998 წლის აქტის (რესპუბლიკის აქტი No. 8505) განსახორციელებლად, კერძოდ, მისი მანდატის განსახორციელებლად, რომ შეიქმნას გაუპატიურების კრიზისული ცენტრი ყველა პროვინციასა და ქალაქში, რათა გაუპატიურებისა და სხვაგვარი სექსობრივი ძალადობის მსხვერპლებისათვის არსებობდეს და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი დახმარების სერვისები.

3.17 საბოლოოდ, ავტორი ასევე ითხოვს, ზოგადად, ქალთა ადამიანის უფლებების პატივისცემას, დაცვას, ხელშეწყობას და განხორციელებას, მათ შორის -სექსუალური ძალადობის ყველა ფორმისაგან თავისუფლების უფლებას; სათანადო გულმოდგინების გამოჩენას გაუპატიურებისა და სხვა სექსუალური ძალადობის შესახებ ყველა საჩივრის გამოძიებისას, დევნისას და დასჯისას; ძალისხმევას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი წვდომა მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, უფასო, კომპეტენტურ და მგრძობიარე იურიდიულ დახმარებაზე, აგრეთვე წვდომა სამართლიანი და ეფექტიანი საჩივრის პროცედურებსა და დაცვის საშუალებებზე; ძალისხმევას, რათა უზრუნველყოფილი იქნას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა და მათი ოჯახების მიერ შესაბამისი დამცავი და მხარდამჭერი მომსახურებების მიღება; ასევე აქტიური ზომები გატარდეს სამართალდამცავ უწყებებში, პროკურატურებსა და სასამართლო სისტემაში მექრთამეობისა და კორუფციის აღმოსაფხვრელად, იმის გამოსარიცხად, რომ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა საქმეები არ აღმოჩნდება საფრთხის ქვეშ, ან არ იქნება უარყოფილი.

## **საქმის გარემოებების განხილვა**

8.1 კომიტეტმა განიხილა წინამდებარე განცხადება ავტორისა და მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ყველა ინფორმაციის საფუძველზე, როგორც ეს კათვალისწინებულა ფაკულტატური ოქმის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტით.

8.2 კომიტეტი განიხილავს ავტორის მტკიცებებს იმის შესახებ, რომ ქალაქ დავაოს რეგიონული სასამართლოს მოსამართლე ჰოფილენა-ევროპა გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო გენდერულ მითებსა და მცდარ წარმოდგენებს გაუპატიურებისა და გაუპატიურების მსხვერპლთა შესახებ, 1930 წლის განახლებული სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის მიხედვით, რამაც გამოიწვია სავარაუდო დამნაშავის გამართლება. კომიტეტი დაადგენს, უთანაბრდებოდა თუ არა ეს ავტორის უფლებების დარღვევას და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებების დარღვევას, ბოლო მოუღოს სამართლებრივ პროცესში დისკრიმინაციას, კონვენციის მე-2 (გ), 2 (ვ) და მე-5 (ა) მუხლების შესაბამისად. კომიტეტის წინაშე არსებული საკითხები შემოიფარგლება ზემოაღნიშნულით. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ ანაცვლებს შიდა ხელისუფლებას ფაქტების შეფასებისას და არ წყვეტს სავარაუდო დამნაშავის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასევე, კომიტეტი არ განიხილავს

საკითხს, დაარღვია თუ არა მონაწილე სახელმწიფომ მე-2 (დ) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელსაც კომიტეტი ნაკლებად აქტუალურად მიიჩნევს წინამდებარე საქმეში.

8.3 რაც შეეხება ავტორის პრეტენზიას მე-2 (გ) მუხლთან დაკავშირებით, კომიტეტი, მართალია, აღიარებს, რომ კონვენციის ტექსტი პირდაპირ არ ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის უფლებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ასეთი უფლება იგულისხმება კონვენციაში, კერძოდ, მე-2 (გ) მუხლში, რომლის მიხედვითაც, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, „დააწესონ მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა და უზრუნველყონ კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების დახმარებით ქალთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან“. კომიტეტი აღნიშნავს უდავო ფაქტს, რომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დონეზე რჩებოდა 1997 წლიდან 2005 წლამდე. კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობისათვის, გაუპატიურებისა და სექსუალური დანაშაულის საქმეებზე საქმის განხილვა უნდა ხდებოდეს სამართლიანად, მიუკერძოებლად, დროულად და გონივრულ ვადაში.

8.4 კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონვენცია ვალდებულებებს აკისრებს ყველა სახელმწიფო ორგანოს და მონაწილე სახელმწიფოები, შესაძლოა, პასუხისმგებელი გახდნენ იმ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომელიც არღვევს კონვენციის დებულებებს. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-2 (ვ) და მე-5 (ა) მუხლების თანახმად, მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა შეცვალოს ან გააუქმოს არა მხოლოდ არსებული კანონები და რეგულაციები, არამედ - ჩვეულებები და პრაქტიკები, რომლებიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციულია. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სტერეოტიპები აზიანებს ქალთა მიუკერძოებელ და სამართლიან სასამართლოზე წვდომის უფლებას და სასამართლომ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რომ არ შექმნას ხისტი სტანდარტები იმის შესახებ, თუ როგორები უნდა იყვნენ ქალები ან გოგონები, ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როდესაც გაუპატიურების სიტუაციაში აღმოჩნდნენ, მხოლოდ წინასწარ შექმნილი დაშვებების საფუძველზე იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს გაუპატიურების მსხვერპლს ან ზოგადად გენდერული ძალადობის მსხვერპლს. ასევე, კომიტეტი აღნიშნავს თავის ზოგად N 19 რეკომენდაციას ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. ეს ზოგადი რეკომენდაცია ეხება საკითხს, შეიძლება თუ არა მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი იყვნენ არასახელმწიფო აქტორების ქმედებებზე, როდესაც აცხადებს, რომ „... კონვენციის მიხედვით, დისკრიმინაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მთავრობების ან მათი სახელით განხორციელებული ქმედებებით...“, და რომ „ზოგადი საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა კონკრეტული შეთანხმებების თანახმად, სახელმწიფოები, ასევე, შეიძლება, იყვნენ პასუხისმგებელი კერძო პირების ქმედებებზე, თუ ისინი სათანადო გულმოდგინებით ვერ იმოქმედებენ უფლებების დარღვევის აღსაკვეთად ან ძალადობის ქმედებების გამოსაძიებლად და დასასჯელად და კომპენსაციის უზრუნველსაყოფად“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოს მიერ გულმოდგინების გამოჩენის ვალდებულების შესრულება გენდერული

სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად მე-2 (ვ) და მე-5 (ა) მუხლების საფუძველზე, უნდა შეფასდეს ავტორის საქმის სასამართლო განხილვისას გამოყენებული გენდერული სენსიტიურობის დონის გათვალისწინებით.

8.5 კომიტეტი აღნიშნავს, რომ სასამართლო პრეცედენტის დოქტრინის (doctrine of stare decisis) თანახმად, სასამართლო დაეყრდნო სასამართლო პრეცედენტებიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპებს, 1930 წლის განახლებული სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების დებულებების გამოყენებისას და გაუპატიურების მსგავსი შემთხვევების გადაწყვეტისას. კომიტეტი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების დასაწყისში მითითებულია სამი ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც გამოიყენება გაუპატიურების საქმეების განხილვისას. თუმცა, თავად გადაწყვეტილებაში ამ სახელმძღვანელო პრინციპებზე არ არის ცალსახა მითითება, კომიტეტს მიაჩნია, რომ მათ გავლენა მოახდინეს საქმის განხილვაზე. კომიტეტი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებით ერთ-ერთი მათგანი, რომლის მიხედვითაც, „გაუპატიურებაში ბრალის დადება მარტივია“, თავის თავში ავლენს გენდერულ მიკერძოებას. რაც შეეხება სავარაუდოდ გენდერზე დაფუძნებულ მითებსა და სტერეოტიპებს, რომელიც მიმოფანტულია გადაწყვეტილებაში და გამოყოფილია ავტორის მიერ (იხ. პუნქტები 3.5.1-3.5.8 ზემოთ), იმ ძირითადი არგუმენტების გულდასმით შესწავლის შემდეგ, რომლებმაც განსაზღვრეს გადაწყვეტილება, კომიტეტი გამოყოფს შემდეგ საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, განაჩენი ახსენებს ისეთ პრინციპებს, რომელთა თანახმად ფიზიკური წინააღმდეგობა არ წარმოადგენს გაუპატიურების დანაშაულის დასადგენ ელემენტს, ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ ემოციური სტრესის დროს, გაქცევის მცდელობის წარუმატებლობა მსხვერპლის მხრიდან არ გამოორციხავს გაუპატიურებას, ასე რომ, „ნებისმიერ შემთხვევაში, კანონი გაუპატიურების მსხვერპლს არ აკისრებს წინააღმდეგობის მტკიცების ტვირთს“. თუმცა, გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ მოსამართლემ არ გამოიყენა ეს პრინციპები ავტორის სანდოობის შეფასებისას იმ მოლოდინების წინააღმდეგ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ავტორი გაუპატიურებამდე, გაუპატიურების დროს და მას შემდეგ, არსებული გარემოებების, მისი ხასიათისა და პიროვნების გათვალისწინებით. განაჩენი ცხადყოფს, რომ მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ავტორს ჰქონდა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რადგან იგი ერთ მომენტში წინააღმდეგობას ავლენდა, ხოლო მეორე მომენტში – მორჩილებას, შესაბამისად, სასამართლომ ეს პრობლემად მიიჩნია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა პრინციპი, რომ „გაქცევის მცდელობის წარუმატებლობა მსხვერპლის მხრიდან არ გამოორციხავს გაუპატიურებას“, და ნაცვლად ამისა, მოელოდა გარკვეულ ქცევას ავტორისგან, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა აღქმული, როგორც „ქალი, რომელიც არ იყო მორცხვი და რომელსაც ადვილად ვერ შეაშინებდნენ“. განაჩენიდან ირკვევა, რომ მოვლენების ავტორისეული ვერსიის სანდოობის შეფასებაზე გავლენა მოახდინა სტერეოტიპების მთელმა რიგმა, მაგალითად, იმან, რომ ავტორმა ამ სიტუაციაში არ მოიმოქმედა ის, რაც მოსალოდნელი იქნებოდა რაციონალური და „იდეალური მსხვერპლისგან“, ან რასაც მოსამართლე თვლიდა, რომ იყო ქალის რაციონალური და იდეალური პასუხი გაუპატიურების სიტუაციაში, როგორც ეს ცხადი ხდება განაჩენის შემდეგი ციტატიდან:

მაშინ რატომ არ ეცადა იგი მანქანიდან გადასვლას, როცა ბრალდებულს უნდა დაეჭირა მუხრუჭებისათვის, რათა არ შეჯახებოდა კედელს, როდესაც მან (ქალმა) საჭეს ჩაავლო ხელი? რატომ არ გადმოვიდა იგი მანქანიდან ან თუნდაც რატომ არ იყვირა დახმარების სათხოვნელად, როცა მანქანა აუცილებლად შეანელებდა სვლას მოტელის ოთახის ავტოფარეხში შესვლამდე? ოთახში შესვლის შემდეგ, რატომ არ დარჩა ის აბაზანაში მას შემდეგ, რაც იქ შევიდა და კარი ჩაკეტა? რატომ არ დაიყვირა დახმარების სათხოვნელად, როდესაც გაიგო, რომ ბრალდებული ვილაცას ესაუბრებოდა? რატომ არ გაიქცა იგი მოტელის ავტოფარეხიდან, მაშინ როდესაც ამტკიცებს, რომ შეძლო სასტუმროს ნომრიდან გაქცევა, რადგან ბრალდებული ჯერ კიდევ **შიშველი იყო და მასტურბირებდა საწოლზე**?<sup>1</sup> რატომ დათანხმდა იგი ბრალდებულის მანქანიტო მგზავრობას **მას შემდეგ**,<sup>2</sup> რაც მან სავარაუდოდ გააუბატიურა იგი, როდესაც ბრალდებულს არ გამოუყენებია არანაირი მუქარა ან რაიმე ძალა, რომ ეიძულებინა იგი, ასე მოქცეულიყო?

თუმცა, ფილიპინების უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილია სამართლებრივი პრეცედენტი, რომ თანხმობის არარსებობის დასამტკიცებლად, არ არის აუცილებელი იმის დადგენა, რომ ბრალდებულმა დაძლია მსხვერპლის ფიზიკური წინააღმდეგობა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ არსებულ სიტუაციაში, ავტორის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის მოლოდინი განსაკუთრებით ამყარებს მითს იმის შესახებ, რომ ქალებმა აუცილებლად ფიზიკური წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ სექსუალურ თავდასხმას. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ კანონში ან პრაქტიკაში არ უნდა არსებობდეს დაშვება, რომლის მიხედვითაც, ქალი თანხმობას იძლევა, რადგან მას ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევია არასასურველი სექსუალური ქმედებისათვის, მიუხედავად იმისა, ემუქრებოდა თუ არა მოძალადე ფიზიკური ძალის გამოყენებით, ან გამოიყენა თუ არა ეს ძალა.

8.6 კიდევ სხვა მცდარი წარმოდგენები გვხვდება სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომელიც შეიცავს რამდენიმე მითითებას სტერეოტიპებზე მამრობითი და მდედრობითი სქესის სექსუალობის შესახებ, რომლებიც უფრო მეტად უჭერს მხარს სავარაუდო დამნაშავეის სანდოობას, ვიდრე – მსხვერპლისას. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი შემფოთებით განიხილავს მოსამართლის მიგნებებს, რომელთა მიხედვითაც, დაუჯერებელია, რომ სამოც წელს გადაცილებულ მამაკაცს შეძლებოდა ეაკულაციის მიღწევა, მაშინ, როდესაც ავტორი წინააღმდეგობას უწევდა სექსუალურ თავდასხმას. „გენდერზე დაფუძნებული მითებისა და მცდარი წარმოდგენების“ დამატებით მაგალითს წარმოადგენს სხვა ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული გადაწყვეტილების დროს, მაგალითად, როგორცაა დატვირთვა, რომელიც მიეცა იმ ფაქტს, რომ ავტორი და ბრალდებული ერთმანეთს იცნობდნენ.

---

<sup>1</sup> ხაზგასმა მოცემულია გადაწყვეტილებაში.

<sup>2</sup> იქვე.

8.7 გაუპატიურების განმარტებასთან დაკავშირებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ფილიპინების განახლებულ სისხლის სამართლის კოდექსში<sup>3</sup> თანხმობის არარსებობა არ არის გაუპატიურების შემადგენლობის არსებითი ელემენტი. კომიტეტი იხსენებს 1992 წლის 29 იანვრის N 19 ზოგად რეკომენდაციას ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, სადაც 24 (ბ) პუნქტში ნათლად არის ნათქვამი, რომ „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ კანონები ოჯახში ძალადობისა და ხელყოფის, გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის და სხვა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ადეკვატურად იცავდეს ყველა ქალს და პატივს სცემდეს მათ ხელშეუხებლობასა და ღირსებას“. მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშების განხილვის შედეგად, კომიტეტს არაერთხელ აქვს განმარტებული, რომ გაუპატიურება წარმოადგენს ქალის პირადი უსაფრთხოებისა და სხეულის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას და რომ მისი არსებითი ელემენტი არის თანხმობის არარსებობა.

8.8 და ბოლოს: კომიტეტს სურს, აღიაროს, რომ განცხადების ავტორს მიაღდა მორალური და სოციალური ზიანი, იგი ასევე დაზიანდა ცრურწმენების შედეგად, განსაკუთრებით – სასამართლო პროცესის უკიდურესად დიდი ხანგრძლივობითა და იმ სტერეოტიპებისა და გენდერული მითების გამო ხელახალი ვიქტიმიზაციით, რასაც ეყრდნობოდა მისი საქმის გადაწყვეტილება. ავტორს, ასევე, მიაღდა მატერიალური ზიანი სამსახურის დაკარგვის გამო.

8.9 კომიტეტი მოქმედებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ მონაწილე სახელმწიფომ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რითიც დაარღვია ავტორის უფლებები მე-2 (გ) და (ვ) და მე-5 (ა) მუხლების მიხედვით, რომლებიც განხილული იქნა კონვენციის 1-ლ მუხლთან და კომიტეტის მე-19 ზოგად რეკომენდაციასთან ერთად, და მონაწილე სახელმწიფოს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს:

---

<sup>3</sup> ფილიპინების განახლებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი N 266-ა. გაუპატიურება: როდის და როგორ არის ჩადენილი. გაუპატიურება ჩადენილია:

1. მამაკაცის მიერ, რომელსაც აქვს ქალთან სქესობრივი კავშირი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე გარემოებაში:

(ა) ძალის, მუქარის ან დაშინების გზით;

(ბ) როდესაც დაზარალებული მხარე ნათლად ვერ აზროვნებს ან სხვაგვარად უგონო მდგომარეობაშია;

(გ) თაღლითური მაქინაციის ან უფლებამოსილების ძლიერ გადამეტებით და  
(დ) როდესაც დაზარალებული მხარე 12 წლამდე ასაკისა ან გონებრივი ჩამორჩენა აქვს, თუმცა არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება არ არსებობს.

2. ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ გარემოებაში ჩაიდენს სექსუალური ძალადობის აქტს, თავისი პენისის სხვა ადამიანის პირში ან ანალურ ხვრელში შეყვანით, ან რაიმე ინსტრუმენტის ან ნივთის შეყვანით სხვა ადამიანის სასქესო ორგანოში ან ანალურ ხვრელში.



## ა განცხადების ავტორთან დაკავშირებით

- უზრუნველყოს მისი შესაბამისი კომპენსაცია, მისი უფლებების დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

## ბ ზოგადი

- მიიღოს ქმედითი ზომები, რათა უზრუნველყოს გაუპატიურების ბრალდებებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების ზედმეტი დაყოვნების გარეშე წარმართვა.

- უზრუნველყოს, რომ ყველა სამართლებრივი პროცედურა გაუპატიურების დანაშაულსა და სხვა სექსუალურ დანაშაულებთან დაკავშირებით იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი და არ იყოს ცრურწმენების ან სტერეოტიპული გენდერული ცნებების გავლენის ქვეშ. ამ მიზნის მისაღწევად, მრავალფეროვანი ზომების მიღებაა საჭირო, რომელიც მიმართული იქნება სამართლებრივ სისტემაში გაუპატიურების საქმეების სასამართლო განხილვის გაუმჯობესებაზე, ასევე საჭიროა ტრენინგი და განათლება ქალების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების შესაცვლელად. კონკრეტული ზომები მოიცავს:

(i) კანონმდებლობაში გაუპატიურების განმარტების გადახედვას ისე, რომ მის ცენტრში მოექცეს თანხმობის არარსებობა;

(ii) კანონმდებლობაში ნებისმიერი მოთხოვნის გაუქმება იმასთან დაკავშირებით, რომ სექსუალური თავდასხმა ჩადენილი უნდა იყოს ძალის ან ძალადობის გამოყენებით, ასევე შეღწევაძობის დამადასტურებელი ნებისმიერი მოთხოვნის გაუქმება და მომჩივნის/მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის მინიმუმამდე შემცირება სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტების ამოქმედებით, რომელიც ან:

ა. მოითხოვს „ცალსახა და ნებაყოფლობითი შეთანხმების“ არსებობას და ბრალდებულის მიერ გადადგმული ნაბიჯების მტკიცებულებას იმის დასადგენად, იყო თუ არა მომჩივანი/მსხვერპლი თანახმა; ან

ბ. მოითხოვს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს „იძულებით გარემოებებში“ და მოიცავდეს იძულებითი გარემოებების ფართო სპექტრს;<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის სახელმძღვანელო, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი, ქალთა წინსვლის სამმართველო (United Nations publication, Sales No. E.10.IV.2), 2009, p. 27, available from <http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/v-handbook.htm>.

(iii) სათანადო და რეგულარულ ტრენინგს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, მის ფაკულტატიური ოქმის და მის ზოგადი რეკომენდაციების, განსაკუთრებით, N 19 ზოგადი რეკომენდაციის შესახებ მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის და სამართალდამცავი პერსონალისთვის;

(iv) მოსამართლეების, იურისტების, სამართალდამცავებისა და სამედიცინო პერსონალის შესაბამის ტრენინგს გაუპატიურებისა და სხვა სექსუალურ დანაშაულთა გენდერულად სენსიტიური გააზრების მიზნით, რათა თავიდან იქნას აცილებული იმ ქალების ხელახალი ვიქტიმიზაცია, რომლებმაც განაცხადეს გაუპატიურების შემთხვევის შესახებ და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირადი ჩვეულებები და ღირებულებები გავლენას არ მოახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე.

8.10 მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს კომიტეტის მოსაზრებები მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად და კომიტეტს წარუდგინოს წერილობით პასუხი ექვსი თვის ვადაში, მათ შორის, ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერ განხორციელებულ ქმედებაზე კომიტეტის შეხედულებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ასევე, მონაწილე სახელმწიფოს მოეთხოვება, გამოაქვეყნოს კომიტეტის მოსაზრებები და რეკომენდაციები, თარგმნოს ფილიპინურ ენასა და საჭიროებისამებრ, სხვა აღიარებულ რეგიონულ ენებზე და ფართოდ გაავრცელოს, რათა მოიცვას საზოგადოების ყველა შესაბამისი ნაწილი.

---

# საქმე “მ. ს. ბულგარეთის წინააღმდეგ”

## Case of M.C. v. Bulgaria

4 დეკემბერი, 2003 წელი

### ფაქტები

9. განმცხადებელი არის ბულგარეთის მოქალაქე, დაბადებული 1980 წელს.
10. მან განაცხადა, რომ 1995 წლის 31 ივლისსა და 1 აგვისტოს, იგი გააუპატიურა ორმა კაცმა, როდესაც ის იყო 14 წლის და 10 თვის. შემდგომი გამოძიების დასკვნით, არ არსებობდა იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ განმცხადებელს იძულებით ჰქონდა სექსი.
11. 1995 წლის 31 ივლისს, განმცხადებელი და მისი მეგობარი ელოდებოდნენ დისკო ბარში შესვლას ქალაქ კ.-ში, როდესაც სამი კაცი, პ. (იმ დროს 21 წლის), ა. (იმ დროს 20 წლის) და ვ.ა. (ასაკი დაუზუსტებელია) ბართან მანქანით მივიდა. მანქანა ეკუთვნოდა პ.-ს. განმცხადებელი იცნობდა პ.-ს და ა.-ს. – მან ადრე ამავე ბარში გაიცნო პ. და მას ერთხელ ეცეკვა, ა. კი მისი კლასელის უფროსი ძმა იყო.
12. ა.-მ შესთავაზა განმცხადებელს, წაჰყოლოდა მას და მის მეგობრებს დისკო ბარში პატარა ქალაქში, 17 კმ-ის მოშორებით. განმცხადებლის თქმით, ის დათანხმდა იმ პირობით, რომ სახლში ღამის 11 საათამდე დაბრუნდებოდა.
13. ბარში ჯგუფის ერთი-ორმა წევრმა დალია. განმცხადებელმა ნახა რამდენიმე მეგობარი, რომლებსაც ცოტა გამოელაპარაკა. როგორც განმცხადებელმა თქვა, ის გამუდმებით ეუბნებოდა სხვებს, რომ წასვლის დრო იყო, რადგან უკვე გვიანდებოდა.
14. გვიან საღამოს ჯგუფი წამოვიდა და გაემართა ქალაქ კ.-სკენ. გზაში ისინი ცოტა ხნით შეაჩერა და შეამოწმა საგზაო პოლიციამ.
15. შემდეგ ა.-მ შესთავაზა, ცოტა ხნით გაჩერებულიყვნენ და ეცურავათ იქვე, წყლის რეზერვუარში. განმცხადებლის გადმოცემით, მისი უარი ამ შემთავაზებაზე არავის გაუთვალისწინებია. როგორც თავად გადმოსცა, მას ეჭვი არ შეუტანია კაცების განზრახვაში.
16. რეზერვუართან, განმცხადებელი დარჩა მანქანაში, წინა მგზავრის სავარძელში და თქვა, რომ არ უნდოდა ცურვა. სამი კაცი წყლისკენ გაემართა. მალევე, პ. დაბრუნდა და დაჯდა წინა სავარძელზე, განმცხადებლის გვერდით.
17. საგამოძიებო ორგანოებისთვის მიცემულ ჩვენებებში, განმცხადებელმა განაცხადა, რომ პ. თავისი სხეულით მიაწვა მას, შესთავაზა „დამეგობრებულიყვნენ“ და დაუწყო კოცნა. განმცხადებელმა უარი უთხრა და სთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის. პ.-მ გააგრძელა მისი კოცნა, სანამ გოგონა

ცდილობდა მის მოშორებას. შემდეგ კაცმა მანქანის სკამი უკან გადაწია პორიზონტალურ მდგომარეობაში, სწვდა მის ხელებს და ზურგს უკან გადაუწია. განმცხადებელს შეეშინდა და ამავდროულად შერცხვა იმ ფაქტის გამო, რომ საკუთარი თავი ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა. მას არ ჰქონდა ძალა, რომ ღორივრად შეწინააღმდეგებოდა ან ეკივლა. მისი მცდელობები, პ. უკან გაეწია, უშედეგო იყო, რადგან ის გაცილებით ძლიერი იყო. პ.-მ მას ტანსაცმელი ნაწილობრივ გახადა და სქესობრივი აქტი აიძულა.

18. თავის ჩვენებაში განმცხადებელი აღნიშნავდა: „ეს ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდებოდა და ძალიან მტკიოდა. ცუდად ვიყავი და გული მერეოდა. ტირილი დავიწყე.“

19. პ.-ს ჩვენების მიხედვით, მას მაქანაში განმცხადებელთან ჰქონდა სექსი მისი სრული თანხმობით. კაცმა დაუწყო მას კოცნა, მან კი უპასუხა, კაცი უშედეგოდ ცდილობდა გაეხსნა ღილები ან მოეშვა ქამარი ჯინსებზე, რის შემდეგაც განმცხადებელმა ეს თვითონ გააკეთა და შარვალი გაიხადა.

20. როდესაც პ.-მ დაასრულა, მანქანიდან გადავიდა და გაემართა ა.-სკენ და ვ.ა.-სკენ. პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებაში ა.-მ თქვა, რომ პ.-მ მას უთხრა, რომ განმცხადებელი „გაჟიმა“. ცოტა ხნის შემდეგ, სამი კაცი დაბრუნდა მანქანაში და ჯგუფმა იქაურობა დატოვა.

21. გამოძიებლისათვის მიცემულ ჩვენებაში განმცხადებელმა თქვა, რომ მოგვიანებით მან იეჭვა, რომ სამმა კაცმა დაგეგმა მასთან სექსი და ცურვა მოიტანეს მიზეზად, რომ ყველანი მანქანით წასულიყვნენ მოშორებულ ადგილას. კერძოდ, მას არ ახსოვდა, რომ ა. და ვ. ა. იყვნენ სველები როდესაც მანქანასთან დაბრუნდნენ, თუმცა ისინი დაჟინებით ითხოვდნენ საცურაოდ წასვლას.

22. მოგვიანებით, განმცხადებელმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ პირველი გაუპატიურების შემდეგ, ის ძალიან შეწუხებული იყო და უმეტესად ტიროდა. მოგვიანებით დაკითხვისას, პ.-სა და ა.-ს მიერ გადმოცემული მოვლენების ვერსიის მიხედვით, განმცხადებელი კარგ ხასიათზე იყო, ა.-ს მოფერება დაუწყო (რამაც პ.-ს ვალიზიანება გამოიწვია) და სთხოვა მას, წასულიყვნენ ბარში ან რესტორანში. ჯგუფი რესტორანში წავიდა, სადაც განმცხადებელს ხანმოკლე საუბარი ჰქონდა ვინმე ქ-ნ ტ.-სთან, მომღერალთან, რომელიც იქ მღეროდა. ქ-ნი ტ. იჯდა მაგიდასთან ვინმე ბ-ნ მ.-სთან ერთად.

23. ქ-ნ ტ.-მ, მომღერალმა, განაცხადა რომ 1995 წლის 1 აგვისტოს იგი იმყოფებოდა რესტორანში ბ-ნ მ.-სთან ერთად. შუალამის შემდეგ, განმცხადებელი, რომელსაც ის შორიდან იცნობდა, მივიდა მასთან და ჰკითხა, გამართავდა თუ არა კონცერტს მისი გუნდი უახლოეს დღეებში. ქ-მა ტ.-მ გაიხსენა, რომ იმ მომენტში დაინახა კაცი, რომელიც კართან იცდიდა. თავის კითხვაზე პასუხის მოისმენის შემდეგ, განმცხადებელი წავიდა. ქ-მა ტ.-მ აღნიშნა, რომ განმცხადებელი მხიარულ განწყობაზე ჩანდა და მის ქცევაში არაფერი იყო უჩვეულო.

24. პოლიციამ ასევე დაკითხა ბ-ნი მ. მან განაცხადა რომ განმცხადებელს კარგად იცნობდა და არ ახსოვდა, რომ იმ ღამით იგი ნახა.

25. განმცხადებელმა გაასაჩივრა პ.-ს, ა.-ს, ვ.ა.-ს და ქ-ნი ტ.-ს ჩვენებები, და განაცხადა, რომ არანირ რესტორანში ვიზიტს ადგილი არ ჰქონია და ის არ იცნობდა ქ-ნი ტ.-ს. განმცხადებელმა და მისმა დედამ მოგვიანებით ქ-ნი ტ. ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულეს (იხილეთ ქვემოთ პუნქტები 66-68).

26. ქალაქ კ.-ში დაბრუნების ნაცვლად, დაახლოებით ღამის 3 საათზე, ჯგუფი წავიდა მეზობელ ქალაქში, სადაც ვ.ა.-ს ნათესავებს სახლი ჰქონდათ. ა., ვ.ა., და განმცხადებელი გადავიდნენ მანქანიდან. პ., მანქანის მფლობელი, თავისი მანქანით წავიდა.

27. სამივე კაცმა და მცხოვრებმა, ბ-მა ს.-მ., რომელიც მათ მიერ მოწმის სახით იყო მოწვეული, მოგვიანებით თქვეს, რომ სახლში მისვლამდე, ისინი ცოტა ხნით გაჩერდნენ ბ-ნი ს.-ს საცხობში. ბ-ნი ს.-ს, სავარაუდოდ, ჰქონდა სახლის გასაღები. დაკითხვისას, ბ-მა ს.-მ თქვა, რომ დაახლოებით ღამის 2 საათზე მან გასაღები მისცა ვ.ა.-ს და დაინახა განმცხადებელი, რომელიც იცდიდა მანქანაში, და მისი თქმით, ჩანდა, რომ კარგ ხასიათზე იყო. მანქანიდან ხმამაღალი მუსიკის ხმა ისმოდა. განმცხადებელმა უარყო, რომ საცხობში რაიმე ვიზიტს ჰქონდა ადგილი და მცხოვრები ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულა. პ.-მ, ა.-მ და ვ.ა.-მ თავიანთ ჩვენებებში განაცხადეს, რომ გადაწყვიტეს იმ სახლში წასვლა, რადგან განმცხადებელმა მათ უთხრა, რომ დედასთან იჩხუბა და არ უნდოდა სახლში მისვლა.

28. განმცხადებელმა პოლიციას განუცხადა, რომ თავს უმწეოდ გრძნობდა და საჭიროებდა დაცვას. რადგან ა. მისი კლასელის ძმა იყო, ის ასეთ დაცვას მისგან მოელოდა და გაჰყვა მას და ვ.ა.-ს ოთახში, სახლის პირველ სართულზე.

29. ოთახში ერთი საწოლი იყო და განმცხადებელი დაჯდა საწოლზე. ორმა კაცმა სიგარეტი მოწია და ცოტა ხანს ისაუბრა. შემდეგ ვ.ა. ოთახიდან გავიდა.

30. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ამ დროს ა. მას გვერდით მიუჯდა, დააწვინა ლოგინზე, გახადა და აიძულა მასთან სექსი. განმცხადებელს არ ჰქონდა ძალა, ღონივრად შეწინააღმდეგებოდა. ის ემუდარებოდა კაცს, გაჩერებულიყო. მოგვიანებით, თავის განცხადებაში მან აღნიშნა:

„მე ტირილი დავიწყე და ვეხვეწებოდი, გაჩერებულიყო. . . მან დამიწყო მკერდზე მოფერება და ყელზე წოვა... რაღაც მომენტში გამხადა ჯინსი და საცვალი, თავისი ფეხებით. შემდეგ გამიწია ფეხები თავისი ფეხებით და ძალით შეაღწია ჩემში. . . [როდესაც დაასრულა] მე დავიწყე ტირილი და ვტიროდი დილამდე, სანამ ჩამეძინებოდა. . . [ვ.ა.-მ] გამაღვიძა და მითხრა, რომ [ა.] წავიდა მანქანის მოსაძებნად, რომ წავყვავნე უკან ქალაქ კ.-ში. მე დავკეცი ლოგინზე და ტირილი დავიწყე“.

31. პოლიციასთან ა.-ს პოზიცია იყო, რომ მას ჰქონდა სექსი განმცხადებელთან მისი სრული თანხმობით.

32. მომდევნო დილას დაახლოებით დილის 7 საათზე, განმცხადებლის დედამ თავისი შვილი ვ.ა.-ს ნათესავების სახლში იპოვა. განმცხადებლის დედის თქმით, მას შემდეგ, რაც მეზობლებისგან გაიგო, რომ მისი შვილი წინა საღამოთი ა.-სთან ერთად დაინახეს, ის მიდიოდა ა.-ს სახლში, როდესაც ქუჩაში ვ.ა.-ს შეხვდა. ვ.ა., სავარაუდოდ, ცდილობდა, დაეხსია განმცხადებლის დედა, რომ მოეგო დრო და ა. გაეფრთხილებინა. თუმცა, ქალმა დაიჟინა.

33. გამოძიებისას, განმცხადებელმა და მისმა დედამ თავიანთ ჩვენებებში თქვეს, რომ განმცხადებელმა დედას მაშინვე უთხრა, რომ გააუპატიურეს. ა.-ც იქ იმყოფებოდა, რომელმაც განმცხადებლის დედას უთხრა, რომ „სატვირთო ავტომობილის მძღოლს“ ჰქონდა მის შვილთან წინა ღამით სექსი.

34. ა.-სეული მოვლენების განვითარების ვერსიის მიხედვით, განმცხადებელმა და მისმა დედამ იჩხუბეს, განმცხადებელი სავარაუდოდ უარს აცხადებდა, წაყოლოდა დედას და ეუბნებოდა მას, რომ თვითონ წასულიყო. მეზობელმა, რომელიც ა.-მ ან ვ.-მ მოწმედ დაასახელეს, აღნიშნა, რომ მან გაიგონა ჩხუბი, კერძოდ, გაიგონა, როგორ ეუბნებოდა განმცხადებელი თავის დედას უარს წაყოლაზე და ასევე როგორ ეუბნებოდა, რომ მას არაფერი მოსვლია. განმცხადებელმა მოწმე ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულა.

35. განმცხადებელი და მისი დედა პირდაპირ ადგილობრივ საავადმყოფოში წავიდნენ, სადაც ისინი გადაამისამართეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან. განმცხადებელი გასინჯეს დაახლოებით საღამოს 4 საათზე.

36. სამედიცინო ექსპერტმა ნახა, რომ საქალწულე აპკი ახალი დარღვეული იყო. მან ასევე აღნიშნა მსუბუქი ნაჭდევით განმცხადებლის ყელზე, ზომით 35 მმ 4 მმ-ზე და ოთხი მცირე ზომის ოვალური ფორმის სისხლჩაქცევა. როგორც სამედიცინო ცნობაში იყო აღნიშნული, განმცხადებელმა განაცხადა მხოლოდ ერთი გაუპატიურების შესახებ და თქვა, რომ ეს მოხდა წინა დღით, ღამის 10:30 საათიდან 11 საათამდე, რეგერვუართან.

37. განმცხადებელმა თქვა, რომ მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში, იგი უარს ამბობდა, ესაუბრა დედასთან ამ ინციდენტზე. მას არ აღუნიშნავს დეტალები და საერთოდ არ უხსენებია მეორე გაუპატიურება. მან ახსნა, რომ იგი ცხოვრობდა პატარა ქალაქის კონსერვატორულ გარემოში, სადაც ქალიშვილობა განიხილებოდა, როგორც უპირატესობა გათხოვებისათვის. მას რცხვენოდა იმ ფაქტის გამო, რომ „ვერ შეძლო საკუთარი ქალწულობის დაცვა“ და იმის, თუ „რას იტყოდა ამაზე ხალხი“.

38. ამ მოვლენების შემდეგ, 1995 წლის 1 აგვისტოს საღამოს, პ. განმცხადებლის ოჯახში მივიდა. განმცხადებელმა და მისმა დედამ განაცხადეს, რომ იმ საღამოს, პ. პატიებას ითხოვდა და ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს ცოლად მოიყვანდა,

როდესაც ის სრულწლოვანი გახდებოდა. განმცხადებლის დედამ ჩათვალა, რომ ამ წინადადების მიღება გონივრული იქნებოდა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. ამან იმოქმედა განმცხადებლის თავდაპირველ ქცევაზე, იგი დაეთანხმა დედის მოსაზრებას ზიანის მინიმუმამდე შემცირების შესახებ.

39. ერთ-ერთ მომდევნო საღამოს, განმცხადებელი პ.-სთან და მის მეგობრებთან ერთად გარეთ გავიდა.

40. ვ.ა. ამტკიცებდა, რომ ის პ.-ს ახლდა განმცხადებლის სახლში ვიზიტისას 1995 წლის 1 აგვისტოს საღამოს, ვ.ა.-მ და პ.-მ განაცხადეს, რომ განმცხადებლის დედამ მათ უთხრა, რომ „ყველა სიამოვნებას გადახდა უნდა“ და მათგან ფულის გამოძალვა სცადა.

41. პოლიციაში განცხადება გააკეთა ასევე პ.-ს ბებიამ. ის ამტკიცებდა, რომ დაუზუსტებელ დროს, განმცხადებლის დედამ იგი მონიხსულა და შეეცადა ფულის გამოძალვას.

42. აღნიშნულ ვიზიტთან და სხვა შესაბამის მოვლენებთან დაკავშირებით, ქ-მა დ.-მ, განმცხადებლის დედის მეზობელმა და მეგობარმა აღნიშნა, რომ განმცხადებლის დედა ძალიან შეწუხებული იყო მომხდარის გამო და დათანხმდა, რომ მის შვილს პ.-სთან ჰქონოდა ურთიერთობა, რადგან პ. ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი უყვარდა. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის დედამ მაინც გადაწყვიტა, დალაპარაკებოდა პ.-ს მშობლებს. დაუზუსტებელ დროს, ქ-ნი დ. და კიდევ ერთი მეზობელი მიუახლოვდნენ პ.-ს სახლს, მაგრამ მისმა ბებიამ უთხრა მათ, წასულიყვნენ და განაცხადა, რომ განმცხადებელი იწვა არა მხოლოდ პ.-სთან, არამედ ასევე ა.-სთან. ზუსტად ამ დროს, მოვიდა ა. ქ. დ.-მ ჰკითხა მას, ეს სიმართლე იყო თუ არა, რომ ის იწვა განმცხადებელთან. მან დაადასტურა, რომ ეს სიმართლე იყო და დასძინა, რომ მას ჰქონდა ფულიც და ძალაუფლებაც, რომ ის გაეკეთებინა, რაც მოესურვებოდა. მანამდე, განმცხადებლის დედამ არ იცოდა მეორე გაუპატიურების შესახებ.

43. განმცხადებლის გადმოცემით, ა.-ს მამის ვიზიტმა 1995 წლის 8 აგვისტოს მასზე ძალიან იმოქმედა, ამ ყველაფერს ვეღარ გაუძლო და დედას მეორე გაუპატიურების შესახებ უთხრა. 1995 წლის 10 აგვისტოს განმცხადებლის მამა დაბრუნდა სახლში რამდენიმე დღიანი არყოფნის შემდეგ. ოჯახმა განიხილა ეს საკითხი და სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. განმცხადებლის დედამ ეს გააკეთა 1995 წლის 11 აგვისტოს.

## **გამოძიება**

### **1. პოლიციის პირველი დაკითხვა**

44. 1995 წლის 11 აგვისტოს, განმცხადებელმა გააკეთა წერილობითი განცხადება 31 ივლისისა და 1 აგვისტოს მომხდარი მოვლენების შესახებ. იმავე დღეს, პ. და ა.

დააკავეს და მიაცემინეს წერილობითი ჩვენება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებელს მათთან სქესობრივი კავშირი თავისი ნებით ჰქონდა. ორივე კაცი გაათავისუფლეს. წერილობითი განცხადება გააკეთეს, ასევე, ვ. ა.-მ და პირმა, რომელიც ცხოვრობდა იმ სახლის გვერდით, სადაც სავარუდოდ, მეორე გაუპატიურების ფაქტი მოხდა. 1995 წლის 25 აგვისტოს, პოლიციის ოფიცერმა შეადგინა ანგარიში და გადაუგზავნა მასალა უფლებამოსილ პროკურორს.

45. 1995 წლის 14 ნოემბერს, რაიონულმა პროკურორმა დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე და საქმე გადასცა გამოძიებელს. ბრალი არავისთვის წაუყენებიათ.

46. საქმესთან დაკავშირებით, არანაირი ქმედება არ განხორციელებულა 1995 წლის ნოემბრიდან 1996 წლის ნოემბრამდე.

## **2. საქმისწარმოება პ.-სა და ა.-ს მიერ ცრუ ჩვენებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანის თაობაზე**

47. 1995 წლის 24 აგვისტოს პ.-მ და ა.-მ საჩივარი შეიტანეს რაიონულ პროკურატურაში და განაცხადეს, რომ განმცხადებელი და მისი დედა მათ ავიწროვებდნენ ყალბი საჯარო ბრალდებებით.

48. ამ საჩივრების საფუძველზე, 1995 წლის 28 აგვისტოს, რაიონულმა პროკურორმა გასცა ბრძანება პოლიციის მიერ საქმის გამოძიებაზე. 1995 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, დაკითხულ იქნა რამდენიმე ადამიანი და შედგა წერილობითი ჩვენებები.

49. 1995 წლის 25 ოქტომბერს, პოლიციის ოფიცერმა შეადგინა ანგარიში, რომელიც აშკარად აღიარებდა პ.-სა და ა.-ს მიერ გამოთქმულ ბრალდებებს და არ უკერებდა განმცხადებლისა და მისი დედის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ვერსიას.

50. 1995 წლის 7 ოქტომბერს საქმე გადაეცა რაიონულ პროკურატურას, რომელიც უფლებამოსილი იყო, გადაეწყვიტა, აღძრულიყო თუ არა სისხლის სამართლის საქმე განმცხადებლისა და მისი დედის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა და მასთან დაკავშირებით არანაირი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

## **3. განახლებული გამოძიება გაუპატიურების საქმეზე**

51. 1996 წლის 2 ნოემბრიდან და 9 დეკემბრამდე, გამოძიებელმა დაკითხა განმცხადებელი, მისი დედა და სხვა მოწმეები. პ. და ა. მოწმეების სახით დაკითხეს.

52. განმცხადებელმა დეტალურად აღწერა ფაქტები და გაიმეორა, რომ პ. მ.-მ მისი



წინააღმდეგობა დაძლია იმით, რომ დააწვა მას მანქანის სავარძელზე და ხელები გადაუკრინა, და რომ ამის შემდეგ განმცხადებელი იმყოფებოდა შოკურ მდგომარეობაში და ვერ შეძლო, შეწინააღმდეგებოდა ა.-ს.

53. თავის ჩვენებაში პ. ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი აქტიურად პასუხობდა მის მოქმედებებს. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი ესაუბრა ბ-ნ მ.-ს რესტორანში, სადაც მისი მტკიცებით, ისინი წავიდნენ მას შემდეგ, რაც სექსი ჰქონდათ.

54. ორივე, პ.-ც და ა.-ც inter alia აცხადებდნენ, რომ მალევე რეზერვუარის მახლობლად, პ.-სთან სექსის შემდეგ, განმცხადებელმა მანქანაში მოფერება დაუწყო ა.-ს.

55. 1996 წლის 18 დეკემბერს გამომძიებელმა საქმეზე მუშაობა დაასრულა. მან მოამზადა ანგარიში, რომლითაც დაადგინა, რომ პ.-სა და ა.-ს მიერ მუქარის ან ძალადობის გამოყენების მტკიცებულება არ არსებობდა და პროკურორის საქმის დახურვა შესთავაზა.

56. 1997 წლის 7 იანვარს, რაიონულმა პროკურორმა ბრძანება გასცა დამატებით გამოძიებაზე. ბრძანება აცხადებდა, რომ პირველი გამოძიება არ ყოფილა ობიექტური, საფუძვლიანი და სრული.

57. 1997 წლის 16 იანვარს გამომძიებელმა, რომელსაც გადაეცა საქმე, დანიშნა ფსიქიატრი და ფსიქოლოგი რამდენიმე კითხვაზე პასუხის მისაღებად. ექსპერტებმა სხვა კითხვებთან ერთად უპასუხეს კითხვას, თუ რამდენად სავარაუდო იყო, რომ განმცხადებელს მშვიდად ესაუბრა ქ-ნ ტ.-სთან, მომღერალთან რესტორანში, და შემდეგ ესმინა მუსიკისათვის მანქანაში, თუ ის სულ ახალახანს გააუპატიურეს და შესაძლებელი იყო თუ არა, რომ გაუპატიურებიდან რამდენიმე დღეში განმცხადებელი გასულიყო გარეთ იმ ადამიანთან ერთად, ვინც იგი გააუპატიურა.

58. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ განმცხადებლის გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის გათვალისწინებით, მას აშკარად არ უფიქრია, რომ მის მიმართ შეიძლებოდა სექსუალური ძალადობა განხორციელებულიყო. აღნიშნეს, რომ არაფერი მიანიშნებდა სავარაუდო მუქარას ან ძალადობაზე, ან შოკის მდგომარეობაზე ამ მოვლენების დროს, რადგან ის ამ მოვლენებს ცხადად იხსენებდა. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ამ მოვლენების დროს მას უცბად მოუზღვავდა შინაგანი კონფლიქტი ბუნებრივ სექსუალურ ინტერესსა და იმ შეგრძნებას შორის, რომ ეს ქმედება დაუშვებელი იყო, რამაც „შეასუსტა მისი შეწინააღმდეგებისა და საკუთარი თავის დაცვის უნარი“. მათ ასევე ჩათვალეს, რომ განმცხადებელი ფსიქოლოგიურად ჯანმრთელად იყო და ესმოდა ამ მოვლენების არსი. თუმცა, მისი ასაკიდან გამომდინარე, იმ დროს „მან ვერ შეძლო საკუთარ რწმენათა მყარი დაცვა“.

59. ექსპერტებმა ასევე დაასკვნეს, რომ თუ მართლაც იყო შეხვედრა

განმცხადებელსა და ქ-ნ ტ.-ს შორის რეზერვუართან მომხდარი მოვლენების შემდეგ - და ეს სადავო საკითხი იყო - მაინც შესაძლებელია, რომ განმცხადებელს ჰქონოდა მოკლე საუბარი ქ-ნ ტ.-სთან, მას შემდეგ რაც გააუპატიურეს. რაც შეეხება განმცხადებლის პ.-სთან ერთად გარეთ გასვლას მოვლენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ადვილად აიხსნება განმცხადებლის ოჯახის სურვილით, რომ ამ ინციდენტისათვის სოციალურად მისაღები მნიშვნელობა მიეცათ.

60. 1997 წლის 28 თებერვალს, გამოძიებელმა დაასრულა საქმეზე მუშაობა და შეადგინა ანგარიში, რომელშიც ისევ იყო შეთავაზება საქმის დახურვის თაობაზე. მან დაასკვნა, რომ ექსპერტთა აზრი არ ახდენდა გავლენას მის ადრინდელ დასკვნაზე იმის შესახებ, რომ საქმეში არ არსებობდა ძალის ან მუქარის გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულება.

61. 1997 წლის 17 მარტს, რაიონულმა პროკურორმა ბრძანება გასცა სისხლის სამართლებრივი გამოძიების დახურვაზე. მან დაადგინა, inter alia, რომ ძალის ან მუქარის გამოყენება არ დადასტურებულა გონივრულ ეჭვს მიღმა. კერძოდ, არ დადასტურებულა განმცხადებლის მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა ან სხვებისათვის დახმარების თხოვნის მცდელობა.

62. განმცხადებელმა შეიტანა შემდგომი საჩივრები რეგიონულ პროკურატურასა და მთავარ პროკურატურაში. საჩივრები არ დაკმაყოფილდა 1997 წლის 13 მაისისა და 24 ივნისის გადაწყვეტილებების საფუძველზე.

63. სხვა ფაქტებთან ერთად, პროკურორები დაეყრდნენ სავარაუდო მოძალადეებისა და ვ.ა.-ს ჩვენებებს, რომ განმცხადებელს არ უჩვენებია დისტრესის არანაირი ნიშანი მას შემდეგ, რაც პ.-სთან სექსი ჰქონდა რეზერვუარის მახლობლად, და სამივე კაცისა და ქ-ნი ტ.-ს მტკიცებულებას, რომ ამ უკანასკნელმა ნახა განმცხადებელი და ესაუბრა მას იმ ღამით. რაც შეეხება განმცხადებლის პროტესტს, რომ ეს ჩვენებები უნდა ყოფილიყო უარყოფილი, როგორც მცდარი, 1997 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება იუწყებოდა, რომ „პროკურორის გადაწყვეტილებები ვერ დაეფუძნება ვარაუდებს და მოწმეთა ჩვენებები ვერ იქნება უარყოფილი მხოლოდ ეჭვების საფუძველზე, სხვა მტკიცებულების გარეშე...“.

64. 1997 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში ასევე ეწერა:

„მართალია, რომ როგორც სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტების ანგარიშიდან ჩანს, განმცხადებლის ახალგაზრდა ასაკი და მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობა ნიშნავდა იმას, რომ მან ვერ შეძლო საკუთარი რწმენების მტკიცედ დაცვა, კერძოდ, ვერ შეძლო მყარად გამოეხატა, რომ არ სურდა სქესობრივ კავშირში შესვლა. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლის 1, (2) და 3 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება ვერ იარსებებს, თუ განმცხადებელი არ აიძულეს, დაემყარებინა სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალის ან მუქარის გამოყენებით. ეს გულისხმობს შეწინააღმდეგებას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეწინააღმდეგების მტკიცებულება არ

არსებობს. პ. და ა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემოდნენ მხოლოდ მაშინ, თუ მათ ესმოდათ, რომ ჰქონდათ სქესობრივი კავშირი განმცხადებელთან მისი თანხმობის გარეშე და თუ გამოიყენეს ძალა ან მუქარა სწორედ სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, განმცხადებლის თანხმობის გარეშე. არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ განმცხადებელმა გამოხატა, რომ არ სურდა სქესობრივი კავშირი და პ.-მ და ა.-მ გამოიყენეს ძალა ან მუქარა.“

გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნული იყო განმცხადებლის ასხნა, რომ მის ყელზე სისხლჩაქცევების არსებობა გამოწვეული იყო წოვით.

65. 1997 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება იმეორებდა ამ დასკვნებს, თუმცა აღნიშნავდა, რომ ქ-ნი ტ.-ს, რესტორანში მყოფი მომღერლის ჩვენებები არ იყო გადამწყვეტი. გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია:

„ამ საქმეში გადამწყვეტი არის ის, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გამოიყენეს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალა, და რომ სქესობრივ კავშირს ადგილი ჰქონდა მისი თანხმობის გარეშე და მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა. არ არის ფიზიკური ძალის კვალი, როგორცაა სისხლჩაქცევები, გახეული ტანსაცმელი და სხვა...“

მართალია, უჩვეულოა, რომ გოგონას, რომელიც არასრულწლოვანი და ქალიშვილია, ჰქონდეს სქესობრივი კავშირი ორჯერ დროის მოკლე პერიოდში ორ სხვადასხვა ადამიანთან, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტი არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს, სხვა მტკიცებულებების არარსებობისას და იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულების მოპოვება.“

#### **4. სხვა პროცესები**

66. 1997 წლის ივნისში ან ივლისში განმცხადებელმა და მისმა დედამ მოითხოვეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ქ-ნი ტ.-სა და სხვა მოწმეების წინააღმდეგ, ვ. ა.-ს ჩათვლით; ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ ცრუ ჩვენება მისცეს, რადგან მათი განცხადებები განმცხადებლის გაუპატიურების ფაქტზე გამოძიებასთან დაკავშირებით იყო ყალბი.

67. 1997 წლის 14 ივლისს, რაიონული პროკურატურის იმავე პროკურორმა, რომელმაც გასცა ბრძანება გაუპატიურების ფაქტზე გამოძიების დახურვის თაობაზე, უარყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ ეს იყო არა მხოლოდ უსაფუძვლო, არამედ უფლების ბოროტად გამოყენებაც კი, რადგან ყველა ფაქტი დადგინდა წინა საქმის წარმოებაში.

68. განმცხადებლის მომდევნო საჩივარი არ დაკმაყოფილდა 1998 წლის 6 თებერვალს რეგიონული პროკურატურის მიერ.

## განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა

69. 2001 წლის ივნისში განმცხადებელმა შეიტანა ორი ბულგარელი ექსპერტის – ექიმ სვეტლოზარ ვასილევის, ფსიქიატრისა და ბ-ნი ვალერი ივანოვის, ფსიქოლოგის წერილობითი დასკვნა, რომლებსაც განმცხადებლის ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა.

70. რამდენიმე ქვეყნის სამეცნიერო პუბლიკაციებზე მითითებით, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ცნობილი იყო გაუპატიურების მსხვერპლთა პასუხის ორი პატერნი მოძალადის მიმართ: ძლიერი ფიზიკური შეწინააღმდეგება და „შიშით გაყინვა“ (ასევე ცნობილი როგორც „ტრავმული ფსიქოლოგიური ინფანტილიზმის სინდრომი“). ეს უკანასკნელი აიხსნებოდა იმ ფაქტით, რომ ქცევის ნებისმიერ გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელი იყო არაადეკვატური, როდესაც მსხვერპლი აღმოჩნდა გაუპატიურების გარდაუვალობის წინაშე. ამის შედეგად, მსხვერპლი, თავზარდაცემული, ხშირად იყენებდა დანებების პასიური-პასუხის მოდელს, რომელიც დამახასიათებელია ბავშვობისათვის, ან ეძიებდა ფსიქოლოგიურ დისოციაციას მოვლენისაგან, თითქოს ეს მის თავს არ ხდებოდა.

71. ექსპერტების განცხადებით, ყველა მათ მიერ შესწავლილი მეცნიერული პუბლიკაცია მიუთითებდა, რომ მსხვერპლებში პასუხის „შიშით გაყინვა“ პატერნი ჭარბობდა. აგრეთვე, მათ თვითონ ჩაატარეს კვლევა ამ საქმისათვის წერილობითი დასკვნის შემუშავების მიზნით. ექსპერტებმა გააანალიზეს 14-დან 20 წლამდე ახალგაზრდა ქალების ყველა საქმე, რომლებმაც მიმართეს ორ სპეციალიზებულ სამკურნალო პროგრამას ძალადობის იმ მსხვერპლთათვის ბულგარეთში, 1996 წლიდან 2001 წლამდე პერიოდში, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გააუპატიურეს. განმცხადებლის საქმისაგან რადიკალურად განსხვავებული საქმეები კვლევიდან გამოიციხეს. შედეგად, იდენტიფიცირდა 25 საქმე, რომელთაგანაც 24 შემთხვევაში, მსხვერპლს არ გაუწევია ძლიერი წინააღმდეგობა, არამედ ირეაგირა პასიური მორჩილებით.

## II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონი და პრაქტიკა

72. სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სქესობრივი კავშირი 14 წლამდე პირთან არის დანაშაული, რომელიც ისჯება კანონით (კანონით დადგენილი გაუპატიურება). ასეთ შემთხვევებში, თანხმობა არ არის ქმედითი დაცვა.

73. თანხმობა, ასევე, არარელევანტურია, როდესაც მსხვერპლი 14 წელს გადაცილებულია, მაგრამ „მან ვერ გაიგო მოვლენის არსი და მნიშვნელობა“ (კოდექსის მუხლი 151, პუნქტი 2). ეს დებულება გამოყენებულია იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლმა ვერ გაიგო მოვლენების მნიშვნელობა ფსიქიკური აშლილობის გამო (იხილეთ 1973 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება N 568, საქმის N 540/73, უზენაესი სასამართლო-1).

74. სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლის 1 პუნქტი გაუპატიურებას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

„სქესობრივი კავშირი ქალთან,

- (1) რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა, როდესაც მას თანხმობა არ მიუცია;
- (2) რომელიც აიძულებს ძალის ან მუქარის გამოყენებით;
- (3) რომელიც მიყვანილი იქნა უმწეობის მდგომარეობამდე მოძალადის მიერ.“

75. მიუხედავად იმისა, რომ თანხმობის არარსებობა ცხადად არის აღნიშნული მხოლოდ პირველ ქვეპუნქტში, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს ელემენტი არსებითი მთლიანი დებულებისათვის (იხ. გადაწყვეტილება 568, ციტირებული ზემოთ)

76. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 152 მუხლის 1 პუნქტის სამი ქვეპუნქტი შეიძლება მხოლოდ გამოყენებული იქნას ალტერნატიულად, თითოეული მათგანი ეხება ცალკეულ ფაქტობრივ სიტუაციას. უზენაეს სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ ზოგადი მითითებები ორ ან სამივე ქვეპუნქტზე დაუშვებელია (იხ. 1974 წლის 24 აპრილის, გადაწყვეტილება N247, საქმის N 201/74, უზენაესი სასამართლო - I; 1992 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება N 59, საქმის N 288/90, უზენაესი სასამართლო, და მრავალი სხვა).

77. შესაბამისად, ბრალდებულის დამნაშვედ ცნობა გაუპატიურებაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდება, რომ მას ჰქონდა სქესობრივი კავშირი ქალთან სამი ქვეპუნქტიდან ერთ-ერთი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებაში.

78. პირველი და მესამე ქვეპუნქტები ეხება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში სქესობრივი კავშირის დროს. მესამე ქვეპუნქტი ეხება შემთხვევებს, როდესაც მოძალადემ მსხვერპლი ჩააყენა უმწეო მდგომარეობაში, სანამ გააპატიურებდა, მაშინ, როდესაც პირველი ქვეპუნქტი ეხება შემთხვევებს, როდესაც კაცმა ისარგებლა მსხვერპლის იმჟამინდელი უმწეო მდგომარეობით.

79. სასამართლოებს დადგენილი აქვთ, რომ მსხვერპლი იმყოფება უმწეო მდგომარეობაში („რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა“ ან „მიყვანილია უმწეობის მდგომარეობამდე“) მხოლოდ იმ გარემოებებში, როდესაც მას არ აქვს ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის უნარი საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობის, ხანდაზმული ასაკის, ან დაავადების გამო (იხ. 1983 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება N 484, საქმის N 490/83) ან ალკოჰოლის, მედიკამენტების, ან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო (იხ. 1977

წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 126, საქმის N 69/77, უზენაესი სასამართლო – II).

80. მეორე ქვეპუნქტი არის დებულება, რომელიც გამოიყენება სავარაუდო გაუპატიურების ყველა სხვა შემთხვევაში. ამგვარად, იქ, სადაც არანაირი განსაკუთრებული გარემოება არ არის აღნიშნული, როგორცაა მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა, გამოიძება სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე კონცენტრირდება იმის დადგენაზე, აიძულებს თუ არა მსხვერპლს სქესობრივი კავშირის დამყარება ძალის ან მუქარის გამოყენებით.

81. დამკვიდრებულ პრაქტიკაში და სამართლებრივ თეორიაში არსებობს ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ გაუპატიურება სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლის 1 პუნქტის მეორე ქვეპუნქტის მიხედვით, ე.წ. „ორეტაპიანი“ დანაშაულია – ივლისხმება, რომ მოძალადე პირველ რიგში იწყებს ძალის ან მუქარის გამოყენებას და შემდეგ შეაღწევს მსხვერპლში.

82. არსებულ საქმეში, მხარეებმა წარადგინეს თავიანთი შეხედულებები შემდეგი სიტყვების მნიშვნელობაზე – „ძალისა და მუქარის გამოყენება“, და პრაქტიკაში მათ ინტერპრეტაციაზე (იხ. პუნქტები 113, 122, 123 ქვემოთ).

83. უზენაეს სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ თანხმობის არარსებობაზე დასკვნა უნდა გაკეთდეს იმ ფაქტის საფუძველზე, რომ 152 მუხლის 1-ლი პუნქტის სამი ქვეპუნქტიდან ერთ-ერთი ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიტუაცია დადგენილია ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობიდან გამომდინარე, ან იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ადგილი ჰქონდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალის გამოყენებას (იხილეთ გადაწყვეტილება N 568, ციტირებული ზემოთ).

84. ერთ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ დადგინა, რომ „ძალა“ არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მხოლოდ პირდაპირი ძალადობა, არამედ ასევე შესაძლებელია, გულისხმობდეს მსხვერპლის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელშიც მან ვერ დაინახა ვერანაირი სხვა გამოსავალი, გარდა მოძალადისადმი მორჩილებისა საკუთარი ნების წინააღმდეგ (იხ. 1973 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება N 520, საქმე N 414/73). იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მოძალადე თავისი ქცევით მსხვერპლთან ახლო ურთიერთობის სურვილს გამოხატავდა ორი-სამი დღის განმავლობაში (დაჰყვებოდა მას, ცდილობდა, ხელი მოეკიდა და ეკოცნა); ამის შემდეგ იგი შევიდა ოთახში, ჩაკეტა კარი და უთხრა ქალს, რომ გაეხადა. ქალმა უარი უთხრა, რის შემდეგაც კაცმა სცადა ქალის ფეხების გაწევა. როდესაც გაიანზრა, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა, მსხვერპლმა ფანჯარა გააღო და გადახტა, რამაც მისი სხეულის მძიმე დაზიანება გამოიწვია. მოძალადე გაასამართლეს გაუპატიურების მცდელობისთვის, რის შედეგადაც მსხვერპლმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

85. იურიდიულ კომენტატორებს არ გაუკეთებიათ დეტალური კომენტარი იმ სიტუაციებზე, რომლებშიც ძალის ან მუქარის გზით იძულება შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად. მათ აშკარად მიიჩნიეს, რომ ეს სასამართლო ინტერპრეტაციის

საკითხი იყო (ალ. სტილინოვი, Наказателно право, Особена част, 1997; ა. გირგინოვი, Наказателно право, Особена част, 2002). ერთ-ერთმა კომენტატორმა განაცხადა, რომ გაუპატიურების არსებითი მახასიათებელია მსხვერპლის თანხმობის არარსებობა, და რომ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სამი ქვეპუნქტი აღწერს თანხმობის არარსებობის სხვადასხვა სიტუაციებს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ წინა საუკუნეებში მსხვერპლის მხრიდან მათსიმაღური წინააღმდეგობა სავალდებულო იყო, და რომ ეს შეხედულება ახლა მოძველებულია. პრაქტიკაზე მითითების გარეშე, მას მიაჩნია, რომ რაც ახლა საჭიროა, სხვა არაფერია, თუ არა წინააღმდეგობა, რომელიც აღმოფხვრის ყოველგვარ ეჭვს მსხვერპლის თანხმობის არარსებობის შესახებ (ნ. ანტოვი, Проблеми на изнасилването, 2003).

86. სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, გაუპატიურება, რომელიც ჩადენილია კაცის მიერ ქალის წინააღმდეგ, ისჯება ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იმ დროს (როდესაც ეს ფაქტი მოხდა), კოდექსის 157 მუხლის 1 პუნქტი ითვალისწინებდა ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ძალის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევაში იმავე სქესის ადამიანთან. 2002 წელს, ამ უკანასკნელი დებულებით გათვალისწინებული სასჯელი გაუთანაბრდა სასჯელს, რომელიც, გაუპატიურების შემთხვევებში, 152 მუხლის 1 პუნქტითაა გათვალისწინებული და ახლა ის ითვალისწინებს ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

87. იმ დროს, სქესობრივ კავშირზე თანხმობის ასაკი იმავე სქესის ადამიანთან განისაზღვრებოდა 16 წლით (კოდექსის 157-ე მუხლის 2 პუნქტი), 2002 წელს კი შემცირდა 14 წლამდე.

## კანონმდებლობა

### I. კონვენციის მე-3, მე-8, და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევები

109. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ბულგარეთის კანონი და პრაქტიკა არ უზრუნველყოფდა ეფექტურ დაცვას გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობისაგან, რადგან მხოლოდ იმ საქმეების გამოძიება ხდებოდა, სადაც მსხვერპლი აქტიურ შეწინააღმდეგებას ავლენდა, და რომ სახელმწიფოს 31 ივლისისა და 1 აგვისტოს მოვლენები ეფექტურად არ გამოუძიებია. მისი აზრით, ზემოაღნიშნული უტოლდებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას, დაიცვას ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობა და პირადი ცხოვრება და მიიღოს ეფექტური ზომები.

### 1. განმცხადებელი

111. განმცხადებელს მიაჩნდა, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა გაუპატიურების შემთხვევებში უნდა ადგენდეს სქესობრივ კავშირზე თანხმობის

არსებობას ან არარსებობას ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით. მისი აზრით, სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკა, რომელიც მსხვერპლისაგან მოითხოვდა ფიზიკური შეწინააღმდეგების მტკიცებას, გაუპატიურების ზოგიერთ შემთხვევას დაუსჯელს ტოვებდა და არაადეკვატური იყო.

112. განმცხადებელი ეყრდნობოდა მის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა დასკვნას (რომელიც ხაზს უსვამდა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი ბავშვების ან სხვა ახალგაზრდების უმრავლესობა ავლენდა პანიკის პასიურ ფსიქოლოგიურ რეაქციას - იხ. პუნქტები 69-71), და აგრეთვე, გაუპატიურების დანაშაულის ელემენტებთან მიმართებაში ახალ განვითარებას საერთაშორისო და შედარებით სამართალში.

113. შემდეგ განმცხადებელმა გააანალიზა ბულგარეთის კანონი და პრაქტიკა გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში. მან შემდეგი განცხადებები გააკეთა:

(I) ბულგარეთის საგამოძიებო და დევნის ორგანოების პრაქტიკის მიხედვით, გაუპატიურების სისხლის სამართლებრივი დევნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებისა და ფიზიკური შეწინააღმდეგების მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში. ამგვარი სამხილების არარსებობისას შემთხვევაში კი, სქესობრივი კავშირი თანხმობით განხორციელებულად ითვლებოდა.

(II) ზემოაღნიშნული განაცხადის პირდაპირი გამყარება შეუძლებელი იყო პრაქტიკის შესწავლით, რადგან გამოძიებულებისა და პროკურორების გადაწყვეტილებები არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი; მათზე წვდომა შესაძლებელი იყო მხოლოდ შესაბამისი საქმის მასალებში და არ არსებობდა დახარისხების, ანგარიშგებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც გამოდგებოდა კვლევის საფუძვლად. აგრეთვე, სადავო პრაქტიკა ეფუძნებოდა არა წერილობით ინსტრუქციებს, არამედ - ინსტიტუციურ ტრადიციასა და კულტურას.

(III) დევნის განმახორციელებელი ორგანოების ამ პოლიტიკის გამო - ბრალის არწაყენება ფიზიკური ძალისა და შეწინააღმდეგების მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, საკითხი უშუალოდ სასამართლოების მიერ არ განხილულა.

(IV) მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი საკასაციო სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების ზოგადი მიმოხილვა (ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები არ იყო გამოქვეყნებული) მაინც იძლეოდა არაპირდაპირ მინიშნებას, თუ რა ტიპის საქმეებს გადასცემდა სასამართლოს დევნის განმახორციელებელი ორგანო. განმცხადებელმა მოიძია გაუპატიურების საქმეებზე ყველა გამოქვეყნებული გადაწყვეტილება და წარმოადგინა იმ 21 გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მისმა ადვოკატმა რელევანტურად მიიჩნია.



(V) თითქმის ყველა რეგისტრირებული შემთხვევა ეხებოდა გაუპატიურებას, რომელსაც თან ახლდა გარკვეული ფიზიკური ძალის გამოყენება და/ან მუქარა. ეს შემთხვევები, როგორც წესი, მოიცავდა შემდეგ ძალადობრივ აქტებს: მსხვერპლის მანქანიდან სახლამდე გადათრევა და ჩაკეტვა; ტანსაცმლის დახვევა და მსხვერპლის ცემა; მსხვერპლის თავში მუშტის დარტყმა და წიხლებით ცემა; მსხვერპლის დახრჩობა; ტვინის შერყევისა და ცხვირის მოტეხილობის გამოწვევა, ან ისეთი ცემა, რაც იწვევს ძლიერ სისხლდენას. რამდენიმე შემთხვევაში, მსხვერპლს ემუქრებოდნენ ძალადობით ან სხვა შედეგებით. ამ დანაშაულების შედეგად, სამ შემთხვევაში მსხვერპლმა ჩაიდინა ან სცადა თვითმკვლელობა.

(VI) კვლევამ წარმოადგინა მხოლოდ ორი შემთხვევა, რომელშიც კონტექსტისადმი უფრო მეტად სენსიტიური მიდგომა შეინიშნებოდა. ერთ შემთხვევაში, ფლირტის მცდელობის შემდეგ, მასწავლებელმა საკუთარი მოსწავლე აიძულა, განმეორებით დაემყარებინა მასთან სექსობრივი კავშირი, ემუქრებოდა რა სკოლაში უარყოფითი შედეგებით და ძალადობით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურების განმეორებით ქმედებებს მუქარის გამოყენებით და აღიარა, რომ მსხვერპლი თანდათან ფსიქოლოგიურად დამოკიდებული გახდა მოძალადეზე. მეორე შემთხვევაში, 14 წლის გოგონა, რომელსაც ჰქონდა ეპილეფსია და გონებრივი ჩამორჩენილობა, ოჯახის ნაცნობმა გააუპატიურა; სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ გოგონამ სუსტი წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეს (ის ცდილობდა წამოდგომას მოძალადის მიერ იატაკზე დაგდების შემდეგ), მაგრამ დაასკვნეს, რომ „წინააღმდეგობის დონე“, გოგონას ასაკისა და ჯანმრთელობის კონტექსტის გათვალისწინებით, "საკმარისი იყო სექსის სურვილის არქონის საჩვენებლად".

114. განმცხადებელმა წარადგინა სექსობრივი ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე ბულგარელი ფსიქოთერაპევტის წერილის ასლი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი გამოცდილებით, დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ბრალის წაყენება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც თავდამსხმელი მსხვერპლისთვის უცნობი ადამიანი იყო, სადაც იყო სერიოზული დაზიანებები, ან სადაც იყვნენ მოწმეები. განმცხადებლის აზრით, ეს ადასტურებდა მის სახელმწიფოსადმი წარდგენილ ბრალდებას, რომ პრაქტიკაში უპირატესი ტენდენცია იყო ფიზიკური წინააღმდეგობის ვერდამტკიცების შემთხვევების თანხმობად მიჩნევა.

115. მან ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფომ სექსობრივ აქტზე თანხმობის ასაკად დააწესა 14 წელი და ამავე დროს, გაუპატიურების დევნა შეზღუდა მსხვერპლის მიერ ძლიერი წინააღმდეგობის შემთხვევებით; ამით, სახელმწიფომ არასაკმარისად დაიცვა ბავშვები გაუპატიურებისაგან.

116. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის საქმეში პროკურორებმა ზედმეტი აქცენტი გააკეთეს ფიზიკური ძალადობის არარსებობაზე და არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ 14 წლის ასაკში მას არასდროს მიუღია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად, განსაკუთრებით – მცირე დროში. პროკურორებმა არ გაითვალისწინეს, რომ შეუძლებელი იყო, 14 წლის გოგონა, რომელსაც არასდროს ჰქონია სქესობრივი კავშირი, ზედიზედ ორ მამაკაცთან სქესობრივ აქტს დათანხმებოდა.

117. გარდა ამისა, გამოძიება არ იყო საფუძვლიანი და სრულყოფილი. გადაწყვეტი საკითხი, – იმ ღამეს სამი კაცისა და განმცხადებლის გადაადგილების ზუსტი დროის განსაზღვრა, რომელსაც შეიძლება, ეჩვენებინა, რომ რეზერვუართან გაუპატიურების შემდეგ რესტორანში ვიზიტს ადგილი არ ჰქონია – არ ყოფილა გამოძიებული. მტკიცებულებებში არსებული წინააღმდეგობები უგულებელყოფილი იყო. პატრული, რომელმაც ჯგუფი გააჩერა რეზერვუარისაკენ მიმავალ გზაზე, არ ყოფილა იდენტიფიცირებული. გამოძიებელმა დაუჯერა სავარაუდო დამნაშავეებსა და მათ მიერ დასახელებული მოწმეების ჩვენებებს და, ამავე დროს, არ დაუჯერა ან უგულებელყო სხვა მოწმეების ჩვენებები და განმცხადებლის მონათხრობი იმ დღეს განვითარებული მოვლენების შესახებ.

118. განმცხადებლის აზრით, ყველა შესაბამისი ფაქტის კონტექსტის გათვალისწინებით, მის მკაფიო და თანმიმდევრულ ჩვენებას იმის შესახებ, რომ იგი ევედრებოდა პ.-ს, გაჩერებულიყო და უკან სწევდა მას, სანამ ხელებს გადაუგრებდნენ, აგრეთვე, მის მიერ აღწერილ დისტრესს, რომელსაც განიცდიდა, და მის მიერ გაწეულ წინააღმდეგობას, – გონივრულს იმ გარემოებებში, – უნდა მოჰყოლოდა დამნაშავეთა საბრალდებო განაჩენი, თუ გამოყენებული იქნებოდა „გაუპატიურების“ სწორი ინტერპრეტაცია, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლების მიხედვით.

## 2. სახელმწიფო

119. სახელმწიფომ განაცხადა, რომ გამოძიება იყო საფუძვლიანი და ეფექტიანი. გადაიდგა ყველა შესაძლო ნაბიჯი: დაიკითხა ჩვიდმეტი პირი, ზოგიერთი მათგანი არაერთხელ, მოხდა ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის ექსპერტთა დანიშვნა და გამოკვლევულ იქნა საქმის ყველა ასპექტი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ჩათვალა, რომ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების დასკვნა იმის შესახებ, რომ პ. და ა. მოქმედებდნენ განმცხადებლის თანხმობით, დასაბუთებული იყო. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოები დაეყრდნენ ყველა მტკიცებულებას 1995 წლის 31 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მათ შორის – ინფორმაციას განმცხადებლის ქცევის შესახებ. გარდა ამისა, განმცხადებელი გარეთ გავიდა პ.-სთან ერთად მოვლენების შემდეგ და არსებობდა მოწმეების ბრალდებები, რომ მისი დედა ცდილობდა ფულის გამოძალვას პ.-სა და ა.-სგან, გაუპატიურების ბრალდებების მოხსნის სანაცვლოდ.

120. აქედან გამომდინარე, მთავრობის მტკიცებით, საქმის ფაქტები არ ეხებოდა პირის ხელშეუხებლობის დაცვის საკითხს ან არასათანადო მოპყრობას. შესაბამისად, კონვენციის მე-3 ან მე-8 მუხლებით, არანაირი დადებითი ვალდებულება არ წარმოშობილა.

121. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, გაუპატიურების საქმეებთან დაკავშირებული ბულგარეთის კანონი და პრაქტიკა და მათი გამოყენება წინამდებარე საქმეში არ არღვევდა რაიმე პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც კონვენციის მიხედვით შეიძლებოდა, წარმოშობილიყო.

122. დასაშვებობის ეტაპზე, თავდაპირველ განცხადებებში შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის აღწერით, სახელმწიფომ განაცხადა, რომ გაუპატიურების საქმეში ფიზიკური წინააღმდეგობის დადასტურება სავალდებულო იყო და უფრო მეტიც, „საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის საფრანგეთში“, გაუპატიურება შესაძლებელი იყო მხოლოდ უცნობ პირებს შორის, მაშინ, როდესაც ამ შემთხვევაში, განმცხადებელი იცნობდა სავარაუდო მოძალადეებს.

123. საქმის გარემოებების წარდგენისას, სახელმწიფომ შეასწორა თავისი ადრინდელი განცხადებები და განაცხადა, რომ ბულგარეთის კანონმდებლობით, თანხმობის არარსებობა გაუპატიურების არსებითი ელემენტი იყო. თანხმობის არარსებობის მტკიცებულება მოიპოვებოდა იმ საშუალებების საფუძველზე, რომელიც აჩვენებდა, რომ მსხვერპლი იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში, ან მოძალადის მიერ იყო მიყვანილი ასეთ მდგომარეობამდე, ან არსებობდა მოძალადის მხრიდან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მტკიცებულება. სახელმწიფომ წარადგინა უზენაესი სასამართლოს რამდენიმე შესაბამისი გადაწყვეტილების ასლი. მას არ გაუპროტესტებია განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული ბულგარული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის სანდოობა.

124. სახელმწიფოს მტკიცებით, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიების შემდეგ, განმცხადებლის საქმეში სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს, რომ გაუპატიურება იყო ჩადენილი, რადგან არ დაკმაყოფილდა აუცილებელი მტკიცების სტანდარტი სისხლის სამართლის საქმეზე. მეორე მხრივ, განმცხადებელს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის შეტანა ზიანის ანაზღაურების მიზნით სავარაუდო დამნაშავეების წინააღმდეგ. მას მოეთხოვებოდა, დაემტკიცებინა დამნაშავეთა ქმედების უკანონობა, განზრახვის (*mens rea*) მტკიცება კი არ იქნებოდა საჭირო.

125. და ბოლოს, სახელმწიფომ განაცხადა, რომ განმცხადებლის განკარგულებაში იყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო დაცვის საშუალებები, როგორც ამას მოითხოვდა კონვენციის მე-13 მუხლი.

### 3. „ინტერაითსის“ (უფლებადამცველი ორგანიზაციის) მიერ შეტანილი წარდგინება

#### (ა) ზოგადი წარდგინებები

126. მესამე მხარემ განაცხადა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაუპატიურების ტრადიციულმა განმარტებამ განიცადა ცვლილება სამოქალაქო და საერთო სამართლის იურისდიქციებსა და საერთაშორისო სამართალში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დანაშაულის ბუნებისა და მსხვერპლის მიერ მისი განცდის გაგება სიღრმისეულად იქნა გადააზრებული. კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნები, ხშირად ფიზიკურად არ უწევდნენ წინააღმდეგობას გაუპატიურებას იმის გამო, რომ ან ფიზიკურად არ შეეძლოთ ამის გაკეთება მაპარალიზებული შიშის გამო, ან იმიტომ, რომ ცდილობდნენ, თავი დაეცვათ მათ წინააღმდეგ მიმართული მზარდი ძალის გამოყენებისაგან.

127. ინტერაითსმა განაცხადა, რომ გაუპატიურების შესახებ კანონის რეფორმა ასახავდა „ისტორიული მიდგომიდან“ „თანასწორობის მიდგომაზე“ გადასვლას თანხმობის საკითხთან დაკავშირებით. გაუპატიურება იყო დანაშაული ქალების ავტონომიის წინააღმდეგ და მისი არსებითი ელემენტი თანხმობის არარსებობაა. გაუპატიურების კანონმდებლობის რეფორმების მთავარი ამოცანა იყო იმის ასხნა, რომ თანხმობის არარსებობის დასამტკიცებლად, საჭირო არაა, დამტკიცდეს, რომ მოძალადემ შეძლო მსხვერპლის ფიზიკური წინააღმდეგობის დაძლევა.

128. ეს ტენდენცია აისახა საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში. კერძოდ, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალებმა რუნდასა და ყოფილ იუგოსლავიაში სექსუალური ხასიათის შეღწევა დაახასიათა, როგორც გაუპატიურება „გარემოში, რომელიც არის იძულებითი“, ან რომელიც ჩადენილია „იძულების, ძალის ან ძალის მუქარის გზით“. ეს მიდგომა ასევე იქნა მიღებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში და რეგლამენტში.

#### (ბ) წარდგინებები რამდენიმე ქვეყნის სამართალზე

129. ინტერაითსმა წარმოადგინა ანგარიშების ასლები რამდენიმე ევროპული და არაევროპული ქვეყნის შესაბამისი კანონის შესახებ, რომლებიც მომზადებული იყო მეცნიერი იურისტების, პროფესიონალების და მკვლევარების მიერ. მასში შემავალი ინფორმაცია და შეფასებები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს.

#### (i) ბელგია

130. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი (1989 წელს შესწორებული), გთავაზობს იმ სიტუაციების ჩამონათვალს, სადაც თანხმობა არ იგულისხმება, რათა 1989 წლამდე დათარიღებული სასამართლო პრაქტიკა შეენარჩუნებინა. სიტუაციების ჩამონათვალი არ ითვლება ამომწურავად, თუმცა ერთი კომენტატორი საპირისპირო აზრზეა.

131. ისტორიულად, გაუპატიურების დასამტკიცებლად, საჭირო იყო საკმარისად სერიოზული და ფიზიკურად ძალადობრივი ქმედებების მტკიცებულების არსებობა, მსხვერპლის ფსიქოლოგიური გატეხვის, მისი პარალიზების, ან მისი წინააღმდეგობის მოსპობის მიზნით. 1989 წლის შესწორებებმა ჩაანაცვლა ცნება „სერიოზული მუქარა“ (რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში 1867 წლიდან არსებობდა) უფრო ფართო ცნებით „იძულება“, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევის შიშს, არამედ – ნებისმიერ სხვა ზოგად შიშს.

132. დღეისათვის, ბრალდების მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს სექსუალური ხასიათის შეღწევა და თანხმობის არარსებობა. გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი ელემენტი, რომელიც შეიძლება, მიუთითებდეს თანხმობის არარსებობაზე, მაგრამ ბრალდების მხარე ძირითადად შეეცდება, დაამტკიცოს 375-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული „თანხმობის გამაბათილებელი (nullifying)“ სულ მცირე ერთი ფაქტორის არსებობა, კერძოდ, ძალადობა, იძულება, მომატყუებელი ხრიკი ან შეზღუდული შესაძლებლობა.

133. თანხმობის არარსებობა მტკიცდება, როდესაც არსებობს ფიზიკური წინააღმდეგობის დამადასტურებელი საშუალება. თუმცა, მაშინაც კი, თუ არ არსებობს ფიზიკური ძალადობის ან ფიზიკური წინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულება, იძულების არსებობის მტკიცებულებაც საკმარისია. ჰქონდა თუ არა ადგილი იძულებას, ეს საკითხი უნდა შეფასდეს მსხვერპლის შესაძლებლობების გათვალისწინებით (მისი ასაკი, რეალური მდგომარეობა მოვლენების მიმდინარეობის მომენტში).

134. თანხმობის ასაკი განსხვავებულია, ერთი მხრივ, ნებისმიერი სახის სექსუალური ხასიათის ქმედებისა (კანონით აკრძალული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება) და, მეორეს მხრივ, სექსუალური ხასიათის შეღწევის (სქესობრივი კავშირი თანხმობის ასაკს მიუღწეველ პირთან/statutory rape) ქმედებებისათვის. სექსუალური ხასიათის შეღწევაზე თანხმობის ასაკი არის 14 წელი, ხოლო ნებისმიერი სხვა სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაზე, თანხმობის ასაკი არის 16 წელი. აქედან გამომდინარე, სქესობრივი კავშირი 14-დან 16 წლამდე პირთან, თუ არ მოიპოვება თანხმობის არარსებობის მტკიცებულება, დაისჯება, როგორც სქესობრივი ხასიათის სხვაგვარი ძალმომრეობითი ქმედება. პრაქტიკაში, როცა მსხვერპლი 14-დან 16 წლამდე ასაკისაა, სქესობრივი ხასიათის სხვაგვარი ძალმომრეობითი ქმედების ბრალდებები უფრო ხშირია, ვიდრე – გაუპატიურებისა.

(II) დანია

135. იძულება დღეს ფართოდ არის გაგებული და არ შემოიფარგლება ძალადობის სერიოზული მუქარით.

136. თანხმობის არარსებობის მტკიცებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული და მსხვერპლი ერთმანეთს იცნობდნენ.

„არა“-ს თქმა თანხმობის არარსებობის საკმარისი გამოხატულებაა, თუმცა, შესაძლოა, რთული იყოს იმის დამტკიცება, რომ ეს იყო სერიოზულად ნათქვამი და სერიოზულად აღქმული.

137. 1982 წლის საქმეში, 16 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული მამაკაცი გამართლდა იმ მოტივით, რომ მან ვერ გაიგო, რომ სქესობრივი კავშირი იყო იძულებითი. ბრალდებულმა გოგონა თავისი ფურგონით სასაქონლოდ წაიყვანა. მისი თქმით, გოგონას თავის სახლში წასვლა სურდა. გოგონას თქმით, მან იგრძნო, რომ იძულებული იყო, დათანხმებოდა სახლში წაყვანის შეთავაზებას შექმნილი სიტუაციის გამო, განსაკუთრებით – მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა მისი ველოსიპედი მანქანაში ჩადო. გზად ბრალდებული თავის სექსუალურ პრობლემებსა და საჭიროებებზე საუბრობდა. ის ფაქტი, რომ გოგონამ მას ამ თემების განხილვის საშუალება მისცა, ბრალდებულმა მიიჩნია, როგორც იმის დაშვება, რომ სიტუაცია ინტიმური კავშირისკენ მიდიოდა. მსხვერპლს ემინოდა, რომ ბრალდებული შეიძლება აგრესიული გამხდარიყო, თუ იგი მას საუბრის საშუალებას არ მისცემდა. ერთ მომენტში ბრალდებულმა გააჩერა მანქანა და სთხოვა დაზარალებულს, გადასულიყო ბარგის განყოფილებაში, სადაც ადგილი ჰქონდა სქესობრივ აქტს. ბრალდებულმა გოგონას რამდენჯერმე ჰკითხა, თანახმა იყო თუ არა. დაზარალებულმა განაცხადა, რომ მას ფსიქიკური ბლოკი განუვითარდა და ძალიან შეშინდა. საქალაქო სასამართლომ გაამტყუნა ბრალდებული და დაადგინა, რომ გოგონა არ დათანხმებულა სქესობრივ აქტს და რომ ბრალდებული მოქმედებდა განზრახვით, რადგან მას დაზარალებულისთვის კითხვების დასმის მიზეზი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ეჭვი ეპარებოდა, რომ იგი თანახმა იყო სქესობრივ კავშირზე. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით, სასამართლო ვერ უგულებელყოფდა ბრალდებულის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მან დაზარალებულის პასურობა თანხმობად აღიქვა, და შესაბამისად, ბრალდებული გაამართლა.

### (III) ირლანდია

138. პრინციპი, რომ ბრალდებამ თანხმობის არარსებობა უნდა ამტკიცოს და არა – ძალის გამოყენების არსებობა, კარგად დამკვიდრებულია. თანხმობის არარსებობა ფაქტობრივი გარემოებაა, რომელზეც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ყველა შესაბამისი გარემოებისა და მოსამართლის ინსტრუქციების გათვალისწინებით. რაც შეეხება გაუპატიურების განზრახვას (mens rea), ბრალდებულს შეუძლია, თავის გასამართლებლად დაამტკიცოს მისი „ქეშმარიტი რწმენა“ იმის თაობაზე, რომ ნამდვილად არ უფიქრია მსხვერპლის მხრიდან თანხმობის არარსებობის შესახებ.

### (IV) გაერთიანებული სამეფო

139. 1976 წლამდე, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გაუპატიურება განიმარტებოდა, როგორც უკანონო სქესობრივი კავშირი ქალთან, მისი თანხმობის გარეშე, ძალის, შიშის ან მოტყუების გამოყენებით. ისტორიულად, სხეულის დაზიანებას მოითხოვდნენ, როგორც ძალის გამოყენების და წინააღმდეგობის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

140. მოქმედი კანონმდებლობით, 1976 წლის შემდეგ, ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ დაზარალებულს თანხმობა არ განუცხადებია. თანხმობის არარსებობა არის სამართალდარღვევის (actus reus) მთავარი ელემენტი. ტვირთი ბრალდების მხარეზეა. არ არსებობს კანონით განსაზღვრული თანხმობის ან მისი არარსებობის განმარტება. „არ არის თანახმა“ ნაფიც მსაჯულთათვის ფაქტობრივი საკითხია, რომელთან დაკავშირებითაც ისინი გადაწყვეტილებას იღებენ მოსამართლის ინსტრუქციების მოსმენის შემდეგ. ოლუგბოჯას სასამართლო პრეცედენტში Olugboja [1982] Queen's Bench 320, [1981] 3 All England Law Reports 443, ბრალდებულმა და მისმა მეგობარმა ორ არასრულწლოვან გოგონას სახლამდე მიყვანა შესთავაზეს. თუმცა, შინ მიყვანის ნაცვლად, გოგონები ორმა მამაკაცმა სხვა სახლში წაიყვანა, სადაც ბრალდებულის მეგობარმა ერთი გოგონა გააუპატიურა, რომელიც 16 წლის იყო. შემდეგ ბრალდებულსაც ჰქონდა მასთან სქესობრივი კავშირი. მან გოგონას უთხრა, რომ შარვალი გაეხადა. იგი ასე მოიქცა, რადგან შეშინებული იყო და ოთახში ბნელოდა. გოგონამ უთხრა: „რატომ არ შეგიძლია თავი დამანებო“. კაცმა ის ტახტზე დააგდო და სქესობრივი კავშირი დაამყარა მასთან. გოგონა არც ტიროდა და არც იბრძოდა. კაცი გაუპატიურებაში დამნაშავედ ცნეს. მოსამართლე ლორდმა დანმა აღნიშნა:

„[ნაფიც მსაჯულებს] უნდა მიეცეთ მითითება, რომ თანხმობას, ან მის არარსებობას უნდა მიენიჭოს ჩვეულებრივი მნიშვნელობა და თუ საჭიროა, მაგალითი უნდა იქნას გამოყენებული, რომ არსებობს განსხვავება თანხმობასა და მორჩილებას შორის; ყოველი თანხმობა გულისხმობს მორჩილებას, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ უბრალოდ მორჩილება გულისხმობს თანხმობას... [ნაფიც მსაჯულებს] უნდა მიეცეთ დირექტივა, რომ ყურადღება გაამახვილონ მსხვერპლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე უშუალოდ სქესობრივი აქტის დაწყებამდე, ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, და განსაკუთრებით სქესობრივ აქტამდე განვითარებულ მოვლენებსა და მის (მსხვერპლის) რეაქციას მათზე, რაც აჩვენებს ამ მოვლენების ზემოქმედებას მის გონებაზე“.

141. სამართლის ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ოლუგბოჯას საქმის მიუხედავად, რეალობა ისეთია, რომ ნაკლებ მოსალოდნელია, ბრალდების მხარემ საქმის მსვლელობა განაგრძოს, როდესაც ოლუგბოჯას საქმის გარემოებების მსგავსად, ქალები დამორჩილნენ ფსიქოლოგიურ იძულებასა და მახეში გაბმას, მუქარის არარსებობის პირობებში.

142. ბრალდების მხარემ, ასევე, უნდა დაამტკიცოს გაუპატიურების განზრახ ჩადენა (mens rea), რაც ნიშნავს ან იმის ცოდნას, რომ მსხვერპლი არ თანხმდება, ან თანხმობის არსებობა-არარსებობის საკითხის მიმართ უგულვებელყოფას/დაუდევრობას. მოძალადე იქცევა დაუდევრად, როდესაც „არც კი დაფიქრებულა ამაზე“, ან იცის, რომ მეორე პირი „შეიძლება არ იყოს თანახმა, მაგრამ მაინც აგრძელებს იგივეს“ (რ. გარდინერის წინააღმდეგ [1994] სისხლის სამართლის კანონის ანგარიშები 455).

(V) ამერიკის შეერთებული შტატები

143. იმას, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ „გაუპატიურებას“, ორმოცდაათი შტატი საკმაოდ განსხვავებულად განსაზღვრავს, მაგრამ მიუხედავად ფორმულირებებში მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, შტატები თანხმდებიან თანხმობის არარსებობის საკითხზე. კერძოდ, დადგენილი პრინციპია, რომ მსხვერპლს არ მოეთხოვება ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა თავდამსხმელისათვის, რათა დაამტკიცოს, რომ იგი აქტს არ დათანხმებია. არდათანხმების სიტყვიერი გამოთქმა საკმარისია. საქმეში სახელმწიფო ბერკოვიცის წინააღმდეგ *Commonwealth v. Berkowitz* (641 A.2d 1161 (პენსილვანია, 1994)), ბრალდებულს სქესობრივი კავშირი ჰქონდა თავის ნაცნობთან კოლეჯის საერთო საცხოვრებლის ოთახში, თუმცა ქალი ამბობდა „არა“-ს, მთელი ამ გამოცდილების განმავლობაში. პენსილვანიის სასამართლოებმა დაადგინა, რომ მსხვერპლის მიერ განმეორებით „არა“-ს თქმა საკმარისი იყო მისი არდათანხმების დასამტკიცებლად.

144. ოცდაჩვიდმეტ შტატში თანხმობის გარეშე სქესობრივი აქტი გარეგანი ძალის გამოყენების გარეშე (იმ ძალის გარდა, რომელიც საჭიროა შეღწევის განსახორციელებლად), კანონით ცალსახად კრიმინალიზდება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც სექსუალური ხასიათის უმძიმესი დანაშაული, ან სამართალდარღვევა. თუმცა, დანარჩენი ცამეტი შტატის კოდექსიდან ჩანს, რომ ძალის გამოყენების არსებობა, შეიძლება, სავალდებულო იყოს. მაგალითად, თორმეტი შტატის სასამართლომ აღიარა, რომ კანონით დადგენილი ძალის გამოყენების არსებობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მაშინ, როდესაც ბრალდებულმა მხოლოდ ხელი ჰკრა, ან დააწვა თავის მსხვერპლს, ან სხვაგვარ ფიზიკურ მანიპულაციას მიმართა. „ძალის გამოყენება“ შემოწმდა იმით, „იყო თუ არა ქმედება [მსხვერპლის] ნების საწინააღმდეგო“ (ფრიმენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, 959 S.W.2d 401 (არკანზასი 1998)). ამგვარად, „ძალის გამოყენება“ დადგინდა, როდესაც მოძალადე „თავისი სხეულის წონით დააწვა [მსხვერპლს]“ და იგი იყო „დიდი“ ან „ზორბა“, ხოლო მსხვერპლი – „მინიატურული“ ან „პატარა“ (სახელმწიფო კოლუმენის წინააღმდეგ, 727 A. 2d 246 (კონექტიკუტი, 1999) და სახელმწიფო პლუნკეტის წინააღმდეგ, 934 P.2d 113 (კანზასი, 1997)). ნიუ ჯერსის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა:

„სექსუალური ხასიათის შეღწევის ნებისმიერი ქმედება ... მსხვერპლის დადებითი და თავისუფლად მიცემული ნებართვის გარეშე... წარმოადგენს სექსუალური ძალადობის დანაშაულს. მამსახადამე, იმაზე მეტი ფიზიკური ძალა, ვიდრე სექსუალური შეღწევის აქტს ახასიათებს, არ არის სავალდებულო იმისათვის, რომ ასეთი შეღწევა იყოს უკანონო (In Interest of M.T.S., 609 A.2d 1266, 1277 (N.J. 1992))“.

145. ისტორიულად, რამდენიმე შტატი ითხოვდა, გაუპატიურების მსხვერპლს გამოეხატა „უკიდურესი წინააღმდეგობა“. დღეს ეს მოთხოვნა უარყოფილია. მხოლოდ ორი შტატი განაგრძობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლისგან „სერიოზული“ წინააღმდეგობის მოთხოვნას (ალაბამა და დასავლეთ ვირჯინიის შტატები); თუმცა, ისინი არ მოითხოვენ მისგან წინააღმდეგობის გაწევას, თუ იგი გონივრულად თვლის, რომ წინააღმდეგობა იქნებოდა უმედეგო, ან გამოიწვევდა მისი სხეულის მძიმე დაზიანებას (რიჩარდსი სახელმწიფოს წინააღმდეგ, 457 So.2d



893 (ალაბამა, 1985) - სერიოზული წინააღმდეგობა დადასტურდა მსხვერპლის მოძალადისადმი ვედრებით, ძირს დაესვა იგი და გაჩერებულიყო).

146. შეერთებულ შტატებში სასამართლოები სულ უფრო ხშირად ითვალისწინებენ შესაბამისი სოციალური მეცნიერების მონაცემებს, რომლებიც მიუთითებს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები არაპროგნოზირებად რეაქციებს ავლენენ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის პირობებში. მაგალითად, 1992 წელს ნიუ-ჯერსის უზენაესმა სასამართლომ უარყო წინააღმდეგობის მოთხოვნა სექსუალური ძალადობის განაჩენის გამოსატანად და მოიხსენია „ემპირიული კვლევა“, რათა ეჭვი შეეტანა „დაშვებაში, რომ გაუპატიურებაზე ყველაზე გონივრული ან რაციონალური პასუხი იყო ქალის უადრესი ან მის მაქსიმალურ შესაძლებლობებში არსებული წინააღმდეგობა“. მართლაც, მოძალადეები ხშირად იყენებენ დახვეწილ იძულებას ან ბულინგს, როდესაც ეს საკმარისია მათი მსხვერპლის დასაჯებლად. ბავშვების მიმართ გაუპატიურების შემთხვევათა უმრავლესობაში ძალადობა არ არის აუცილებელი მორჩილების მისაღებად. სასამართლოები ასევე აღიარებენ, რომ ზოგიერთი ქალი შიშისაგან იყინება სექსუალური თავდასხმის დასაწყისში და შესაბამისად, არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა (ხალხი ინიგებოს წინააღმდეგ, 872 P.2d 1183, 1189 (კალიფორნია, 1994)).

#### (VI) სხვა სამართლებრივი სისტემები

147. ინტერაითსმა ასევე წარმოადგინა შესაბამისი კანონის ანალიზი ავსტრალიაში, კანადასა და სამხრეთ აფრიკაში და დაასკვნა, რომ ამ ქვეყნებში თანხმობის არარსებობა იყო გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის განმსაზღვრელი ელემენტი და მოძალადის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების, ან მსხვერპლის მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის მტკიცებულება არ იყო სავალდებულო.

## ბ. სასამართლოს შეფასება

### 1. ზოგადი მიდგომა

(ა) გაუპატიურების დასჯისა და გაუპატიურების შემთხვევების გამოძიების პოზიტიური ვალდებულების არსებობა

148. განმცხადებლის საჩივრების ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით ამ კონკრეტულ საქმეში, სასამართლო ადგენს, რომ უნდა განიხილოს უპირველესად კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების შესაბამისად.

149. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრული უმაღლესი სახელშეკრულებო მხარეების ვალდებულებაა, უზრუნველყონ ყველასთვის კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი იურისდიქციის ფარგლებში; ეს ვალდებულება მე-3 მუხლთან ერთად მოითხოვს სახელმწიფოებისგან ისეთი ზომების მიღებას, რომელიც გამოიწვევს

მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირების არასათანადო მოპყრობისადმი დაქვემდებარებას, მათ შორის, კერძო პირების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისადმი დაქვემდებარებას (იხ. ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება. განჩინებებისა გადაწყვეტილებების ანგარიშები 1998-VI, გვ. 2699, § 22; ზ. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GC], No 29392/95, §§ 73-75, ECHR 2001-V და ე. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No 33218/96, 26 ნოემბერი 2002).

150. მე-8 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები პირადი ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემის უფლების არსებითი ნაწილია. ეს ვალდებულებები, შესაძლოა, გულისხმობდეს გარკვეული ზომების მიღებას, პირთა შორის ურთიერთობის სფეროშიც კი; თუმცა მე-8 მუხლის დაცვისათვის საშუალებების შერჩევა ცალკეულ პირთა ქმედებებისაგან დასაცავად, პრინციპში, სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარში ექცევა ისეთი მძიმე დანაშაულებრივი აქტების ეფექტიანი შეკავება, როგორცაა გაუპატიურება, როდესაც სასწორზე დებს ფუნდამენტური ღირებულებები და პირადი ცხოვრების მთავარი ასპექტები, მოითხოვს სისხლის სამართლის ქმედით მუხლებს. ეფექტიანი დაცვის უფლება განსაკუთრებით ბავშვებსა და სხვა მოწყვლად პირებს აქვთ (იხ. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, სერია N 91, გვ. 11-13, §§ 23-24 და 27, და აგვისტო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (dec.), No. 36505/02, 2003 წლის 21 იანვარი).

151. რიგ შემთხვევებში, კონვენციის მე-3 მუხლი წარმოშობს ოფიციალური გამოძიების ჩატარების პოზიტიურ ვალდებულებას (იხ. ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-VIII, გვ. 3290, § 102. ). პრინციპში, ასეთი პოზიტიური ვალდებულება ვერ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ჩადენის შემთხვევებით (იხ. mutatis mutandis, კალველი და ჩიგლიო იტალიის წინააღმდეგ, [GC], No. 32967/96, ECHR 2002-I).

152. გარდა ამისა, სასამართლოს არ გამოურიცხავს შესაძლებლობა, რომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა, შეიძლება, გავრცელდეს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც (იხ. ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-VIII, გვ. 3164, § 128.).

153. ამის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს აქვთ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ სისხლის სამართლის საკანონმდებლო მუხლები, რომელიც ეფექტიანად სჯის გაუპატიურებას და დანერგონ ისინი პრაქტიკაში, ეფექტიანი გამოძიებისა და სასამართლო დევნის გზით.

ბ) გაუპატიურების ელემენტების თანამედროვე კონცეფცია და მისი გავლენა წევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულების არსზე, უზრუნველყონ ადეკვატური დაცვა

154. გაუპატიურებისაგან ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფის საშუალებებთან მიმართებაში, სახელმწიფოები უდავოდ სარგებლობენ შეფასების ფართო მიხედვლებით. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურით განპირობებული აღქმები, ადგილობრივი ვითარება და ტრადიციული მიდგომები.

155. მიუხედავად ამისა, ეროვნული ხელისუფლების შეფასების ზღვარი მაინც შემოიფარგლება კონვენციის დებულებებით. ვინაიდან კონვენცია, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა, ამ დებულებების ინტერპრეტაციისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სახელმეპყრულებო სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული პირობები და შესაბამისად უპასუხოს, მაგალითად, ნებისმიერ წინ გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც გამოიწვევს მისაღწევ სტანდარტებთან დაახლოებას (იხილეთ ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GC], No 28957/95, § 74, ECHR 2002-VI).

156. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისტორიულად, მთელ რიგ ქვეყნებში, გაუპატიურების საქმეებში ფიზიკური ძალისა და ფიზიკური წინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულება საჭირო იყო შიდა კანონმდებლობითა და პრაქტიკით. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროპასა და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ნაწილში შეინიშნება ამ სფეროში ფორმალისტური განსაზღვრებებისა და კანონის ვიწრო ინტერპრეტაციის უარყოფის მკაფიო და სტაბილური ტენდენცია (იხ. §§ 88-108 და 126-47 ზემოთ).

157. პირველ რიგში, როგორც ჩანს, მოთხოვნა, რომ დაზარალებულმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიოს (მოძალადეს), ევროპის ქვეყნების კანონებში აღარ არსებობს.

158. კონტინენტური სამართლის მქონე ქვეყნებში, ევროპაში და სხვაგან, ფიზიკურ ძალაზე მითითება ამოღებულია კანონმდებლობიდან და/ან პრეცედენტული სამართლიდან (იხ. პუნქტები 98, 100 და 138-47 ზემოთ, ირლანდიასთან, გაერთიანებულ სამეფოსთან ამერიკის შეერთებული შტატებსა და სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით). ირლანდიის კანონმდებლობა ცალსახად აცხადებს, რომ თანხმობა არ შეიძლება დავასკვნათ წინააღმდეგობის არარსებობის საფუძველზე (იხ. პუნქტი 98 ზემოთ).

159. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც კონტინენტური სამართლებრივი ტრადიციის გავლენას განიცდიან, გაუპატიურების განმარტება შეიცავს მითითებებს მოძალადის მიერ ძალადობის გამოყენებაზე, ან ძალადობის შექარაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში და სამართლებრივ თეორიაში თანხმობის ნაკლებობა, და არა ძალადობა, განიხილება, როგორც გაუპატიურების დანაშაულის შემადგენელი ელემენტი (იხ. პუნქტები 90-97, 99 და 130-37 ზემოთ).

160. 1989 წელს, ბელგიის კანონში შევიდა შესწორებები, რომელმაც დაადგინა, რომ სქესობრივი ხასიათის შეღწევის ნებისმიერი ქმედება წარმოადგენს გაუპატიურებას, როდესაც ჩადენილია პირის მიმართ, რომელსაც თანხმობა არ მიუცია. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კანონში კვლავ მითითებული

„ძალადობა, იძულება ან მოტყუების ხრიკი“, როგორც დასჯადი მეთოდები თანხმობის გარეშე აქტის დაძალებისა, რჩება კანონში, ძალადობა და/ან ფიზიკური წინააღმდეგობა არ წარმოადგენს გაუპატიურების ელემენტებს ბელგიის კანონმდებლობაში (იხ. პუნქტები 90 და 130-34. ზემოთ).

161. საკანონმდებლო ორგანოს მიერ შერჩეული სპეციფიკური ფორმულირების მიუხედავად, რიგი ქვეყნების პრაქტიკაში თანხმობის გარეშე განხორციელებული სქესობრივი აქტების სასამართლო დევნა ხორციელდება შესაბამისი ნორმატიული ტერმინების ინტერპრეტაციით („იძულება“, „ძალადობა“. „ძალდატანება (duress)“, „მუქარა“, „ხრიკი“, „სიურპრიზი“ ან სხვა) და მტკიცებულებათა კონტექსტისადმი სენსიტიური შეფასებით (იხ. პუნქტები 95 და 130-47 ზემოთ).

162. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, მინისტრთა კომიტეტის მეშვეობით, შეთანხმდნენ, რომ თანხმობის გარეშე სქესობრივი აქტების დასჯა, „[მათ შორის] იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი არ აჩვენებს წინააღმდეგობის ნიშნებს“, აუცილებელია ქალთა ძალადობისაგან ეფექტიანი დაცვისათვის (იხ. პუნქტი 101 ზემოთ) და მოუწოდეს ამ სფეროში რეფორმების განხორციელების დაჩქარების თაობაზე.

163. საერთაშორისო სისხლის სამართალში ახლახან იქნა აღიარებული, რომ ძალის გამოყენება არ არის გაუპატიურების ელემენტი და ნების დამთრგუნველი გარემოებებით სარგებლობა სქესობრივი აქტის განსახორციელებლად ასევე დასჯადია. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ნებისმიერი სექსუალური ხასიათის შეღწევა მსხვერპლის თანხმობის გარეშე წარმოადგენს გაუპატიურებას და თანხმობა უნდა იყოს გაცემული ნებაყოფლობით, ადამიანის თავისუფალი ნების შედეგად, შეფასებული არსებული ვითარების კონტექსტის გათვალისწინებით (იხ. პუნქტები 102-07 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული განსაზღვრება ჩამოყალიბდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოსახლეობის მიმართ ჩადენილი გაუპატიურების კონკრეტულ კონტექსტში, ის ასევე ასახავს უნივერსალურ ტენდენციას, თანხმობის არარსებობა ჩაითვალოს გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის არსებით ელემენტად.

164. როგორც მესამე მხარემ განაცხადა, იმის უკეთ გააზრებამ, თუ რას განიცდის მსხვერპლი გაუპატიურებისას, აჩვენა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები – განსაკუთრებით, გოგონები სრულწლოვანებამდე – ხშირად არ უწევთ მოძალადეს ფიზიკურ წინააღმდეგობას სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო, ან იმიტომ, რომ ეშინიათ დამნაშავეს მხრიდან ძალადობის.

165. გარდა ამისა, ამ სფეროში სამართლისა და პრაქტიკის განვითარება ასახავს საზოგადოებათა ევოლუციას, ეფექტიანი თანასწორობისა და თითოეული ინდივიდის სექსუალური ავტონომიის პატივისცემის თვალსაზრისით.

166. ზემოაღნიშნულის ფონზე, სასამართლო დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი ხისტი მიდგომა სექსუალური ხასიათის დანაშაულების სასამართლო დევნის მიმართ, როგორცაა ფიზიკური წინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა ნებისმიერ გარემოებაში, შესაძლებელს ხდის გარკვეული სახის გაუპატიურებების დაუსჯელად დატოვებას და, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ინდივიდის სექსუალური ავტონომიის ეფექტიან დაცვას. ამ სფეროში, თანამედროვე სტანდარტებისა და ტენდენციების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით უნდა განიმარტებოდეს, როგორც თანხმობის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი სქესობრივი აქტის კრიმინალიზების და ეფექტიანი დევნის მოთხოვნა, მათ შორის, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაშიც.

(გ) სასამართლოს ამოცანა წინამდებარე საქმეში

167. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს ამოცანაა, გამოიკვლიოს, ჰქონდა თუ არა სადავო კანონმდებლობასა და პრაქტიკას და მათ გამოყენებას განსახილველ საქმეში, გამოძიების სავარაუდო ნაკლებთან ერთად, ისეთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომელიც უტოლდება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას.

168. სასამართლოს წინაშე არსებული საკითხი შემოიფარგლება ზემოაღნიშნულით. სასამართლოს არ ეხება გამოძიების შეცდომების ან ცალკეულ ხარვეზების მიმართ გამოთქმული ბრალდებები; სასამართლო ვერ ჩაანაცვლებს შიდა ხელისუფლების ორგანოების მიერ საქმის ფაქტების შეფასებას; მას, ასევე, არ შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სავარაუდო დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

## 2. სასამართლოს მიდგომის გამოყენება

169. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით ხელისუფლების დამოკიდებულება ეფუძნებოდა ხარვეზიან კანონმდებლობას და ასახავდა გავრცელებულ პრაქტიკას, რომელიც გულისხმობდა გაუპატიურების ჩამდენთა სასამართლო დევნას მხოლოდ მნიშვნელოვანი ფიზიკური წინააღმდეგობის მტკიცებულების არსებობისას.

170. სასამართლოს დაკვირვებით, ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი არ აღნიშნავს მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის რაიმე მოთხოვნას და გაუპატიურების განმარტება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვა წევრი სახელმწიფოების კანონებში მოცემული ფორმულირებისაგან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბევრი სამართლებრივი სისტემა ისევ განსაზღვრავს გაუპატიურებას მსხვერპლის დამორჩილების მიზნით მოძალადის მიერ გამოყენებულ მეთოდებზე მითითებით (იხ. პუნქტები 74 და 88-100).

171. თუმცა, გადამწყვეტია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ძალა“ ან „მუქარა“, ან სხვა ტერმინები, რომელიც სამართლებრივ მუხლებში გვხვდება. მაგალითად, ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, გაუპატიურების საქმეებში „ძალის გამოყენებად“ ითვლება ის ფაქტი, რომ მოძალადემ გააგრძელა სქესობრივი აქტი მსხვერპლის თანხმობის გარეშე, ან ის, რომ მსხვერპლის თანხმობის გარეშე ფლობდა მის სხეულს და მანიპულირებდა მისით სქესობრივი აქტის განსახორციელებლად. კანონით დადგენილ განმარტებებში განსხვავებების მიუხედავად, რიგ ქვეყნებში, სასამართლოებმა შეიმუშავეს კანონის ისეთი ინტერპრეტაცია, რომ შეეცადნენ, მოეცვათ თანხმობის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი სქესობრივი აქტი (იხ. პუნქტები 95 და 130-47).

172. წინამდებარე საქმეში, ისეთი სასამართლო პრაქტიკის არარსებობის გათვალისწინებით, რომელიც ცალსახად დასჯადად მიიჩნევს მსხვერპლის თანხმობის გარეშე განხორციელებულ ყოველი სქესობრივ აქტს ბულგარეთის კანონმდებლობით, ძნელია, ამ საკითხთან დაკავშირებით უსაფრთხო ზოგადი დასკვნების გამოტანა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და იურიდიული პუბლიკაციებზე დაყრდნობით (იხ. პუნქტები 75-85 ზემოთ). კონკრეტულ საქმეში იმის დადგენა, რომ სქესობრივ აქტს იძულებით ჰქონდა ადგილი, ყოველთვის დამოკიდებულია სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასებაზე. შემდგომ, სირთულეს წარმოადგენს სანდო კვლევის არარსებობა საპროკურორო პრაქტიკის იმ საქმეებზე, რომლებსაც სასამართლომდე ვერასდროს მიაღწიეს.

173. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო, მოეწოდებინა გადაწყვეტილებების ასლები ან სამართლებრივი კომენტარები, რომელიც ნათლად უარყოფდა ბრალდებას გაუპატიურების ფაქტებზე შეზღუდული დევნის არსებობის შესახებ. ბულგარეთის კანონმდებლობაში არსებული გაუპატიურების ელემენტების შესახებ უშუალოდ მთავრობის არგუმენტები არათანმიმდევრული და გაუგებარი იყო (იხ. პუნქტები 122-23 ზემოთ). და ბოლოს, ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლოს მოხსენებული გადაწყვეტილებების დიდი უმრავლესობა ეხებოდა მნიშვნელოვანი ძალადობის გამოყენებით ჩადენილ გაუპატიურებას (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მსხვერპლი იყო ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე), არა გადაწყვეტად, თუმცა მაინც შეიძლება, მიანიშნებდეს იმას, რომ სისხლისსამართლებრივად არ იდევნებოდა ისეთი საქმეების უმეტესობა, სადაც მცირე ან არანაირი ფიზიკური ძალა და წინააღმდეგობა არ დადასტურებულა (იხ. პუნქტები 74-85, 113, 122 და 123 ზემოთ).

174. სასამართლოს არ მოეთხოვება საბოლოო პასუხების მოძიება ზოგადად გაუპატიურების საქმეებში ბულგარეთის სახელმწიფოს პრაქტიკასთან დაკავშირებით. წინამდებარე საქმისათვის საკმარისია, აღინიშნოს, რომ განმცხადებლის ბრალდება შემზღუდავი პრაქტიკის შესახებ ემყარება გონივრულ არგუმენტებს და სახელმწიფომ ვერ მოახერხა ამის უარყოფა.

175. რაც შეეხება განმცხადებლის საქმის კონკრეტულ ფაქტებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების მსვლელობისას, დაკითხეს მრავალი მოწმე და დანიშნეს ფსიქიატრი და ფსიქოლოგი ექსპერტული დასკვნისათვის. საქმე გამოიძიეს და პროკურორებმა მიიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილებები და საკმაოდ დეტალურად ახსნეს თავიანთი პოზიცია (იხ. პუნქტები 44-65 ზემოთ).

176. სასამართლო აღიარებს, რომ ბულგარეთის სახელმწიფო რთული ამოცანის წინაშე იდგა, რადგან ის აღმოჩნდა მოვლენების ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიასა და მცირე „პირდაპირი“ მტკიცებულების პირისპირ. სასამართლო არ აკნინებს გამოძიებლისა და პროკურორების ძალისხმევას საქმეზე მუშაობისას.

177. მიუხედავად ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ფაქტების ორი შეუთავსებელი ვერსიის არსებობა აშკარად მოითხოვდა კონტექსტისადმი მგრძობიარე მიდგომით განცხადებების სანდოობის შეფასებას და ყველა გარემოების გადამოწმებას. ცოტა რამ გაკეთდა პ.-სა და ა.-ს მიერ შემოთავაზებული მოვლენების ვერსიის, ასევე, მათ მიერ გამოცხადებული მოწმეების სანდოობის შესამოწმებლად. კერძოდ, არ მომხდარა იმ მოწმეების დაპირსიპირება, რომელთა ჩვენებები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, იგულისხმება ქ-ნი ტ-სა. და ბ-ნი მ-ს ჩვენებები. არავითარი მცდელობა არ ყოფილა, რომ უფრო ზუსტად დაედგინათ მოვლენების განვითარების ზუსტი დროები. განმცხადებელს და მის წარმომადგენელს არ მიეცათ შესაძლებლობა, კითხვები დაესვათ მოწმეებისათვის, რომლებიც განმცხადებელმა ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულა. გადაწყვეტილებების მიღებისას, პროკურორებმა არანაირი ყურადღება არ მიაქციეს კითხვას, იყო თუ არა პ.-ს და ა.-ს მიერ მონათხრობი ამბავი სანდო, მიუხედავად იმისა, რომ მათი ზოგიერთი განცხადება ეჭვს ბადებდა, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ განმცხადებელმა, რომელიც იმ დროს 14 წლის იყო, ა-ს მოფერება დაუწყო მანქანაში, რამდენიმე წუთში მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში პირველად ჰქონდა სქესობრივი კავშირი სხვა მამაკაცთან (იხ. პუნქტები 16-65 ზემოთ).

178. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ გამოიკვლია არსებული ვერსიები ყველა თანმხლები გარემოების დასადგენად და სათანადოდ არ შეაფასა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების სანდოობა.

179. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ წარუმატებლობის მიზეზი იყო გამოძიებლისა და პროკურორების მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ის, რაც სავარაუდოდ მოხდა, იყო „პაემანისას გაუპატიურება“ და გაუპატიურების „პირდაპირი“ მტკიცებულების არარსებობა, როგორცაა ძალადობისა და წინააღმდეგობის არარსებობაზე მტკიცებულები შეგროვება და შესაბამისად, ვერ გაუპატიურება დაადგინეს გარემოებების შეფასების საფუძველზე. ეს მიდგომა ნათლად ჩანს გამოძიებლის პოზიციაში და განსაკუთრებით რეგიონული პროკურორის 1997 წლის 13 მაისისა და მთავარი პროკურორის 1997 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებებში (იხ. პუნქტები 55, 60, 61, 64 და პუნქტი 65 ზემოთ).

180. გარდა ამისა, როგორც ჩანს, პროკურორებს არ გამოურიცხავთ, რომ განმცხადებელი, შესაძლოა, არც იყო თანახმა სექსობრივ აქტზე, მაგრამ რადგან წინააღმდეგობის დამადასტურებელი სამხილი არ არსებობდა, მიიჩნიეს, რომ ვერ გაკეთდებოდა დასკვნა იმის შესახებ, რომ დამნაშავეებს ესმოდათ, რომ განმცხადებელი თანახმა არ იყო (იხ. პროკურორის გადაწყვეტილებების ტექსტი 64-ე და 65-ე პუნქტებში ზემოთ). პროკურორებმა გამოირიცხეს დამნაშავეთა განზრახვის (mens rea) დამტკიცების შესაძლებლობა, რადგან არ შეაფასეს ყველა თანმხლები გარემოება, როგორცაა მტკიცებულება, რომ მათ განზრახ შეცდომაში შეიყვანეს განმცხადებელი, რათა წაეყვანათ იგი უკაცრიელ ადგილას და ამგვარად შეექმნათ იძულებისთვის ხელსაყრელი გარემო – და ასევე, არ განიხილეს სამი კაცისა და მათ მიერ გამოძახებული მოწმეების შემოთავაზებული ფაქტების ვერსიების სანდოობა (იხ. პუნქტები 21, 63 და პუნქტები 66–68 ზემოთ).

181. სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ზოგჯერ შეიძლება, რთული იყოს თანხმობის არარსებობის დამტკიცება გაუპატიურების „პირდაპირი“ მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, როგორცაა ძალადობის კვალი ან პირდაპირი მოწმეები, სახელმწიფო ორგანოებმა მაინც უნდა გამოიკვლიოს ყველა ფაქტი და მიიღოს გადაწყვეტილება ყველა თანმხლები გარემოების შეფასების საფუძველზე. გამოძიება და მისი დასკვნები თანხმობის არარსებობის საკითხზე უნდა იყოს ორიენტირებული.

182. ეს განმცხადებლის საქმეში არ მომხდარა. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის საქმეში სახელმწიფო ორგანოებმა საკმარისად ვერ გამოიკვლიეს თანმხლები გარემოებები, რაც იმის შედეგი იყო, რომ გადაჭარბებულ აქცენტს აკეთებდნენ გაუპატიურების „პირდაპირ“ მტკიცებულებაზე. მათი მიდგომა ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით იყო შემზღვედავი, რამაც, პრაქტიკულად, მსხვერპლის მიერ გაწეული „წინააღმდეგობა“ აიყვანა დანაშაულის განმსაზღვრელ ელემენტამდე.

183. ასევე, სახელმწიფოს გაკრიტიკება შესაძლებელია იმის გამო, რომ მან არ მიანიჭა სათანადო მნიშვნელობა მოზარდის განსაკუთრებულ მოწყვლადობას და არასრულწლოვანთა გაუპატიურების შემთხვევებში არსებულ განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს (იხ. პუნქტები 58–60 ზემოთ).

184. გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა გამოძიება ჩაატარეს მნიშვნელოვანი შეფერხებებით (იხ. პუნქტები 44–46 ზემოთ).

185. მთლიანობაში, სასამართლო, პ.–სა და ა.–ს ბრალეულობის შესახებ აზრის გამოთქმის გარეშე, ადგენს, რომ განმცხადებლის საქმის გამოძიებამ და კერძოდ, საქმეში ჩართული გამოძიებლისა და პროკურორების მიდგომამ, ვერ დააკმაყოფილა სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებების არსებითი მოთხოვნები – შედარებითი და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინა და ეფექტიანად გამოეყენებინა სისხლის სამართლის სისტემა, რომელიც სჯის ყველა სახის გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობას.



186. რაც შეეხება სახელმწიფოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებდა მოძალადეების წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო სარჩელის განხილვის შესაძლებლობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს განცხადება არ იყო დასაბუთებული. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობისგან ეფექტიანი დაცვა მოითხოვს სისხლისსამართლებრივი ზომების არსებობას (იხ. პუნქტები 124 და 148-53 ზემოთ).

187. ამგვარად, სასამართლო ადგენს, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების მიხედვით. სასამართლო ასევე ადგენს, რომ ცალკე საკითხი არ წარმოიშობა კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით.

189. ზემოაღნიშნული დასკვნების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის განხილვა არ არის აუცილებელი კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა მოპასუხე სახელმწიფოს დადებითი ვალდებულებები კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების მიხედვით;

2. ადგენს, რომ ცალკე საკითხი არ წარმოიშობა კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით;

3. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი განმცხადებლის საჩივრების განხილვა კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით;

4. ადგენს,

(ა) რომ კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში შემდეგი თანხები, რომლებიც უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის თარიღისთვის მოქმედი კურსით:

(I) 8000 ევრო (რვა ათასი ევრო) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

(II) 4110 ევრო (ოთხი ათას ას ათი ევრო) საფასურისა და დანახარჯების კუთხით;

(III) ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს ზემოაღნიშნულ თანხებს.

## საქმე “ი. სლოვენის წინააღმდეგ”

Case of Y. v. Slovenia

28/05/2015

### ფაქტები

5. განმცხადებელი დაიბადა უკრაინაში 1987 წელს და ჩავიდა სლოვენიაში 2000 წელს, დასთან და დედასთან ერთად, დედა სლოვენელზე დაქორწინდა.

6. 2001 წლის ივლისიდან დეკემბრამდე, მასზე, 14 წლის ასაკში, განმეორებითად სექსუალურად ძალადობდა ოჯახის მეგობარი ხ., რომელიც იმ დროს 55 წლის იყო და მეუღლესთან ერთად ხშირად უვლიდა მას და ეხმარებოდა სილამაზის კონკურსებისათვის მომზადებაში.

7. 2002 წლის ივლისში, განმცხადებელმა უთხრა დედას ხ.-ის მიერ სავარაუდო სექსუალური ძალადობის შესახებ, თუმცა არ სურდა ამაზე სხვებთან საუბარი.

8. 2002 წლის 15 ივლისს, მღვდელმა მარიბორის პოლიციას განუცხადა, რომ განმცხადებლის დედამ უთხრა მას თავისი შემფოთების შესახებ იმის გამო, რომ განმცხადებელი ხ.-მ გააუპატიურა.

### ბ. პოლიციის გამოძიება

9. 2002 წლის 16 ივლისს, განმცხადებლის დედამ ხ.-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ხ.-მ რამდენჯერმე აიძულა განმცხადებელს მასთან სექსუალური კავშირის დამყარება.

10. 2002 წლის 17 ივლისს, განმცხადებელი დაკითხეს მარიბორის პოლიციის ოფიცრებმა. მან აღწერა, თუ როგორ აიძულა ხ.-მ სხვადასხვა სექსუალურ აქტივობაში ჩართვა. რაც შეეხება ძალადობის პერიოდს, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხ.-ს მისი კოცნის მცდელობა პირველად 2001 წლის ივლისამდე ჰქონდა, როდესაც მან დაიწყო მოდელად მუშაობა მოდის ჩვენებებზე. შემდეგ მან განაგრძო იმ შემთხვევების შესახებ მოყოლა, როდესაც ხ. მასზე სექსუალურად ძალადობდა. ერთხელ, ხ. მას ზემოდან დააწვა, როდესაც გოგონას მის სახლში ეძინა და სცადა მასთან სექსობრივი კავშირის დამყარება, ერთი ხელით გაუშალა ფეხები და მეორე ხელი პირზე დაადო, რომ არ ეკვივლა, მაგრამ ხელი შეუშალა მისმა უმცროსმა ვაჟმა, რომელიც კიბეზე ამოდიოდა. მეორეჯერ, როდესაც ისინი საცურაო აუზზე იყვნენ, იგი მას წყალში ხელით შეეხო. კიდევ ერთ შემთხვევაში, ხ.-მ განმცხადებელი, სავარაუდოდ, წაიყვანა მიტოვებულ სახელოსნოში, რომელიც მის ოჯახს ეკუთვნოდა, და მასთან ორალური სექსობრივი კავშირი დაამყარა.

გარდა ამისა, განმცხადებლის თქმით, ხ.-მ აიძულა, სულ მცირე სამჯერ ჰქონოდა მასთან ორალური სექსი, ერთხელ საკუთარ (კაცის) სახლში, ერთხელ მისი კომპანიის ავტოფარეხში და მესამედ – თავის ფურგონში, რომელიც ქალაქთან ახლოს, ტყეში გააჩერა. სავარაუდოდ, ამ ბოლო შემთხვევაში, განმცხადებელმა გაქცევა სცადა, თუმცა, რადგან არ იცოდა ის არეშარე, ფურგონთან დაბრუნდა. განმცხადებელმა თქვა, რომ ხ.-მ რამდენჯერმე სცადა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, მოახერხა თუ არა მან შეღწევა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცდილობდა თავის დაცვას, ტიროდა და იშორებდა ხ.-ს, მაგრამ უშედეგოდ.

11. განმცხადებელი, ასევე, გასინჯა ექსპერტმა გინეკოლოგმა, რომელმაც დაადგინა, რომ მისი საქალწულე აპკი ხელუხლებელი იყო. გარდა ამისა, 2002 წლის ივლისსა და აგვისტოში. პოლიციამ დაკითხა ხ., რომელმაც უარყო ყველანაირი სქესობრივი ურთიერთობა განმცხადებელთან; დაიკითხა კიდევ სამი პირი.

12. პოლიციისაგან გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, კონკრეტული ინფორმაციის მოპოვების არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, განმცხადებლის დედამ საჩივრით მიმართა მარიბორის რაიონის სახელმწიფო პროკურატურას (შემდგომში „სახელმწიფო პროკურატურა“).

13. 2003 წლის 27 ივნისს სახელმწიფო პროკურატურამ წერილი გაუგზავნა მარიბორის პოლიციას და სასწრაფოდ მოითხოვა ხ.-ის წინააღმდეგ შეტანილი სისხლის სამართლის საჩივრის ასლი.

14. 2003 წლის 18 აგვისტოს, პოლიციამ სახელმწიფო პროკურატურას გაუგზავნა დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელმა პოლიციას ვერ აღუწერა დეტალურად თავისი ბრალდებები და ვერ მიუთითა ის ადგილები, სადაც სავარაუდო გაუპატიურება მოხდა. პოლიცია აღნიშნავდა, რომ განმცხადებელმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს იგი მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდიდა და დედის რეაქციის ეშინოდა. პოლიციამ დაასკვნა, რომ მისი გაუპატიურების შესახებ ბრალდების დადასტურება შეუძლებელი იყო, ასევე შეუძლებელი იყო მისი სერიოზული ემოციური დისტრესის მიზეზების დადგენა.

## **გ. სასამართლო გამოძიება**

15. 2003 წლის 28 აგვისტოს, სახელმწიფო პროკურატურამ მოითხოვა ხ.-ის წინააღმდეგ სასამართლო გამოძიების აღძვრა, თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით. მოთხოვნაში ნათქვამი იყო, რომ ხ.-მ აიძულა განმცხადებელს მასთან ორალური სექსის დამყარება და მასთან სულ მცირე სამჯერ ჰქონდა სქესობრივი კავშირი, განმცხადებლის მხრიდან უარისა და წინააღმდეგობის გაწევის მცდელობის მიუხედავად.

16. 2005 წლის 7 იანვარს ხ. მარიბორის რაიონული სასამართლოს გამომძიებელმა მოსამართლემ გამოიძახა ხ.-მ უარი თქვა ზეპირი განცხადების მიცემაზე. 2005 წლის 10 მარტს ხ.-მ, რომელიც წარმოდგენილი იყო ადვოკატის სახით, წარადგინა წერილობითი განცხადება, რომელშიც ბრალდებები უარყო. მან ასევე წარმოადგინა სამედიცინო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მას დაბადებიდან მარცხენა ხელი დაზიანებული ჰქონდა.

17. 2005 წლის 26 მაისს გამომძიებელმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ხ.-ის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების შესახებ. მარიბორის რაიონული სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შემფარდებელმა შემადგენლობამ არ დააკმაყოფილა ხ.-ის საჩივარი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

18. 2005 წლის 17 ოქტომბერს, განმცხადებელი ლუბლიანას რაიონულ სასამართლოში დაკითხეს მოწმის სახით. ამ სასამართლოს სთხოვეს მოწმის დეტალური დაკითხვა, რადგან განმცხადებელი ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. დაკითხვა განახლდა 2005 წლის 8 ნოემბერს. არც ხ. და არც მისი ადვოკატი იყვნენ ინფორმირებული ამ დაკითხვის შესახებ. განმცხადებელმა დეტალური ჩვენება მისცა იმის შესახებ, თუ როდის, სად და როგორ მოხდა სავარაუდო დანაშაულები. მან პირველად აღწერა თავდასხმა, რომელიც მოხდა ხ.-ის სახლში, როდესაც მას იქ ეძინა და გაიმეორა, რომ ხ.-ს მისმა ვაჟიშვილმა შეუშალა ხელი.

განმცხადებლის ჩვენების თანახმად, მეორე თავდასხმა განხორციელდა მაშინ, როდესაც განმცხადებლის სახლში წაყვანის ნაცვლად, ხ.-მ ტყეში გააჩერა მანქანა და მას ძალით კოცნა დაუწყო. შემდეგ ხ.-მ განმცხადებელს ტანსაცმელი გახადა, ერთი ხელით გაუწია ფეხები, მეორე ხელით კი მაჯები დაუჭირა და ისევ სცადა მასთან სქესობრივი კავშირი, მაგრამ შელწევა არ მომხდარა. განმცხადებელმა, ასევე აღნიშნა, რომ ხ.-მ ერთხელ წაიყვანა ოჯახის მიტოვებულ სახელოსნოში, სადაც მასთან ორალური სქესობრივი კავშირი დაამყარა. მან თქვა, რომ ცდილობდა, გათავისუფლებულიყო მისი ჩაჭიდებისაგან, მაგრამ ხ.-მ ისევ გაუკავა მაჯები და ასევე სახეში გაარტყა. ვაგინალური სქესობრივი კავშირის მცდელობას ისევ ჰქონდა ადგილი, მაგრამ რეალურად არ განხორციელებულა. ხ.-მ მას უთხრა, არავისთვის ეთქვა ამის შესახებ, თორემ მისი და მისი ოჯახის სლოვენიდან დეპორტაციას მოახდენდა. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ მას კარგად ახსოვდა ეს სამი შემთხვევა და მოვლენები ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან აღწერა. ასევე, 2001 წლის ივლისიდან დეკემბრამდე, მრავალ სხვა მსგავს ინციდენტს ჰქონდა ადგილი.

19. 2005 წლის 13 და 20 დეკემბერს, მარიბორის რაიონული სასამართლოს გამომძიებელმა მოსამართლემ ხ.-ის ცოლი და კიდევ ერთი მოწმე დაკითხა.

20. 2006 წლის 13 იანვარს კოპერის რაიონულმა სასამართლომ, მარიბორის რაიონული სასამართლოს მოთხოვნით, დაკითხა მოწმე დ., რომელმაც ჩვენება მისცა, რომ განმცხადებელს მისთვის ნათქვამი ჰქონდა სავარაუდო გაუპატიურების შესახებ.

21. 2006 წლის 14 აპრილს გამომძიებელმა მოსამართლემ დაკითხა მოწმე ჰ., რომელიც ბ.-ისა და მისი მეუღლის კომპანიის თანამშრომელი იყო. ჰ.-მ ჩვენებაში აღნიშნა, რომ მას არ უნახავს ბ.-ის არასათანადო მოპყრობა განმცხადებლის მიმართ კომპანიის ტერიტორიაზე.

22. 2006 წლის 16 მაისს გამომძიებელმა მოსამართლემ დანიშნა ექსპერტი გინეკოლოგი ბ., იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელი იყო განმცხადებლის სქესობრივი კავშირი 2001 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში. გინეკოლოგმა კონსულტაცია გაუწია განმცხადებელს, რომელმაც უარი თქვა კლინიკურ გასინჯვაზე. მან ბ.-ს, სხვა ფაქტებთან ერთად უთხრა, რომ მიუხედავად ბ.-ის მიერ განხორციელებული მცდელობებისა, სექსუალური ხასიათის შეღწევას ადგილი არ ჰქონია. კონსულტაციის დროს ბ.-მ განმცხადებელს აჩვენა ორთოპედული დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბ. ვერ შეძლებდა თავისი მარცხენა ხელის გამოყენებას ისე როგორც ეს განმცხადებელმა აღწერა, რაზეც განმცხადებელმა უპასუხა, რომ მას ნანახი ჰქონდა, როგორ წევდა ბ. მარცხენა ხელით სხვადასხვა სიმძიმეებს. ბ.-მ ასევე წარუდგინა განმცხადებელს პოლიციის დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მან ვერ შეძლო სექსუალური ძალადობისა და კონკრეტული ადგილების დეტალური აღწერა და ჰკითხა მას, რატომ არ დაიცვა თავი ბ.-ისგან, მაგალითად, მისი დაკაწვრით ან კბენით. განმცხადებელმა უპასუხა, რომ მან არ დაიცვა თავი, რადგან ვერ შეძლო ამის გაკეთება. 2006 წლის 19 ივნისს ექსპერტმა მოაშადა თავისი დასკვნა, რომელიც ეყრდნობოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მათ შორის განმცხადებელთან საუბარს და 2002 წლის გინეკოლოგიურ დასკვნას, რომელიც აჩვენებდა, რომ განმცხადებლის საქალწულე აპკი იმ დროს ხელუხლებელი იყო. მან დაადგინა, რომ არაფერი მიუთითებდა დანამდვილებით განმცხადებლის სქესობრივ კავშირზე ბ.-სთან მოვლენების მიმდინარეობის დროს. გარდა მისი სამედიცინო დასკვნისა, ექსპერტმა განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხრობილ, საქმესთან დაკავშირებულ მოვლენებში გარკვეული შეუსაბამოებები იყო. ანგარიშიდან ჩანს, რომ არც ერთი სავარაუდო შეუსაბამოა არ იყო დაკავშირებული რაიმე სამედიცინო საკითხთან.

23. 2006 წლის 20 ივნისს გამომძიებელმა მოსამართლემ დანიშნა კლინიკური ფსიქოლოგიის ექსპერტი რ. განმცხადებელთან კონსულტაციის შემდეგ ექსპერტმა 2006 წლის 4 ივლისს თავისი ანგარიში წარადგინა და შემდეგი დასკვნა გამოიტანა:

„2001 წლიდან ი. ავლენს სექსუალური და სხვა სახის ძალადობის მსხვერპლის ყველა სიმპტომს (ემოციური, ქცევითი და ფიზიკური სიმპტომები) ...

გარდა ემოციური შედეგებისა, გოგონა ავლენს ძლიერად ტიპიური ქცევის პატერნებს, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ განცდილ ძალადობასთან და ასევე ზოგიერთ ფიზიკურ სიმპტომს (ძილის დარღვევა, კომპარები, კოლაფსი). სიმპტომები მითითებულია ანგარიშში...

ამჟამად ძნელია ამ შედეგების სიმძიმის – ფიზიკური და განსაკუთრებით სექსუალური შედეგის – შეფასება. მაგრამ, მოკლევადიანი შედეგების

მსგავსად, გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირებაც შესაძლებელია. მათი რეალური მასშტაბი გამოვლინდება გოგონას ცხოვრების საკვანძო ეტაპებზე და სტრესულ სიტუაციებში...

ამ შედეგების გამო, რომელიც ყველაზე სერიოზულად მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აისახა... ძალიან მინიმალური მნიშვნელობა აქვს, ჰქონდა თუ არა მსხვერპლ ბავშვს საქალწულე აპკის დეფლორაცია მოძალადის ძალადობრივი ქცევის დროს...

სექსუალური ქცევის პატერნების სათანადო შეფასება მხოლოდ კლინიკური ფსიქოლოგიის ექსპერტს შეუძლია..."

24. 2006 წლის 15 სექტემბერს მარიბორის რაიონულმა პროკურატურამ, სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, ბრალი წაუყენა ხ.-ს, თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში. 2006 წლის 20 ოქტომბერს, მარიბორის რაიონული სასამართლოს აღკვეთის ღობისძიების შემფარდებელმა შემადგენლობამ ხ.-ის მიერ საბრალდებო დასკვნის გაპროტესტება უარყო.

## **დ. სასმართლო პროცესი**

25. მარიბორის რაიონულმა სასამართლომ სხდომა 2007 წლის 27 ივნისს დანიშნა. თუმცა, სხდომა ხ.-ის თხოვნით გადაიდო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ის იმ პერიოდში რამდენიმე კვირის განმავლობაში შვებულებაში იმყოფებოდა, ავადმყოფობის გამო.

26. ამის შემდეგ, მოსმენა დანიშნა 2007 წლის 3 ოქტომბერს, მაგრამ გადაიდო ხ.-ს ადვოკატის თხოვნით. შემდეგი მოსმენა 2007 წლის 12 ნოემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა გადაიდო ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის არყოფნის გამო. შემდგომში, ხ.-მ სასამართლოს აცნობა, რომ მივლინებაში წასვლას გეგმავდა, რის გამოც, მომდევნო სხდომა 2008 წლის 16 იანვრამდე გადაიდო.

27. 2008 წლის 16 იანვარს, ხ. სასამართლოში არ გამოცხადდა. 2008 წლის 17 იანვარს, მან წარადგინა ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის მოწმობა.

28. 2008 წლის 25 იანვარს, ხ.-ის ადვოკატმა სასამართლოს შეატყობინა, რომ ხ.-მ გააუქმა მასზე მინდობილობა და რომ მას ამიერიდან სხვა ადვოკატი - მ. წარმოადგენდა. თუმცა, სასამართლოს არ მიუღია ახალი მინდობილობა, რომელიც მ.-ს უფლებას აძლევდა, ემოქმედა, როგორც ხ.-ის ადვოკატს. ვინაიდან ხ.-ს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში, რომელიც საჭიროებდა სავალდებულო წარმომადგენლობას, სასამართლომ 2008 წლის 28 იანვარს ხ.-ის ადვოკატად დანიშნა მ.

29. 2008 წლის 14 მარტს გაიმართა სასამართლო სხდომა, რომელზეც

საზოგადოება არ იქნა დაშვებული, პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მორალის დაცვის მოტივით. სასამართლომ მოისმინა მტკიცებულებები ბ.-ისგან. მოსმენაზე განმცხადებლის ადვოკატმა სცადა ბ.-ის ადვოკატის, მ.-ს დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ 2001 წელს განმცხადებელმა და მისმა დედამ მას სთხოვეს რჩევა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ვარდა ამისა, განმცხადებლის დედას ადრე მასთან ინტიმური ურთიერთობა აკავშირებდა. მ.-მ უარყო, რომ ოდესმე შეხვედრია განმცხადებელს ან მის დედას და თქვა, რომ მან მხოლოდ იცოდა, რომ ადვოკატი, რომლის ფირმაშიც იგი იმ დროს მუშაობდა, წარმოადგენდა განმცხადებლის დედის ცალკე მცხოვრებ ქმარს განქორწინების პროცესში. კომისიამ არ დააკმაყოფილა განცხადება და დაადგინა, რომ მ.-ს, როგორც ადვოკატის, დისკვალიფიცირების კანონიერი საფუძველი არ არსებობდა.

30. 2008 წლის 14 მარტს ბ.-მ წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა და განაცხადა, რომ ის ვერ შეძლებდა განმცხადებლის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას, რადგან მას დაბადებიდან მარცხენა ხელის ძიძმე შეზღუდულობა ჰქონდა და მისი მარცხენა ხელი მარჯვენა ხელზე 15 სმ-ით მოკლე იყო. ბ. ამტკიცებდა, რომ იგი პრაქტიკულად ვერ იყენებდა თავის უნარშემზღუდულ მარცხენა ხელს. უფრო მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ ის და მისი ოჯახი ეხმარებოდნენ განმცხადებელს და მის დასახალ საზოგადოებაში ინტეგრირებაში და სლოვენური ენის შესწავლაში, მაშინ, როდესაც მათი დედა თავისი პირადი საქმეებით იყო დაკავებული. ბ.-ის თანახმად, სექსუალური ძალადობის ბრალდება პროვოცირებული იყო განმცხადებლის დედის მიერ, რომელსაც მისგან ფულის გამოძალვა სურდა.

31. 2008 წლის 14 აპრილს, სასამართლოში გაიმართა საქმის მეორე მოსმენა. ბ. დაკითხა სახელმწიფო პროკურორმა, ძირითადად მარცხენა ხელის გამოყენებასთან დაკავშირებით და ამის თაობაზე ბ.-მ აღიარა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულებრივ მართავდა ავტომატურ მანქანებს, ზოგჯერ მართავდა მექანიკური გადაცემათა კოლოფის პატარა მანქანასაც. თუმცა, კითხვაზე, უმართავს თუ არა ოდესმე სატვირთო მანქანა, ბ.-მ უპასუხა, რომ ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან, მაგრამ აღიარა, რომ მას ჰქონდა ყველა კატეგორიის საგზაო ავტომობილის მართვის მოწმობა. ამის შემდეგ, ჩვენების მისაცემად გამოიძახეს განმცხადებელი. სასამართლომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა, რომ ბ. სხდომის დარბაზში არ ყოფილიყო. ბ.-ის მიერ სექსუალური ძალადობის შემთხვევების მოყოლისას, განმცხადებელი გამუდმებით ტიროდა და ამის გამო, მოსმენა რამდენიმე წუთით გადაიდო. შემდეგ მ.-მ, ბ.-ის ადვოკატმა, დაკითხა განმცხადებელი. მან განმცხადებელს ჰკითხა, რა სიმაღლის იყო და რამდენს იწონიდა მოვლენების მიმდინარეობის დროს. განმცხადებელი ძალიან აღელდა და ჰკითხა მ.-ს, თუ რატომ უსვამდა მას ამ შეკითხვებს, როდესაც ის პირველი იყო, ვინც ეს ამბავი მოისმინა და ახლა მოქმედებდა, როგორც ბ.-ის ადვოკატი. მ.-მ უპასუხა, რომ ეს ტაქტიკის ნაწილი იყო. ამის შემდეგ მოსმენა გადაიდო განმცხადებლის დისტრესის გამო.

32. 2008 წლის 9 მაისს სასამართლომ მესამე მოსმენა გამართა. განმცხადებლის დაკითხვა ხ.-ის დაუსწრებლად გაგრძელდა. როდესაც მას ჰკითხეს, რას გრძნობდა სიტუაციასთან დაკავშირებით ამ გადმოსახედიდან, იგი ატირდა და თქვა, რომ მას არავინ დახმარებია, პროცესი უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მას მუდმივად უწყევდა თავისი ტრავმის თავიდან გაცოცხლება. 33. 2008 წლის 27 აგვისტოს, განმცხადებელმა სამართალწარმოების დაჩქარების მიზნით შუიტანა საზედამხედველო საჩივარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე სასამართლო მოსმენის უფლების დაცვის შესახებ, 2006 წლის კანონის (შემდგომში „2006 წლის კანონი“) შესაბამისად.

34. 2008 წლის 26 სექტემბერს, სასამართლომ ჩაატარა მეოთხე სხდომა, რომელზეც საზოგადოება არ იყო დაშვებული, სადაც ხ.-მ პირადად დაუსვა განმცხადებელს ასზე მეტი შეკითხვა. მან დაიწყო კითხვის ფორმის მქონე კომენტარით: „მართალია თუ არა, რომ შენ ჩემთვის ნათქვამი და ნაჩვენები გაქვს, რომ თუ გჭირდება, ნებისმიერ დროს შეგიძლია ატირება და შემდეგ ყველა დაგიჯერებს?“ მოსმენის ჩანაწერიდან არ ჩანს, უპასუხა თუ არა განმცხადებელმა. შემდეგ ხ.-მ განმცხადებელს დაუსვა კითხვების მთელი სერია, რომელიც მიზნად ისახავდა იმის დამტკიცებას, რომ ისინი ერთმანეთს ძირითადად ნახულობდნენ ოჯახების შეკრებებზე, ან როდესაც განმცხადებელი აქტიურად ცდილობდა მის ნახვას მაშინ, როცა ტრანსპორტი ან სხვა დახმარება სჭირდებოდა. ხ.-ის მიერ დასმულ კითხვებს შორის იყო შემდეგი: „მართალია, რომ მე ვერ შევძლებდი შენზე ძალადობას 14 აპრილის საღამოს, იმ ღონისძიებაზე?“, „მართალია, რომ თუ მსურდა ჩემი სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სულ მცირე ერთხელ მაინც დაგირეკავდი?“; „რატომ დამირეკე სექტემბერში და მთხოვე, რომ წამეყვანე ქალქიდან გარეთ, თუ ამ თარიღამდე უკვე ხუთჯერ გაგაუპატიურე?“, „რატომ მირეკავდი, მე ხომ ნამდვილად არასოდეს დამირეკავს შენთან?“, და „მართალია, თუ არა, რომ შენ სპეციალურად მთხოვე, მარტო წავსულიყავით მანქანით ქალაქიდან, იმიტომ, რომ გინდოდა ჩემთან საუბარი და სილამაზის კონკურსზე შენი წარმატების აღნიშვნა?“. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ დაურეკავს ხ.-სთან და არც არსად გასვლის ინიციატორი ყოფილა, მაგრამ ხ.-ს დაურეკავს მასთან. ხ.-მ, ასევე, ჰკითხა განმცხადებელს, ნათქვამი ჰქონდა თუ არა მისთვის, რომ მას შემდეგ, რაც შეყვარებული ყვოლებოდა, ის ყოველთვის ზემოდან იქნებოდა, რადგან მას სურდა, ყოფილიყო დომინანტი ქალი?

35. უფრო მეტიც: ხ. ამტკიცებდა, რომ გაუპატიურების ბრალდება განმცხადებლის დედის მიერ იყო შეთხზული. აქედან გამომდინარე, მან განმცხადებელს ბევრი კითხვა დაუსვა დედამისის შესახებ, მათ შორის – შეკითხვები სლოვენური ენის ცოდნის, მუშაობისა და პირადი ურთიერთობების შესახებ. გარდა ამისა, ხ.-მ განმცხადებელს სამედიცინო დასკვნა უჩვენა, რომელიც მიუთითებდა, რომ მას მარცხენა ხელის მძიმე შეზღუდულობა ჰქონდა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას ნანახი ჰქონდა, როგორ ხმარობდა ხ. თავის მარცხენა ხელს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის – მანქანების მართვაში, შვილების ხელში აყვანასა და მათი სკოლის ჩანთების აწევაში, ყუთებისა და ბოთლების ტარებაში. დაკითხვის განმავლობაში, ხ. კამათობდა განმცხადებლის პასუხების სიზუსტესა და სანდოობაზე, ვრცელ კომენტარებს აკეთებდა მის მიერ აღწერილ გარემოებებზე



და უარყოფდა მოვლენების მისეულ ვერსიას. მან ასე განაცხადა მას შემდეგაც, რაც თავმჯდომარე მოსამართლემ განუმარტა, რომ ექნებოდა შესაძლებლობა, გაეკეთებინა კომენტარი განმცხადებლის დაკითხვის შემდეგ.

36. ჯვარედინი დაკითხვის დროს, ბ.-მ ბევრი კითხვა გაიმეორა და საბოლოოდ თავმჯდომარე მოსამართლისაგან გაფრთხილება მიიღო, ეს აღარ გაეკეთებინა. ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ გამოიტყვა შვიდი შეკითხვა, რომელიც მისი აზრით, საქმესთან კავშირში არ იყო.

37. სამჯერ, როდესაც განმცხადებელი აღელდა და ტირილი დაიწყო, სასამართლომ მოკლე შესვენება გამოაცხადა. ერთ-ერთი ასეთი შესვენების შემდეგ, ბ.-მ ჰკითხა განმცხადებელს, იგრძნობდა თუ არა თავს უკეთესად, თუ ისინი ყველა წავიდოდნენ სადილზე, ისევე, როგორც ადრე დადიოდნენ, და იქნებ მაშინ მას არ ეტირა ამდენი.

38. ერთ მომენტში განმცხადებელმა სასამართლოს სთხოვა სხდომის გადადება, რადგან კითხვები მისთვის ძალიან სტრესული იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბ.-მ უთხრა, რომ შემდეგი მოსმენა ვერ შედგებოდა 2008 წლის 19 ნოემბრამდე, სანამ ის მივლინებიდან არ დაბრუნდებოდა, განმცხადებელმა ტირილით უთხრა მას, გაეგრძელებინა დაკითხვა, რადგან სურდა, რომ ეს ყველაფერი დასრულებულიყო. საბოლოოდ, განმცხადებლის 4-საათიანი ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ მოსმენა 2008 წლის 13 ოქტომბრამდე გადადო.

39. მომდევნო მოსმენაზე დაკითხეს ბ.-ის ცოლი, სიდდერი და მისი კომპანიის თანამშრომელი. სამივე მათგანი ამტკიცებდა, რომ ბ.-ს მინიმალურად შეეძლო თავისი მარცხენა ხელის გამოყენება, და ნამდვილად არ შეეძლო სიმძიმეების აწევა.

40. 2008 წლის 24 ნოემბერს, მეექვსე მოსმენა გაიმართა. ბ.-ის მიერ განმცხადებლის დაკითხვას საათნახევარი დასჭირდა. ბ.-ის ადვოკატის, მ.-ს მიერ დაკითხვისას განმცხადებელმა კვლავ განაცხადა, რომ მას მისთვის ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოყოლილი ჰქონდა. მ.-მ უარყო ეს და თქვა, მისთვის რომ ეს მოეყოლათ, იგი ურჩევდა განმცხადებელს საავადმყოფოსა და პოლიციაში წასვლას. როდესაც განმცხადებლის დაკითხვა დასრულდა, დაიკითხა მისი დედა, ძირითადად თავის პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით.

41. მოსმენის ბოლოს, მ.-მ, ბ.-ის ადვოკატმა, დაადასტურა, რომ შეხვედრია ადრე განმცხადებლის დედას, როდესაც მუშაობდა იურიდიულ ფირმაში ადვოკატთან, რომელიც წარმოადგენდა მას გარკვეულ სასამართლო საქმისწარმოებებში. მან, ასევე, აღნიშნა, რომ სამი დღის ვადაში შეატყობინებდა სასამართლოს, მოითხოვდა თუ არა ნებართვას ბ.-ის წარმომადგენლობის შეწყვეტის შესახებ განსახილველ სამართალწარმოებაში. 2008 წლის 25 ნოემბერს, მ.-მ სასამართლოსგან მოითხოვა ნებართვა საქმის შეწყვეტაზე, რადგან მასზე პირადად იმოქმედა განმცხადებლის დედის მიერ გაკეთებულმა გარკვეულმა განცხადებებმა.

42. 2008 წლის 15 დეკემბრის მოსმენაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ხ.-ს ადვოკატის, მ.-ს თხოვნა და დაასკვნა, რომ არ არსებობდა კანონით დადგენილი საფუძველი, რომელიც გამოიწვევდა მისი ხ.-ს წარმომდგენლობიდან დისკვალიფიკაციას.

მოწმის სახით დაკითხულ იქნა გინეკოლოგი ბ. მან აღიარა, რომ გარემოებებში უკეთ გარკვევის მიზნით, თავის დასკვნაში ასევე განიხილა გარკვეული საკითხები, რომელიც არ იყო გამომძიებელი მოსამართლის მოთხოვნაში. ამასთანავე, მან გაიმეორა, რომ განმცხადებლის საქალწულე აპკი ხელუხლებელი იყო დასახელებული მოვლენების დროს.

43. 2009 წლის 22 იანვარს, სასამართლომ ჩაატარა საქმის მეორე მოსმენა და დაკითხა კლინიკური ფსიქოლოგიის ექსპერტი, რ., რომელმაც ისევ განაცხადა, რომ დიდი ხნის წინ განხორციელებული სექსობრივი ძალადობა ვერ დადასტურდებოდა რაიმე ნივთიერი მტკიცებულებით, და მხოლოდ ფსიქოლოგიური შედეგების შეფასება იყო შესაძლებელი. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ განმცხადებელი ავლენდა სექსუალური ძალადობის აშკარა სიმპტომებს.

44. 2009 წლის 20 თებერვალს, სასამართლომ დანიშნა თ., სხვა ექსპერტი გინეკოლოგი, რომელსაც უნდა მოემზადებინა დასკვნა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა განმცხადებელს, ჰქონოდა სექსობრივი კავშირი იმ მოვლენების დროს, მისი სამედიცინო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით (იხ. პუნქტი 11 ზემოთ). 2009 წლის 10 მარტს, ექსპერტმა წარადგინა თავისი დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს შედეგები არ ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის მიერ აღწერილ განსახილველ მოვლენებს.

45. 2009 წლის 16 მარტს, სასამართლომ გამართა მოსმენა და დანიშნა ნ., ექსპერტი ორთოპედიაში, დასკვნის მოსამზადებლად იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა ხ.-ს, მისი მარცხენა ხელის შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეესრულებინა განმცხადებლის მიერ აღწერილი მოქმედებები.

46. 2009 წლის 5 მაისს, ნ.-მ წარადგინა თავისი ანგარიში, რომელშიც დაასკვნა, რომ ხ.-ის მარცხენა ხელი მძიმედ დაზიანებული იყო და ამ მიზეზის გამო ზოგიერთი მოვლენა ვერ მოხდებოდა ისე, როგორც ეს განმცხადებლის მიერ იყო აღწერილი.

47. 2009 წლის 8 ივნისს, სასამართლომ ჩაატარა სხდომა, რომელზეც დაიკითხა ნ., განმცხადებლის ადვოკატის მიერ დასმული კითხვების შემდეგ. ნ.-მ განმარტა, რომ მისი აზრი ეყრდნობოდა ხ.-ის სამედიცინო საქმეში არსებულ დოკუმენტებს, ხ.-ის მიერ მასთან მითანილ რენტგენის სურათებს და ხ.-ის გასინჯვას.

48. შემდეგი მოსმენა გაიმართა 2009 წლის 9 ივლისს. განმცხადებელმა მოითხოვა ნ.-ის შემდგომი დაკითხვა.

49. 2009 წლის 29 სექტემბერს, სასამართლომ საქმის მეორე მხარე და ბოლო სხდომა გამართა. მოსმენაზე განმცხადებელმა და სახელმწიფო პროკურორმა დაკითხეს ნ., რომელმაც, სხვა inter alia განაცხადა, რომ ხ.-ს მარცხენა ხელის გამოყენება შეეძლო მხოლოდ მარჯვენა ხელის დასახმარებლად, კონკრეტული მოქმედებების შესრულებაში, და მას პრაქტიკულად არ ჰქონდა ძალა მარცხენა ხელში. ექსპერტის აზრით, ხ. ვერ შეძლებდა მარცხენა ხელით განმცხადებლის ფეხების გაშლას და ვერც შარვლის გახდას, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა. მას შემდეგ, რაც პროკურორმა ჰკითხა, ეყრდნობოდა თუ არა მისი შეფასება იმ ვარაუდს, რომ განმცხადებელმა გამოიყენა მთელი თავისი ძალა, შეწინააღმდეგებოდა ხ.-ს, ნ.-მ თქვა: „ჩემი დასკვნა ამ ვარაუდზე არ დამიფუძნებია, რადგან არ ვიცოდი, გაუწია წინააღმდეგობა განმცხადებელმა, თუ ნებაყოფლობით დაემორჩილა“. როდესაც მას ჰკითხეს, შეეძლო თუ არა განმცხადებელს, რომელიც იმ დროს 14 წლის იყო, წინააღმდეგობის გაწევა ხ.-სათვის, რომელიც, სავარაუდოდ, მას ზემოდან აწვა, მან თქვა, რომ მისი აზრით, ეს შესაძლებელი იყო. ნ.-მ ჩვენებაში, ასევე, განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხ.-ს თავის მარჯვენა ხელში ჩვეულებრივზე მეტი ძალა ჰქონდა, ის ვერ იძალადებდა განმცხადებელზე ისე, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა.

50. ნ.-ს დაკითხვის შემდეგ, სასამართლო პროცესის მიღმა, განმცხადებელმა მოითხოვა და მოიპოვა სხვა ორთოპედის დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ხ.-ს მინც შეეძლო თავისი მარცხენა ხელის შებლად გამოყენება. განმცხადებელმა ითხოვა სხვა ორთოპედი ექსპერტის დანიშვნა იმ მოტივით, რომ ნ.-ს დაკვნები საეჭვო იყო. ეს მოთხოვნა სასამართლომ უარყო, როგორც ზედმეტი, ისევე, როგორც განმცხადებლის მოთხოვნა, სასამართლოს მოწმეებად გამოეძახა მისი და და დედის ყოფილი ქმარი, რომლებსაც, სავარაუდოდ, ნანახი ჰქონდათ, როგორ იყენებდა ნიჩბოსნობის დროს ხ. თავის ორივე ხელს. სასამართლომ, ასევე, უარყო პროკურორის მოთხოვნა, განმცხადებლის ხელახალი გამოკვლევის შესახებ.

51. სხდომის დასრულებისას, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ხ. უდანაშაულოდ ცნო ყველა ბრალდების მიხედვით. ამ განაჩენის გათვალისწინებით, სასამართლომ განმცხადებელს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რეკომენდაცია მისცა, რაც მას უკვე მოთხოვნილი ჰქონდა საქმისწარმოების დროს, სამოქალაქო სასამართლოში.

52. 2009 წლის 15 დეკემბერს, განმცხადებელმა შეიტანა ახალი საზედამხედველო საჩივარი, 2006 წლის კანონის შესაბამისად. 2009 წლის 22 დეკემბერს, მან მიიღო პასუხი სასამართლოდან, რომელშიც აცნობეს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება მას სწორედ იმ დღეს გაეგზავნა.

53. წერილობით დასაბუთებაში, სასამართლო განმარტავდა, რომ ექსპერტული ორთოპედიული დასკვნა ეჭვქვეშ აყენებდა ხ.-ის უნარს, განეხორციელებინა განმცხადებლის მიერ აღწერილი გარკვეული ქმედებები, რისთვისაც მას ორივე ხელის გამოყენება დასჭირდებოდა. როგორც ექსპერტმა ახსნა, ხ.-ს არ შეეძლო მარცხენა ხელის გადატანა ისეთ მდგომარეობაშიც კი, რომელიც საშუალებას

მისცემდა გაეხსნა შარვალი ან განმცხადებლისათვის ფეხები გაეწია. სასამართლოს თქმით, ის ფაქტი, რომ ექსპერტმა უარყო განმცხადებლის ზოგიერთი ბრალდება, გარკვეულ ეჭვებს ბადებდა განმცხადებლის მთლიან ვერსიასთან დაკავშირებით. იმ პრინციპის საფუძველზე, რომ ნებისმიერი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა იყოს in dubio pro reo, სასამართლომ ხ. გაამართლა. რაც შეეხება ექსპერტი ფსიქოლოგის, რ.-ის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, განმცხადებელი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ უგულებელყოფდა სხვა სამართალწარმოების გადაწყვეტილებას განმცხადებლის დედის ცალკე მცხოვრებ ქმართან დაკავშირებით, რომელშიც კომპეტენტურმა სასამართლომ დაადგინა, რომ მას ადრე სქესობრივი აქტი განხორციელებული ჰქონდა განმცხადებლისა და მისი დის თვალწინ და ასევე არასათანადოდ ექცეოდა განმცხადებელს.

54. 2009 წლის 30 დეკემბერს, სახელმწიფო პროკურორმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი, სადაც სასამართლო გააკრიტიკა იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო, რომ მისი ასაკის, სქესის და სხეულის მასიდან გამომდინარე, ხ. ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე განმცხადებელი, ასევე, მას ჰქონდა ძალაუფლება, თავისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო. გარდა ამისა, პროკურორმა აღნიშნა, რომ ხ. მართავდა მექანიკურ გადაყვანა კოლოფის სატრანსპორტო საშუალებებს, რაც მისი ორივე ხელის გამოყენებას მოითხოვდა. პროკურორი, ასევე, ამტკიცებდა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაული არ მოითხოვდა სქესობრივი აქტის ჩადენას ძალის გამოყენებით; საკმარისი იყო ის, რომ განმცხადებელი ამას ეწინააღმდეგებოდა. მან, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართალწარმოება უკვე რვა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც დააძძინა განმცხადებლის მიერ გადატანილი ტრავმა.

55. მარიბორის უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა 2010 წლის 26 მაისს და დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იყო ნათელი და ზუსტი იმ ეჭვთან დაკავშირებით, რომ ხ.-ს ჩადენილი ჰქონდა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები.

56. ამის შემდეგ, განმცხადებელმა სთხოვა უზენაეს სახელმწიფო პროკურორს მოთხოვნის შეტანა კანონიერების დაცვაზე (request for the protection of legality) (განსაკუთრებული დაცვის საშუალება an extraordinary remedy). 2010 წლის 28 ივლისს, უზენაესმა სახელმწიფო პროკურორმა განმცხადებელს შეატყობინა, რომ შემოადინიშნული მოთხოვნა შეიძლება, შეხებოდა მხოლოდ კანონის საკითხებს და არა - ფაქტებს, რომელიც განმცხადებელმა ეჭვქვეშ დააყენა.

## **ე. კომპენსაცია სისხლის სამართლის პროცესის შეფერხებისათვის**

57. 2011 წლის 11 თებერვალს, განმცხადებელმა და სახელმწიფომ, 2006 წლის აქტის შესაბამისად, მიაღწიეს სასამართლოს გარე შეთანხმებას, 1,080 ევროს ოდენობით, რომელიც ფარავდა ყველა იმ მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს, რაც განმცხადებელს მიაღება, მისი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე

სასამართლო მოსმენის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა, ასევე, მიიღო 129.60 ევრო, საქმის წარმოებისას გაწეული ხარჯებისათვის.

## II. შესაბამისი პანონი და პრაქტიკა

### ა. შესაბამისი ეროვნული სისხლის სამართლის კანონი

58. მოვლენების მიმდინარეობისას, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, რომელიც არეგულირებს სექსუალური ძალადობას სისხლის სამართლის დანაშაულს 15 წლამდე პირის მიმართ, არის შემდეგი:

„(1) პირი, რომელიც ამყარებს სქესობრივ კავშირს ან სხვა ნებისმიერ სქესობრივ აქტს საპირისპირო ან იმავე სქესის პირთან, რომელიც ჯერ თხუთმეტი წლის არ არის და სადაც მოძალადისა და მსხვერპლის ზრდასრულობა აშკარად არაპროპორციულია, ერთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

64. შესაძლებელია ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან დროებით გაყვანა, თუ მოწმე უარს ამბობს მისი თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე. შემდეგ მოწმის ჩვენება მას წაეკითხება და მას უფლება აქვს, მოწმეს კითხვები დაუსვას. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 334(2) მუხლის თანახმად, თავმჯდომარე მოსამართლე კრძალავს ნებისმიერ კითხვას, რომელიც უკვე დასმული იყო, რომელიც არ არის დაკავშირებული საქმესთან, ან რომელიც, თავისთავად, გვთავაზობს, თუ როგორი უნდა იყოს მასზე პასუხი.

### გ. შესაბამისი საერთაშორისო კანონი

69. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/34 გადაწყვეტილებით მიღებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულისა და უფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლთათვის, ითვალისწინებს დანაშაულის მსხვერპლების თანაგრძობით მოპყრობას და მათი ღირსების პატივისცემას (დანართი, მუხლი 4). გარდა ამისა, მსხვერპლთა საჭიროებებზე სასამართლო და ადმინისტრაციული პროცესების რეაგირება უნდა გაადვილდეს სხვა inter alia, ისეთი ზომების მიღებით, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს მსხვერპლთა შეწუხებას, საჭიროების შემთხვევაში, დაიცავს მათ კონფიდენციალობას და უზრუნველყოფს მათი, მათი ოჯახების და მათი მხარდამჭერი მოწმეების დაცვას დაშინებისა და შურისძიებისაგან (დანართი, მუხლი 6(დ)).

70. სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლები, ასევე, სარგებლობენ ევროკავშირის კანონმდებლობის დაცვით. 2001 წელს მიღებულ იქნა საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლთა სათანადო

მოსარჩელედ ცნობის შესახებ (2001/220/JHA), დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტების დანერგვის მიზნით. ჩარჩო გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მოთხოვნის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლების რეალური და სათანადო როლი მათ სისხლისსამართლებრივ სისტემაში, აგრეთვე პიროვნების ღირსების სათანადო პატივისცემით მოპყრობა სამართალწარმოების დროს. გარდა ამისა, მე-3 მუხლი ადგენს, რომ მსხვერპლს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოსმენილ იქნას სასამართლო პროცესის დროს, ასევე, წარმოადგინოს მტკიცებულებები; თუმცა, შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი დაიკითხებიან სახელმწიფო ორგანოების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის. მე-8 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მთელი რიგი ზომების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვისაკენ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში. სხვა ზომებთან ერთად, უნდა იქნას მიღებული ზომები, რომელიც გამორიცხავს მსხვერპლთა და დანაშაულებით კონტაქტს სასამართლოს შენობაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი სისხლის სამართლის პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე. აგრეთვე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, როდესაც საჭიროა მსხვერპლთა – განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის – დაცვა ღია სასამართლოში ჩვენების მიცემის შემთხვევაში, მსხვერპლებს აქვთ უფლება, მისცენ ჩვენება ისე, რომ მიღწეულ იყოს ეს მიზანი, მის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან თავსებადი ნებისმიერი სათანადო საშუალებით.

71. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ამბიციამ, გაეძლიერებინა დანაშაულის მსხვერპლთა უფლებები, განაპირობა 2012 წლის 25 ოქტომბერს ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (2012/29/EU) მიღება, რომელიც ადგენს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და ანაცვლებს საბჭოს 2001/220/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას. დირექტივის შესაბამისი ნაწილი, რომელიც უნდა აისახოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში 2015 წლის 16 ნოემბრისთვის, ადგენს შემდეგს:

## **მუხლი 19**

„პირი უნდა ჩაითვალოს მსხვერპლად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დამნაშავე გამოვლენილი, დაპატიმრებული, კანონით დევნილი, თუ გასამართლებული, და მიუხედავად მათ შორის ოჯახური ურთიერთობისა...“

## **მუხლი 20 – მსხვერპლთა დაცვის უფლება სისხლის სამართლის გამოძიების დროს**

„დაცვის უფლებების დაზარალების გარეშე და სასამართლო დისკრეციის წესების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის გამოძიების დროს:

(ა) მსხვერპლთა გამოკითხვა ხორციელდება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით საჩივარი შეტანილია კომპეტენტურ ორგანოში;

(ბ) მსხვერპლთა გამოკითხვების რაოდენობა მინიმუმამდე დაყვანილი და გამოკითხვები ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უკიდურესად აუცილებელია სისხლის სამართლის გამოძიების მიზნებისათვის;

(გ) სამედიცინო გამოკვლევები მინიმუმამდე დაყვანილი და ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უკიდურესად აუცილებელია სისხლის სამართლის საქმისწარმოების მიზნებისათვის“.

## **მუხლი 22 — მსხვერპლთა ინდივიდუალური შეფასება, დაცვის სპეციფიკური საჭიროებების დასადგენად**

„1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლთა დროული და ინდივიდუალური შეფასება ეროვნული პროცედურების შესაბამისად, რათა გამოვლინდეს დაცვის სპეციფიკური საჭიროებები და დადგინდეს, ისარგებლებენ თუ არა და რამდენად ისარგებლებენ ისინი სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს სპეციალური ზომებით, როგორც ეს გათვალისწინებულია 23-ე და 24-ე მუხლებით, მათი განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო მერაბი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაზინებისა და შურისძიების მიმართ.

2. ინდივიდუალურმა შეფასებამ განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს:

- ა) მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები;
- ბ) დანაშაულის ტიპი და ბუნება;
- გ) დანაშაულის გარემოებები.

3. ინდივიდუალური შეფასების კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსხვერპლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაზიანდნენ დანაშაულის სიმძიმის გამო; მსხვერპლებს, რომლებიც დაზარალდნენ მიკერძოებული ან დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულით, რომელიც, შესაძლოა, სპეციფიკურად დაკავშირებული იყოს მათ პიროვნულ მახასიათებლებთან; მსხვერპლებს, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან დამნაშავესთან ურთიერთობის და მასზე დამოკიდებულების გამო. ამ თვალსაზრისით, სათანადო ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანებით ვაჭრობის, გენდერული ძალადობის, ახლო ურთიერთობაში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციის ან სიძულვილის დანაშაულის და მებლუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლებზე.

## **მუხლი 23 – სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლთა დაცვის უფლება სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს**

„1. დაცვის უფლებების დაზარალების გარეშე და სასამართლო დისკრეციის წესების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სპეციალური დაცვის საჭიროებების მქონე მსხვერპლებს, რომლებიც სარგებლობენ 22(1) მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების შედეგად დადგენილი სპეციალური ზომებით, შეუძლიათ,

ისარგებლონ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ზომებით. ინდივიდუალური შეფასების შემდეგ გათვალისწინებული სპეციალური ზომა მიუწვდომელია, თუ ოპერაციული ან პრაქტიკული შეზღუდვების გამო ეს შეუძლებელია, ან როდესაც არსებობს მსხვერპლთან გასაუბრების გადაუდებელი აუცილებლობა და ამის შეუსრულებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მსხვერპლს, სხვა პირს, ან დააზარალოს საქმის წარმოების მიმდინარეობა“.

2. 22(1) მუხლის შესაბამისად განსაზღვრული სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლთათვის, სისხლის სამართლის გამოძიების დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ზომები:

...

(ბ) მსხვერპლთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს ამ მიზნით მომზადებული პროფესიონალის მიერ ან მისი მეშვეობით;

3. 22(1) მუხლის შესაბამისად განსაზღვრული სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლთათვის, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ზომები:

(ა) ზომები მსხვერპლთა და დამნაშავეებს შორის ვიზუალური კონტაქტის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის ჩვენების მიცემის დროს, შესაბამისი საშუალებებით, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით;

(ბ) ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის მოსმენას სასამართლო დარბაზში, მისი დასწრების გარეშე, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

(გ) ზომები, რომელიც გამოირიცხავს არასაჭირო დაკითხვას მსხვერპლის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, რაც არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულთან;

(დ) ზომები, რომლებიც საზოგადოების დასწრების გარეშე მოსმენის ჩატარების საშუალებას იძლევა“.



72. 2011 წლის 5 მაისს, ევროპის საბჭომ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს. სლოვენიამ კონვენციას ხელი მოაწერა 2011 წლის 8 სექტემბერს, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მოხდა. კონვენციის შესაბამისი ნაწილი ადგენს შემდეგს:

### **მუხლი 49 – ზოგადი ვალდებულებები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემაჯავლი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და, ამასთან, მხედველობაში მიიღებოდეს მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად და ძალადობის გენდერული გაგების სათანადო გათვალისწინებით, ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულთა ქმედითი გამოძიების ჩატარებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად.

### **მუხლი 54 – გამოძიება და მკიცხვულება**

“მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესისას, მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია”.

### **მუხლი 56 – დაცვითი ზომები**

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის, მათი როგორც მოწმეების განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე, კერძოდ კი:

ა. მათი, ასევე მათი ოჯახებისა და მოწმეების დაცვის უზრუნველყოფით, დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ძალადობისაგან;

ბ. მსხვერპლის ინფორმირების უზრუნველყოფით იმის შესახებ, ისეთ შემთხვევებში მანაც, როდესაც მსხვერპლები და მათი ოჯახები შეიძლება საფრთხეში იყვნენ, რომ დამნაშავე გაქცეულია ციხიდან ან გათავისუფლებულია დროებით ან საბოლოოდ;

გ. მათი ინფორმირებით, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მათი უფლებებისა და მათ ხელთ არსებული მომსახურებების შესახებ, ასევე, მათი საჩივრის შემდგომი ეტაპების, ბრალდებების, გამოძიების ან სასამართლო პროცესის ზოგადი მიმდინარეობისა და ამასთან დაკავშირებით მათი როლის შესახებ, ასევე, მათი საქმის განხილვის შედეგების შესახებ;

დ. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, შიდა კანონმდებლობის პროცესუალური წესების შესაბამისად, რომ მოუსმინონ მათ, წარადგინონ მტკიცებულება და გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, საჭიროებები და გულისტკივილი, პირდაპირ ან შუამავლის საშუალებით, და რომ ეს ყველაფერი განხილულ იქნას;

ე. მსხვერპლისთვის შესაფერისი მხარდაჭერის მომსახურების მიწოდებით ისე, რომ მათი უფლებები და ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული;

ვ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეიძლება, მიღებულ იქნა ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის დასაცავად;

ზ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეძლებისდაგვარად, თავიდან იყოს აცილებული მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტი სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოს შენობებში;

თ. მსხვერპლისთვის დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნების უზრუნველყოფით, როდესაც მსხვერპლი მონაწილეობს სასამართლო პროცესში ან როდესაც იგი წარადგენს მტკიცებულებას;

ი. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, რომ სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცენ დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია.

2. მიზანშეწონილობის შემთხვევაში, მსხვერპლი ბავშვი ან ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის მოწმე ბავშვი უზრუნველყოფილია სპეციალური დაცვითი ზომებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

## კანონი

1. კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების სავარაუდო დარღვევა

## მუხლი 8

2. „1. ყველას აქვს თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება.

3. 2. ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ამ უფლების განხორციელებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩარევა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოების დაცულობის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანაში არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

### ა. დაშვებადობა

შიდა საშუალებების ამონაწილის საკითხი

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მსგავსი პროტესტი გამოთქვა შიდა დაცვის საშუალებების ამოწურაობის შესახებ იმის საფუძველზე, რომ სავარაუდოდ, უკვე არსებობდა სამოქალაქო სარჩელი კომპენსაციისათვის, ვ. სლოვენის წინააღმდეგ საქმეში (No. 24125/06, §§ 75-77, 2014 წლის 23 იანვარი). იმ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა შიდა გადაწყვეტილება ეხებოდა არსებით უფლებებს და არა – უფლებებს, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება და სისხლის სამართლის სასამართლო პროცესი. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ კომპენსაციის მოთხოვნის სარჩელმა განმცხადებელს არ შესთავაზა წარმატების გონივრული შანსები, და შესაბამისად, უარყო მთავრობის პროტესტი. ასევე, ეროვნული სასამართლოების იურისპრუდენციაში სამართლებრივად აღიარებული არამატერიალური ზიანის კატეგორიების მკაცრი ინტერპრეტაციის გათვალისწინებით (იხ. პუნქტი 67 ზემოთ), სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, გადაუხვიოს ვ. სლოვენის წინააღმდეგ საქმეში მიღებულ დასკვნას.

79. სასამართლო არც იმაშია დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ კომპენსაციის სარჩელმა განმცხადებელს ქმედითი დახმარება შესთავაზა მის ფსიქოლოგიურ ტრავმასთან დაკავშირებული ჩივილების მთელ სპექტრთან დაკავშირებით, რომელიც მან მიიღო ბრალდებულის მიერ მისი პირადი ჯვარდინი დაკითხვის შედეგად, ბრალდებულის ადვოკატის საქმის წარმოებისას, რომელსაც მან, სავარაუდოდ, ადრე მიმართა კონსულტაციისათვის ამავე საკითხზე და ექსპერტი გინეკოლოგის მიერ სავარაუდო არასათანადო დაკითხვის შედეგად. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შიდა საკომპენსაციო სამართალწარმოებისას, განმცხადებელს მოსთხოვდნენ, სხვა საკითხებთან ერთად, დაემტკიცებინა, რომ სავარაუდო ხარვეზები იყო უკანონო შიდა კანონმდებლობის თვალსაზრისით, იმისათვის, რომ მიეღო კომპენსაციის უფლება (იხ. §68 ზემოთ, და ლ. მ. სლოვენის წინააღმდეგ, №32863/05, §§ 168-69, 2014 წლის

12 ივნისი). თუმცა, როგორც ჩანს, ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სამართალწარმოებაში არ ეწინააღმდეგებოდა შიდა კანონმდებლობას (იხ. პუნქტები 29 ზემოთ და 91 ქვემოთ). ამასთანავე, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პრეცედენტული სამართალი არ მიუთითებს, ვრცელდება თუ არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტების ქცევაზე.

80. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო უარყოფს ხელისუფლების პროტესტს შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურაობის შესახებ.

მსხვერპლის სტატუსის არარსებობა

83. თუმცა, სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამ კანონის შესაბამისად მინიჭებულმა კომპენსაციამ – რომელიც პრინციპში მიზნად ისახავს გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის აღმოფხვრას, – შეიძლება, უზრუნველყოს სახელმწიფოს პროცედურული მოთხოვნების დარღვევის ეფექტური ანაზღაურება, კონვენციის სხვა დებულებების ფარგლებში (იხ. ვ. სლოვენის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 76), არ ჩანს, რომ წინამდებარე საქმეში მე-3 მუხლის დარღვევის აღიარება ეროვნულ

1 დონეზე მოხდა (იხ. პირიქით, იქვე, § 78). უფრო მეტიც, გაუგებარია, ანაზღაურება მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპს ეხებოდა, თუ ასევე მოიცავდა გამოძიების ეტაპს. ამ თვალსაზრისით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპენსაციის მინიჭებამ არ მოუხსნა განმცხადებელს მისი მსხვერპლის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესის დაყოვნების თვალსაზრისით.

დასკვნა

84. სასამართლო აღნიშნავს, რომ განცხადება არ არის ცალსახად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე მოტივით. შესაბამისად, ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

## **ბ. საქმის გარემოებები**

### **1. მხარეთა წარდგინებები**

#### **(ა) განმცხადებელი**

85. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მასზე სექსუალური თავდასხმების გამოძიება და შემდგომი სასამართლო პროცესი იყო უმიზეზოდ გაჭიანურებული და არაეფექტური, რადგან ხელისუფლება მიკერძოებული იყო მის მიმართ, მისი უკრაინული წარმოშობის გამო. პირველ რიგში, იგი აცხადებდა, რომ მარიბორის პოლიციამ ერთი წლით თაროზე შემოდო მისი საჩივრების გამოძიების მასალები

და მხოლოდ მაშინ გაუგზავნა დასკვნა მარიბორის რაიონულ სახელმწიფო პროკურატურას, როდესაც პროკურატურამ ეს სასწრაფოდ მოითხოვა. უფრო მეტიც, მარიბორის რაიონულმა სასამართლომ არ ჩაატარა სასამართლო პროცესი შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ სასამართლო პროცესის დაჩქარების მცდელობა მისი პასუხისმგებლობა არ იყო.

86. მეორე, მარიბორის რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა მნიშვნელოვანი მოწმეების გამოძახებაზე ან ახალი ექსპერტი ორთოპედის დანიშვნაზე, იმის გასარკვევად, რეალურად შეუშალა თუ არა ხელი ხ.-ის უნარშემღუდულობამ მას განმცხადებლის მიერ ბრალდებულის ძალადობრივი ქმედებების განხორციელებაში. ასევე, სასამართლოს აკლდა მიუკერძოებლობა და ძირითადად ეყრდნობოდა ორთოპედის ანგაროშს, რომელიც ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ განმცხადებელს აქტიურად შეეძლო საკუთარი თავის დაცვა. უფრო მეტიც, ეს ანგარიში ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთ სხვა მტკიცებულებას, რომელიც აჩვენებდა, რომ ხ.-ს, შესაძლოა, არ ჰქონდა მარცხენა ხელის სრული უნარშემღუდულობა.

87. გარდა ამისა, განმცხადებელი ჩიოდა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი პირადი ხელშეუხებლობა სამართალწარმოების დროს. ამასთან დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ ექსპერტმა ვინეკოლოგმა ბ.-მ თავისი მოვალეობის ფარგლებს გადააჭარბა და გამოძიებელი მოსამართლის კითხვაზე სქესობრივი კავშირის ალბათობასთან დაკავშირებით, პასუხის გაცემის ნაცვლად, გადაწყვიტა, გაერკვია, ჩადენილი იყო თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული და უსვამდა განმცხადებელს მთელ რიგ კითხვებს, რის გამოც, იგი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მოუწია მისგან საკუთარი თავის დაცვა (იხ. პუნქტი 22 ზემოთ).

88. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი დაიკითხა გამოძიების დროს, მას შემდგომში მოუწია ჩვენების მიცემა მარიბორის რაიონულ სასამართლოში ოთხ მოსმენაზე, სადაც ბრალდებულს მიეცა საშუალება, პირადად ეტანჯა იგი მრავალი პროვოკაციული და განმეორებითი კითხვით, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი და ამ კითხვების დასმა მის ადვოკატს შეეძლო. ამ დაკითხვამ მისი ძლიერი ფსიქოლოგიური ტანჯვა გამოიწვია; ის თავს იმედგაცრუებულად, დამცირებულად და უმწეოდ გრძნობდა. აგრეთვე, ბრალდებულს წარმოადგენდა ადვოკატი, რომელთანაც მას ადრე ნასაუბრები ჰქონდა განსახილველ მოვლენებზე და შესაბამისად, ადვოკატს შეეძლო, არასწორად ან თუნდაც ბოროტად გამოეყენებინა მიღებული ინფორმაცია. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებელი ეყრდნობოდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, გადაწყვეტილებებს: ვან მეხელენი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (1997 წლის 23 აპრილი, მოსკენებები 1997 III); და ს.ნ. შვედეთის წინააღმდეგ (No. 34209/96, ECHR 2002 V), და ამტკიცებდა, რომ შიდა კანონმდებლობამ არ შეაჯერა კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით ბრალდებულის დაცვის უფლებები, მე-3 და მე-8 მუხლებით დაცულ მსხვერპლთა ხელშეუხებლობასა და პრივატულობასთან მიმართებაში. განმცხადებლის თქმით, მისმა ტრავმამ გამოწვია მძიმე და მუდმივი ფსიქოლოგიური სირთულეები, რამაც, ასევე, დააქვეითა მისი იმუნური სისტემა.

და ბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ შიდა კანონმდებლობამ ვერ შესთავაზა მას ეფექტური დაცვის საშუალება მის საჩივრებთან დაკავშირებით.

## 2. სასამართლოს შეფასება

### **(ა) სექსუალური ძალადობის საქმეების გამოძიებისა და კანონით დენის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება**

95. შესაბამისი პრინციპები, რომელიც ეხება კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, გამოიძიოს კერძო პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის და განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის საქმეები, ჩამოყალიბებულია საქმეში მ.ც. ბულგარეთის წინააღმდეგ (No. 39272/98, §§ 149, 151 და 153, ECHR 2003 XII).

96. რაც შეეხება კონვენციის მოთხოვნებს გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიებას უნდა შეეძლოს საქმის ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა. ეს არ არის შედეგის ვალდებულება, არამედ ერთ-ერთი საშუალებაა. სახელისუფლებო ორგანოებს უნდა გადაეღვათ ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი ინციდენტთან დაკავშირებული იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, როგორცაა მოწმის ჩვენება და სასამართლო ექსპერტიზა, და ამ კონტექსტში იგულისხმება ოპერატიულობისა და გონივრული დაჩქარების მოთხოვნაც (იხ. დენის ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ, No. 32704/04, § 100, 2009 წლის 17 დეკემბერი, შემდგომი მითითებით). სახელისუფლებო ორგანოების საჩივრებზე სწრაფი რეაგირება მნიშვნელოვანი ფაქტორია (იხ. ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ [GC], No. 26772/95, §§ 133 et seq., ECHR 2000-IV). სასამართლოს გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორცაა გამოძიების დაწყება, მოწმეების იდენტიფიცირების შეფერხება, ჩვენების მიღება (იხ. მატასარუ და სავიჩი მოლდოვეთის წინააღმდეგ, No. 38281/08, §§ 88 და 93, 2010 წლის 2 ნოემბერი.), თავდაპირველი გამოძიებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა (იხ. ინდელიკატო იტალიის წინააღმდეგ, No. 31143/96, § 37, 2001 წლის 18 ოქტომბერი) და სისხლის სამართლის პროცესის გაუმართლებელი დაყოვნება, რაც იწვევს ხანდაზმულობის ვადის გასვლას (იხ. ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, No55523/00, §§ 101-103, 2007 წლის 26 ივლისი). აგრეთვე, მტკიცებულებების შეფასებაში მისი დამხმარე როლის მიუხედავად, სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც ბრალდებები წაყენებულია კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, სასამართლომ განსაკუთრებით საფუძვლიანი გამოკვლევა უნდა ჩაატაროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარკვეული შიდა სამართალწარმოება და გამოძიება უკვე ჩატარებულია (იხ. ჩობზარუ რუმინეთის წინააღმდეგ, No 48254/99, § 65, 2007 წლის 26 ივლისი).

97. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხ.-ის გამამართლებელი განაჩენი იყო მის მიმართ შიდა სასამართლოების მიკერძოების შედეგი, იგი აცხადებდა, რომ მათი დასკვნები ეფუძნებოდა მცდარ ვარაუდებს და მათ უგულებელყვეს მნიშვნელოვანი მოწმეების გამოძახება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შიდა სასამართლოები რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ,

მათ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება სექსუალური ძალადობის სენსიტიურ საკითხთან დაკავშირებით, შეუთავსებელი განცხადებების საფუძველზე და ყოველგვარი ფიზიკური მტკიცებულების გარეშე, რომელიც გაამყარებდა განმცხადებლის ან ხ.-ს მოვლენების ვერსიას. გამოძიებისა და შემდგომი სასამართლო პროცესის განმავლობაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაკითხა მრავალი მოწმე და მიიღო სამი ექსპერტიზის დასკვნა, სიტუაციაში გასარკვევად. მიუხედავად იმისა, რომ ორმა გინეკოლოგიურმა დასკვნამ არც დაადასტურა და არც უარყო განმცხადებლის ბრალდებები (იხ. პუნქტები 22, 42 და 44 ზემოთ), დანარჩენმა ორმა ექსპერტიზის ანგარიშმა საწინააღმდეგო დასკვნები გამოიტანა. კლინიკური ფსიქოლოგიის ექსპერტმა დაადგინა, რომ განმცხადებელი აშკარად ავლენდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სიმპტომებს (იხ. პუნქტები 23 და 43 ზემოთ). მეორე მხრივ, ექსპერტი ორთოპედიაში თვლიდა, რომ უნარშეზღუდულობის გამო, ხ.-ს არ გააჩნდა საკმარისი ძალა განმცხადებლის დასაძლევად. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების შეჯერების შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის სიმპტომები, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო დედის ყოფილი ქმრის არასათანადო ქცევით, შიდა სასამართლოები დარწმუნდნენ ორთოპედის ექსპერტის დასკვნაში.

98. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, არ ჩანს, რომ ექსპერტის დასკვნები ეყრდნობოდა ვარაუდს იმის შესახებ, შეეძლო თუ არა განმცხადებელს აქტიური წინააღმდეგობის გაწევა (იხ. პუნქტი 49 ზემოთ), არამედ ეყრდნობოდა ხ.-ის ფიზიკური შესაძლებლობების საზღვრებს, ექსპერტმა განაცხადა, რომ ხ.-ს არ შეეძლო მარცხენა ხელის გამოყენება იმ ფორმით, რომელიც განმცხადებელმა აღწერა. მართლაც, როგორც ჩანს, ეს მოსაზრება გადამწყვეტი იყო სასამართლო პროცესის შედეგისთვის; თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა მტკიცებულებათა დიდი ნაწილი, განმცხადებლისა და ხ.-ის მიერ გაცემულ განცხადებებთან ერთად (იხ. პუნქტები 39 და 43-49 ზემოთ), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად ეს იყო ამ უკანასკნელის სიტყვა განმცხადებლის სიტყვის წინააღმდეგ, სასამართლო არ მიიჩნევს არაკეთილგონივრულად იმ ფაქტს, რომ მარიბორის რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა დამატებითი მტკიცებულებების მიღებაზე, ან რომ ხ.-ის უნარშეზღუდულობის ობიექტური სამედიცინო მტკიცებულება განიხილა, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი თავის შეფასებაში.

99. თუმცა, სასამართლო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ პროცესი გამოირჩეოდა სრული უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდებით. უპირველეს ყოვლისა, პოლიციამ არ შეიტანა განმცხადებლის ინციდენტის ანგარიში კომპეტენტურ სახელმწიფო პროკურატურაში გამოძიების დასრულებიდან მთელი წლის განმავლობაში და ეს გააკეთა მხოლოდ პროკურორის მოთხოვნის შემდეგ (იხ. პუნქტები 12-14 ზემოთ). სახელმწიფო პროკურორმა მაშინვე მოითხოვა ხ.-ის მიმართ სასამართლო გამოძიების დაწყება (იხ. პუნქტი 15 ზემოთ); თუმცა, გამოძიებელ მოსამართლეს 21 თვე დასჭირდა მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად (იხ. პუნქტები 16-17 ზემოთ). გამოძიების

დასრულების შემდეგ, სასამართლო სხდომა დაინიშნა ხ.-ის წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნის დადასტურებიდან რვა თვის შემდეგ (იხ. პუნქტი 25 ზემოთ), შიდა საპროცესო წესების დარღვევით (იხ. §62 ზემოთ). თუმცა, რამდენიმე გადადების გამო, პირველი მოსმენა რეალურად გაიმართა ხ.-ისთვის ბრალის წაყენებიდან თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ. მთლიანობაში, განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, შვიდ წელზე მეტი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია სპეკულირება, ეს დაყოვნებები, რისი დასაბუთებაც ხელისუფლებას არ წარუდგენია, მიაყენა თუ არა რაიმე სახის ზიანი სამართალწარმოების შედეგს, სასამართლოს აზრით, არ შეიძლება, შესაბამებოდეს ოპერატიულობის პროცედურულ მოთხოვნას.

100. აქედან გამომდინარე, დაირღვა მოპასუხე სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

**(ბ) განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის დაცვა, მის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეში**

101. სასამართლო მოწოდებულია, განიხილოს, საკმარისად დაიცვა თუ არა სახელმწიფომ განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და განსაკუთრებით, მისი პირადი ხელშეუხებლობა, მის მიმართ ჩადენილ სავარაუდო სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის პროცესის დროს. ამრიგად, საქმე ეხება არა სახელმწიფოს ქმედებას, არამედ იმ ზომების სავარაუდო ნაკლებობას ან არაადეკვატურობას, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების დაცვას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლის მთავარი მიზანია პიროვნების დაცვა საჯარო ხელისუფლების ორგანოების თვითნებური ჩარევებისგან, ის არა მხოლოდ აიძულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს ასეთი ჩარევებისგან, არამედ, ამ ნეგატიური ვალდებულების გარდა, შეიძლება იყოს დადებითი ვალდებულებები, რომელიც არსებითია პირადი ან ოჯახური ცხოვრების ეფექტური პატივისცემისათვის. ეს ვალდებულებები, შეიძლება, მოიცავდეს ზომების მიღებას, რომელიც შექმნილია პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, თუნდაც ცალკეული პირების ურთიერთობის სფეროში (იხ. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1985 წლის 26 მარტი, § 23, სერია ა N. 91)

102. მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის საზღვარი არ იძლევა ზუსტ განმარტებას; მიუხედავად ამისა, მათი გამოყენების პრინციპები მსგავსია. ორივე კონტექსტში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა დამყარდეს შესაბამის კონკურენტულ ინტერესებს შორის (competing interests) (იხ. უაითი შვედეთის წინააღმდეგ, No. 42435/02, § 20, 2006 წლის 19 სექტემბერი).



103. რაც შეეხება დაცვის მხარისა და მოწმეების ინტერესებს შორის კონფლიქტს სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლოს უკვე რამდენჯერმე აქვს დადგენილი, რომ სისხლის სამართლის პროცესი უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ გაუმართლებელი საფრთხე არ შეუქმნას მოწმეთა სიცოცხლეს, თავისუფლებას ან უსაფრთხოებას, განსაკუთრებით მსხვერპლთა იმ მოწმეების, რომლებიც ჩვენებას იძლევიან, ან მათ იმ ინტერესებს, რომლებიც ზოგადად კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებშია გათვალისწინებული. ამდენად, დაცვის მხრის ინტერესები უნდა იყოს დაბალანსებული მოწმეების ან იმ მსხვერპლთა ინტერესებთან, რომლებიც ჩვენების მისაცემად ცხადდებიან (იხ. დორსონი, ციტირებული ზემოთ § 70). აღსანიშნავია, რომ სქესობრივი ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება ხშირად აღიქმება, როგორც მსხვერპლის განსაცდელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ უწევს ბრალდებულთან შეხვედრა. ეს გარემოებები კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს არასრულწლოვანთა საქმეში. ამიტომ, ასეთი სამართალწარმოებისას, შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება მსხვერპლის დაცვის მიზნით, იმ პირობით, რომ ის შეესაბამება დაცვის უფლებების ადექვატურ და ეფექტურ განხორციელებას (იხ. ს.ნ. შვედეთის წინააღმდეგ, ციტირებული ზემოთ, § 47, და აიგნერი ავსტრიის წინააღმდეგ, No 28328/03, § 35, 2012 წლის 10 მაისი).

104. ბრალდებულმა წამოსწია საკითხი იმის შესახებ, წარმატებულად ამყარებდა თუ არა ეროვნული ხელისუფლება, აქამდე სასამართლოში განხილულ საქმეებში, სამართლიან ბალანსს მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დაზარალებულთა უფლებებსა და დაცვის კონფლიქტურ ინტერესებს შორის, განსაკუთრებით ბრალდებულის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტში მითითებულ უფლებას შორის – მოითხოვოს და ჩაატაროს მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა. ამის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში სასამართლო მოწვეულია, განიხილოს ეს საკითხი სავარაუდო მსხვერპლის პერსპექტივიდან. საკითხის განხილვისას, სასამართლო გაითვალისწინებს შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებში დადგენილ კრიტერიუმებს (იხ. პუნქტები 69-72 ზემოთ). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სახელშეკრულებო მხარეებისგან მოითხოვს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ასეთი ზომები მოიცავს, *inter alia*, დაშინებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დაცვას, მსხვერპლებისათვის საშუალების მიცემას, რომ მოსმენილ იქნან და წარმოადგინონ თავიანთი შეხედულებები, საჭიროებები და შემოფოთება და ამ ყველაფერის სათანადოდ გათვალისწინებით და, თუ ნებადართულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მათ მიერ ჩვენების მიცემით, სავარაუდო დამნაშავის დასწრების გარეშე. გარდა ამისა, ევროკავშირის დირექტივა, რომელიც ადგენს მინიმალურ სტანდარტებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ, *inter alia*, ითვალისწინებს, რომ მსხვერპლებთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და სამედიცინო გამოკვლევები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

105. რაც შეეხება განმცხადებლის უფლებების დაცვას განსახილველ სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლო, პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესზე მისმა ჩვენებამ წარმოადგინა ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება საქმეში. გარდა ამისა, სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავი იყო; ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც ადასტურებდა სქესობრივ ძალადობას, ორთოპედიულმა ანგარიშშია გადაწონა. ამ ფონზე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი სასამართლოს ინტერესები მოითხოვდა, დაცვის მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა, ჯვარედინად დაეკითხა განმცხადებელი, რომელიც იმ დროისთვის უკვე სრულწლოვანი იყო. მიუხედავად ამისა, უნდა დადგინდეს, დაამყარა თუ არა სამართლიანი ბალანსი განმცხადებლის დაკითხვის ფორმამ მის პირად ხელშეუხებლობასა და ხ.-ის დაცვის უფლებებს შორის.

106. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ, როგორც წესი, ბრალდებულის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებები მოითხოვს, მას მიეცეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, შეედავოს მოწმეს და დაკითხოს იგი, როდესაც ის მის წინააღმდეგ ჩვენებას იძლევა, ან პროცესის შემდგომ ეტაპზე (იხ. საიდი საფრანგეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 20 სექტემბერი, § 43, სერია A No. 261 C, და ა.შ. იტალიის წინააღმდეგ, No. 37019/97, § 25, ECHR 1999-IX). გარდა ამისა, სასამართლომ სიფრთხილით უნდა შეაფასოს დაკითხვის კონკრეტული ხაზი, იმის გათვალისწინებით, რომ პირველ რიგში, კომპეტენტური ეროვნული ორგანოების როლია გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებების დასაშვებობისა და შესაბამისობის შესახებ (იხ. შენცი შევიცარიის წინააღმდეგ, 1988 წლის 12 ივლისი, § 46, სერია A № 140, და ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1976 წლის 8 ივნისი, § 91, სერია A, №22). ამასთანავე, სასამართლოს უკვე დადგენილი აქვს, რომ პირის უფლება, დაიცვას საკუთარი თავი, არ ითვალისწინებს დაცვის მიერ ნებისმიერი არგუმენტის გამოყენების შეუზღუდავ უფლებას (იხ. mutatis mutandis, ბრენდსტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წლის 28 აგვისტო, § 52, სერია A No. 211). ამრიგად, ვინაიდან პირდაპირი შეხვედრა სექსუალურ ძალადობაში ბრალდებულებსა და მათ სავარაუდო მსხვერპლებს შორის შეიცავს ამ უკანასკნელთა დამატებითი ტრავმატიზაციის რისკს, სასამართლოს აზრით, პირადად ბრალდებულების მიერ ჯვარედინი დაკითხვა ყველაზე დიდი სიფრთხილით უნდა ფასდებოდეს ეროვნული სასამართლოების მიერ, მით უფრო მეტად, რაც უფრო ინტიმურია შეკითხვები.

107. განმცხადებლის დაკითხვა გახანგრძლივდა ოთხ მოსმენაზე (იხ. პუნქტები 31, 32, 34-38 და 40 ზემოთ), შეიდი თვის განმავლობაში, სასამართლოს აზრით, ეს საკმარის ხანგრძლივი პერიოდია, რაც თავისთავად იწვევს შემფოთებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა მოსმენებს შორის ხანგრძლივი ინტერვალის რაიმე აშკარა მიზეზი. უფრო მეტიც: ამ სხდომებიდან ორზე, ხ.-მ, ბრალდებულმა, რომელსაც სხვა შემთხვევებში მთელი პროცესის განმავლობაში ადვოკატი წარმოადგენდა, პირადად ჯვარედინად დაკითხა განმცხადებელი. იმის მტკიცების გარდა, რომ მას ფიზიკურად არ შეეძლო განმცხადებელზე თავდასხმა, ხ.-ის ჯვარედინი დაკითხვა ეყრდნობოდა იმ დაშვებას, რომ განმცხადებელი მას თვლიდა სანდო ადამიანად და ცდილობდა

მასთან ურთიერთობას და არა პირიქით, და განმცხადებლის ბრალდებები მის წინააღმდეგ წაქეზებული იყო მისი დედის სურვილით, მისთვის ფული გამოეძალა. შესაბამისად, ხ.-ის კითხვების უმეტესობა გამოკვეთილად პირადი ხასიათის იყო.

108. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხ.-ის მიერ დასმული ზოგიერთი კითხვა ისე იყო ფორმულირებული, რომ თავის თავში პასუხებს მოიაზრებდა და ბევრი სხვა კითხვა არაერთხელ გაულერდა (იხ. პუნქტები 34 და 36 ზემოთ). ხ., ასევე, განუწყვეტლივ კამათობდა განმცხადებლის პასუხების სისწორეზე და წარმოდგენდა მოვლენების საკუთარ ვერსიას. რა თქმა უნდა, დაცვის მხარეს უნდა მისცემოდა გარკვეული თავისუფლება, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა განმცხადებლის სანდოობა და უტყუარობა და გამოეკვლინა შესაძლო შეუსაბამოებები მის ჩვენებაში. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც მოწმეების დაშინების ან დამცირების საშუალება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო თვლის, რომ ხ.-ის ზოგიერთი შეკითხვა და შენიშვნა, რომელიც ყოველგვარი მამტიკიცებელი საფუძვლის გარეშე მიანიშნებდა, რომ განმცხადებელს საჭიროების შემთხვევაში შეეძლო პირდაპირ, მიზეზის გარეშე ეტირა ადამიანების მანიპულირების მიზნით, რომ მისი დისტრესი შეიძლება შემსუბუქებულიყო მასთან სადილით, ან რომ მან გაანდო მას კაცებზე დომინირების სურვილი, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ განმცხადებლის სანდოობაზე თავდასხმას, არამედ – მისი პიროვნების დამცირებას.

109. სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირველეს ყოვლისა, თავმჯდომარე მოსამართლის პასუხისმგებლობა იყო იმის უზრუნველყოფა, რომ განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის პატივისცემა სასამართლო პროცესზე ადეკვატურად ყოფილიყო დაცული. სასამართლოს აზრით, სიტუაციის სენსიტიურობა, რომელშიც განმცხადებელი უშუალოდ, დეტალურად და ვრცლად დაიკითხა იმ მამაკაცის მიერ, რომელსაც იგი სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა, მოითხოვდა, რომ თავმჯდომარეს ზედამხედველობა გაეწია ხ.-ის კითხვებისა და კომენტარების ფორმისა და შინაარსისათვის და საჭიროებისამებრ, ჩარეულიყო. მართალია, სასამართლო მოსმენის ჩანაწერი მიუთითებს, რომ თავმჯდომარემ აუკრძალა ხ.-ს გარკვეული კითხვების დასმა, რომელიც არ იყო საქმესთან კავშირში, თუმცა, სასამართლო თვლის, რომ ხ.-ის შეურაცხყოფელი ინსინუაციები განმცხადებლის მიმართ ასევე აჭარბებდა იმ საზღვრებს, რისი დაშვებაც შეიძლებოდა მისთვის ეფექტური დაცვის აგების მიზნით და მოითხოვდა შესაბამის რეაქციას. ხ.-ისთვის ნებადართული ჯვარედინი დაკითხვის სხვაგვარად ფართო საზღვრების გათვალისწინებით, სასამართლოს აზრით, მისი პირადი შენიშვნების შეკვეცა ზედმეტად არ შეზღუდავდა მის დაცვის უფლებებს. სამაგიეროდ, ასეთი ჩარევა შეამსუბუქებდა განმცხადებლისათვის აშკარად სტრესულ გამოცდილებას (იხ. პუნქტები 37 და 38 ზემოთ).

110. შემდეგ, რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას, რომ ხ.-ის ადვოკატი მ. უნდა ყოფილიყო დისკვალიფიცირებული ხ.-ის წარმომადგენლობისგან საქმის წარმოებისას, რადგან განმცხადებელმა მასთან გაიარა კონსულტაცია სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პოლიციას აცნობებდა ამ ამბავს, სასამართლოს ამოცანა არ არის სპეკულირება იმის შესახებ, იცნობდნენ

თუ არა განმცხადებელი და მ. ერთმანეთს და როგორი იყო მათი ნაცნობობა სასამართლო პროცესამდე, – ეს ეროვნული ორგანოების ამოცანაა. თუმცა, როგორც ჩანს, შიდა კანონმდებლობის მიხედვით, განმცხადებელსა და მ.-ს შორის წინასწარი არაფორმალური კონსულტაციების შესაძლებლობა არ აყენებდა ინტერესთა კონფლიქტის საკითხს, რასაც ამ უკანასკელის დისკვალიფიკაცია შეიძლებოდა გამოეწვია (იხ. პუნქტები 29, 31 და 40–42 ზემოთ). ამრიგად, მარიბორის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ მ.-ს დისკვალიფიკაციის თაობაზე განცხადების გასამყარებლად, არანაირი კანონით დადგენილი მოტივი არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, მარიბორის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება.

111. მიუხედავად ამისა, თუ ვაკეთდება დაშვება, რომ განმცხადებლის ბრალდება იყო ტეშმარტი, სასამართლოს არ შეუძლია, არ გაითვალისწინოს, რომ მ.-ს მიერ ჯვარედინი დაკითხვის უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტი მნიშვნელოვნად მეტი იყო იმ ნერვიულობაზე, რომელსაც განმცხადებელი განიცდიდა სხვა ადვოკატის მიერ დაკითხვის შემთხვევაში. შესაბამისად, ეს იყო მოსაზრება, რომელიც არ უნდა ყოფილიყო სრულიად უგულვებლყოფილი მ.-ის, როგორც ხ.-ის ადვოკატის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. უფრო მეტიც, უფრო ზოგადი შენიშვნის სახით, სასამართლო დასძენს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მ.-ს შეეძლო, მიეღო განმცხადებლისგან მისი, როგორც ადვოკატის რანგში, თუნდაც ადვოკატის ჰონორარის ხელშეკრულების გარეშე უნდა განხილულიყო, როგორც კონფიდენციალური და არ უნდა გამოყენებულიყო იმ ადამიანის სასარგებლოდ, რომელსაც იმავე საკითხში საწინააღმდეგო ინტერესები ჰქონდა. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ ადვოკატის დისკვალიფიკაციის შესახებ შიდასახელმწიფოებრივმა კანონმა, ან მისი გამოყენების წესმა წინამდებარე საქმეში, საკმარისად არ გაითვალისწინა განმცხადებლის ინტერესები.

112. ბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ ბ.-მ, ექსპერტმა გინეკოლოგმა, რომელსაც მიმართეს იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს სქესობრივი კავშირი მოვლენების მიმდინარეობის დროს, აიძულა მას, ეპასუხა რიგ ბრალდების შემცველ შეკითხვებზე, რომელიც მის ამოცანასთან კავშირში არ იყო. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში დანაშაულის მსხვერპლთა პირადი ხელშეუხებლობა, სწორედ სიტუაციის ბუნებიდან გამომდინარე, უმთავრესად დაცული უნდა იყოს სამართალწარმოების განმახორციელებელი საჯარო ორგანოების მიერ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოები, ასევე, ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ პროცესის სხვა მონაწილეები, რომლებიც მოწვეულნი არიან გამოძიებაში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასახმარებლად, ღირსეულად მოექცნენ მსხვერპლს და სხვა მოწმეებს და ზედმეტად არ შეაწუხონ ისინი. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, აღნიშნულია, რომ საქმისწარმოებაში ბ.-ს სტატუსის მიუხედავად, ხელისუფლებას არ გაუპროტესტებია, რომ სახელმწიფო შეიძლება, პასუხისმგებელი იყოს მის ქმედებებზე. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს სხვაგვარად დადგენისათვის, რადგან შენიშნავს, რომ გამოძიებელმა

მოსამართლემ დანიშნა ექსპერტი და ბრძანება გასცა სადავო ექსპერტიზაზე თავისი სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

113. შემდგომ, ბ.-ს მიერ განმცხადებლის დაკითხვასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მან განმცხადებელს აჩვენა პოლიციისა და ორთოპედული ანგარიშების დასკვნები და ჰკითხა, რატომ არ დაიცვა მან თავი უფრო ძლიერად (იხ. პუნქტი 22 ზემოთ), რითაც შეეხო ისეთ საკითხებს, რომელიც ნამდვილად არ იყო დაკავშირებული მისთვის დავალებულ გამოკვლევასთან. სასამართლოს აზრით, ბ.-ს კითხვები და შენიშვნები, ისევე, როგორც სამართლებრივი დასკვნები, რომელიც მან თავის ექსპერტულ დასკვნაში წარმოადგინა, სცდებოდა როგორც მისი ამოცანების, ასევე მისი სამედიცინო ექსპერტიზის ფარგლებს. უფრო მეტიც, არ ჩანს, რომ ბ. გაწვრთნილი იყო სექსუალური ძალადობის მსვერულებთან ინტერვიუს ჩატარებაში. ამრიგად, ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მისი ჩარევა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების იურისდიქციაში შემაჯავალ საკითხებში. რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორც განმცხადებელი ამტკიცებდა, მას მოუწია თავდაცვის მდგომარეობაში ყოფნა, რამაც, სასამართლოს აზრით, არასაჭიროდ გაამწვავა მისი სტრესი სისხლის სამართლის პროცესის დროს.

114. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს, განსაკუთრებით სასამართლო პროცესის ხელმძღვანელ მოსამართლეს, დელიკატური დავალება ჰქონდათ, დაებალანსებინათ კონკურენტული ინტერესები, უზრუნველყვით ბრალდებულის სამართლებრივი დახმარების უფლებების ეფექტური განხორციელება და გამოეკითხათ მის წინააღმდეგ მოწმეები. ასევე, მართალია, რომ მთელი რიგი მომები იქნა მიღებული განმცხადებლის შემდგომი ტრავმის თავიდან ასაცილებლად. მან ჩვენება მისცა გამომოძებელ მოსამართლეს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის დასწრების გარეშე, საზოგადოება არ იქნა დაშვებული სასამართლო პროცესზე, ხოლო როდესაც მან ჩვენება მისცა, ბრალდებული გაიყვანეს სასამართლო დარბაზიდან (იხ. პუნქტები 18, 29, 31 და 34 ზემოთ.). ჩვენების მიცემისა და ჯვარედინი დაკითხვის დროს, განმცხადებლის სტრესის გამო, სასამართლო სხდომები რამდენჯერმე გადაიდო რამდენიმე წუთით ან გადატანილ იქნა სხვა დროს (იხ. პარაგრაფები 31, 37 და 38 ზემოთ). გარდა ამისა, თავმჯდომარე მოსამართლემ გააფრთხილა ბრალდებული, არ გაემეორებინა კითხვები ჯვარედინი დაკითხვისას და აკრძალა რამდენიმე კითხვა (იხ. პუნქტი 36 ზემოთ). მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, განმცხადებელსა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობა და თემის ინტიმური ხასიათი, ისევე, როგორც განმცხადებლის მცირე ასაკი (ის არასრულწლოვანი იყო, როდესაც სავარაუდო სექსუალური ძალადობა მოხდა), განსაკუთრებულად სენსიტიურ პუნქტებს წარმოადგენდა, რაც ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მოითხოვდა შესაბამის სენსიტიურ მიდგომას, ამ კონკრეტული სისხლის სამართლის პროცესის წარმართვის მიმართ. ზემოთ გაანალიზებული ფაქტორების კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, რამაც ცუდად იმოქმედა განმცხადებლის პიროვნულ ხელშეუხებლობაზე (იხ. პუნქტები 107-13 ზემოთ),

სასამართლოს მიაჩნია, რომ მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა დისკომფორტის იმ დონეს, რაც თან ახლავს სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემას და შესაბამისად, ვერ გამართლდება სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებით.

115. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში სისხლის სამართლის პროცესის წარმართვის მეთოდმა სათანადოდ ვერ დაიცვა განმცხადებელი, რათა დაემყარებინა შესაბამისი ბალანსი კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ მის უფლებებსა და ინტერესებსა და მე-6 მუხლით დაცულ ხ.-ის დაცვის უფლებებს შორის.

116. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს განცხადებას დასაშვებად

2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რადგან მოპასუხე სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყო სქესობრივი ძალადობის შესახებ განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე დაუყოვნებელი გამოძიება და კანონით დევნა;

3. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რადგან მოპასუხე სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ დაიცვა განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობა სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში, რომელიც მის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ეხებოდა;

4. ერთხმად ადგენს, რომ

(ა) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში შემდეგი თანხები:

(i) 9, 500 ევრო (ცხრა ათას ხუთასი ევრო), იმ ნებისმიერი გადასახადის დამატებით, რომელიც შეიძლება დაეკისროს ზემოაღნიშნულ თანხას, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

(ii) 4 000 ევრო (ოთხი ათასი ევრო) იმ ნებისმიერი გადასახადის დამატებით, რომელიც შეიძლება დაეკისროს ზემოაღნიშნულ თანხას, საფასურისა და დანახარჯების დასაფარად;

(ბ) ზემოაღნიშნული სამი თვის გავლიდან ანგარიშსწორებისას, გადაუხდელობის პერიოდში, ზემოაღნიშნულ თანხას ემატება მარტივი პროცენტი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საპროცენტო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

5. არ აკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიანი კომპენსაციის შესახებ.

---

# საქმე “ჯ.ლ. იტალიის წინააღმდეგ”

## Case of J.L. v. Italy

(საჩივარი N°5671/16)

27/08/2021

### შესავალი

1. მომჩივანი დავობს, რომ ჯგუფური ძალადობის საქმეზე, მისი საჩივრის საფუძველზე წარმოებულმა სისხლის სამართლის პროცედურამ, უგულვებლყო პოზიტიური ვალდებულება, რომელიც, მისი მოსაზრებით, ნაციონალურ ორგანოებს აკისრებდა ვალდებულებას, ეფექტური გზით დაეცვათ იმ სექსუალური ძალადობისგან, რომლის მსხვერპლიც, მისი განცხადებით, ის გახდა, და, ასევე, ვალდებულებას, დაეცვათ მისი პირადი ცხოვრებისა და ხელშეუხებლობის უფლება. მომჩივანი აღნიშნულს მიიჩნევს კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევად.

### ფაქტები

#### **I. მომჩივნის მიერ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ფორმულირებული პრეტენზიები**

4. მომჩივანი, რომელიც მოვლენათა განვითარების დროისათვის იყო ხელოვნებისა და თეატრის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, აცხადებს, რომ 2008 წლის 25 ივლისს საღამოს, დაახლოებით ღამის 12 საათისთვის, ის შეუერთდა ლ. ლ.-ს და ამ უკანასკნელის მეგობრებს «Fortezza da Basso»-ში, ქალაქ ფლორენციის საჯარო სივრცეში, რომელიც მდებარეობს ძველ სამხედრო ციხესიმაგრეში და სადაც იმართებოდა ხოლმე სპექტაკლები.

5. პირველადი გამოკითხვის ფარგლებში (იხ. პარაგრაფები 12-13 და 15), მომჩივანმა პოლიციასა და პროკურატურაში განაცხადა, რომ ის შეხვდა ლ. ლ.-ს თეატრის გაკვეთილებზე, ორი წლის წინ. შემდგომ, 2008 წლის თებერვალში, მან ითამაშა მოკლემეტრაჟიანი ფილმში, რომლის სცენარისტი და რეჟისორი იყო ლ. ლ., და შეასრულა ძალადობის მსხვერპლი სექსმუშაკი ქალის როლი. მან, ასევე, განაცხადა, რომ 2008 წლის 5 ივნისს, ჰქონდა ერთჯერადი სექსობრივი კავშირი ლ. ლ.-სთან.

6. მან აღნიშნა, რომ 25 ივლისს, ლ. ლ.-მ ის დაპატიჟა საღამოზე და დაპირდა „პატარა საჩუქრის“ ჩუქებას. მან გადაწყვიტა, დათანხმებოდა მიწვევას იმ იმედით, რომ მიიღებდა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ფოტოებსა და თავის ანაზღაურებას. მისი შეყვარებული იყო ავად, ამიტომ ვერ შეძლო თანხლება. მომჩივანმა მიუთითა, რომ საღამოს განმავლობაში, მან დალია ლ. ლ.-სა და მისი მეგობრების მიერ შეძენილი მრავალი ჭიქა ლიქიორი, რამაც მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომ ადვილად კარგავდა თავის ქცევებზე კონტროლს და უჭირდა სიარული. მან მიუთითა გამომძიებლებს, რომ მას ალკოჰოლისადმი ცუდი ამტანობა ჰქონდა, რაც ლ. ლ.-მ იცოდა.



7. დაახლოებით დილის 01:30 სთ-ზე, ციხესიმაგრის საპირფარეშოსკენ მიმავალს, მას აედევნა დ. ს. (ლ. ლ.-ს ერთ-ერთი მეგობარი, რომელსაც ის ადრეც შეხვედრია და რომელთანაც რამდენიმე კვირის წინ ჰქონდა ერთგვარი სექსუალური ურთიერთობა,) და მოსთხოვა ორალური სექსუალური კავშირის დამყარება. მომჩივანმა განაცხადა, რომ ის იყო უსიამოვნოდ გაკვირვებული დ. ს.-ს ქცევით, მაგრამ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, ვერ შეძლო, მას შეწინააღმდეგებოდა. მან განმარტა, რომ აღნიშნულის შემდეგ, მან და სხვა პირებმაც დაიწყეს ბარის გვერდით დამონტაჟებული მექანიკური ხარის ტარება, შემდეგ კი, მეგობრების ჯგუფთან ერთად საცეკვაო მოედანზე იცეკვა. მან განაცხადა, რომ საღამოს დასასრულს, ლ. ლ.-ს, მისი მეგობრებისა და ბარმენის მიერ უფასოდ შეთავაზებული კოქტეილები მიყოლებით დალია.

8. დილის 3 საათისკენ, როდესაც საღამო მთავრდებოდა და ციხესიმაგრე იკეტებოდა, ლ. ლ.-ის ექვსმა მეგობარმა, მათ შორის დ. ს.-მ, მას თანხლება გაუწიეს გასასვლელისაკენ და დაუწყეს შევიწროება, მკერდზე მოფერებითა და სასქესო ორგანოებზე შეხებით. იმავდროულად, ლ. ლ., რომელიც ელოდებოდათ გასასვლელში, მას შემდეგ, რაც მათ დაშორდა რამდენიმე წუთით ადრე, თავისი შეყვარებულის გასაცილებლად, შეუერთდა მეგობრების ქმედებებს. მომჩივანი შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას და იყვირა, რას აკეთებთო. შემდეგ შეეცადა მათგან გათავისუფლებას და ველოსიპედზე დაჯდომას, რა დროსაც, მას საწინააღმდეგო მიმართულებით უბიძგეს და მიმართეს ლ. ლ.-ის მანქანისკენ, სადაც ის აიძულეს, მრავალჯერადი სექსუალური ურთიერთობა დაემყარებინა ამ ჯგუფის წევრებთან.

9. მომჩივანმა მიუთითა, მას ნათლად ახსოვდა, რომ მანქანაში 7 მამაკაცი იმყოფებოდა, მათ შორის - დ. ს., რომელიც იჯდა წინა სავარძელზე. მან განმარტა, რომ ყველა მამაკაცმა მორიგეობით გააუპატიურა, როგორც ვაგინალური შეღწევის, ასევე ორალური სექსუალური კავშირის გზით. ისინი მას კბენდნენ მკერდსა და სასქესო ორგანოებზე, უკავებდნენ ხელებს და ძალით აშლევინებდნენ ფეხებს. ამ ყველაფრის შედეგად, მას განუვითარდა სისხლჩაქცევები და ტკივილები, განსაკუთრებით - ყბის არეში. მომჩივანმა განაცხადა, რომ მამაკაცებს ჰქონდათ ეაკულაცია და მანქანაში სპერმის ძლიერი სუნი იყო. მან განმარტა, რომ იყო შოკის მდგომარეობაში, განცვიფრებული და არ ჰქონდა რეაგირების უნარი. მომჩივანმა განაცხადა, რომ დილის 4 საათისკენ შეძლო ძალის მოკრება და მანქანიდან გამოღწევა. მან დააზუსტა, რომ აგრესორებმა ისე დაიჭირეს თავი, რომ იყვნენ „თითქმის გაკვირვებულები“ მისი უცვარი რეაქციით. მანქანიდან გადმოსვლისას, მან გააანალიზა, რომ მანქანას ადგილი შეცვლილი ჰქონდა და გაჩერებული იყო ტერიტორიაზე, რომელიც თავდაპირველად ვერ იცნო, თუმცა შემდგომ გააცნობიერა, რომ ეს იყო კოსერიას (Casseria) ქუჩა. ისევ შოკურ მდგომარეობაში მყოფმა, იარა უმიზნოდ, შემდეგ კი იპოვა თავისი ველოსიპედი (იხ. პარაგრაფი 21) და დაბრუნდა სახლში, სადაც აღნიშნული ამბავი უამბო თავის შეყვარებულს.

10. 2008 წლის 26 ივლისს, ნაშუადღევს, მომჩივანმა, თავის შეყვარებულთან და გოგო მეგობართან ერთად, მიმართა Careggi-ს საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის

ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრს და განაცხადა, რომ ჯგუფური ძალადობის მსხვერპლი იყო. ცენტრის გინეკოლოგებმა შეადგინეს სამედიცინო ცნობა, რომელიც ახდენდა შემდეგი ფაქტების კონსტანტაციას: სისხლჩაქცევები ორივე წინამხარზე, ხუთ სანტიმეტრიანი ნაკაწრი მარჯვენა ბარძაყზე, მარცხენა მკერდის არეალის გაღიზიანება და სასქესო ორგანოების სიწითლე.

ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის ექიმმა შეადგინა მოხსენება მომჩივნის მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე. მისი ხელმოწერის შემდეგ, მომჩივანმა მოითხოვა მოხსენების ერთი ნაწილის მოდიფიცირება, რათა დაზუსტებულიყო, რომ, ძალადობის შემდეგ, ის მივიდა თავის ველოსიპედამდე თავად, ფეხით, და არა მანქანით, აგრესორების თანხლებით, როგორც ეს იყო მითითებული მოხსენების პირველ ვერსიაში (იხ. პარაგრაფი 21). აღნიშნული მოხსენების ასლი გაეგზავნა პოლიციას.

11. აღნიშნული ფაქტების შემდგომ თვეებში, მომჩივანი განიცდიდა ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ჰქონდა პანიკური შეტევა. ის მკურნალობდა Artemisia-ს ცენტრის (რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული, კერძო ასოციაციის მიერ მართული ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრი) ფსიქოლოგთან, რომელსაც მან მიმართა დახმარების მისაღებად. პოსტტრავმული სტრესის გამო, ის ასევე იყო ჰოსპიტალიზებული Careggi-ს ჰოსპიტალში 2009 წლის 29 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით.

## II. სისხლის სამართლის პროცედურა

12. 2008 წლის 3 ივლისს, მომჩივანი გამოძახებული იყო და გამოიკითხა ფლორენციის პოლიციის მიერ, რომელმაც მიიღო Careggi-ის ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის მიერ შედგენილი მოხსენება. იმავე დღეს, მან შეიტანა საჩივარი სავარაუდო აგრესორების წინააღმდეგ.

13. 31 ივლისს, ის გამოძახებული იყო და გამოიკითხა რავენის (ქალაქი, რომელშიც იყო ვიზიტით თავის მეგობრებთან ერთად) პოლიციის მიერ. მან ხელახლა აღწერა ფაქტების განვითარების მისი ვერსია და ამოიწყო სავარაუდო აგრესორები, საღამოზე გადაღებული ფოტოების დახმარებით.

14. იმავე დღეს, ფლორენციაში, შვიდი ეჭვმიტანილი, მათ შორის დ. ს., წინასწარ დაკავების იზოლატორში მოათავსეს. იურიდიულმა პოლიციამ ამოიღო მათი ტელეფონები, რომელთა ამონაწერიც იქნა გამოკვლეული და ასევე მანქანა, რომელშიც სავარაუდოდ ძალადობა განხორციელდა. პროკურატურამ გამოსცა ბრძანება ექსპერტების ჩატარების თაობაზე ბიოლოგიური სითხეების აღმოსაჩენად, რომელიც, შესაძლოა, მოხვედრილიყო მანქანაში და მომჩივნის ტანსაცმელზე, და, ასევე, გამოსცა იმ ტერმინალების დადგენის ბრძანება, რომელიც, შესაძლოა, გააქტიურებულიყო ეჭვმიტანილებისა და მომჩივნის ტელეფონებით, ფაქტების განვითარების ღამეს.

15. 2018 წლის 16 სექტემბერს, 18:30 და 22:10 საათებს შორის გამართული მოსმენისას, მომხივანმა ფლორენციის პროკურატურის წინ კიდევ ერთხელ აღწერა 25-26 ივლისის დამის მოვლენების განვითარება და დააზუსტა ურთიერთობების ხასიათი, რომელიც მას ჰქონდა ლ. ლ.-სთან და სხვა ეჭვმიტანილებთან, ფაქტების განვითარებამდე. მოსმენის შედეგად, პროკურატურამ დაავალა იურიდიულ პოლიციას იმ პირების იდენტიფიცირება და გამოკითხვა მოწმეების სახით, რომლებიც ნახსენები იყვნენ მომხივანის მიერ და, ფაქტების განვითარების ზუსტი ადგილის დასადგენად, სამეცნიერო პოლიციას მოსთხოვა, მოეპოვებინა იმ ადგილების პლანიმეტრია, რომელიც მომხივანმა მიუთითა თავის აღწერაში.

16. დაუზუსტებელ თარიღში, გამომძიებლებმა მომხივანის თანდასწრებით დაათვალიერეს აღნიშნული ადგილები.

17. 2009 წლის 29 აპრილს, ფლორენციის პროკურორმა დაარეგისტრირა აღნიშნული შვიდი პიროვნება პირთა რეგისტრში, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ სქესობრივი ძალადობის დანაშაულში, დამამძიმებელი გარემოებებით.

18. 2010 წლის 11 მაისს, ეჭვმიტანილების საქმე განსასჯელად გადაიგზავნა ფლორენციის პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე. მომხივანი და ფლორენციის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდნენ პროცესის სამოქალაქო მხარეებს.

19. 2010 წლის 17 სექტემბერსა და 2013 წლის 14 იანვარს შორის, ფლორენციის სასამართლოში პირველი ინსტანციის პროცესისას, გაიმართა თვრამეტი საჯარო სხდომა. მხარეთა მოსმენის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარემ, საკითხის სენსიტიური და დელიკატური ხასიათისა და მომხივანის შეძლებისდაგვარად დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, უარი განაცხადა, პროცესის გადაღების ნება დაერთო დარბაზში მყოფი ჟურნალისტებისათვის.

20. 2011 წლის 8 თებერვლისა და 13 მაისის სხდომები მთლიანად დაეთმო მომხივანის მოსმენას. აღნიშნული მოხსენება ჩაიწერა სხდომის მოხსენებაში ოთხას ოცდაათ გვერდად. მომხივანი გამოიკითხა პროკურორისა და დაცვის მხარის რვა ადვოკატის მიერ. სხდომის ჩანაწერებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს თავმჯდომარე არაერთხელ ჩაერია გამოკითხვაში იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად არ დაეშვა ბრალდებულების სხვადასხვა ადვოკატების მიერ იმ შეკითხვების გაშეორება, რომლებზე პასუხებიც უკვე ვასცა მსხვერპლმა, და/ან რომლებსაც არ ჰქონდათ შემხებლობა საქმესთან, ან იყო მკაცრად პირადი ხასიათის. ასევე, სასამართლოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოაცხადა მცირედი შესვენებები, რათა მომხივანს შეძლებოდა ემოციურად თავის ხელში აყვანა.

21. პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლომ ასევე მოუსმინა პირებს, რომლებსაც ფაქტების განვითარების შემდეგ მომხივანმა მოუყვა თავს გადახდენილი ამბის შესახებ, კერძოდ, მისი შეყვარებულს, მეგობარ გოგოს, როგორც მომხივანის, ასევე ბრალდებულების მეგობრებს, მათ შორის ლ. ლ.-ს

შეეყვარებულს, საღამოზე მყოფ მრავალ პირს, ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის გენეკოლოგებს და არტემისიას ცენტრის ფსიქოლოგს, ასევე იურიდიული და სამეცნიერო პოლიციის გამოძიებლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოძიებაში. ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის ექიმმა მიუთითა, რომ მან მიიღო მომჩივანი ფაქტების განვითარების მეორე დღეს და რომ ამ უკანასკნელმა მას სთხოვა მოხსენების ერთი ნაწილის მოდიფიცირება, მისი წაკითხვის შემდეგ. კერძოდ, მას სურდა დაზუსტებულიყო, რომ ძალადობის შემდეგ, ის მივიდა თავის ველოსიპედამდე თავად, ფეხით, და არა მანქანით, ჯგუფის წევრების თანხლებით, როგორც ეს იყო მითითებული მოხსენებაში.

22. ასევე, სამი პირი, ლ. ბ., ს. ს. და ს. ლ., რომლებიც იყვნენ თვითმხილველები ფაქტისა, როგორ დატოვა მომჩივანმა ციხესიმაგრე ბრალდებულებთან ერთად, მოწმის სტატუსით გამოიკითხნენ სასამართლოს წინაშე.

კერძოდ, ლ. ბ.-მ და ს. ს.-მ (ორი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო უსაფრთხოებასა და ციხესიმაგრეში შესასვლელის კონტროლზე), განაცხადეს, რომ ციხესიმაგრიდან გასვლისას, მომჩივანი იყო ცხადად ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, არ შეეძლო მარტო გადაადგილება და ის ეკავა ორ მამაკაცს, რომლებიც ეხებოდნენ ინტიმურ ადგილებში, და რომ სხვა მამაკაცები მათ გარშემო იყვნენ. ლ. ბ.-მ და ს. ს.-მ მიუთითეს, რომ ახალგაზრდა ქალს რეაქცია არ ჰქონდა და არ ჩანდა, რომ მას ჰქონდა შეწინააღმდეგების თუნდაც მცირედი უნარი. შემფოთებულმა ორმა მოწმემ მოსთხოვა ახსნა-განმარტება ახალგაზრდა მამაკაცებს, რომლებმაც მათ წასვლამდე უპასუხეს: „ჩვენი ბრალი არ არის, ის თუ ღორია“.

23. ს. ლ.-მ განაცხადა, რომ საღამოს დასასრულს, მან გაიგო ხუთი მეგობრისგან, რომლებსაც ასევე მოუხმინა სასამართლომ, რომ მამაკაცთა ჯგუფი და ერთი ქალი გამოირჩეოდნენ საღამოს მათი დაუოკებელი ქცევით და აშკარა სექსუალური ქმედებებით. მამაკაცებმა მრავალჯერადად შესთავაზეს ალკოჰოლი ახალგაზრდა ქალს. ციხესიმაგრის დატოვებისას, ეს უკანასკნელი გარშემორტყმული მამაკაცთა ჯგუფის მიერ, რომლებიც ეხებოდნენ მას სექსუალურად და კოცნიდნენ, და ჩანდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. ს. ლ.-მ და მისმა მეგობრებმა იყოყმანეს, ჩარეულიყვნენ თუ არა. სამმა მათგანმა მიიჩნია, რომ ახალგაზრდა ქალმა თავისი ნებით აირჩია მამაკაცებთან ერთად წასვლა, ორმა კი თქვა, რომ ქალი ვერ აცნობიერებდა მოვლენებს და არც თანხმობის გაცხადების უნარი შესწევდა. ახალგაზრდა ქალის მგომარეობით შემფოთებულმა ს. ლ.-მ გადაწყვიტა, მიახლოებოდა ჯგუფს და მათ ადევნებოდა მცირედი დროით. მან გაიგო, როგორ სთხოვდა მომჩივანი კაცებს, გაჩერებულიყვნენ და დაეტოვებინათ ის («Ora basta ! lasciatemi stare!»). შესაბამისად, მან მას შესთავაზა დახმარება, მაგრამ მომჩივანმა უპასუხა, რომ არ ედარდა და რომ მისი თანხმობის მამაკაცები მეგობრები იყვნენ და ისინი მას სახლში მიაცილებდნენ. მამაკაცთა ჯგუფის მიერ დამამცირებელი კომენტარების შემდეგ („წადი აქედან! შენს საქმეებს მიხედე! ვინ ხარ შენ? ვილაც ანტიძალადობის ხაზიდან?“), ახალგაზრდა ქალმა ასევე დაამატა : „ვწუხვარ, ეს ჩემი ბრალია, ადრე ლესბოსელი ვიყავი და ეხლა ჰეტეროსექსუალი ვარ“. ს. ლ.-ს აზრით, ახალგაზრდა ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ჩანდა გამხიარულებული მამაკაცთა კომენტარებით, მოეჩვენა გაცნობიერების და სიტუაციის სრულად

აღქმის უნარის არმქონედ.

24. სასამართლოს წინ, თავის მოსმენის დროს, მომჩივანმა განაცხადა, რომ არ ახსოვდა ს. ლ. ის, გარდა აღნიშნულისა, გამოიკითხა ბრალდებულთა ადვოკატთა მიერ მის ოჯახურ და პირად მდგომარეობაზე, ასევე, მის სექსუალურ გამოცდილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მას დაუსვეს კითხვები თავისი გადაწყვეტილების შესახებ, ფაქტების განვითარებიდან ოცი დღის შემდეგ, 2008 წლის 15-დან 25 აგვისტომდე, გაჰყოლოდა მეგობარს სერბეთში და მონაწილეობა მიეღო მხატვრულ სასწავლო კურსში «Sex in transition». მან განმარტა, რომ ფლორენციის დატოვება გადაწყვიტა, რათა თავიდან აერიდებინა თავის აგრესორებთან შეხვედრა, მაგრამ ის იძულებული გახდა, იმაზე ადრე დაბრუნებულიყო, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო, რადგან ძლიერი პანიკური შეტევები დაეწყო, რომელიც საჭიროებდა ჰოსპიტალიზაციას.

25. 2012 წლის 28 და 29 თებერვალს გამართულ სხდომებზე, სასამართლომ მოუსმინა შვიდ ეჭვმიტანილს, რომლებიც ერთხმად, ისევე, როგორც თავად დაინტერესებული მხარე, აცხადებდნენ, რომ დ. ს. არ იმყოფებოდა მათთან ერთად არც ციხესიმაგრეიდან გასვლისას, არც მანქანაში.

ბრალდებულთა მიერ, დ. ს.-ს გამოკლებით, ფაქტების განვითარების წარმოდგენილი ვერსიის თანახმად, მომჩივანი მთელი საღამოს განმავლობაში იყო პროვოკაციული, როგორც ჩაცმულობის მანერით, ასევე თავისი სექსუალური და ვულგარული ქცევით. არავის დაუძალებია მისთვის დალევვა. გარდა ამისა, მას ორალური სექსუალური კავშირი ჰქონდა დ. ს.-სთან ციხესიმაგრის ტუალეტში და აღნიშნული ცნობილი გახდა მეგობართა მთელი ჯგუფისთვის. ლ. ლ. ამტკიცებდა, რომ მომჩივანს ყოველთვის ჰქონდა მის მიმართ ფიზიკური მიზიდულობა, რის მტკიცებულებადაც მოიყვანა 2008 წლის 5 ივნისს მათ შორის დამყარებული სქესობრივი კავშირი და, ასევე, რომ მან მოიტყუა, როდესაც განაცხადა თითქოს 25 ივლისს ციხესიმაგრეში მივიდა მოკლემეტრაჟიან ფილმში თამაშისთვის ანაზღაურების მისაღებად, რადგანაც მისი ხელფასი უკვე გადახდილი იყო.

26. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მომჩივანი ატარებდა მექანიკურ ხარს თავისი წითელი საცვლის დემონსტრირებით და რომ მან იცეკვა ვნებიანი და უკომპლექსო მანერით თითოეულ მათგანთან. მათ განაცხადეს, რომ საღამოს ბოლოს, მან მათ უბიძგა, ჰქონდათ ჯგუფური სექსუალური კავშირი, შემდეგი სიტყვებით: „ახლა კი მინდა, რომ თქვენ ყველამ მიხმართო!“, და რომ როდესაც ლ. ლ. მათ დაშორდა თავის მეგობარ გოგონასთან ერთად, მომჩივანმა მას დაუძახა, რომ მათ შეერთებოდა. მათ მიუთითეს, რომ ჯგუფი იყო ეიფორიაში და ჰქონდათ სადღესასწაულო განწყობა (goliardico), მაგრამ არავინ იყო მოქმედების უუნარო ალკოჰოლის გამო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მომჩივანი უპრობლემოდ დადიოდა და რომ ის ჩანდა თავის თავში დარწმუნებული, მათ პროვოკაციას უწყობდა და მოუწოდებდა სექსუალური კავშირებისკენ. ისინი უთითებენ, რომ როდესაც ს. ლ.-მ ისინი გააჩერა ციხესიმაგრის გასასვლელთან, მომჩივანმა მოახდინა რეაგირება, დააარწმუნა ის და მიუთითა თავის სექსუალური თავისუფლების უფლებაზე, ემოქმედა ისე, როგორც სურდა.

27. შემდგომში, მომჩივნის სექსუალური ქმედებები გაიზარდა ინტენსიურობასთან ერთად და ჯგუფმა გადაწყვიტა, მანქანით წასულიყო ადგილზე, რომელიც უფრო დაშორებული და გავლელთა თვალთავან მეტად დაცული იქნებოდა. არჩევანი შეაჩერეს ერთ-ერთი ჯიხურის პარკინგზე, რომელიც მარტის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ ადგილზე, მომჩივანს ჰქონდა სრული სექსუალური ხასიათის ურთიერთობა ორ მათგანთან და ორალური სექსი დანარჩენებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ არც ერთ-ერთი და არც ეაკულაცია, რაზეც მომჩივანს დამცინავი და იმედგაცრუებული რეაქცია ჰქონდა. ექვსმა მამაკაცმა შემდგომში მას შესთავაზა სახლში მიცილება, რაზეც უარის გაცხადებამდე, მათ მომჩივანი მანქანით მიაცილეს ველოსიპედამდე, რომელიც გაჩერებული იყო ციხესიმაგრის მიმდებარედ. ერთ-ერთმა ბრალდებულმა, დ. ა.-მ, განაცხადა, რომ მის დნმ-თან თავსებადი სპერმა, რომელიც ნაოვნი იყო მომჩივნის მაისურზე (იხ. პარაგრაფი 32) იხსნებოდა იმ შეხებებით, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი ჯიხურამდე მანქანით მგზავრობისას.

### III. სასამართლო პროცესი

28. 2013 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით, ფლორენციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო შვიდიდან ექვსი ბრალდებული, 609 სეკუნდა მუხლის პირველი პარაგრაფისა და 609 მეორე მუხლის საფუძველზე, იმ პირზე ძალადობისათვის, რომელიც იმყოფებოდა ისეთ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომ უუნარო იყო, განეხორციელებინა ან დაქვემდებარებოდა სექსუალური ხასიათის აქტებს. მეორე მხრივ, მან გაამართლა ისინი სექსუალური ძალადობის ბრალდების ნაწილში, 609 სეკუნდა მუხლის პირველი პარაგრაფის მნიშვნელობით. მეშვიდე ბრალდებული, დ. ს., გამართლდა, გამოძიებამ აჩვენა რა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ნამდვილად იმყოფებოდა საღამოზე, მას არ დაუტოვებია ციხესიმაგრე სხვებთან ერთად და არ მიუღია მონაწილეობა გაუპატიურებაში.

29. თავის გადაწყვეტილებაში, სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა, რომ მხარეთა ვერსიები ერთმანეთს შეესაბამებოდა იმ ნაწილში, რომ ნამდვილად დაამყარეს ჯგუფური სექსობრივი კავშირი, თუმცა განსხვავდებოდნენ სუბსტანციურად, მსხვერპლის აქტებზე თანხმობის ნაწილში. შემდეგ სასამართლომ განსაჯა, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ვერსია არათანმიმდევრული იყო და ჩანდა ალოგიკური მრავალ ნაწილში, კერძოდ, ფაქტების თავდაპირველ ნაწილში. განსაკუთრებით, მომჩივნის ახსნა-განმარტებები იმ მიზეზზე, თუ რატომ დათანხმდა ლ. ლ.-ს მიწვევას ციხესიმაგრეში და რატომ დარჩა იქ მამინ, როდესაც არანაირი საჩუქარი არ მიუღია. მის მიმართ მეგობართა ჯგუფის მოპყრობა რომ ზღვარგადასული იყო, სასამართლომ მიიჩნია არადამარწმუნებლად.

30. მეორე მხრივ, მან დაადგინა, რომ მსხვერპლის განცხადებები ციხესიმაგრიდან გასვლის კონკრეტული მომენტიდან დაწყებულ ფაქტებთან დაკავშირებით იყო სრულად შესაბამისობაში პირდაპირი მოწმეების - ს. ლ.-ს, ლ. ბ.-სა და ს. ს.-ს ჩვენებებთან. აქედან გამომდინარე, მან განმარტა, რომ განმცხადებელის ახსნა-განმარტებას სარწმუნოდ მიიჩნევდა საღამოს ამ ნაწილის ფაქტებთან

დაკავშირებით (გარდა დ. ს.-ს დასწრების საკითხისა), მაგრამ მის სანდოობას ეჭვქვეშ ტოვებდა, საღამოს დასაწყისისა და დასასრულის ფაქტების რეკონსტრუქციის ნაწილი. ამ საკითხთან დაკავშირებით, მან მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების თანახმად, მსხვერპლის ახსნა-განმარტების სანდოობა შესაძლოა შეფასდეს მისი განცხადებების „ფრაგმენტული შეფასებით“ მაშინ, როდესაც არ არსებობს ფაქტობრივი და ლოგიკური შეუსაბამოები მისი მონათხრობის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

31. ციხესიმაგრეიდან გამოსვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ს.-ს მონაწილეობა აღნიშნულ ფაქტებში გამორიცხული იყო გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ საწინააღმდეგოდ იმისა, რაც მომჩივანმა განაცხადა, დ. ს.-ს არ დაუტოვებია ციხესიმაგრე ჯგუფთან ერთად. მან ასევე აღნიშნა, რომ სატელეფონო ჩანაწერებმა და დაინტერესებული პირების ტელეფონებით გააქტიურებული ტერმინალების შემოწმებამ უარყო განმცხადებლის ვერსია იმის თაობაზე, თუ სად იყო მანქანა გაჩერებული ძალადობის ფაქტის განხორციელების დროს, რაც ადასტურებდა ბრალდებულთა განცხადებებს ამ საკითხზე. ასევე, გამოძიებლებმა ჩაატარეს სიმულაციები, რომლებმაც აჩვენეს, რომ შეუძლებელი იქნებოდა განმცხადებლისთვის ველოსიპედთან მისვლა აღნიშნული ადგილიდან ფეხით, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა მის განცხადებებს.

32. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზიანებები, რომელთა იდენტიფიცირება ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის ექიმმა შეძლო მოვლენებიდან თორმეტი საათის შემდეგ (იხ. პარაგრაფი 10), არ შეესაბამებოდა მომჩივნის მიერ გაცხადებული ძალადობის ინტენსივობას და დაზიანებები, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო უბრალოდ მანქანაში სექუნალური აქტის განხორციელებით, რაზეც ბრალდებულები არ დაობენ. უფრო მეტიც, სათესლე სითხის კვალი არ იქნა აღმოჩენილი არც მომჩივნის ვაგინალური და პირის ღრუს ნაცხის ანალიზით და არც მანქანაში, რამაც გააბათილა მისი განცხადებები „სპერმის ძლიერი სუნის“ შესახებ და დაადასტურა ბრალდებულების განმარტებები, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ეაკულაცია მანქანაში. განმცხადებლის ტანსაცმელზე, კერძოდ, მაისურის უკანა მხარეს აღმოჩენილი ბიოლოგიური კვალის გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა მხოლოდ ერთი ბრალდებულის, დ. ა.-ს დნმ-ის იდენტიფიცირება.

33. შემდეგ სასამართლომ ჩათვალა, რომ ვარაუდი, რომ ბრალდებულებს სულ მცირე იმედი ჰქონდათ, რომ განიცდიდნენ ტრანსგრესიულ საღამოს განმცხადებლის გამოყენებით ეროტიკული თამაშების შესასრულებლად, არ იყო უბრალო სპეკულაცია. სასამართლოს მოსაზრებით, ამას ადასტურებდა ბრალდებულების მიერ 25 ივლისის ნაშუადღევს გაგზავნილი სატელეფონო შეტყობინებები, რომელიც ეხებოდა ციხესიმაგრეში დაინტერესებული პირის მომავალ ყოფნას. გარდა ამისა, მან შემაშფოთებლად მიიჩნია მანქანაში ნაპოვნი, ლ. ლ.-ს მიერ დაწერილი ერთ-ერთი ტექსტის უხამსი შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა მომჩივანთან ავადმყოფური ურთიერთობის დამყარებას.

34. ნებისმიერ შემთხვევაში, მან მიიჩნია, რომ ყველა ბრალდებულის განცხადებების საწინააღმდეგოდ, სიტუაცია, აღწერილი ს. ლ.-ის, ლ.ბ.-ისა და ს. ს.-ის მიერ, არ იყო არაფრით „ეიფორიული“ ან „სადღესასწაულო“. აღნიშნული მოწმეების ჩვენებებმა შესაძლებელი გახადა, უდავოდ დამტკიცებულიყო ფაქტი, რომ ექვს ბრალდებულთან ერთად ციხესიმაგრის დატოვებისას, მომჩივანი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ არ დადასტურდა, რომ მისი მდგომარეობა იყო ბრალდებულების მიერ მის მიმართ სექსუალური ძალადობის მიზნით ალკოჰოლის მოხმარების წაქეზების შედეგი, ფაქტობრივად დადასტურდა, რომ მომჩივანი იყო ნასვამ მდგომარეობაში, უჭირდა სიარული და მისი უნარი, დათანხმებულიყო სქესობრივ კავშირს, შესამჩნევად დაქვეითებული იყო.

35. სასამართლომ მიიჩნია, რომ მდგომარეობა, რომელშიც მომჩივანი იმყოფებოდა მოწმეთა მიერ აღწერილ მომენტში და დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის ზუსტი დადგენა შეუძლებელი იყო, უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც ფიზიკური და ფსიქოლოგიური „არასრულფასოვნების მდგომარეობა“. მან დააზუსტა, რომ სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებით, არასრულფასოვნების ცნება არ იყო აუცილებლად დაკავშირებული მსხვერპლის მენტალურ პათოლოგიასთან და შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორებით, იმ პირობით, რომ მათ სიმძიმეს შეეძლო თანხმობის ნაკლოვანების გამოწვევა. მან დასძინა, რომ არასრულფასოვნების ცნება არ მოითხოვდა მსხვერპლის აბსოლუტურ დამორჩილებას და რომ ის თავსებადი იყო მისი მხრიდან წინააღმდეგობის გარკვეულ ხარისხთან.

36. მან განმარტა, რომ სქესობრივი ძალადობის დანაშაული პირის უუნარო მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, რომელიც ისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 609 სექსუნდა მუხლის მეორე პარაგრაფის 1-ლი ნაწილით, შეიძლება იყოს კვალიფიცირებული ძალადობის ან დაშინების ფაქტის დადგენის გარეშე, მხოლოდ იმ პირის იძულების ფაქტით, რომელიც უუნარო იყო, წინააღმდეგობა გაეწია არასრულფასოვნების მდგომარეობის გამო. რაც შეეხება დანაშაულის მორალურ ელემენტს, მან განმარტა, რომ მხედველობაში იღებდა როგორც მსხვერპლის არასრულფასოვან შეგნებას - ელემენტი, რომელიც მისი აზრით, უდავოდ იყო ამ საქმეში - ასევე სექსუალური მიზნებისთვის მოქმედების ფაქტს. მან დააზუსტა - უუნარობის მდგომარეობის კვალიფიკაცია არ საჭიროებდა, რომ ის გამოწვეული ყოფილიყო აგრესორის მიერ, არამედ, შესაძლოა, გარეშე ფაქტორებით ყოფილიყო განპირობებული.

37. ექვსმა მსჯავრდებულმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება. ისინი აცხადებდნენ, რომ მომჩივანმა მოიტყუა სულ მცირე 29-ჯერ და მიიჩნევდნენ, რომ ეს მრავალი ცრუ განცხადება ამტკიცებდა მისი ვერსიის მთლიან სიცრუეს. იმის გათვალისწინებით, რომ მის მიერ აღწერილი ფაქტების ვერსია მთლიანობაში იყო საეჭვო, ისინი მიიჩნევდნენ, რომ დანიტერესებული პირის განცხადებების ფრაგმენტული შეფასება სასამართლოს მიერ იყო საწინააღმდეგო და მცდარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან. ისინი ხელავდნენ სიცრუეში, რომელიც ცნობილ იქნა სასამართლოს მიერ, მომჩივნის



სინანულის ნიშნებს ჯგუფური სექსუალური გამოცდილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღნიშნულს თავად დათანხმდა. ისინი ასაბუთებდნენ, რომ ფიზიკური უუნარობის მდგომარეობა, რომელსაც შეეძლო მომჩივნის თანხმობა გამოერიცხა, არ იყო დამტკიცებელი, და რომ მისი ფიზიკური უუნარობის მდგომარეობის ფაქტი დამახინჯებული იყო სასამართლოს მიერ გაზიარებული სხვადასხვა ჩვენებით. ვარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ ყველა შემთხვევაში, მათ არ შეეძლოთ, სცოდნოდათ განმცხადებლის მხრიდან რაიმე არასრულფასოვანი მდგომარეობის შესახებ, რადგან ყველა იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

38. 2015 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წლის 3 ივნისს, ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა პირველი ინსტანციის მიერ მსჯავრდებული ექვსი პირი (იხ. პარაგრაფი 28). მან თავიდანვე დადგინოდა მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის განაჩენის ნაწილი, რომელიც ეხება ამ უკანასკნელთა გამართლებას ძალადობით ან მუქარით ჩადენილი გაუპატიურების დანაშაულისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 609 სექუნდა მუხლის პირველი პარაგრაფი), ძალაში იყო შესული იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორს არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილების ეს ნაწილი. შედეგად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ დაზარალებული პირის უუნარობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხზე (609 სექუნდა მუხლის მეორე პარაგრაფი) და, შესაბამისად, გაენაღიზებინა მდგომარეობა, რომელშიც მომჩივანი იმყოფებოდა ფაქტების განვითარების მომენტისათვის.

39. სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ მრავალმა შეუსაბამობამ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა მომჩივნის ვერსიაში (იხ. პარაგრაფი 29 და 31), სრულიად შეარყია ვერსიის სანდოობა. მან მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განახორციელა მომჩივნის განცხადებების ფრაგმენტული შეფასება და დაადგინა მისი სანდოობა ფაქტების ნაწილის მიმართ. ამ მხრივ, მან დააზუსტა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა თანახმად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის განცხადებების ფრაგმენტული შეფასება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადებები ეხებოდა განსხვავებულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფაქტებს, ისეთებს, როგორცაა ძალადობის ცალკეული ეპიზოდები, ზოგიერთი უფრო დასაბუთებული, ვიდრე სხვები. მან დაადგინა, რომ ვინაიდან წინამდებარე საქმეში საუბარი იყო ძალადობის ერთი ეპიზოდის განსჯაზე, მსხვერპლის ვერსიის სანდოობის „ფრაგმენტული შეფასება“ შეუძლებელი იყო. დაზარალებულის სანდოობა მისი განცხადებების ერთიანობის გათვალისწინებით უნდა შეფასებულიყო.

40. სააპელაციო სასამართლომ დასძინა, რომ მომჩივნის განცხადებები არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა გინეკოლოგიური გამოკვლევის დასკვნას, რომელშიც აღნიშნული იყო მომჩივნის შეუთავსებელი დაზიანებები ბრალდებებთან, ისევე, როგორც ბიოლოგიური სითხეების კვალის ექსპერტიზას, რომელიც ჩატარდა მანქანაში, მომჩივნის ტანსაცმელზე და მის პირზე.

41. რაც შეეხება მომჩივნის განცხადებას, თავის არასრულფასოვან მდგომარეობაში ყოფნასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ თავიდანვე დადგენილად მიიჩნია, რომ უნდა გამოირიცხულიყო დაინტერესებული პირის ნების ნებისმიერი ნაკლი, რასაც, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა მის თანხმობაზე. მან დაამატა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს, ოჯახური და პირადი მხრივ, რთული პერიოდის გადალახვა უწყევდა (მისი დედა იყო მძიმედ ავად, მამას კი მითრვებული ჰყავდა და მან თავადვე გადაიტანა განშორება პარტნიორთან და ცოტა ხნის წინ დაიწყო ურთიერთობა მამაკაცთან, რომლისაც ეშინოდა შეხვედრის შემდეგ), ის იყო ახალგაზრდა ქალი „უდავოდ სენსიტიური, მაგრამ აგრეთვე კრეატიული და დაუბრკოლებელი, რომელსაც შეეძლო, ემართა თავისი (ბი)სექსუალობა და დაემყარებინა ერთჯერადი სექსუალური ურთიერთობები, რომელშიც იგი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო“, ისეთები, როგორებიც ჰქონდა ლ. ლ.-სთან შუა ქუჩაში და დ. ს.-სთან, - ორივე კავშირი ფაქტების განვითარებამდე რამდენიმე დღით ადრე, ანდა ისეთები, როგორიც იყო ორალური სექსუალური კავშირი დ. ს.-სთან ციხესიმაგრის ტუალეტში, რასაც მოჰყვა ცეკვები და მექანიკური ხარის თამაშები.

42. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა მრავალი მოწმის განაცხადება, რომ მომჩივანს ჰქონდა ექსტრემალურად პროვოკაციული და ვულგარული ქცევა, ეცეკვებოდა სექსუალური მანერითა და ჩახუტებით ზოგიერთ ბრალდებულს და ტუალეტში დ. ს.-სთან სექსუალური კავშირის დამყარების შემდეგ, ფაქტი, რომელიც ასევე ცნობილი გახდა მეგობართა ჯგუფისათვის, ის თავისი წითელი საცვლის დემონსტრირებას ახდენდა მექანიკური ხარის ტარებისას. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ თავის მხრივ, მოწმეებმა ლ. ბ.-მ და ს. ს.-მ მხოლოდ მიუთითეს, რომ პარკის დატოვებისას, მომჩივანი ჩანდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და უჭირდა გადაადგილება. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ლ.-ს ჩვენება, რომელიც აღწერდა მომჩივნის რაქეციას, როდესაც მოწმე ჩაერია მის დასახმარებლად, იძლეოდა იმის ფიქრის საფუძველს, რომ დაინტერესებული პირი არ იყო ძალადობის მსხვერპლი, არამედ მას ჰქონდა დაცვის და მეტიც, გართობის უნარი მეგობრების ჯგუფის მიერ მის ახალ სექსუალურ ორიენტაციაზე გაკეთებულ კომენტარებზე. ამ ფაქტების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ალკოჰოლს არ დაუქვეითებია მისი გართობის უნარი.

43. მას შემდეგ, რაც გამორიცხა მომჩივნის ლატენტური უუნარობის მდგომარეობაც კი, სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ გამოსაკვლევი რჩებოდა მხოლოდ „თავდაპირველად გაცხადებული თანხმობის ნების გამოთხოვის“ საკითხი, რომელიც, მსჯავრდებულებმა, მცდარად ან ნამდვილად მიიჩნიეს არსებულად საღამოს განმავლობაში, იმის გათვალისწინებითაც, რომ დ. ს.-მ აღნიშნული თანხმობის ნება მომჩივნისგან უკვე „მოიპოვა“, ტუალეტში მასთან ორალური სექსუალური კავშირის დამყარებისას. ციხესიმაგრიდან გამოსვლამდე, მომჩივანი არ იყო შეწუხებული ჯგუფის წევრების სექსუალური ხელის შეხებებით საცეკვაო მოედანზე და მათ თანხლების ნება დართო მანქანამდე მისასვლელად, სადაც ის დარჩა ინერტული სექსუალური ურთიერთობების დამყარებისას, იმდენად, რომ მეგობართა ჯგუფის წევრები „თითქმის განცვიფრებულები“ დარჩნენ, როდესაც მან წასვლა გადაწყვიტა. სააპელაციო სასამართლომ

დაადგინა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა, მიჩნეულიყო, რომ მსჯავრდებულებს ეგონათ, არსებობდა მომჩინის თანხმობა ჯგუფური სექსუალური კავშირის თაობაზე, რამაც, თავის მხრივ, საბოლოოდ არავინ დააკმაყოფილა.

მან დასძინა, რომ შემდგომში არ მომხდარა მნიშვნელოვანი აცდენა დაინტერესებული პირის მხრიდან მის წინასწარ თანხმობასა და სავარაუდო შემდგომ უარს შორის, რადგან მან აღიარა, რომ დარჩა ინერტული და ჯგუფის დისკრეციის ქვეშ სექსუალური კავშირების განმავლობაში.

44. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი ანალიზი, დაფუძნებული სასამართლო პროცესის მეშვეობით დადგენილი აღნიშნული გარემოებების ერთობლიობის გაღრმავებულ გამოკვლევაზე, დასტურდებოდა შემდეგი გარემოებებითაც: ნაკაწრებისა და დაზიანებების არარსებობა მსჯავრდებულთა სხეულზე, რომლებიც დაკავებულ იქნენ ფაქტების განვითარებიდან დაუყოვნებლივ, ასევე ფაქტით, რომ მომჩინებელმა ველოსიპედით გაიარა ათწუთიანი გზა მას შემდეგ, რაც, მისი თქმით, განიცადა მძიმე ძალადობა. ეს მონაცემები, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იყო შეუსაბამო შევიწროებასა და მძიმე ძალადობასთან, რასაც, მომჩინის თქმით, ის განიცდიდა ორი საათის განმავლობაში (იხ. პარაგრაფები 9 და 40).

45. შესაბამისად, მან მიიჩნია, რომ არ იყო დამტკიცებული, რომ მომჩინი იმყოფებოდა ალკოჰოლისგან გამოწვეული უუნარობის მდგომარეობაში (alterazione alcolica), რადგან თუ პატარა ჯგუფი იყო ეიფორიაში ალკოჰოლის მცირე რაოდენობის მოხმარების შემდეგ, დაინტერესებული პირის ქცევა ყველა შემთხვევაში იძლეოდა იმის ფიქრის საშუალებას, რომ ის იყო საკმარისად ფიზიკური, როდესაც ატარებდა მექანიკურ ხარს, როდესაც ის შეეცადა, დაკავშირებოდა ლ. ლ.-ს ტელეფონით მაშინ, როდესაც მან ვააცილა თავისი შეყვარებული, ან როდესაც მან უხეშად უპასუხა ს. ლ.-ს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იტალიის საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არასრულფასოვან მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულის მატერიალური ელემენტი კვალიფიცირებულია, როდესაც პირი მზაკვრული და ფარული ქმედებებით უბიძგებს სხვას, ჩაერთოს სექსუალური ხასიათის ქმედებებში, ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული მისი არასრულფასოვანი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით.

46. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტების ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრში გაცხადებით და არტემისიას ცენტრისათვის მიმართვით, მომჩინვან სურდა იმ ფაქტის „სტიგმატიზაცია“, რომ არ შეუშალა ხელი ჯგუფური სექსობრივი კავშირის დამყარებას, და ვერ დაამარცხა თავისი ზედაპირულობის და სისუსტის მომენტი, რომელიც მან შემდგომ გააცნობიერა და რომლის ცნობის სურვილი მის არასწორ ცხოვრებას სურდა. მან მიიჩნია, რომ დაინტერესებული პირის ქმედებები და გამოცდილებები ფაქტების განვითარებამდე და შემდეგ ადასტურებდნენ, რომ სექსუალური კავშირისადმი მას ჰქონდა ამბივალენტური დამოკიდებულება, რაც იწვევდა მის მიერ დაურწმუნებელი გადაწყვეტილების მიღებას და ფაქტების განცდას წინააღმდეგობრივი და ტრავმული გზით, როგორც

იყო ლ. ლ.-ს მოკლემეტრაჟიანი ფილმში თამაში, იმ სექსობრივი ურთიერობისა და ძალადობის სცენებისადმი ყოველგვარი პროტესტის გამოხატვის გარეშე, რომელსაც ის შეიცავდა, ან როგორც იყო მისი მონაწილეობა, რამდენიმე დღის შემდეგ მისი განცხადებით განცდილი ძალადობიდან, ბელგრადში გამართულ სასწავლო კურსში „Sex in transition“.

47. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ დასაბრუნებელი იყო, ბრალად დადებული ფაქტები არ წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს და რომ მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლებულიყვნენ იმ მოტივით, რომ არასრულფასოვან მდგომარეობაში მყოფი მსხვერპლის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულის მატერიალური ელემენტი არ იყო კვალიფიცირებული.

48. 2015 წლის 13 ივლისს, მომჩივანმა პროკურორს მიმართა განცხადებით, რომელშიც აპროტესტებდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მის საკასაციო წესით გასაჩივრებას მოითხოვდა.

49. პროკურორმა არ გაასაჩივრა საკასაციო წესით გადაწყვეტილება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2015 წლის 20 ივლისს ძალაში შევიდა.

50. საქმეს და პროცესს მნიშვნელოვანი მედიაგაშუქება მოყვა. მომჩივანმა სადავო ფაქტების შესახებ განაცხადა თავის სოციალურ ქსელებში და შექმნა ინტერნეტ ბლოგი, რომელიც მიეძღვნა გენდერული თანასწორობის საკითხს და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

51. 2015 წლის 5 აგვისტოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და იუსტიციის მინისტრის წინაშე დაისვა საპარლამენტო შეკითხვა ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივებზე და მათ შესაბამისობაზე სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ნაციონალურ და საერთაშორისო ნორმებთან. მისი გამოკვლევა არ მომხდარა.

## შესაბამისი კანონმდებლობა და იურიდიული პრაქტიკა

### I. შესაბამისი შიდა სამართალი

#### ა. სისხლის სამართლის კოდექსი

52. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 609 სექუნდა მუხლი ეხება „სექსუალურ დანაშაულების“ დელიქტს (violenza sessuale). ის შემდგენიარადაა ჩამოყალიბებული:

„1. პირის იძულება, ძალადობის, მუქარის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით, დაექვემდებაროს სექსუალური ხასიათის აქტებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ხუთიდან ათ წლამდე ვადით.

2. იმავე სასჯელს ექვემდებარება პირის ქმედება, უბიძგოს [induce] მსხვერპლს, განახორციელოს ან დაექვემდებაროს სექსუალური ხასიათის აქტებს . 1) ფაქტების დადგომის მომენტში, მისი არასრულფასოვან ფსიქიკურ ან ფიზიკურ მდგომარეობაში ყოფნის ბოროტად გამოყენებით; 2) მისი შეცდომაში შეყვანით, თავის სხვა პირად გასაღებით.

3. მსხუბუქი სიმძიმის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის ვადა შეიძლება, შემცირდეს არაუმეტეს ორი მესამედისა.

53. 609-ე ტერცია მუხლის თანახმად:

„თავისუფლების აღკვეთის ვადა შეიძლება, განისაზღვროს ექვსიდან ათი წლით, თუ 609-ე სეკუნდა მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები ჩადენილია:

2) იარაღის, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ფსიქოტროპული თუ სხვა საშუალებებისა თუ სუბსტანციების გამოყენებით, რომლებსაც შეუძლიათ, მძიმედ დააზიანონ მსხვერპლის ჯანმრთელობა.

54. სისხლის სამართლის კოდექსის 609-ე ოქტავა მუხლის თანახმად, „ჯგუფურ სექსუალურ ძალადობას“ აკვალიფიცირებს მრავალი პირის გაერთიანების ფაქტი ისეთ სექსუალურ ძალადობაში მონაწილეობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 609-ე სეკუნდა მუხლით. ეს სამართალდარღვევა დასჯადია თავისუფლების აღკვეთით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

55. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსსკ“) 392-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება 609 სეკუნდა და 609-ე ოქტავა მუხლით დასჯად სამართალდარღვევებს, პროკურორს, მათ შორის, დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე, ან ბრალდებულს შეუძლიათ, მოითხოვონ, რომ მცირეწლოვანი ან სრულწლოვანი მომჩივნის ჩვენება მიღებულ იქნას წინასწარი საგამოძიებო ეტაპის მოსამართლის მიერ, წინასასამართლო სხდომაზე.

56. 2015 წლის 15 დეკემბრის N212 საკანონმდებლო დეკრეტმა, რომელმაც მოახდინა სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლების უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ მინიმალური ნორმების დამდგენი 2012/29/UE დირექტივის ტრანსპოზიცია, სსსკ-ს 392-ე მუხლის მოდიფიცირება განახორციელა შემდეგი მუხლის დამატებით:

„წინასწარი გამოძიების განმავლობაში, როდესაც დაზარალებული პირი არის განსაკუთრებულად დაუცველი, პროკურორს, მათ შორის, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, ან ბრალდებულს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ დაზარალებულის ჩვენება მიღებულ იქნას წინასასამართლო სხდომაზე“.

57. სსსკ-ს 472-ე მუხლის მესამე სექუნდა ნაწილის თანახმად, სექსუალური სახის დანაშაულთან დაკავშირებული სხდომები საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსხვერპლი ითხოვს მათ დახურვას ან ის არის მცირეწლოვანი. ამ სახის პროცედურებში, შეკითხვები დაკავშირებული მსხვერპლის პირად და სექსუალურ ცხოვრებასთან დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია ფაქტების აღსადგენად.

გ. შესაძლებლობა სამოქალაქო მხარისათვის, გაასაჩივროს გამამართლებელი გადაწყვეტილება

58. სსსკ-ს 572-ე მუხლის თანახმად,

„სამოქალაქო მხარესა და დაზარალებულს (...) შეუძლიათ, დასაბუთებული მიმართვის გზით, მოთხოვონ პროკურორს, გაასაჩივროს გადაწყვეტილება. თუ პროკურორი არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, მან უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და შეატყობინოს მოთხოვნის ავტორს“.

59. სსსკ-ს 576 მუხლის თანახმად,

„სამოქალაქო მხარეს შეუძლია, გაასაჩივროს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება თავის ნაწილში სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით; მას შეუძლია გამამართლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასადგენად [ფაქტების ავტორის] (...)“

დ. შიდა კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით

60. 2013 წლის 15 ოქტომბერს N119 კანონი, წოდებული ფემინიციდის კანონად ან გეგმად ექსტრარადინალური მოქმედებისა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ითვალისწინებს ზომებს, რომლებიც ფოკუსირებულია ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და შევიწროების მსხვერპლთა პროცედურულ უფლებებზე. ახალი ნორმების თანახმად, პროკურორსა და პოლიციის წარმომადგენლებს აქვთ კანონიერი ვალდებულება, აცნობონ მსხვერპლებს მათი უფლების შესახებ, წარმოდგენილი იყვნენ სისხლის სამართლის პროცედურის ფარგლებში ადვოკატით, და მოითხოვონ, თავიანთი ადვოკატის მეშვეობით, დაცული სხდომა. მათ, ასევე, უნდა აცნობონ მსხვერპლებს იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობისა და ამ ტიპის დახმარების მოთხოვნის პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს, რომ სავარაუდო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული გამოძიებები უნდა განხორციელდეს პოლიციაში ფაქტის გაცხადებიდან ერთი წლის განმავლობაში, და რომ ძალადობის მსხვერპლი უცხოელების ბინადრობის ნებართვები, მათ შორის უსაბუთო მიგრანტებისა, უნდა განაგრძობდეს. კანონი, ასევე, ითვალისწინებს აღნიშნულ საკითხზე მონაცემების სტრუქტურულ შეგროვებას და მათ რეგულარულ განახლებას,

განსაკუთრებით - უკვე არსებული მონაცემთა ბაზების კოორდინაციის საშუალებით.

61. 2019 წლის 19 ივლისის N69 კანონმა, წოდებულმა „წითელ კოდექსად“, მოახდინა ახალი სამართალდარღვევების რეგლამენტაცია - ისეთების, როგორცაა იძულებითი ქორწინება, მსხვერპლის დამახინჯება სახეზე მუდმივი დაზიანებების მიყენებით და სექსუალური ხასიათის ფორთების ან ვიდეოების უკანონო გავრცელება, და მან დაამძიმა სანქციები შევიწროებაზე, სექსუალურ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე. გარდა ამისა, ამ დანაშაულებთან დაკავშირებულ პროცედურათა ერთიანობამ უნდა ისარგებლოს პრიორიტეტული განხილვით.

ე. მაგისტრატა ეთიკის კოდექსი

62. მაგისტრატა ეთიკის კოდექსის მოდიფიკაცია განხორციელდა 2010 წელს. ახალი კოდექსის მე-12 მუხლის შესამე ნაწილის თანახმად:

„გადაწყვეტილების მოტივაციებში და სხდომის მართვაში, მოსამართლე იკვლევს მხარეთა ფაქტებსა და არგუმენტებს, ერიდება საქმის გარემოებებთან შემხებლობაში არმყოფ ფაქტებსა თუ პირებზე, ასევე პროცესის მონაწილე პირებზე განცხადებების გაკეთებას, გადაწყვეტილების გამოტანას ან შეფასებებს გაკეთებას სხვა მაგისტრატებისა და დაცვის მხარის პროფესიულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, გარდა გადაწყვეტილების მიზნების საჭიროების შემთხვევაში.“

## II. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი

ა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

63. სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დეკლარაცია სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლებისა და ძალაუფლების გადაჭარბების მსხვერპლების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული 1985 წლის 29 ნოემბრის 40/34 რეზოლუციით, ადგენს, რომ მსხვერპლებს უნდა მოეპყრან თანაგრძნობით და მათი ღირსების პატივისცემით (დანართი, მუხლი 4) და უნდა გაუმჯობესდეს სასამართლო და ადმინისტრაციული სისტემის შესაძლებლობები მსხვერპლთა საჭიროებებზე რეაგირებისთვის, კერძოდ, ზომების მიღებით, რათა შეიზღუდოს რამდენადაც შესაძლებელია სირთულეები, რომელსაც ისინი აწყდებიან, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან თავიანთი პირადი ცხოვრება და უზრუნველყონ როგორც თავიანთი, ასევე მათი ოჯახისა და მოწმეების უსაფრთხოება, და მოხდეს მათი დაშინებისა და ანგარიშსწორებისგან დაცვა (დანართი, მუხლი 6 დ)).

64. 2017 წლის 4 ივლისის (CEDAW/C/ITA/7) გამოქვეყნებულ იტალიის მეშვიდე ანგარიშთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა თავის დასკვნით შეფასებებში, მათ შორის, განაცხადა :

## „სტერეოტიპები

25. კომიტეტი მხედველობაში იღებს წევრი სახელმწიფოს მიერ, საოჯახო და მშობლების პასუხისმგებლობის გაზიარების პოპულარიზაციისთვის განხორციელებულ ღონისძიებას, დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და, ასევე, მედიაში ქალების სტერეოტიპული წარმოდგენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სარეკლამო თვითრეგულირების ინსტიტუტის როლის გაძლიერების ფაქტს. მიუხედავად ამისა, ის შემოფოთებით აღნიშნავს:

ა) ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლებთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით სტერეოტიპების გამყარების ფაქტს, რომელიც ამტკიცებს ქალების ტრადიციულ როლს, როგორც დედისა და დიასახლისის, და საფრთხეს უქმნის მათ სოციალურ სტატუსს, ისევე, როგორც მათ საგანმანათლებლო და კარიერულ პერსპექტივებს;

27. კომიტეტი მიიჩნევს მისალოცად ღონისძიებებს, გატარებულს ქალების მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით – N119/2013 კანონის მიღებასა და მის აღსრულებას, რომელიც ეხება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გადაუდებელ ღონისძიებებს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და აფუძნებს ნაციონალური, ძალადობაზე სადამკვირვებლო ინსტიტუტის ამოქმედებასა და ნაციონალურ მონაცემთა ბაზის ამოქმედებას სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ის შემოფოთებული რჩება:

ა) წევრ სახელმწიფოში ქალებისა და ახალგაზრდა გოგონების მიმართ სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებლით;

ბ) ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის განცხადების, სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების დაბალ მაჩვენებელს, რაც იწვევს ავტორთა დაუსჯელობას;

გ) სამოქალაქო სასამართლოებისადმი მიმართვის ლიმიტირებული უფლება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისადმი და რომლებიც ითხოვენ დაცვის ორდერის გამოწერას;

დ) ფაქტი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურები არასავალდებულოა, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, სასამართლოები აგრძელებენ მსხვერპლების დავის გადაჭრის ალტერნატიულ მექანიზმებზე ორიენტირებას, როგორცაა მედიაცია ან კონსილიაცია, ისევე, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გახშირებულ გამოყენებას შევიწროების ნაკლებად მძიმე შემთხვევებზე, რომელიც შეიძლება გავრცელდეს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებზე;

ე) ქალების მიმართ რასისტული, ქსენოფობიური და სექსისტური ქმედებების კუმულაციური გავლენა და გადაფარვა;



ვ) ქალების მიმართ სექსობრივი ძალადობის ფუნდამენტური მიზეზების შესახებ კვლევებისა და ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების არარსებობა;

ზ) რეგიონული და ადგილობრივი უთანასწორობა დახმარებისა და დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხში, განსაკუთრებით – ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრების მხრივ, აგრეთვე, დისკრიმინაციის ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გაზრდილი ფორმები უმცირესობების ჯგუფიდან წარმომავალ ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ.

28. მოიხმობს რა კონვენციის დებულებების და თავის ზოგად რეკომენდაციებს N19 (1992) ქალთა მიმართ ძალადობაზე და N35 (2017) ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე, ანახლებს რა თავის ზოგად რეკომენდაცია N19-ს, კომიტეტი წევრ სახელმწიფოს შემდეგ რეკომენდაციას აძლევს:

ა) დააჩქაროს სრული კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციას, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და დასჯას, ისევე, როგორც ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, და უზრუნველყოს საკმარისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფა მათი სისტემატური და ეფექტური განხორციელებისათვის.

ბ) შეაფასოს პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების რეაქცია სექსუალურ დანაშაულებებზე და დააწესოს მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლების სავალდებულობა, რომ მოხდეს სისხლის სამართლის კანონის ნორმების მკაცრი აღსრულება ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებთან და ძალადობის მსხვერპლი ქალების მოსმენის პროცედურასთან დაკავშირებით, მამაკაცი-ქალის პრობლემატიკის გათვალისწინებით;

გ) წაახალისოს ქალები, შეატყობინონ ოჯახური და სექსუალური ძალადობის აქტების შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს, მსხვერპლთა სტიგმატიზაციის გარეშე, პოლიციისა და მაგისტრატების ცნობიერების ამაღლებით და ამ ქმედებების დანაშაულებრივი ხასიათის გაცნობიერებით, და უზრუნველყონ ქალებისთვის ეფექტური წვდომა სამოქალაქო სასამართლოებში მოძალადე პარტნიორებისგან დაცვის ორდერების მოსაპოვებლად.

დ) უზრუნველყოს, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, როგორცაა მედიაცია, კონსილიაცია და აღდგენითი მართლმსაჯულება, არ გამოიყენონ სასამართლოებმა სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რათა თავიდან მოხდეს იმის აცილება, რომ ეს საშუალებები გახდნენ ქალებისთვის, მიმართონ ფორმალურ მართლმსაჯულებას და მოხდეს შიდა შესაბამისი კანონმდებლობის ერთობლიობის ჰარმონიზაცია სტამბოლის კონვენციასთან;

ე) ქალთა მიმართ რასისტული, ქსენოფობიური და სექსისტური ქმედებების გულდასმით გამოძიების უზრუნველყოფა, რათა მოხდეს დამნაშავეთა

სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკისრებული სასჯელები იყოს პროპორციული ფაქტების სიმძიმესთან;

ვ) ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვისა და დახმარების გაძლიერება, განსაკუთრებით, თავშესაფრების მიღების შესაძლებლობების გაძლიერებით და იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი აკმაყოფილებენ მსხვერპლთა საჭიროებებს და მოიცავენ წევრი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას, საკმარისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფით, და სახელმწიფოსა და მსხვერპლთა საცხოვრებლისა და სარეაბილიტაციო სერვისების მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება;

ზ) ოჯახში და სექსუალური ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სქესის, ასაკის, ეროვნებისა და მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ურთიერთობის მიხედვით.»

ბ. ევროპის საბჭო

65. 2011 წლის 7 აპრილს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). იტალიაში 2013 წლის 10 სექტემბერს მოხდა მისი რატიფიკაცია, ძალაში კი შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოდან.

აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს განსაკუთრებით შემდეგ ნორმებს :

### **მუხლი 3 – განმარტებები**

„მოცემული კონვენციის მიზნებისათვის:

ა. „ქალთა მიმართ ძალადობა“ აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“;

### **მუხლი 15 – სპეციალისტების პროფესიული მომზადება**

„1. მხარეები უზრუნველყოფენ ან აუმჯობესებენ იმ შესაბამისი სპეციალისტების პროფესიულ მომზადებას, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა აქტის მსხვერპლთან ან ამ აქტების ჩამდენ პირებთან, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ასეთი ძალადობის პრევენციას და გამოვლენას, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, მსხვერპლთა საჭიროებებსა და უფლებებს, ასევე იმას, თუ როგორ აღიკვეთოს მეორადი ძალადობა.

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები:

ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსობრივი ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება, სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;

ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება;

გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.

2. თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.

### **მუხლი 36 – სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება**

3. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პუნქტის დებულებები ასევე გამოიყენებოდეს იმ აქტების შემთხვევაშიც, რომელიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობის საფუძველზე“.

### **მუხლი 54 – გამოძიება და მტკიცებულება**

„მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესისას, მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სექსობრივი ცხოვრების ისტორიას და სექსობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია“.

### **მუხლი 56 – დაცვითი ზომები**

„1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის – მათი, როგორც მოწმეების განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე, კერძოდ კი:

ა. მათი, ასევე მათი ოჯახებისა და მოწმეების დაცვის უზრუნველყოფით, დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ძალადობისაგან;

ბ. მსხვერპლის ინფორმირების უზრუნველყოფით იმის შესახებ, ისეთ შემთხვევებში მაინც, როდესაც მსხვერპლი და მათი ოჯახები შეიძლება საფრთხეში იყვნენ, რომ დამნაშავე გაქცეულია ციხიდან ან გათავისუფლებულია დროებით ან საბოლოოდ;

გ. მათი ინფორმირებით, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მათი უფლებებისა და მათ ხელთ არსებული მომსახურებების შესახებ, ასევე, მათი საჩივრის შემდგომი ეტაპების, ბრალდებების, გამოძიების ან სასამართლო პროცესის ზოგადი მიმდინარეობისა და ამასთან დაკავშირებით მათი როლის შესახებ, ასევე, მათი საქმის განხილვის შედეგების შესახებ;

დ. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, შიდა კანონმდებლობის პროცესუალური წესების შესაბამისად, რომ მოუსმინონ მათ, წარადგინონ მტკიცებულება და გამოხატონ თავისი შეხედულებები, საჭიროებები და გულისტკივილი, პირდაპირ ან შუამავლის საშუალებით, და რომ ეს ყველაფერი განხილულ იქნეს;

ე. მსხვერპლისთვის შესაფერისი მხარდაჭერის მომსახურების მიწოდებით ისე, რომ მათი უფლებები და ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული;

ვ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეიძლება მიღებულ იქნა ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის დასაცავად;

ზ. იმის უზრუნველყოფით, რომ შეძლებისდაგვარად, თავიდან იყოს აცილებული მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტი სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოს შენობებში;

თ. მსხვერპლისთვის დამოუკიდებელი და კომპეტენტური თარჯიმნების უზრუნველყოფით, როდესაც მსხვერპლი მონაწილეობს სასამართლო პროცესში, ან როდესაც იგი წარადგენს მტკიცებულებას;

ი. მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, მისი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, რომ სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცეს დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია“.

66. 2020 წლის 13 იანვარს, ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედო საკითხებზე („GREVIO“), გამოაქვეყნა თავისი პირველი შეფასების ანგარიში იტალიასთან დაკავშირებით. იგი შეიცავს შემდეგ პასაჟს:

„გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების ხელშეწყობის კუთხით მიღწეული პროგრესის აღიარებით, ანგარიში ადგენს, რომ გენდერული

თანასწორობის მიზეზი იტალიაში წინააღმდეგობას აწყდება. GREVIO გამოთქვამს შეშფოთებას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელახალი ინტერპრეტაციისა და მისი ოჯახისა და დედობის პოლიტიკისკენ ფოკუსირების ტენდენციის ნიშნების გამოჩენის გამო. ამ სირთულეების დასაძლევად, GREVIO მიიჩნევს, რომ აუცილებელია ხელისუფლებამ გააგრძელოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა ავტონომიურობის პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და განხორციელება, რომელიც აშკარად აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს, როგორც ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად არათანაბარი ძალაუფლების ურთიერთობის გამოვლინებას“.-

67. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის ("ISTAT") მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხსენებულ ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნულია, რომ სექსუალური ძალადობის გაცხადების და მსჯავრდების მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია და კიდევ იკლებს: მაშინ, როცა შეტყობინებული სექსუალური ძალადობის დანაშაულთა რიცხვი 2016 წელს, 2011 წელს დაფიქსირებული 4 617-დან, შეიცვალა 4,046-ით. (დანაშაულთა 90%-ზე მეტს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ქალია მსხვერპლი, მამაკაცი კი - მოძალადე), მსჯავრდებულთა რაოდენობა იმავე პერიოდში შემცირდა 1703-დან 1419-მდე. ანგარიშის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

„225. GREVIO მოუწოდებს იტალიის ხელისუფლებას:

ა) გააგრძელოს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს გენდერული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებული გამოძიებებისა და სისხლის სამართლის საქმეების დაჩქარება, ამასთან, უზრუნველყოს ამ მიზნით მიღებული ზომების ადეკვატური დაფინანსება;

ბ) უზრუნველყოს დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება და სისხლის სამართლის სამართლიანობის უზრუნველყოფა, კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმისთვის;

გ) უზრუნველყოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დაწესებული სასჯელები იყოს დანაშაულის სიმძიმის პროპორციული და სანქციების შემაკავებელი ხასიათის უზრუნველმყოფი.

ამ სფეროში პროგრესი უნდა შეფასდეს შესაბამისი მონაცემებით და მხარდაჭერილი იყოს სამართალდამცავი უწყებების, პროკურორებისა და სასამართლოების მიერ, სისხლის სამართლის საქმეების განხილვის შესაბამისი ანალიზით, რათა დადგინდეს, სად არის ჩავარდნა და გამოვლინდეს სავარაუდო ხარვეზები ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ინსტიტუციების რეაგირებაში“.

68. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (ემსს) აზრი N. 11 (2008) სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხთან დაკავშირებით შეიცავს შემდეგ პასაჟს:

„38. (...) მოტივაცია (სასამართლოს გადაწყვეტილების) უნდა იყოს თავისუფალი მომჩინის ყოველგვარი შეურაცხყოფელი ან ნაკლებად სასიამოვნო შეფასებისგან“.

### გ. ევროკავშირი

69. 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა 2012/29/EU, რომლის ტრანსპოზიციაც უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 2015 წლის 16 ნოემბრისა, ადგენს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერის და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და ანაცვლებს საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას 2001/220/JHA. იტალიის მიერ მისი ტრანსპოზიციაც მოხდა 2015 წლის 15 დეკემბრის N212 საკანონმდებლო დეკრეტით. დირექტივის შესაბამისი ნაწილები შემდგენიარადა ჩამოყალიბებული:

### ბრემბულა – 17

„სქესის, იდენტობის ან გენდერის გამოხატვის გამო პირის მიმართ მიმართული ძალადობა, ან ძალადობა, რომელიც არაპროპორციულად მოქმედებს კონკრეტული სქესის ადამიანებზე, ითვლება გენდერის ნიშნით ძალადობად. ამან შეიძლება, ზიანი მიაყენოს მსხვერპლის ფიზიკურ, სექსუალურ, ემოციურ ან ფსიქოლოგიურ მთლიანობას ან გამოწვიოს მისი მატერიალური ზიანი. გენდერული ძალადობა გაგებულ უნდა იყოს, როგორც დისკრიმინაციის ფორმა და მსხვერპლის ძირითადი თავისუფლებების დარღვევა და მოიცავს ოჯახში ძალადობას, სექსუალურ ძალადობას (მათ შორის გაუპატიურებას, სექსუალურ ძალადობას და სექსუალურ შევიწროებას), ადამიანებით ვაჭრობას, მონობას, ასევე სხვადასხვა ფორმებს ისეთი მავნე პრაქტიკისა, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და ე. წ. „ღირსების დანაშაულები“. გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებს და მათ შვილებს ხშირად ესაჭიროებათ სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა, ამ ძალადობასთან დაკავშირებული მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და რეპრესიების მაღალი რისკის გამო“.

### მუხლი 18 – დაცვის უფლება

„დაცვის უფლებების შელახვის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ზომების მიღება მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების დასაცავად მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და ანგარიშსწორებისგან, მათ შორის ემოციური ან ფსიქოლოგიური ზიანის რისკისგან და, ასევე, დაზარალებულის ღირსების დასაცავად სასამართლო სხდომებისა და ჩვენების მიცემის დროს. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ზომები ასევე მოიცავს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს, რომლებიც მსხვერპლის და მისი ოჯახის წევრების ფიზიკური მთლიანობის დაცვის საშუალებას იძლევა“.

## **მუხლი 19 – მსხვერპლსა და სამართალდარღვევის ავტორს შორის კონტაქტის თავიდან არიდების უფლება**

„1. წევრი სახელმწიფოები ადგენენ პირობებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონტაქტი მსხვერპლსა და მისი ოჯახის წევრებს შორის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და დანაშაულის ჩამდენს შორის იმ შენობაში, სადაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის პროცესი მოითხოვს ასეთ კონტაქტს.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ახალ სასამართლო შენობებს მსხვერპლთა მოსაცდელად განცალკევებული ადგილები ჰქონდეთ“.

## **მუხლი 21 – პირადი ცხოვრების დაცვის უფლება**

„1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა სისხლის სამართლის პროცესის დროს მიიღონ შესაბამისი ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დასაცავად, მსხვერპლის პირადი მახასიათებლების, რომლებიც გათვალისწინებულია 22-ე მუხლით გათვალისწინებულ პერსონიზებულ შეფასებაში და მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების სურათების ჩათვლით. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა მიიღონ ყველა სამართლებრივი ზომა, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი ინფორმაციის საჯარო გავრცელება, რომელმაც შეიძლება, გამოიწვიოს მსხვერპლის იდენტიფიკაცია, როდესაც საქმე ეხება ბავშვს.

2. მსხვერპლის კონფიდენციალობის, მისი პიროვნების მთლიანობისა და მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დასაცავად, წევრი სახელმწიფოები, გამოსატყობისა და ინფორმაციის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის პატივისცემის მხედველობაში მიღებით, მოუწოდებენ მედიას, მიიღოს თვითრეგულირების ზომები“.

## **მუხლი 22 – მსხვერპლთა პერსონიზებული შეფასება, მათ დაცვასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებების დასადგენად**

„1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლებმა დროულად გაიარონ პერსონიზებული შეფასება, ეროვნული პროცედურების შესაბამისად, რათა იდენტიფიცირდეს დაცვის სპეციფიკური საჭიროებები და დადგინდეს, თუ რა ფარგლებში ისარგებლებენ ისინი სპეციალური ზომებით სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, როგორც ეს გათვალისწინებულია 23-ე და 24-ე მუხლებით, მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და რეპრესიების განსაკუთრებული რისკის გამო.

2. პერსონიზებული შეფასება, განსაკუთრებით, მხედველობაში იღებს:

- a) მსხვერპლის პიროვნულ მახასიათებლებს;
- b) სამართალდარღვევის სახესა და ბუნებას და
- c) სამართალდარღვევის გარემოებებს.

3. ინდივიდუალური შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მსხვერპლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიიღეს დანაშაულის სიმძიმის გამო, მათ, ვინც განიცადა დანაშაული ცრურწმენის ან დისკრიმინაციული მოტივის საფუძველზე, რომელიც შეიძლება, დაკავშირებული იყოს მათ პიროვნულ მახასიათებლებთან, მათ, რომელთაც თავიანთი ურთიერთობა ან დამოკიდებულება დანაშაულის ავტორისადმი განსაკუთრებით დაუცველს ხდის. ამასთან დაკავშირებით, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანებით ვაჭრობის, გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის ან ექსპლუატაციის, ან სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლნი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლები განსაკუთრებულ მხედველობაში მიიღებიან”.

**მუხლი 23 – სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლთა დაცვის უფლება სისხლის სამართლის პროცესის დროს**

„1. დაცვის უფლებებისა და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების პატივისცემის ხელყოფის გარეშე, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლებს, რომლებიც 22(1) მუხლით გათვალისწინებული პერსონალური შეფასების საფუძველზე სარგებლობენ სპეციალური ზომებით, შეუძლიათ ისარგებლონ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებით გათვალისწინებული ზომებით. პერსონიზირებული შეფასების შემდეგ გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიება არ მიენიჭება პირს, თუ ოპერაციული ან პრაქტიკული შეზღუდვები აღნიშნულს შეუძლებელს ხდის, ან თუ არსებობს მსხვერპლის სასამართლოს წინაშე წარდგენის გადაუდებელი აუცილებლობა, როდესაც სხდომაზე მისმა არდასწრებამ შეიძლება, ზიანი მიაყენოს მსხვერპლს, სხვა პირს ან სამართალწარმოების მიმდინარეობას.

2. სისხლის სამართლის გამოძიების დროს, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დადგენილ სპეციალური დაცვის საჭიროებების მქონე მსხვერპლებს შეუძლიათ, ისარგებლონ შემდეგი ზომებით:

ა) მსხვერპლი გამოიკითხება სპეციალურად ამ მიზნით მომზადებული პროფესიონალების მიერ ან მათი დახმარებით;

3. სასამართლო პროცესის დროს, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დადგენილ სპეციალური დაცვის საჭიროებების მქონე მსხვერპლებს შეუძლიათ, ისარგებლონ შემდეგი ზომებით:

ა) ზომები, რომელიც მსხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენს შორის ვიზუალური კონტაქტის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, მათ შორის – განცხადების დროს, შესაბამისი საშუალებების, განსაკუთრებით, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

ბ) ზომები, რომელიც მსხვერპლს საშუალებას აძლევს, მისცეს ჩვენება სასამართლო სხდომაზე, ფიზიკური დასწრების გარეშე, განსაკუთრებით – შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;



გ) ზომები, რომელიც საშუალებას იძლევა, თავიდან იქნას აცილებული მსხვერპლის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა უსარგებლო სასამართლო სხდომა, როდესაც აღნიშნულს არ აქვს კავშირი სისხლის სამართლის დანაშაულთან, და

დ) ზომები, რომლებიც იძლევა დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების შესაძლებლობას”.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

70. განმცხადებელი ედავება ეროვნულ ხელისუფლებას, რომ მან ვერ დაიცვა თავისი პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ხელშეუხებლობის უფლება, წინამდებარე საქმეში სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას. ის მოიხმობს კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”.

### ა. სამოტივაციო ნაწილი

1. მხარეთა არგუმენტები

#### ა) მომჩივანი

92. მომჩივანი მიიჩნევს, რომ მისი, როგორც მსხვერპლის უფლებები, არ იყო სათანადოდ დაცული გაუპატიურების თაობაზე მის სავარაუდო აგრესორთა წინააღმდეგ წარმოებული პროცედურის ფარგლებში. ის განმარტავს, რომ პროცედურა ერთიანობაში იყო გრძელი და ტკივილის მიმყენებელი. მან სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან განიცადა პირად ცხოვრებაში განგრძობადი და დაუსაბუთებელი ჩარევები, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ სექსობრივი ძალადობის მსხვერპლი ქალი. ის ხედავს სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას.

93. ის მიიჩნევს, რომ იტალიის სახელმწიფომ მრავალჯერ ვერ შეძლო ადეკვატური გამოძიებისა და სისხლის სამართლის დევნის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პოლიციასა და პროკურატურაში მრავალსაათიანი გამოკითხვების შემდეგ, სასამართლოში საჯარო ჩვენების მიცემისას, ის იძულებული გახდა, თავის სექსუალური, ოჯახური და პირადი ცხოვრების დეტალები მოეყოლა, და სხვათა მორალური განსჯის ობიექტი გამხდარიყო, სავარაუდო აგრესორებს კი არ განუცდიათ ანალოგიური მოპყრობა.

94. გარდა ამისა, ის დაობს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი სექსუალური ჩვენებისა და პირადი და ინტიმური არჩევანის სუბიექტური შეფასების, და არა ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე, გადაწყვიტა მსჯავრდებულთა გამართლება. ის უთითებს ს. ლ.-ს, ლ. ბ.-სა და ს. ს.-ს ჩვენებებზე და იმაზე, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა დადგენილად მიიჩნიეს მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური არასრულფასოვანი მდგომარეობის მტკიცებულების არსებობა ფაქტების განვითარების მომენტისათვის, რაც იგნორირებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა მსჯავრდებულთა განცხადებებს. მომჩივნის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მოახდინა სექსუალური ძალადობის ცნების შემზღვეველი და მოძველებული კონცეფციის დეკლარირება, ზემოთაღნიშნული M.C. c.Bulgarie გადაწყვეტილებაში, სასამართლოს მიერ განვითარებული პრინციპების დარღვევით.

95. ასევე, მომჩივანი დაობს, რომ პროკურორმა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების თაობაზე, რითაც წაერთვა უკანასკნელი საშუალება, ესარგებლა ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნით, და რომ 2015 წელს მთავრობის წევრებისადმი დასმული საპარლამენტო შეკითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

96. ის ასევე აცხადებს, რომ მრავალჯერ გამოიკითხა თავისი პირადი და სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონია აგრესიის ფაქტთან, მაგალითად, მის არტისტულ გამოვლენებზე, მის სექსუალურ ურთიერთობებზე (რომელთა აღწერა უზუსტეს დეტალებში მოსთხოვეს), მის არჩევანზე, ვეგანური კვების რეჟიმით ეცხოვრა, და სოციალურ ქსელებში მის მიერ გამოყენებული ფსევდონიმების შინაარსზე. ის მიიჩნევს, რომ ამ შეკითხვების მიზანი იყო არა ფაქტებისადმი ნათელის მოფენა, არამედ - იმის დამტკიცება, რომ მისი ცხოვრების სტილი და სექსუალური ორიენტაცია იყო „არანორმალური“. ის მიიჩნევს, რომ მის პირად ცხოვრებაზე ასეთმა შეფასებებმა განსჯამ უღაგო გავლენა მოახდინა პროცესის განვითარებაზე, და რომ მოსამართლეებმა, აგრესორების დასჯის ნაცვლად, მისი პირადი ცხოვრების დასჯა არჩიეს.

97. იგი დასძენს, რომ სასამართლოს სხდომების დროს, სასამართლოს თავმჯდომარეს არაერთხელ მოუწია ჩარევა, რათა თავიდან აეცილებინა მიმმართველი კითხვები და მომჩივნისთვის მიეცა ემოციურად თავის ხელში აყვანის საშუალება, რაც მისთვის უფრო მეტად გამოდგება სხდომების მტკივნეული ხასიათის აღსაწერად, ვიდრე ორგანოების მიერ მის მიმართ ყურადღების ილუსტრაციად.

98. ის, ასევე, ედავება ეროვნულ ორგანოებს იმის გამო, რომ არ გაითვალისწინეს ის ღრმა ტანჯვა, რის განცდასაც ის ამტკიცებდა, არ გაუწიეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და არ მიიღეს კონკრეტული ზომები მისი პირადი ხელშეუხებლობის დასაცავად. ის აცხადებს, რომ ერთადერთი ფსიქოლოგიური დახმარება, რომლის მიღებაც შეძლო, იყო ძალადობის მსხვერპლის ქალების მხარდაჭერაში სპეციალიზებული Artemisia-ს ცენტრის მხრიდან, რომელსაც მან თავისი ინიციატივით მიმართა.

99. მომჩივანი მიუთითებს სასამართლო გადაწყვეტილებებზე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სტამბოლის კონვენციაზე, რომელიც გმობს მსხვერპლთა დაშინებისა და მეორადი ვიქტიმიზაციის ყველა ფორმას.

100. ის ედავება მოსამართლეებს, რომ მის საქმეზე მსჯელობისას, როგორც პირველი ინსტანციის, განსაკუთრებით კი მეორე ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებისას, მათ მისი პირადი, ოჯახური და სექსუალური ცხოვრების სტიგმატიზაცია მოახდინეს. ის მიიჩნევს, რომ აღნიშნულით, მათ დაარღვიეს შიდა კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი - სსსკ-ს 472-ე მუხლის მე-3 სექუნდა მუხლი, რომელიც კრძალავს ყოველგვარი დაუსაბუთებელი შეკითხვის დასმას სექსუალური ძალადობის მსხვერპლისათვის, მის პირად და სექსუალურ ცხოვრებაზე. გარდა აღნიშნულისა, მომჩივანი მიუთითებს მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალობის უფლების დარღვევაზე პროცესის დროს, რომელიც იმართებოდა საჯაროდ და ფართოდ შექდებოდა მედიის მიერ.

101. ზოგადად, ის აკრიტიკებს იტალიაში ქალთა გენდერული ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს, აფასებს მას, როგორც არასაკმარისს მრავალ ასპექტში და შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსაბამოს.

## **ბ) მთავრობა**

### **2. სასამართლოს შეფასება**

117. სასამართლო განმარტავს, რომ მე-8 მუხლი, ისევე როგორც მე-3 მუხლი, აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღონ ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომელიც თანხმობის გარეშე შემდგარი ყველა სქესობრივი აქტის სისხლის სამართლის საშუალებებით დასჯასა და ეფექტურ რეპრესიას უზრუნველყოფს, მათ შორის, ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც აქტს მსხვერპლი ფიზიკურად არ შეწინააღმდეგებია, და ეფექტურად გამოიყენონ აღნიშნული ნორმები კონკრეტულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში (იხ. M.C. c. Bulgarie, §§ 153 და 166).

118. გარდა აღნიშნულისა, ის დასძენს, რომ სახელმწიფოზე მე-8 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობა, ითხოვს, ისეთ მძიმე შემთხვევებში, როგორიცაა გაუპატიურება, ეფექტური სისხლისსამართლებრივი ნორმების გატარებას, და, შესაბამისად,

შეიძლება, გავრცელდეს სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განხორციელებულზე აღნიშნული ნორმების აღსრულების მიზნით (M.N. c. Bulgarie, no 3832/06, § 40, 2012 წლის 27 ნოემბერი). რაც შეეხება ეფექტური გამოძიების წარმოების საკითხს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, საქმე ეხება შესრულების პროცესის და არა შედეგის ვალდებულებას. თუკი ეს მოთხოვნა არ ავალდებულებს, რომ ყველა სისხლის სამართლის პროცესი დასრულდეს გამამტყუნებელი განაჩენით, ან თუნდაც კონკრეტული სასჯელის გამოცხადებით, შიდა სასამართლო ხელისუფლებამ, საზოგადოების კანონიერების პრინციპის მიმართ ნდობისა და სასამართლოს უკანონო ქმედებების შემწყნარებლის ან თანამონაწილის სტატუსთან ასოცირების თავიდან არიდების მიზნით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დარღვევა დაუსჯელი დარჩეს. ამ კონტექსტში ასევე იმპლიციტურად იგულისხმება ოპერატიულობისა და სათანადო გულმოდგინების მოთხოვნა. პროცედურის მიმდინარეობისგან დამოუკიდებლად, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებები პრაქტიკაში საშუალებას უნდა იძლეოდეს, მოხდეს კონკრეტული საქმის არსებითი განხილვა შესაბამისი ორგანოს მიერ გონივრულ ვადებში (იხ. სხვებთან ერთად, M.N. c. Bulgarie, §§ 46-49 და N.Ç. c. Turquie, no 40591/11, § 96, 2021 წლის 9 თებერვალი).

119. ასევე, სასამართლომ უკვე განმარტა, რომ ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მსხვერპლთა უფლებები ექვევა კონვენციის მე-8 მუხლის დისპოზიციის ფარგლებში. ამ მხრივ, სასამართლო დასძენს, რომ თუკი მე-8 მუხლი ძირითადად მიზნად ისახავს ინდივიდის დაცვას საჯარო ხელისუფლების მიერ თვითნებური ჩარევისაგან, ის არ კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ აუკრძალოს სახელმწიფოს მსგავსი ჩარევები: ამ ნეგატიურ ვალდებულებას, შესაძლოა, დაემატოს პირად და ოჯახური ცხოვრების ეფექტური დაცვისათვის განუყოფელი პოზიტიური ვალდებულებები. აღნიშნულმა ვალდებულებებმა, შესაძლოა, გაითვალისწინოს ისეთი ღონისძიებების მიღება, რომელიც, პირადი ცხოვრების პატივსცემიდან დაწყებული, ინდივიდებს შორის ურთიერთობებზე ვრცელდება (X et Y c. Pays-Bas, 1985 წლის 26 მარტი, § 23, სერია A no 91). აქედან გამომდინარეობს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ისე უნდა გაუწიონ თავიანთ სისხლის სამართლის პროცედურას ორგანიზება, რომ არ მოხდეს მოწმეთა ცხოვრების, თავისუფლებისა თუ უსაფრთხოების საფრთხეში ჩავდება, და, განსაკუთრებით – იმ მსხვერპლთა, რომლებმაც ჩვენება მისცეს. შესაბამისად, უნდა მოხდეს დაცვის ინტერესების შეპირისპირება მოწმეებისა და ჩვენების მიმცემი მსხვერპლების ინტერესებთან (Doorson c. Pays-Bas, 1996 წლის 26 მარტი, § 70, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული, 1996-II). მეტიც, სექსობრივი ხასიათის დანაშაულებზე წარმოებულ სისხლისსამართლებრივი პროცედურები, მსხვერპლის მიერ ხშირად იყო გადატანილი, როგორც გამოცემა, განსაკუთრებით, როდესაც აღნიშნულთ პირისპირ უწევდათ ბრალდებულებთან დაპირისპირება და, ასევე, არასრულწლოვანთა საქმეებში (S.N. c. Suède, no 34209/96, § 47, ECHR 2002-V, და Aigner c. Autriche, no 28328/03, § 35, 2012 წლის 10 მაისი). შედეგად, მსგავსი სისხლის სამართლის პროცედურების განმავლობაში, მსხვერპლთა დასაცავად, დაცვის განსაკუთრებული საშუალებები შეიძლება იყოს მიღებული (იხ. Y. c. Slovenie, §§ 103 და 104). აღნიშნული ნორმები გულისხმობს მსხვერპლის ადეკვატურ მიღებასა და მოპყრობას სისხლის სამართლის პროცედურის განმავლობაში, მისი მეორეული

ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით (იხ. Y. c. Slovénie, §§ 97 და 101, A et B c. Croatie, no 7144/15, § 121, 2019 წლის 20 ივნისი, და N.Ç. c. Turquie, § 95).

120. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული პოზიტიური ვალდებულებების ერთობლიობა გამომდინარეობს, ასევე, სხვა საერთაშორისო მექანიზმებიდან (იხ. 63, 64, 65 და 69 პარაგრაფები). სასამართლო განსაკუთრებით ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, განსაკუთრებით – მსხვერპლთა დაშინებისა და მეორეული ვიქტიმიზაციის რისკის თავიდან ასარიდებლად, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მისცენ ჩვენება, წარმოადგინონ თავიანთი შეხედულებები, საჭიროებები, შეშფოთებები, მოითხოვონ მათი განხილვა, და, ბოლოს, მიეცეთ შესაძლებლობა, თუ ეს ნებადართულია მოქმედი შიდა კანონმდებლობით, მისცენ ჩვენება სავარაუდო დამნაშავეს დასწრების გარეშე. გარდა აღნიშნულისა, 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპული დირექტივის თანახმად, რომელიც ადგენს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლები სარგებლობენ დაცვის სპეციალური ღონისძიებებით, რადგან წარმოადგენენ მეორადი და განმეორებითი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და რეპრესიების მაღალ რისკ ჯგუფს.

121. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლო განმარტავს, რომ თავდაპირველად, იტალიური სამართალი სისხლისსამართლებრივად დასჯადად აცხადებს გაუპატიურებას, იქნება ის ჩადენილი ძალადობით, დამუქრებით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, მსხვერპლის არასრულფასოვანი მდგომარეობის გამოყენებით თუ მოტყუებით. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს უფრო მძიმედ დასჯად განცალკევებულ დანაშაულს – ჯგუფურ სექსუალურ ძალადობას (იხ. 52-54 პარაგრაფები). შესაბამისად, იტალიის სახელმწიფოს დადანიშნულება ვერ მოხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლების უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ბაზის არარსებობის საფუძველზე.

122. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, ისარგებლა თუ არა მომჩივანმა თავისი, როგორც სავარაუდო მსხვერპლის უფლებების ეფექტური დაცვით და თუ, მოცემული შემთხვევისთვის, იტალიის სისხლის სამართლით გათვალისწინებული მექანიზმები იმდენად დეფექტურად განხორციელდა, რომ აღნიშნულმა გამოიწვია სახელმწიფოს მიერ მასზე დაცისრებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა. სასამართლო საჭიროდ არ თვლის აღნიშნულზე ამაზე მეტად მსჯელობას. ის არ არის მოწოდებული შეაფასოს გამოძიების ცალკეული დარღვევები ან გადაცდომები. ის ვერ ჩაანაცვლებს შიდა ხელისუფლებას საქმის გარემოებების შეფასებებში. ის ასევე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სავარაუდო აგრესორების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე (იხ. M.C. c. Bulgarie, § 168).

123. რაც შეეხება გამოძიების ეფექტურობას, სასამართლომ თავიდანვე აღნიშნა, რომ ორგანოებმა, Careggi-ს ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრის შეტყობინების მიღების შემდეგ (რომელსაც მომჩივანმა მიმართა), მოვლენების განვითარებიდან ოთხ დღეში დაიწყო გამოძიება. მომჩივანი გამოიკითხა დავიანების გარეშე და მისი განმარტებების საფუძველზე ეჭვმიტანილი შვიდი მამაკაციც წინასწარ დაკავების იზოლატორში მოათავსეს, მათ შორის დ. ს.-ც, რომლის ფაქტებში მონაწილეობა შემდგომში გამოირიცხა. გამოძიება მიმდინარეობდა ცხრა თვის განმავლობაში, რის საფუძველზეც, ბრალდებულები სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ხაზგასასმელია, რომ გამოძიებლებმა ორგანიზება გაუწიეს ეჭვმიტანილების იდენტიფიკაციის პროცედურას და განახორციელეს მრავალი ტექნიკური ექსპერტოზა. აღსანიშნავია მანქანასა და მომჩივნის ტანსაცმელზე ბიოლოგიური კვალის აღმოსაჩენად და მისი და ეჭვმიტანილების გადაადგილების რეკონსტრუქციისთვის ჩატარებული ექსპერტოზები, მათ შორის, სატელეფონო ამონაწერებისა და ინციდენტში მონაწილე მხარეების ტელეფონებით გააქტიურებული ჯიხურების მონაცემების კვლევის საფუძველზე (14 და 15 პარაგრაფები). შემდგომ, სასამართლო სხდომების განმავლობაში, მხარეების მიერ დასახელებული მრავალი მოწმე, ექსპერტი, შვიდი ბრალდებული და მომჩივანი გამოიკითხა. საერთო ჯამში, სისხლის სამართლის პროცედურა, სასამართლოს ორი ინსტანციის ფარგლებში, გაგრძელდა დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში.

124. პროცედურის შემადგენელი ნაწილების გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია მიიჩნიოს, რომ ორგანოებმა გამოიჩინეს პასუხისმგებლობა, ან რომ მათ ვერ შეასრულეს ბრუნვის მოვალეობა და საქმის ყველა გარემოების შეფასებისას საჭირო ოპერატიულობის მოთხოვნები (იხ. საწინააღმდეგოდ, სხვებთან ერთად, M.N. c. Bulgarie, § 49). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო დასძენს, რომ აუცილებელია საპროცესო ვალდებულების შესრულების შეფასება რამდენიმე არსებითი პარამეტრის საფუძველზე, როგორცაა: ხელისუფლების ორგანოების მიერ, ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან, გამოძიების სწრაფი დაწყება, ამ გამოძიების უნარი, ზედმიწევნითა და ობიექტურად გაანალიზოს ყველა შესაბამისი ელემენტი, უბრუნველყოს ფაქტების დადგენა და შესაძლებელი გახდეს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში კი – დასჯა. ეს პარამეტრები ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ცალკე აღებულნი, არ წარმოადგენენ თავისთავად მიზანს. ისინი წარმოადგენენ კრიტერიუმებს, რომელიც, ერთობლიობაში აღებული, გამოძიების ეფექტურობის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა (S.M. c. Croatie, [GC], no 60561/14, §§ 312-320, 2020 წლის 25 ივნისი, და N.Ç. c. Turquie, § 97).

125. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი არ დაობს, რომ გამოძიების მიმდინარეობა გამოირჩეოდა აშკარა ხარვეზებითა და შეფერხებებით, ან რომ ხელისუფლებამ უგულებელყო რაიმე საგამოძიებო ღონისძიება. რაზეც მომჩივანი დაობს, არის ის ფაქტი, რომ გამოძიების და სასამართლო პროცესის ჩატარების წესი იყო მისთვის ტრავმული და რომ ხელისუფლების დამოკიდებულებამ მის მიმართ, გამოიწვია მისი პირადი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. ის განსაკუთრებით აპროტესტებს იმ პირობებს, რომელშიც ის იკითხებოდა სისხლის სამართლის მთელი პროცესის განმავლობაში და

არგუმენტებს, რომელსაც ეყრდნობოდნენ მოსამართლეები საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

### ა) მომჩინის სხდომები

126. მომჩინის სხდომებთან დაკავშირებით, სასამართლო თავიდანვე აფიქსირებს, რომ სასამართლო ხელისუფლება განიხილავდა ორ საწინააღმდეგო ვერსიას, და რომ პირდაპირი მტკიცებულებების ელემენტები, რომლებსაც ის ფლობდა, ძირითადად მომჩინის, როგორც მოწმის, მიერ მიცემული ჩვენებიდან გამომდინარეობდა. ის ასევე ადგენს, რომ გინეკოლოგიური გამოკვლევისა და გამოძიებლების მიერ ჩატარებული მრავალი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებმა, ნათელი გახადა მომჩინის მიერ, როგორც მთავარი მოწმის მიერ, აღწერილი ფაქტების განვითარების წინააღმდეგობრიობა (იხ. 31-32 პარაგრაფები).

127. ამ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ პროცესის თანასწორობის პრინციპი მოითხოვდა დაცვისათვის მომჩინის, როგორც ბრალდების ძირითადი მოწმის, ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობის მიცემას, იმის გათვალისწინებით, რომ ის არ იყო არასრულწლოვანი და არ იმყოფებოდა განსაკუთრებული სისუსტის მდგომარეობაში, რომელიც დაცვის განსაკუთრებული მეთოდის გამოყენებას მოითხოვდა (იხ. *mutatis mutandis*, B.c.Roumanie, no 42390/07, §§ 50 და 57, 2012 წლის 10 იანვარი). ამასთან დაკავშირებით, ის აღნიშნავს, რომ ფაქტების ორი შეუთავსებელი ვერსიის არსებობამ აბსოლუტურად უნდა განაპირობოს ყველა მხარისგან მოპოვებული ჩვენებების სანდოობის შეფასება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც გულდასმით უნდა იყოს შემოწმებული (იხ. *mutatis mutandis*, M.C. c. Bulgarie, précité, § 177).

128. სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოახერხეს თუ არა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა, დაეცვათ სამართლიანი ბალანსი დაცვის ინტერესებს, კერძოდ, ბრალდებულის უფლებას, გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მითითებულია მე-6 მუხლის § 3-ში, და სავარაუდო მსხვერპლისთვის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებს შორის. სექსუალური დანაშაულის სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვის ხერხმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი ამ უკანასკნელის პიროვნულ ხელშეუხებლობასა და ღირსებას და ბრალდებულისთვის გარანტირებულ დაცვის უფლებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა სავარაუდო მსხვერპლის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებითა და მის ჩვენებაში შესაძლო შეუსაბამობების გამოვლენით, ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ამ უკანასკნელის დაშინების ან დამცირების საშუალება (იხ. Y. c. Sloveenie, § 108).

129. სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ არც ერთ ეტაპზე, არც წინასწარი გამოძიების და არც სასამართლო პროცესის დროს, არ ყოფილა რაიმე პირდაპირი დაპირისპირება მომჩინასა და მის მიერ დასახელებულ ძალადობის სავარაუდო ჩამდენებს შორის. რაც შეეხება წინასწარი გამოძიების დროს, მომჩინის დაკითხვების წარმართვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ

განმცხადებელი ორჯერ გამოიკითხა პოლიციაში: 2008 წლის 30 ივლისს, ფლორენციაში, როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა მისგან პირველი ჩვენება მიიღეს და დაარეგისტრირეს მისი საჩივარი, და 2008 წლის 31 ივლისს, რავენაში (ქალაქში, სადაც მომჩივანი იმყოფებოდა არდადეგებზე), სადაც ფოტოების დახმარებით, მას ეჭვმიტანილების ამოცნობა სთხოვეს. გარდა ამისა, 2008 წლის 16 სექტემბერს, დაინტერესებული პირი დაბარებულ იყო პროკურატურაში, სადაც ის გამოიკითხა და რის შედეგადაც დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ბრძანება გაიცა.

130. სასამართლომ განიხილა მოსმენების ოქმები; მან არ გამოავლინა რაიმე უპატივცემულო ან დამაშინებელი დამოკიდებულება საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, ან ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მომჩივნის დათრგუნვას ან შემდგომი გამოძიების წარმართვას. იგი თვლის, რომ განმცხადებლისადმი დასმული კითხვები იყო შესაბამისი და მიზნად ისახავდა ფაქტების რეკონსტრუქციას მისი არგუმენტებისა და თვალსაზრისების გათვალისწინებით, რათა ჩამოეყალიბებულყო სრული საგამოძიებო საქმე შემდგომი სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაციის გათვალისწინებით, უდავოდ მტკივნეული იყო მომჩივნისთვის, არ შეიძლება, ჩაითვალოს, რომ გამოძიების დროს ჩატარებულმა გასაუბრების ღონისძიებებმა მომჩივანს გაუმართლებელი ტრავმა მიაყენა ან განაპირობა არაპროპორციული ჩარევა მის ინტიმურ და პირად ცხოვრებაში.

131. რაც შეეხება სასამართლო პროცესს: მომჩივანი გამოიკითხა 2011 წლის 8 თებერვალს და 13 მაისს. ამ მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შეეძლო, ესარგებლა სსსკ-ს 392-ე მუხლის მაშინ მოქმედი ვერსიით და მოეთხოვა, წინასასამართლო სხდომაზე დაკითხულიყო, კერძოდ ad hoc სხდომაზე საბჭოს პალატაში (იხ. პარაგრაფი 55). საწინააღმდეგოდ, რადგან მომჩივანი არ იყო არასრულწლოვანი და მან არ მოითხოვა სსსკ-ს 472-ე მუხლის თანახმად სასამართლო სხდომების დახურულად გამოცხადება, სხდომები მიმდინარეობდა საჯაროდ. მიუხედავად ამისა, სასამართლოს თავმჯდომარემ აუკრძალა დარბაზში დამსწრე ჟურნალისტებს გადაღება, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ დაეცვა მომჩივნის პირადი სფერო. გარდა აღნიშნულისა, ის მრავალჯერ ჩაერია განმცხადებლის ჯვარედინი დაკითხვის პროცესში დაცვის ადვოკატების შესაჩერებლად მაშინ, როდესაც ისინი სვამდნენ საქმესთან შემხებლობაში არ მყოფ ან პერსონალური ხასიათის კითხვებს, ან როდესაც ისინი ეხებოდნენ საქმესთან შემხებლობაში არ მყოფ ფაქტებს. მან ასევე სხდომების მცირე შესვენებები გამოაცხადა, რათა მომჩივანს შესძლებოდა ემოციურად თავის ხელში აყვანა.

132. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მთელი პროცესი განმცხადებელმა განიცადა, როგორც განსაკუთრებით მტკივნეული განსაცდელი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ გამომძიებლების, პროკურორებისა და დაცვის მხარის რვა ადვოკატის კითხვებზე პასუხის გასაცემად, მომჩივანს მოუწია თავისი ჩვენების გამეორება არაერთხელ, უფრო მეტიც, ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთ არ უყოყმანიათ განმცხადებლის სანდოობის შერყევის მიზნით, გამოეკითხათ იგი მის ოჯახურ



ცხოვრებასთან დაკავშირებულ პირად საკითხებზე, მის სექსუალურ ორიენტაციასთან და მის ინტიმურ არჩევანთან დაკავშირებით, ზოგჯერ ფაქტებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე – სისხლის სამართლის იტალიურ კანონმდებლობას (იხ. პარაგრაფი 57).

133. მიუხედავად აღნიშნულისა, პროკურორისა და სასამართლოს თავმჯდომარის მოპყრობის, ისევე, როგორც ამ უკანასკნელის მიერ, მომჩივნის პირადი სფეროს დასაცავად, დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან, ჯვარედინი დაკითხვის დროს, მომჩივნის საჭიროების გარეშე შეშფოთების ან შეურაცხყოფის თავიდან ასარიდებლად მიღებული ღონისძიებების გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია, დააკისროს პროცედურაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს პასუხისმგებლობა განმცხადებლის მიერ განცდილ განსაკუთრებით მძიმე ტკივილზე, და არც იმის მიჩნევა, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლის პირადი ხელშეუხებლობის სათანადოდ დაცვა სასამართლო პროცესის განმავლობაში (საწინააღმდეგოდ იხ. Y. c. Slovénie, précité, § 109).

#### **ბ) სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსი**

134. სასამართლომ ახლა უნდა გამოიკვილოს მომჩივნის სასამართლო პროცესის კონტექსტში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსი და მსჯელობა, რომლითაც ბრალდებულები გამართლდნენ, არღვევდა თუ არა განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემისა და მისი სექსუალური თავისუფლების უფლებებს, და აღნიშნულმა გამოიწვია თუ არა მისი მეორეული ვიქტიმიზაცია.

135. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მისი როლი არ არის ხელისუფლების მიერ ჩადენილი კონკრეტული შეცდომების შესახებ ბრალდებებზე გადაწყვეტილების მიღება და არც სავარაუდო თავდამსხმელების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა. შესაბამისად, ის ვერ ჩაანაცვლებს ადგილობრივ ხელისუფლებას საქმის ფაქტების შეფასებაში. მეორე მხრივ, მას ევალება, დაადგინოს, სასამართლოების მიერ განვითარებულმა მსჯელობამ და მათ მიერ გამოყენებულმა არგუმენტებმა გამოიწვია თუ არა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების ხელყოფა და დაარღვია თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები (იხ. mutatis mutandis, Sanchez Cardenas c. Norvége, no 12148/03, §§ 33-39, 2007 წლის 4 ოქტომბერი, და Carvalho Pinto de Sousa Morais c. Portugal, no 17484/15, §§ 33-36, 2017 წლის 25 ივლისი).

136. სასამართლომ დაადგინა ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების არაერთი მონაკვეთი, რომელიც ეხება მომჩივნის პირად და ინტიმურ ცხოვრებას და რომელიც არღვევს მის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებს. ის განსაკუთრებით გაუმართლებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ მითითებებს, მომჩივნის მიერ საღამომზე წითელი

თეთრეულის „დემონსტრირების“ თაობაზე, ასევე, კომენტარებს განმცხადებლის ბისექსუალობაზე, მის რომანტიკულ ურთიერთობებსა და ფაქტების განვითარებამდე მის ერთჯერად სექსობრივ კავშირებზე (იხ. პარაგრაფები 41 და 42). ანალოგიურად, სასამართლომ შეუსაბამოდ ჩათვალა მოსაზრებები განმცხადებლის „სექსის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებასთან“ დაკავშირებით, რომელთა შორისაც სააპელაციო სასამართლომ მოიაზრა არტისტულ ნაწილში განმცხადებლის გადაწყვეტილებებიც. ამგვარად, სააპელაციო სასამართლომ ამ საეჭვო გადაწყვეტილებებში მოიაზრა ლ. ლ.-ს მოკლემეტრაჟიან ფილმში მონაწილეობის მიღება, ფილმის ძალადობრივი და ექსპლიციტურად სექსუალური შინაარსის მიუხედავად (იხ. პარაგრაფი 46), იმის გარეშე - და საფუძვლიანადაც - რომ ამ მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარის დაწერა და მისი გადაღება არ იყო კომენტირებული და განხილული, როგორც ლ. ლ.-ს დამოკიდებულების განმაპირობებელი სექსის მიმართ. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება მომჩივნის გადაწყვეტილებას ფაქტების გაცხადების შესახებ, და რომელიც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იყო „სტიგმატიზაციისა“ და „სისუსტის კრიტიკული მომენტის“ გადაფარვის სურვილის შედეგი - ისევე, როგორც დაინტერესებული პირის „არასტაბილურ ცხოვრებაზე“ აქცენტირება (იხ. იქვე), თანაბრად სამწუხარო და შეუსაბამოა.

137. სასამართლო, მთავრობისგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული არგუმენტები და შეფასებები არ იყო საჭირო არც მომჩივნის სანდოობის შესაფასებლად, საკითხი, რომელიც უნდა გამოკვლევდეს პროცედურის მრავალი სხვა ობიექტური შედეგის საფუძველზე, და არც გადამწყვეტნი საქმეზე განაჩენის გამოსატანად (იხ. *mutatis mutandis*, Sanchez Cardenas, § 37).

138. სასამართლო აღიარებს, რომ წინამდებარე საქმეში განმცხადებლის სანდოობის საკითხი განსაკუთრებით გადამწყვეტი იყო და იგი მზადაა, გაიზიაროს, რომ მის წარსულ ურთიერთობებზე მითითების ფაქტებს ამა თუ იმ ბრალდებულთან, ან მის ზოგიერთ ქცევაზე საღამოს მიმდინარეობისას, შესაძლოა, გამართლება ჰქონოდა. თუმცა, ის ვერ ხედავს, მისი სანდოობისა და ბრალდებულების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად, რაში შესაძლოა, ყოფილიყო საჭირო მომჩივნის პირადი ცხოვრების, რომანტიკული ურთიერთობების, სექსუალური ორიენტაციის, ჩაცმის სტილთან დაკავშირებული არჩევნის, ისევე, როგორც მისი არტისტული და კულტურული აქტივობის შეფასება. შესაბამისად, არ შეიძლება, ჩათვალოს, რომ მომჩივნის რეპუტაციასა და პირად ცხოვრებაში განხორციელებული აღნიშნული ჩარევები გამართლებული იყო ბრალდებულების დაცვის უფლების საჭიროებით.

139. სასამართლო მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვის პოზიტიური ვალდებულებები, ასევე, ითვალისწინებს მათი რეპუტაციის, ღირსების და პირადი ცხოვრების, მათ შორის ფაქტებთან შეუსაბამო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების გაუვრცელებლობის გზით, დაცვის მოვალეობას. გარდა ამისა, აღნიშნული ვალდებულება სასამართლოს ფუნქციონირებისათვის განუყოფელია და გამომდინარეობს როგორც შიდა კანონმდებლობიდან (იხ. 57 და 62 პარაგრაფები), ასევე - სხვადასხვა

საერთაშორისო აქტიდან (იხ. 65, 68 და 69 პარაგრაფები). ამ თვალსაზრისით, მოსამართლეთათვის მინიჭებული შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები გადაწყვეტილებებში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსამართლეთა დისკრეციული უფლებამოსილებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის გამოვლინებას, შემოიფარგლება მხარეთა რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში, ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევის აკრძალვის ვალდებულებით.

140. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო დასძენს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა, მეშვიდე ანგარიშში იტალიასთან დაკავშირებით და GREVIO-ს ანგარიშში, დააფიქსირეს ქალთა როლთან არსებული სტერეოტიპების არსებობა და იტალიური საზოგადოების წინააღმდეგობა გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ. გარდა ამისა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტმა, ასევე, GREVIO-მ, მიუთითეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის დაბალ მაჩვენებელზე იტალიაში, რაც განაპირობებს მსხვერპლთა უნდობლობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტის განცხადების დაბალ მაჩვენებელს (იხ. 64-66 პარაგრაფები). სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ენა და არგუმენტები ხელს უწყობს ქალის როლის მიმართ განმსჯელობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომელიც ისედაც არსებობს იტალიურ საზოგადოებაში და რასაც, მიუხედავად დამაკმაყოფილებელი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობისა, შეუძლია, ხელი შეუშალოს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა უფლებების ეფექტური დაცვისთვის (იხ. *mutatis mutandis*, *Carvalho Pinto de Sousa Morais*, § 54).

141. სასამართლო დარწმუნებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და სანქციები გადამწყვეტ როლს თამაშობს გენდერული ნიშნით ძალადობაზე ინსტიტუციური რეაგირებისა და გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლო ხელისუფლებამ თავიდან აიცილოს სექსისტური სტერეოტიპების გადმოტანა სასამართლოს გადაწყვეტილებებში, გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მინიმალიზება და ქალების მეორეული ვიქტიმიზაცია დამადანაშაულებელი და მორალისტური გამონათქვამების გამოყენებით, რაც, ასევე, მსხვერპლთა მიერ სასამართლოს სისტემისადმი უნდობლობის გამოიწვევია.

142. შესაბამისად, იმის აღიარებით, რომ ეროვნულმა ორგანოებმა წინამდებარე საქმეში უზრუნველყვეს, რომ გამოძიება და სასამართლო სხდომები ჩატარებულიყო კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დაცვით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, არ მოხდა მომჩივნის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ დაცვა. აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ დაიცვეს მომჩივანი მეორეული ვიქტიმიზაციისგან მთლიანი პროცედურის განმავლობაში, რომლის განუყოფელ, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გადაწყვეტილების შედგენა, განსაკუთრებით - მისი საჯარო ხასიათიდან გამომდინარე.

143. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის შუამდგომლობას განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსის არარსებობის თაობაზე და ადგენს, რომ მოცემულ საქმეში ადგილი აქვს კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას.

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

148. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად,

149. მომჩივანი ითხოვს 80 000 ევროს (EUR) დაკისრებას მორალური ზიანისათვის, რომელიც, მისი განცხადებით, მან განიცადა და, ასევე, 30 000 ევროს დაკისრებას მატერიალური ზიანისათვის. ამ მხრივ, ის განსაკუთრებით ითხოვს ანაზღაურებას სამედიცინო და სატრანსპორტო ხარჯებისა, რომლებიც მან გასწია სადავო ფაქტების შედგენად განვითარებული ფსიქოლოგიური პრობლემების სამკურნალოდ, უნივერსიტეტების ხარჯების, რომელთა გაწევაც მოუწია მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიური პრობლემების გამო, შეუწყდა სასწავლო სტიპენდია, ასევე აგრესორებისგან დაშორებით ცხოვრებისთვის, საცხოვრებლის შეცვლის ხარჯების ასანაზღაურებლად.

150. მთავრობა არ ეთანხმება მომჩივნის მოთხოვნებს.

151. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზობრივ კავშირს დადგენილ დარღვევასა და მოთხოვნილ მატერიალურ ზიანს შორის. შესაბამისად, ის არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას. მეორე მხრივ, ის მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა განიცადა სტრესი და მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა, ნაწილობრივ მაინც, ხელისუფლების მიერ მის მიმართ სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა უფლებების დასაცავად ზომების განუხორციელებლობით. ადგენს რა სამართლიანობის საფუძველზე, იგი მას აკუთვნებს 12 000 ევროს მორალური ზიანისთვის.

გადასახადები და ხარჯები

152. მომჩივანი ითხოვს 25 600 ევროს მიკუთვნებას გადასახადებისა და ხარჯების სახით, რომლებიც მან გასწია სასამართლოში პროცედურის წარმოებისათვის.

153. მთავრობა მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ვერ დაამტკიცა აღნიშნული ხარჯების რეალურად გაღების ფაქტი.

154. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მომჩივანს მისი გადასახადები და ხარჯები აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება მათი რეალურობა, საჭიროება და რაოდენობის გონივრული ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ზემოხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს, მის წინაშე წარმოებული პროცედურისთვის, მომჩივნის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს 1 600 ევროს ოდენობით

საურავი

155. სასამართლო გამართლებულად მიიჩნევს საურავის ოდენობის დადგენას ევროპის ცენტრალური ბანკის მარტივი სასესხო საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, მასზე სამი პროცენტის დამატებით.

აღნიშნული საფუძვლებით, სასამართლო აღგენს,

1. ერთხმად, საქმის არსებით ნაწილთან გაერთიანდეს მთავრობის შუამდგომლობა, მსხვერპლის სტატუსიდან გამომდინარე, საჩივრის დასაშვებად არცნობის თაობაზე და არ დაკმაყოფილდეს.
2. ერთხმად, საჩივარი დასაშვებად იქნას ცნობილი.
3. ადგენს, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი;
4. ადგენს, ერთხმად, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებაში დაყენებული მოთხოვნის გამოკვლევა;
5. ადგენს, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ,

1. რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები :

I 12 000 ევრო (თორმეტი ათასი ევრო) მორალური ზიანისათვის, დამატებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აღნიშნულ ოდენობას შეიძლება დაემატოს საგადასახადო გადასახადის სახით;

II 1 600 ევრო (ათას ექვსასი ევრო) გადასახადებისა და ხარჯებისათვის, დამატებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აღნიშნულ ოდენობას შეიძლება დაემატოს საგადასახადო გადასახადის სახით;

2. რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლიდან, ანაზღაურებამდე, აღნიშნულ თანხას დაემატება მარტივი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის, იმ დროისათვის არსებული მარტივი სასესხო საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, მასზე სამი პროცენტის დამატებით.

6. არ აკმაყოფილებს, ერთხმად, მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების ნაწილში.







საფარი  
SAPARI